

წიგნობის ხაზით
იმსახურებთ პრინციპს

პორტიკული კონსტრუქციის
საუბრები

ენო სარიქა, იოსებ არჩვაძე

**პოლიტიკონომიკური
საუბრები**

თბილისი
2017

უაკ (UDC) 3301

ა - 853

ნინო ხაჩიძე, იოსებ არჩვაძე

პოლიტეკონომიკური საუბრაჰი. - გამომცემლობა „ივერიონი“,
თბილისი, 2017. – 300 გვ.

კრებულში შესულია ცნობილი ჟურნალისტის **ნინო ხაჩიძის** და ეკონომიკის დოქტორ, პროფესორ **იოსებ არჩვაძის** საუბრები თანამედროვე საქართველოსთვის აქტუალურ პოლიტეკონომიკურ საკითხებზე, რომლებიც ინტერვიუების სახით 2011-2017 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალ „თბილისელებში“. ისინი მრავალი ასპექტით წარმოაჩენენ, გლობალური პროცესების გავლენას საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

კრებულში დაინტერესებული მკითხველი, ავტორთა მოსაზრებების გაცნობის პარალელურად, თანამედროვე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებასთან დაკავშირებულ არაერთ საგულისხმო მონაცემსაც გაეცნობა.

© **ნინო ხაჩიძე, იოსებ არჩვაძე**

ISBN 978-9941-0-9962-5

წინათქმა

იმისათვის, რომ სწორად გაანალიზო და დაგეგმო მომავალი, ჯერ წარსულის სწორი და პირუთენელი ანალიზია აუცილებელი. ეკონომიკის ცნობილი ექსპერტის პროფესორ იოსებ არჩვაძისა და ცნობილი ჟურნალისტის ნინო ხაჩიძის ეს წიგნი მრავალი კუთხითაა საინტერესო — გარდა იმისა, რომ შეიცავს მდიდარ სტატისტიკურ მასალას, ის იძლევა სტიმულს ფიქრისა და განსჯისთვის, თუ როგორ ვვითარდებოდით და ვვითარდებით, როგორც სახელმწიფო, საზოგადოება და ერი. განვითარების რა ეტაპზე რა შეცდომები დავუშვიტ, რა შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ და რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ უკეთესი მომავლის იმედი გვქონდეს.

გამოცემის უნიკალურობა ისიცაა, რომ გადმოსცემს ჟურნალისტისა და ეკონომისტის თვალთ დანახულ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ვფიქრობ, მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობს ავტორთა მოსაზრებები ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. წიგნში კიდევ ბევრი საინტერესო და საჭირობოროტო საკითხია გაშუქებული, მათ შორის, საერთაშორისო თემები. რაც მთავარია, წიგნში გადმოცემულია არა მხოლოდ პრობლემები, რომლის წინაშეც დგას ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოება, არამედ, მათი დაძლევის ავტორისეული ხედვაც.

წიგნის კიდევ ერთი ღირსებაა მარტივი და ყველა კატეგორიის მკითხველისთვის გასაგები სტილი. საკითხისადმი თავისუფალ ჟურნალისტურ მიდგომას ერთვის შედარებით კონსერვატიული, მაგრამ მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი ეკონომიკური ანალიზი, რაც საშუალებას გვაძლევს მშრალი ციფრების უკან ჩვენი ცხოვრების სინამდვილე დავინახოთ.

ვფიქრობ, წიგნი მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის უდავოდ საინტერესო და სასარგებლო იქნება.

ზაალ ანჯაფარიძე

პოლიტიკის ანალიტიკოსი

**როგორ გადაასწრო საქართველოში
პენსიონერთა რაოდენობამ დასაქმებულთა
რაოდენობას და რატომ მიირთმევენ
ქართველები ამერიკელებსა და ბერძნებსა
ერთ-ნახევარჯერ ნაკლებ საკვებს
№3,31.01-6.02. 2011**

ერთხელ ისეც მოხდა, რომ მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ჩვენი მთავრობის წევრებმა ვერ გაიხსენეს, რა თანხას შეადგენდა ჩვენს ქვეყანაში საარსებო მინიმუმი, რის გამოც პრეზიდენტის შენიშვნაც მიიღეს. ჩვენ, ბუნებრივია, არაფერი ვიცით, გამოასწორეს თუ არა ჩვენმა მაღალჩინოსნებმა ეს ხარვეზი, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ „საქსტატი“ თავის საიტზე მუდმივად აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს, მათ შორის, სასურსათო მინიმუმის შესახებაც, დავინტერესდით, რით იკვებებიან ჩვენი თანამემამულეები, რა კრიტერიუმებით დგინდება ჩვენს ქვეყანაში საარსებო მინიმუმი და რამდენად უკეთესი ან უარესი მდგომარეობა გვაქვს ჩვენს მეზობლებთან და იმ დასავლურ სამყაროსთან მიმართებაშიც, რომლისკენაც ასე მივისწრაფვით. თემაზე ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე გვესაუბრება.

– რა კრიტერიუმებით ხდება სასურსათო მინიმუმის დაანგარიშება?

– ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შესაბამისად დღე-ღამეში, ჩვენთან, დაახლოებით, 2 250 კილოკალორიაა ჩათვლილი იმ მინიმალურ რაოდენობად, რაც აუცილებელია ადამიანის ფიზიკური არსებობის, სოციალური ქმედუნარიანობისა და შესაბამისი ფუნქციების შესასრულებლად.

– ეს მაჩვენებელი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნისთვის თუ საერთოა ყველა ადამიანისთვის?

– განსხვავდება, ბუნებრივია.

– მადის თუ კლიმატის მიხედვით?

– რაც უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობს ადამიანი, მით მეტი კალორიები სჭირდება, სამხრეთში მცხოვრებს – უფრო ნაკლები.

– მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ჩრდილოეთში უფრო კომფორტულად ცხოვრობდნენ? ჩვენთან ზომიერი კლიმატია, მაგრამ, ზამთარში გათბობა თუ არ გექნა, რა ჩრდილოეთში გიცხოვრია სითბოში და რა ჩვენთან, სამხრეთში?

– მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალო მოხმარების კალორიების პრობლემაა. იქ ერთი სული მოსახლე, საშუალოდ, დღე-ღამეში 3 800 კალორიას იღებს.

– ეს ნორმაა?

– არა, ფაქტობრივი მოხმარება და ამერიკაში სერიოზულად დგას ჭარბი წონის პრობლემა, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში. ევროპული ქვეყნებიდან მაღალი ფაქტობრივი მაჩვენებლით გამოირჩევა საბერძნეთი: იქაც ცხარე და კალორიულ საკვებს მიირთმევენ.

– ჩვენთან როგორია ფაქტობრივი მაჩვენებელი?

– 2 800 კილოკალორია და მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი სარტყლისთვის ნორმალური მაჩვენებელია. პრობლემა ის არის, რომ ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დაბალი ხარისხის საკვებს მოიხმარს. ჩვენთან პრობლემაა არა იმდენად კალორიები, რამდენადაც დაბალანსებული კვება. მაგალითად, შესაძლოა, ადამიანმა კალორიების ეს რაოდენობა მიიღოს ერთ ჯერზე შაქრიანი წყლის დაღვევით, მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, არ არის სრულფასოვანი კვება და მას ნახშირწყლების გარდა, სხვა ელემენტებით გაჯერებული საკვები სჭირდება. ადრე ჩვენთან ეს მაჩვენებელი 2 500 კილოკალორია იყო, მაგრამ ბოლო დროს შემცირდა – 2 250 კილოკალორია გახდა და შესაბამისობაში მოვედით ჩვენს მეზობლებთან. კალორიების შემცირება სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ ეს განხორციელდა შესაბამისი ღირებულების უფრო მასშტაბიანი შემცირებით. ანუ ყუათიან პროდუქტებს ნაკლებ ფასეული პროდუქტები ჩაენაცვლა. ესე იგი, გაიზარდა პურის, კარტოფილისა და შაქრის წილი.

- ფაქტობრივად გაიზარდა თუ?

- იმ კალათში, რომლითაც დგინდება საარსებო მინიმუმი. ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა მინიმალური სასურსათო კალათის შემდგომი ოპტიმიზაცია. ეს უკავშირდება საარსებო მინიმუმის ღირებულებების განსაზღვრასაც. საქართველოში ვიყენებთ სიღარიბის დათვლის ეგრეთ წოდებულ *ნორმატიულ-სტატისტიკურ* მეთოდს, თუმცა მსოფლიოში არსებობს სიღარიბის განსაზღვრის სამი მეთოდი: პირველია *თვითშეფასების მეთოდი*. მაგალითად, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს განსაკუთრებულ კრიზისულ მდგომარეობაში მრავალი მილიონერი და მილიარდერი ჩაცვივდა. გერმანიაში იყო შემთხვევა, როდესაც თვითმკვლევლობით დაასრულა სიცოცხლე ერთ-ერთმა, აქტივების სიდიდით ამ ქვეყანაში მეოთხე ადგილზე მყოფმა მილიარდერმა, რადგან მისმა გონებამ ვერ გაუძლო მილიარდების დაკარგვას.

- აი, რა მავნებლობა მოაქვს მილიარდებს!

- იმის თქმა მინდა, რომ ერთი მხრივ, სიღარიბის განსაზღვრა უკავშირდება *თვითშეფასებას* და, მეორე მხრივ, წოდებრივ მდგომარეობას. მაგალითად, ჟურნალისტი, ექიმი და მასწავლებელი ბევრ განვითარებულ ქვეყანაში აპრიორი *საშუალო კლასს* მიეკუთვნებიან. ამიტომაც მათი ქცევის რეჟიმი გარკვეულ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. დასავლეთში არის ასეთი სტანდარტები: უნდა ფლობდნენ გარკვეულ ფართს, აგარაკს, ისვენებდნენ უცხოეთში და დეპოზიტზე ერიცხებოდეთ საარსებო მინიმუმთან შედარებით არანაკლებ 18 თვის თანხა. და, როგორც გითხარით, არის მესამე მეთოდი: *ნორმატიულ-სტატისტიკური*, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. ამ მეთოდით მოსახლეობა გაყოფილია ათ თანაბარ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიან ყველაზე ღარიბები და ასე შემდეგ. ის 2 250 კილოკალორია რომ მიიღოთ დღე-ღამეში, 40-მდე დასახელების კვების პროდუქტის მიხედვით დგება სასურსათო კალათა. იგულისხმება, რომ მათ შესაძენად საჭირო თანხა არის 70 პროცენტი (გარდა საკვებისა, ადამიანს, მოგეხსენებათ, სხვა სახის ხარჯიც აქვს). თუ

ხარჯი სურსათზე, პირობითად, შეადგენს 100 ლარს, მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იქნება 148 ლარი (=100 : 70%). მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ 70 პროცენტი მაღალი მაჩვენებელია და ის უნდა შემცირდეს 50 პროცენტამდე, რადგან ბოლო წლებში გაიზარდა ხარჯებისა და შემოსავლების რაოდენობა და შემცირდა სურსათზე გაღებული თანხების ოდენობა. ამიტომაც საარსებო მინიმუმი არის არა 148, არამედ 200 ლარი. თუ საქართველოს მოსახლეობას დავყოფთ 20 ფენად, დავინახავთ, რომ ყველაზე ღარიბ ფენაში სურსათის ხარჯი საერთო ხარჯის 62 პროცენტია, ყველაზე მდიდარში კი – მხოლოდ 16 პროცენტი. მაშინ, როდესაც ამ 16 პროცენტის ჯამური ღირებულება ოთხჯერ მეტია, ვიდრე ღარიბების 62 პროცენტისა.

– თუ არის მონაცემები, რა კატეგორია ხვდება ყველაზე მდიდარ და ყველაზე ღარიბ პირობით ჯგუფებში?

– ეს ინფორმაცია არსებობს, თუმცა სტატისტიკის სამსახური ამ მონაცემებს აღარ აქვეყნებს. სულ საქართველოში მილიონ ასი ათასი შინამეურნეობაა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც შეიცვალა სიღარიბის დადგენის კრიტერიუმები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების სტატისტიკის პუბლიკაციაც შეწყდა. როგორც გითხარით, საარსებო მინიმუმის შემცირება გამოიწვია მასში პურისა და კარტოფილის წილის გაზრდამ და აღმოჩნდა, რომ დღეს შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი მხოლოდ 150 ლარია.

– კარგი იქნება, ჩავატაროთ ექსპერიმენტი და მათ, ვინც ამას ანებს, ერთი წლის განმავლობაში მივცეთ 150 ლარი ყოველთვიურად და დავაკვირდეთ, როგორ გაძლებს?

– მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხსულიან ოჯახზე წლიური საარსებო მინიმუმი, დაახლოებით, 23 000 აშშ დოლარის ეკვივალენტია. ჩვენთან ეს მაჩვენებელი ოთხსულიან ოჯახზე თვეში 250 ლარია, მაშინ, როდესაც საქართველოს ფასები ამერიკის ფასების 51 პროცენტია. მეტიც, დღეს ბევრი პროდუქტის ღირებულება ამერიკის დონეზე მაღალიც კია. მაგალითად, სანვა-

ვი, სატელეფონო მომსახურება, ქათამი, კვერცხი, „ბიგმაკი“ „მაკ-დონალდსის“ სისტემაში... ესე იგი, ოფიციალურად გამოდის, რომ ჩვენთან საარსებო მინიმუმი ამერიკის დონის 7 პროცენტს შეადგენს, ფასები კი – 51 პროცენტს. ზოგიერთი ამას იმით ხსნის, რომ ამერიკაში ისეთი პროდუქტებიც შედის მინიმალური მოხმარების კალათაში, რომლებიც ჩვენთან არ მოიხმარება.

– რას მიუთითებენ ასეთ პროდუქტებად?

– საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ბინის ქირას და ასე შემდეგ. მაგრამ ჩვენ ღია საბაზრო ეკონომიკური კავშირები გვაქვს, ვართ მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი, შესაძლოა, მცირე, მაგრამ მაინც ნაწილი, ამიტომ ამგვარი ჯერადი სხვაობა არ უნდა იყოს საქართველოსა და აშშ-ის საარსებო მინიმუმისა და ფასების დონეთა შორის. ვხუმრობ ხოლმე, რომ ჩვენ საბაზრო ეკონომიკაზე ორი მესამედით ვართ გადასული: წარმოვიდგინოთ ტრიადა – საქონელი, ფასები და ხელფასები. მხოლოდ ხელფასების მხრივ გვაქვს დიდი ჩამორჩენა, თუმცა შეიძლება, ითქვას, რომ ბოლო პერიოდში მივალნიეთ ხარისხობრივ გაუმჯობესებას, მაგრამ ვერ მივალნიეთ რაოდენობრივ გაუმჯობესებას. 2003 წელს საქართველოში საშუალო ხელფასი იყო 128 ლარი, 2009 წლის მდგომარეობით კი – 582 ლარი.

– საშუალო ხელფასი როგორ ითვლება?

– იანგარიშება კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი. 128-ლარიდან 582-ლარამდე მნიშვნელოვანი ზრდაა თვით ინფლაციის გათვალისწინებითაც კი. მაგრამ რომ ავიღოთ ხელფასის ფონდის თანაფარდობა ისეთ მაჩვენებელთან, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტია, ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და მხოლოდ 23 პროცენტს აღწევს. შედარებისთვის, ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 40 პროცენტამდეა, ბალტიის ქვეყნებში – 37-38 პროცენტი, დანიაში კი – 54 პროცენტი! ჩვენთან რომ ასეთი მაღალი მაჩვენებელი იყოს, იმავე ხელფასით ოთხასი ათასით მეტი ადამიანის დასაქმების საშუალება გვექნებოდა.

- ევროპასთან და ამერიკასთან კარგა ხანს ვერ მივალთ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით როგორ გვაქვს საქმე?

- პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველო არ არის ბოლო ადგილზე საშუალო ხელფასებითა და შემოსავლებით. ხელფასების დონით მყარად გვიჭირავს შუა პოზიცია. რუსეთში საშუალო ხელფასი 580 დოლარია, ბელორუსიაში – 450 დოლარი, ჩვენთან – 330 დოლარის ეკვივალენტი, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენ დასაქმებულთა რაოდენობრივი პრობლემა ვერ გადავწყვიტეთ, კვარტლების მიხედვით, დაქირავებით დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 600 000-დან 630 000-მდეა, რადიკალური გარღვევა არ გვაქვს. ამიტომ, როდესაც რომელიმე ქვეყნებს ვედრებით საშუალო ხელფასით, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ დასაქმებულთა რაოდენობა ორივე ქვეყანაში - მოსახლეობის ყოველ ათას სულზე გაანგარიშებით. ჩვენთან ეს მაჩვენებელი 145-ის ფარგლებშია, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი სამჯერ მეტი – 432!

- იმ ათას კაცში ბავშვები და მოხუცებიც შედიან?

- რა თქმა უნდა, ითვლება მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან. ამიტომ ხელფასის ფონდები უნდა შევადაროთ მოსახლეობის რაოდენობათა გათვალისწინებითაც. ამ მხრივ კი, ჩვენ სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. რუსეთის ფედერაციასთან შედარებით ჩვენი საშუალო ხელფასი ორი მესამედის დონეზეა, მაგრამ მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტით, თითქმის სამჯერ ჩამოვრჩებით. ჩვენ გვინდა, რომ არა მხოლოდ საშუალო ხელფასი გვეკონდეს მაღალი, არამედ ხელფასის მიმღებთა რაოდენობაც გაიზარდოს.

- აზერბაიჯანსა და სომხეთშიც თითქოს ჩვენზე უკეთესი მდგომარეობაა ამ მხრივ. მართლაც, ასეა?

- აზერბაიჯანი გვისწრებს საშუალო ხელფასის დონით, ჩვენს ფულზე იქ 750 ლარზე მეტია საშუალო ხელფასი, თუმცა აზერბაიჯანი სხვა წონითი კატეგორიაა და ის, სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმართ, ქვესაშუალოდან უკვე მძიმე წონით კატეგორიაში

გადავიდა და საქართველოსთან შედარებით, 4,6-ჯერ მეტ მთლიან შიდა პროდუქტს აწარმოებს. ჩვენ მას ეკონომიკურად ვუსწრებდით 2006 წლამდე, მაგრამ შემდეგ ჩამოვრჩით.

- იქ მეტია დასაქმებულთა რაოდენობა?

- პოტენციალიც, დასაქმებულთა რაოდენობაც და მოსახლეობაც. რაც შეეხება სომხეთს: ის აბსოლუტური მაჩვენებლებით გვეწვევა ეკონომიკურად. ჯერჯერობით მათი მთლიანი შიდა პროდუქტი ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის 80 პროცენტამდეა. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ იქ მოსახლეობა ჩვენზე მცირეა და ამიტომაც მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობით 10-11 პროცენტით გვისწრებს.

- ფაქტობრივი მდგომარეობით სომხეთიც გვისწრებს, აზერბაიჯანიც, რუსეთიც და ჩვენ მაინც ვიმარჯვებთ რაღაც-რაღაც რეიტინგებში. რატომ ვერ აისახება ეს ჩვენი რეიტინგული წარმატებები რეალობაში? ან როდის აისახება?

- უნდა გავიხსენოთ ის სასტატო პირობები, საიდანაც დაიწყო ჩვენი სვლა საბაზრო ეკონომიკისკენ. მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა, საქართველოში თითქმის მთლიანად განადგურდა. ჩვენ გადავიტანეთ ოთხი შეიარაღებული კონფლიქტი, შინააშლილობა, სამოქალაქო ომი... არა მხოლოდ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 30-მდე ქვეყანას შორის, საქართველოში ყველაზე მეტად დაეცა ეკონომიკური მაჩვენებელი. *თუ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში ეკონომიკის საშუალო ვარდნა 55 პროცენტი იყო, ჩვენთან ეს მაჩვენებელი 75 პროცენტს შეადგენდა.* ანუ დაეცა 1988 წლის 25 პროცენტამდე. თან ეკონომიკური ვარდნა სხვებთან შედარებით ჩვენთან წელიწად-ნახევრით ადრე (1988 წლის მეორე ნახევრიდან) დაიწყო, და კრიზისიც დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობაში მისი დამთავრების შემდეგ კიდევ ორ წელზე მეტხანს გაგრძელდა. საქართველოს აქვს მრეწველობის ყველაზე დაბალი წილი მთლიან შიდა პროდუქტში - სომხეთზე ორჯერ უფრო

დაბალიც კი. ჩვენ, ფაქტობრივად, დაგვრჩა მხოლოდ ენერგეტიკა და პურპროდუქტების წარმოება - არადა 106 დარგი და წარმოება გვექონდა, მაგრამ ყველაფერი მოიშალა. ასე რომ, ჩვენი სასტარტო პირობები გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე დანარჩენი ქვეყნების.

– ოდესმე აქვს პერსპექტივა ჩვენს პენსიას მიაღწიოს საარსებო მინიმუმს?

– პენსიონერებს შველის ის, რომ მათი უმეტესობა ცხოვრობს ტრადიციულ ოჯახებში, თორემ თვიური პენსია, იმ სტანდარტებითაც კი, რასაც სტატისტიკის სამსახური აქვეყნებს, მხოლოდ ორი დეკადისთვისაა საკმარისი, რით უნდა იცხოვრონ ყოველი თვის მესამე დეკადაში?! მაგალითად, ამერიკაში საარსებო მინიმუმი და სიღარიბის ზღვარი ერთმანეთს ემთხვევა, ჩვენთან კი სიღარიბის ზღვარი სხვაა და საარსებო მინიმუმი – სხვა. იმისთვის, რომ მოხდეს ამ ორი ცნების დაახლოება და შინაარსობრივი თანხვედრა, ჩვენ უნდა გავზარდოთ საარსებო მინიმუმის ღირებულებითი მაჩვენებელი.

– ხშირად მომისმენია არგუმენტი, რომ ეს ადამიანები არ იმსახურებენ მეტ პენსიას ამ სახელმწიფოსგან, რადგან სხვა სახელმწიფოსთვის ქმნიდნენ, თურმე, დოვლათს. თუმცა ჩვენი სახელმწიფო აქტიურად ჰყიდის იმ ადამიანების მიერ შექმნილ დოვლათს, პრივატიზაციას ვგულისხმობ?

– აქ უფრო პროზაული ახსნაა: იმ ქვეყნებშიც კი, რომლებშიც საპენსიო უზრუნველყოფის ეფექტური სისტემაა, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თანაფარდობა. ერთ პენსიონერზე უნდა მოდიოდეს სამი – სამ-ნახევარი დაქირავებით დასაქმებული. ჩვენთან კი ეს მაჩვენებელი 0,75-ია. ანუ 850 ათას პენსიონერზე, სხვადასხვა კვარტლის მიხედვით, 625 ათასი დასაქმებული მოდის და ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენთან საპენსიო უზრუნველყოფის დონე შედარებით დაბალია.

**რატომ შემოქმედია საქართველოს ადამიანური
რესურსი, როგორ გერდება ქართველი ერი და
რატომ გაიზარდა სტატისტიკური ქართველის
საშუალო ასაკი**

№23, 24-30.05.2011

საქართველოში დასაქმებულად მიიჩნევა 15 წელზე მეტი ასაკის პირი, რომელიც წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა, სულ მცირე, ერთი საათით მაინც შემოსავლის მიღების მიზნით; ეხმარებოდა, მათ შორის უსასყიდლოდ, სხვა შინამეურნეობის წევრებს ან რაიმე მიზეზის გამო, არ იმყოფებოდა სამუშაოზე, ოღონდ ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ. თვითდასაქმებულია პიროვნება, რომელიც საანგარიშო პერიოდში მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით, ოჯახურ საწარმოში ან მეურნეობაში უსასყიდლოდ მუშაობდა. უმუშევარი კი 15 წელზე უფროსი ასაკის პირია, რომელიც არც ერთი საათით არ მუშაობდა წინა ერთი კვირის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად შემდეგი ორი კვირის განმავლობაში. დაქირავებით დასაქმებულია 15 წელზე მეტი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების მიღების მიზნით. ოფიციალური მონაცემებით, წელს უმუშევრობის მაჩვენებელი შემცირდა და 16 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, მეორე მხრივ, „IRI“¹ მიერ ჩატარებული კვლევით, რომლის თანახმადაც, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს პრეზიდენტს, უმუშევრობა გამოკითხულთა 56 პროცენტისთვის მთავარი პრობლემაა. რატომ გამორიცხავს ეს მაჩვენებლები ერთმანეთს და რით განსხვავდება

¹ „IRI“ – International Republican Institute – საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი.

საქართველოში დასაქმება დაუსაქმებლობისაგან, თემაზე ექსპერტი იოსებ არჩვაძე გვესაუბრება.

– როგორ აიხსნება 16-პროცენტიაანი უმუშევრობა და 56 პროცენტის მიერ უმუშევრობის მთავარ პრობლემად დასახელება? იმ ფონზეც კი, როცა დასაქმება ჩვენთან, მაინცდამაინც, არ ნიშნავს, რომ იკმაყოფილებ საარსებო მინიმუმს?

– დასაქმების სტატუსი და სიღარიბე მაღალ კორელაციაშია ერთმანეთთან. დასაქმებულთა შორის ღარიბთა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე უმუშევართა შორის. ეს ასეა საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც. თან, რაც უფრო მრავალწევრიანია ოჯახი, შინამეურნეობა, განსაკუთრებით, ბევრი ბავშვის პირობებში, სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია.

– განვმარტოთ მკითხველისთვის, რომ შინამეურნეობა თითქმის იგივეა, რაც ოჯახი.

– ოჯახი უფრო დემოგრაფიულ-სოციოლოგიური კატეგორიაა, შინამეურნეობა კი - დემოგრაფიულ-ეკონომიკური. შინამეურნეობის წევრი კი შეიძლება, იყოს ოჯახის არანწევრი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ამ ოჯახში: ძიძა, დამლაგებელი, მზარეული და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, თუ ოჯახში სხვა პირიც ცხოვრობს, ისიც ითვლება შინამეურნეობის წევრად, ანუ არ არის აუცილებელი, რომ შინამეურნეობაში მხოლოდ ოჯახის წევრი შედიოდეს.

სტატისტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში არა მხოლოდ დასაქმების, არამედ სხვა მაჩვენებლის მიხედვითაც, შერჩევითი კვლევების საფუძველზე ახდენს შეფასებას. კარდაკარ არ ხორციელდება უმუშევართა რაოდენობის დათვლა. ამჟამად გამოკვლევა ტარდება საქართველოში 7 100 ოჯახის მიხედვით და მათგან მიღებული პასუხების სისტემატიზაციის საფუძველზე ხდება მონაცემების განზოგადება მთელ ქვეყანაზე. საქართველოში, დაახლოებით, მილიონ ასი ათასი შინამეურნეობაა და მათგან ვსწავლობთ მხოლოდ 7 100-ს.

ამიტომ, როგორც ნებისმიერი შერჩევითი გამოკვლევა, ეს კვლევაც აბსოლუტურად ზუსტი ვერ იქნება და ცდომილება რამდენიმე პროცენტია. ასე რომ, როდესაც ვამბობთ, უმუშევრობის დონე 16,3 პროცენტიაო, იგულისხმება 2-პროცენტის ცდომილება, იქით ან – აქეთ. ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, რომ მყარი დინამიკა ჩამოყალიბდა და მცირდება უმუშევრობის დონე. პირიქით, თუ შევადარებთ 2003 წელს, მაშინ უმუშევრობის მაჩვენებელი 11,5 პროცენტი იყო.

– იმავე პრინციპით ითვლიდნენ, როგორც დღეს?

– რა თქმა უნდა. საქართველო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია და იყენებს მის მიერ შემოთავაზებულ მეთოდებს. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც მიწების პრივატიზაცია მოხდა, საუბარი იყო მილიონი სამუშაო ადგილის შექმნაზე. თუმცა, თავისთავად, მიწის ფლობა არ ნიშნავს, რომ დასაქმებული ხარ. დასაქმებული ხარ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოაქვს ეკონომიკური სარგებლობა. მიწა ისეთივე უძრავი კაპიტალი შეიძლება, იყოს, როგორც საცხოვრებელი სახლი, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება შემოსავლის წყაროდ, თუ გააქირავებთ ან სხვა ეკონომიკურ ურთიერთობაში შეხვალთ ამ სახლით, როგორც მესაკუთრე. ასევეა მიწაც, თუ თქვენ მას არ იყენებთ და ის შემოსავალს არ გაძლევთ, გქონდეთ, თუნდაც, ასეულობით ჰექტარი. ამიტომ მთავარია, როგორ ხდება საკუთრებაში არსებული აქტივების გამოყენება, ანუ მოაქვს თუ არა მათ შემოსავალი.

ითქვა, რომ საქართველოში უმუშევრობა 16,9 პროცენტიდან 16,3 პროცენტამდე შემცირდა, მაგრამ აქ არის ერთი საინტერესო მომენტი: ერთი წლის განმავლობაში ჩვენ შეგვიმცირდა არა მხოლოდ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, არამედ ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობაც.

– ეს როგორ?

– არ მინდა, კატეგორიული დასკვნები გავაკეთო, რადგან არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, ამიტომ აპრიორი ვიღებ იმ მონაცემს, რასაც გვაძლევს სტატისტიკის სამსახური.

- ან გავიდნენ ქვეყნიდან, ან დაიჭირეს, ან გარდაიცვალნენ, სხვა რა შეიძლება, მომხდარიყო? რა შეამცირებდა?

- ეს მონაცემები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან. თუ ავიღებთ გრძელვადიან პერიოდს: 2003 წლიდან ჩანს შემცირების ტენდენცია. - დღეისათვის დაახლოებით, 200 ათასით არის შემცირებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა. მაშინ, როდესაც ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მოსახლეობა, პირიქით, გაიზარდა, ოფიციალური მონაცემებით, თითქმის 100 ათასით. იმის თქმა მინდა, რომ ერთმანეთის საპირისპირო ტენდენციებია: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, მოსახლეობის საერთო რაოდენობა კი იზრდება, ესე იგი, მოსახლეობა ბერდება. მოსახლეობა პირობითად ორ ნაწილად იყოფა: ეკონომიკურად აქტიურად და ეკონომიკურად არააქტიურად. მაგალითად, დიასახლისი ეკონომიკურად არააქტიური ადამიანია, ისევე, როგორც სტუდენტი და თხუთმეტი წელზე მეტი ასაკის მოსწავლე. თავიანთი სოციალური დატვირთვით და ამოცანებით, ისინი არ შეიძლება, განვიხილოთ, როგორც პოტენციური სამუშაო ძალა. სხვა საქმეა, თუ მოსწავლე მოინდომებს სამუშაოს დაწყებას და შეწყვეტს სწავლას. ერთი სიტყვით, აშკარაა მოსახლეობის დაბერების ტენდენცია და ამას ადასტურებს გაეროს მონაცემები: 1990 წლიდან 2010 წლამდე საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი 6 წლით გაიზარდა - იყო, დაახლოებით, 32 წელზე ნაკლები და დღეს უკვე 37 წელზე მეტია.

- სხვაგან?

- ჩვენს მეზობლებთან ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია: სომხეთში - 33 წელი, აზერბაიჯანსა და თურქეთში - 28-29 წელი. ეს ნიშნავს, რომ თანაბარ ეკონომიკურ პირობებში ჩვენ მათზე ნაკლები პოტენციალი გვაქვს, ხალხი დავაბრუნოთ დაზგებთან, ზოგადად - შრომის იარაღთან. ამიტომ, მოსახლეობის თანაბარი რიცხოვნობის პირობებშიც კი, ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი, ადამიანური

კაპიტალის თვალსაზრისით, რამდენადმე უფრო შეზღუდულია. რა არის ადამიანური კაპიტალი? - ჯანსაღი, ამბიციური, განათლებული ყველა თაობის ადამიანი. მაგრამ, როდესაც საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, ეს მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკურად აქტიურ, კერძოდ, დასაქმებულ მოსახლეობას. თანაც, თუ სტატისტიკის მონაცემებს დავუკვირდებით, ბოლო წლებში არ შეცვლილა დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა. თითქმის „ბალისტიკური სიზუსტით“ მეორდება: სტატისტიკას დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 2010 წელსაც იგივე დონეზე აქვს დაფიქსირებული, როგორც იყო 2003 წელს.

- **კვარტლების მიხედვით, 600-630 ათასი ადამიანი?**

- 2010 წელს დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, საშუალოდ, იყო 618.6 ათასი, 2003-ში კი - 618.5 ათასი. თვითდასაქმებულთა რაოდენობა კი მცირდება.

- **რა ამცირებს თვითდასაქმებულებს? გარე ვაჭრობის აკრძალვა?**

- რამდენიმე მიზეზია: თვითდასაქმებულთა დიდი ნაწილი მოდის სოფლის მეურნეობაზე, სადაც შრომის მწარმოებლურობა რამდენიმე ათეული წლის წინანდელ დონეზეა გადასროლილი და დღეს ერთ დასაქმებულზე სოფლად ერთი სულის სამყოფ საარსებო მინიმუმზე თითქმის უფრო ნაკლები დამატებული ღირებულება იქმნება, რაც ეკონომიკური ნონსენსია. ორ მომენტთან გვაქვს საქმე: ან სტატისტიკა ტყუის, რადგან შეუძლებელია, ადამიანი იყოს დასაქმებული და იმაზე ნაკლებს აწარმოებდეს, ვიდრე მისი გამოკვებისთვისაა საჭირო; ან უნდა ვაღიაროთ, რომ უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია. ტყუილადაა მიწერილი ის ხალხი სოფელზე ვითომ დასაქმებულად, რადგან ვერ გამოიხატება არც წარმოებულ დოვლათში, არც სხვა პარამეტრებში. თუ სოფლის მეურნეობაში 900 ათასი დასაქმებულია, ხომ უნდა ჩანდეს ეს სხვა მონაცემებშიც?! მეორე მხრივ, თუ არ არის ამდენი დასაქმებული

სოფლად, მაშინ სად არიან ისინი? აქაც ორი ვარიანტია: ან უმუშევარია, ან ქვეყნიდან გავიდა. თუ უმუშევარია, მაშინ უნდა ვაჩვენოთ რეალური უმუშევრობა.

– **რამდენი ადამიანი გამოდის, ცოცხალი უხერხული სიტყვაა, მაგრამ, რაკი სტატისტიკაზე ვსაუბრობთ, ზედმეტი?**

– 400 ათასი ადამიანი ზედმეტადაა „მინერილი“ სოფლად, რადგან ამდენი ადამიანი არ სჭირდება იმ დოვლათის შექმნას, რაც სოფლად იქმნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკონომიკური რაციონალურობიდან გამომდინარე, სოფლად წარმოებულ დოვლათს ესაჭიროება მაქსიმუმ იმდენი დასაქმებული, რომელიც ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემზე დაახლოებით 400 ათასით ნაკლებია. ფაქტობრივად, ისინი ქვეყნიდან არიან გასული და დიდწილად მათ ხარჯზე ხდება ყოველწლიურად უცხოეთიდან მილიარდამდე დოლარის ტრანზაქცია. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ ქვეყნის მოსახლეობის ოფიციალური რაოდენობა უნდა შევამციროთ, თუ უმუშევრობის დონეს არ გავზრდით. მოდური ტერმინი რომ გამოვიყენო, მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ეს ხალხი უბრალოდ არ იმყოფება საქართველოში.

– **თუ მითვლილია მოსახლეობის რაოდენობას, ესე იგი, არალეგალურად იმყოფებიან უცხოეთში?**

– ზოგი – ლეგალურად, ზოგი – არალეგალურად. ჩვენ უმუშევრობის 16,3-პროცენტთან მაჩვენებელს ვღებულობთ ეკონომიკურად აქტიური, მაგრამ დაუსაქმებელი 320 ათასი ადამიანის ხარჯზე. თუ ამ მაჩვენებელს დავამატებთ ზემოხსენებულ 400 ათას ადამიანს, მაშინ უმუშევრობის მაჩვენებელი 30 პროცენტამდე ადის. მაგალითად, ესპანეთში უმუშევრობის მაჩვენებელი 20 პროცენტია, იგივე მონაცემია ბალტიის სამივე ქვეყანაში. ჩვენთანაც, თუ სიტუაციას რეალურად შევაფასებთ, გადასასინჯი იქნება ხსენებული 16 პროცენტი. ის, ფაქტი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში აღარ ჩატარებულა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, კოროზიას უქმნის ზოგადად ამ ციფრების სანდოობას და ექსპერტული შეფასებითაც

ვერ ხერხდება სარწმუნო სტატისტიკური მონაცემების მიღება. სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას ერთიანი მექანიზმი ამოძრავებს და შეუძლებელია, ერთმანეთთან დაკავშირებული ვექტორებიდან ერთი ალთას მიდიოდეს, მეორე კი – ბალთას. თანაც, საკმაოდ დიდია მოსახლეობის რაოდენობა სამუშაო ძალის გარეთაც: დიასახლისები, მუდმივ სამხედრო სამსახურში მყოფი პირები, პატიმრები, ქრონიკული ავადმყოფები და ასე შემდეგ, რომელთაც არ შეუძლიათ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა.

– სტატისტიკის დეპარტამენტს უმუშევრობის თუ სიღარიბის დათვლის ისეთი სქემები აქვს, ვერაფერს გაიგებ, თუ შენი ვინწრო სპეციალობა არ არის. ამიტომ მე ლოგიკა მოვიშველიე და ასე დავთვალე: საშუალო ხელფასი გავამრავლე დაქირავებით დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაზე. შემდეგ ეს ციფრი გავყავი საარსებო მინიმუმზე და გამოვიდა, რომ ორ მილიონზე მეტი ადამიანი ჰაერშია საარსებო მინიმუმის გარეშე.

– მართალია, რადგან ხელფასის გარდა არსებობს შემოსავლის სხვა წყაროებიც. დღეს ხელფასი არათუ ერთადერთი, ლამის შემოსავლის ძირითადი წყაროც აღარ არის - მას მხოლოდ მესამედი უჭირავს შინამეურნეობების შემოსავლებში. დანარჩენი რის ხარჯზე ივსება? ეს არის ნატურალური შემოსავალი: გლეხის მიერ მოწეული პროდუქცია; საკუთრების, ფასიანი ქალაქების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები... მაგალითად, როდესაც ადამიანი ყიდის სამოთახიან ბინას და გადადის ერთოთახიანში, რომ ფასთა სხვაობით მიღებული თანხით დაიკმაყოფილოს მიმდინარე მოთხოვნილებები. განსაკუთრებით მაღალი იყო ეს მაჩვენებელი 1990-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც ქალაქ-ადგილებში მასობრივად იყიდებოდა ბინები. ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენთან ხელფასი იზრდება ხარისხობრივად, მაგრამ არა რაოდენობრივად. უფრო ზუსტად, ხელფასის პრობლემა წყდება ხარისხობრივად: 2003 წელს საშუალო ხელფასი იყო 125,9 ლარი, ახლა უკვე 611 ლარია. მაგრამ, როდესაც

დასაქმებულთა რაოდენობა უცვლელი რჩება 2003 წლიდან, ხელფასის ზრდა გავლენას ფაქტობრივად ვერ ახდენს საერთო მდგომარეობაზე. ჩვენთან ჯერაც დაბალია ყოველ ათას კაცზე ხელფასის მიმღებთა რაოდენობა, მაგალითად, ამერიკის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3-ჯერ ნაკლებია, ამიტომ, როდესაც ვადარებთ საშუალო ხელფასს ამერიკასა და საქართველოში, ეს არ არის საკმარისი, უნდა შევადაროთ ხელფასის ფონდის სიდიდე ყოველ ათას კაცზეც.

– ესპანეთსა და ბალტიისპირეთში 20-პროცენტიანი უმუშევრობის მაჩვენებელი რეალურად რას ნიშნავს ადამიანებისთვის? შიმშილის პრობლემა თუ მხოლოდ მოგზაურობის?

– ჩვენთან უმუშევრობის დაბალ დონეს განაპირობებს თვითდასაქმების მაღალი დონე: ეს მაჩვენებელი 60 პროცენტზე მეტია. იქ შედარებით დაბალია თვითდასაქმების წილი და უკეთესია დასაქმების სტრუქტურა, ამიტომ მათი 20-პროცენტიანი უმუშევრობა უფრო ნაკლებად მტკივნეულად აღიქმება, ვიდრე ჩვენთან ჩვენი 16-პროცენტიანი. 16-პროცენტიანი უმუშევრობა იმის ხარჯზეა, რომ 60 პროცენტი დასაქმებულად ითვლება, იმიტომ რომ მეურნეობა აქვს. ამიტომაცაა, რომ მიგრანტები ჩვენგან ესპანეთში მიდიან და არა პირიქით. მე ჯერ ესპანეთიდან აქ დასასაქმებლად ჩამოსული არავინ მინახავს.

– ევროკავშირთან გამარტივებული სავიზო მიმოსვლა გულისხმობს ქართველი არალეგალი მიგრანტების დაბრუნების ვალდებულებასაც. უმუშევრობისა და დასაქმების როგორ სურათს მივიღებთ ამის შემდეგ? მოაკლდება იმ ყოველწლიურ მილიარდ დოლარსაც?

– ოცი წელია, კამათია მიგრაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე. მაგალითად, თურქეთის ამჟამინდელი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანწილად უკავშირდება შრომით მიგრანტთა იმ პირველ თაობას, რომლებიც გასული საუკუნის 60-იანი წლებში ნავიდნენ ჯერ გერმანიაში, შემდეგ საფრანგეთსა და მთელ ევროპა-

ში. ისინი ეზიარნენ სამეწარმეო კულტურას, ცივილიზებულად ვაჭრობას, ბიზნესს და ეს უნარ-ჩვევები მათი დიდი ნაწილის უკან დაბრუნების შემდეგ გადაიტანეს თავიანთ ისტორიულ სამშობლოში.

– 50 წლის წინათ თურქეთმა თავისი შეიარაღებული ძალების მშენებლობა აშშ-ის მიერ ნაჩუქარი ჩამონერილი სამხედრო ტექნიკით დაიწყო და დღეს უძლიერესია არა მხოლოდ რეგიონში.

– ამიტომ, ვფიქრობ, არც ჩვენ მივიღებთ აპოკალიპტურ სურათს. მართალია, ჩვენი შრომითი მიგრანტების დაბრუნება გაამწვავებს კონკურენციას, მაგრამ დაბრუნდება ის ხალხი, რომელთაც აქვთ გარკვეული გამოცდილება, შრომითი ჩვევები და წარმოების კულტურა, ბიზნესში ეფექტიანობისა და სამართლიანობის განცდები. ამავდროს, არ მგონია, მოხდეს სრული დეპორტი და ბოლო მგზავრად ხელფეხშეკრული ქართველი შრომითი მიგრანტი გამოგზავნონ ევროპიდან. იმ ადამიანებს აქვთ გარკვეული კაპიტალი და არა მარტო ფინანსური, სხვა სახეობის აქტივებიც, რომლებსაც საქართველოში ჩამოიტანენ. ეს გაზრდის შიდა ბაზრის ტევადობას და შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს ქვეყანაში. ევროპა მთლიანად მაინც ვერ გათავისუფლდება შრომითი მიგრანტებისაგან და, თუ მათი დიდი ნაწილი დაუბრუნდება საქართველოს, გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანა უფრო მოგებულს დარჩება..

**რა დათვურ სამსახურს უნევს თანამდებობის
პირთა ახალგაზრდა ასაკი
დასაქმების მსურველ ახალგაზრდებს**

№34, 24-30.10.2011

დასაქმების პრობლემა, ბუნებრივია, მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვისაა აქტუალური. თუმცა ამჯერად, ძირითადად, ახალგაზრდების, უფრო ზუსტად, 15-დან 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების დასაქმების საკითხს შევეხებით, იმ მარტივი მიზეზით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც, ალბათ, ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივაა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში; რა ინტენსივობით გაედინებიან ან, საერთოდაც, თუ გაედინებიან ახალგაზრდა კადრები ქვეყნიდან; რა როლს ასრულებს დასაქმებაში ახალგაზრდის განათლების ცენზი – ამ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემაში ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე გაგვარკვევს.

– დავინყოთ იმით, თუ როგორია დასაქმების მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში 25 წლამდე ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში?

– სტატისტიკა გვეუბნება, რომ ქვეყანაში ახალგაზრდების დასაქმების დონე რამდენადმე უარესია, ვიდრე დასაქმების საშუალო დონე. უფრო ზუსტად, უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში და, მით უფრო, მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: შრომით ურთიერთობებში შესვლა უნევს კონკურენციულ გარემოში, მას სჭირდება ნაცნობების წრე, უნარ-ჩვევები და ბევრი წმინდა წყლის ორგანიზაციული, ადმინისტრაციული და ფსიქოლოგიური მომენტის გათვალისწინება, ამიტომ ეს პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობს ახალგაზრდა ასაკში, სანამ ისინი ალღოს აუღებენ სიტუაციას.

- ეს მიზეზები ზოგადია თუ უბრალოდ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკაა?

- იგივე ვითარებაა სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, შემოიძლია, გითხრათ, რომ ჩვენთვის სამაგალითო ევროკავშირში (ყოველ შემთხვევაში, პირველი პირების კაბინეტებში ევროკავშირის დროშა ფრიალებს და, ამდენად, ჩვენი სწრაფვა არა მხოლოდ დეკლარაციული უნდა იყოს, არამედ ევროკავშირის ქვეყნებს ცხოვრების წესითაც უნდა ვბაძავდეთ) უმუშევრობის დონე 9,9 პროცენტია. მათ შორის, 25-60 წლიანებში - 8.1 პროცენტი, ხოლო 15-დან 25 წლამდე ახალგაზრდებში - 26 პროცენტი. ანუ, დაახლოებით, ორნახევარჯერ მაღალი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ესპანეთში, სადაც ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე 44 პროცენტია. შედარებით დაბალია იგივე მაჩვენებელი ნიდერლანდებში - 6,9 პროცენტი და გერმანიაში - 7,7 პროცენტი. საერთოდ, ესპანეთში უმუშევრობის დონე საქართველოსთან შედარებით მაღალია, თუმცა იქ თვისებრივად განსხვავებული სიტუაციაა. ასევე, უმუშევრობის მაღალი დონეა ახალგაზრდებში საბერძნეთში, სლოვაკეთსა და ლიტვაში. საქართველოში, ზოგადად, უმუშევრობის დონე 16,3 პროცენტია. 35 წელს გადაცილებულთა შორის ეს მაჩვენებელი 14 პროცენტზე ნაკლებია, ხოლო ახალგაზრდებში, 15-დან 25 წლამდე, საკმაოდ დიდი - 36,4 პროცენტი. თანაც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ უმუშევრობის დონის განსაზღვრისას, უმუშევართა კატეგორიას არ მიეკუთვნება თვითდასაქმებული, რომელიც საკუთარი შიშისა და რისკის ფასად ეწევა საქმიანობას. თუ მათაც მივიღებთ მხედველობაში, აღმოჩნდება, რომ 15-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ერთ დაქირავებით დასაქმებულზე, დაახლოებით, ხუთამდე თვითდასაქმებული მოდის. შესაბამისად, თუ რეალურად შევხედავთ სიტუაციას, უმუშევრობის დონე 36 პროცენტზე მაღალიც აღმოჩნდება. ამას, ბუნებრივია, ემატება ის, რომ ბევრი ახალგაზრდა ცდილობს, წავიდეს უცხოეთში.

– რას ამბობს სტატისტიკა, რამდენი ახალგაზრდა, 15-დან 25 წლამდე, გადის ქვეყნიდან და უმეტესად რა მიზნით: პროფესიით დასასაქმებლად თუ მუშად? ეს მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდის შემთხვევაში, ალბათობა მეტია იმისა, რომ უკან აღარ დაბრუნდეს.

– სტატისტიკური მონაცემები ზოგადია და არ აკონკრეტებს ასაკობრივ ჯგუფებს. ასეთი გამოკვლევა 2000-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა და ამის შემდეგ, ფაქტობრივად, არ შეცვლილა ვექტორი. ლაპარაკი იყო შედარებით ფართო ასაკობრივ ჯგუფზე – 20-დან 50 წლამდე – და ამ ასაკობრივ ჯგუფში გასულთა რაოდენობის ინტენსივობა ორნახევარჯერ მაღალი იყო, ვიდრე შესაბამისი ასაკის მოსახლეობის წილი საერთო რაოდენობაში. მაგალითად, თუ გასული იყო მოსახლეობის 40 პროცენტი, მათ შორის 20-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანების წილი 84 პროცენტს აღწევდა. თუმცა შეიძლება, ითქვას, რომ სიტუაცია გამოსწორებისკენაა. ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ სიმპტომურია.

– ცნობილია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში მოთხოვნაა, ძირითადად, 35 წლამდე ასაკის კადრებზე და ეს ბოლო წლების სტაბილური ტენდენციაა. ამან არ მოახდინა გავლენა ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელზე?

– ჩავხედოთ სტატისტიკას და გადავხედოთ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უმუშევრობის დონეს: დაქირავებით დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 25 წლამდე ახალგაზრდებში მესამედზე ოდნავ ნაკლებია – 32,3 პროცენტი. ეს მაჩვენებელი ოდნავ ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში საკმაოდ მაღალია დაქირავებით დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში. მაშინ, როდესაც მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი მკვეთრად ეცემა და შემიძლია, გითხრათ, რომ 55 წელს გადაცილებულთა შორის ორი თვითდასაქმებული მოდის

ერთ დაქირავებით დასაქმებულზე; 65 წელზე გადაცილებულებში კი ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია: ერთ დაქირავებით დასაქმებულზე შვიდი თვითდასაქმებული მოდის.

– მაგრამ 65 წელს ზემოთ ხომ უფრო უჭირთ ფიზიკური სამუშაოს შესრულება?

– რა თქმა უნდა და ამიტომ შემოსავლების მოცულობაც გაცილებით ნაკლებია. თუ გადავხედავთ ბოლო სამი-ოთხი წლის მონაცემებს, ასეთი სიტუაცია გამოიკვეთება: 2007 წელთან შედარებით 59 წლამდე ასაკის მოქალაქეებს შორის ახალგაზრდებში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა.

– კერძო თუ სახელმწიფო სექტორში?

– ეს არ არის გამოკვეთილი, მაგრამ ფაქტია, რომ 24,4 პროცენტითაა გაზრდილი 25 წლამდე ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელი ბოლო ოთხ წელიწადში, მაშინ, როდესაც უფროს ასაკობრივ ჯგუფებში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. ესე იგი, პროპორციები იზრდება ახალგაზრდების სასარგებლოდ და ეს გამოიხატება იმ ხელფასის ფონდში, რომელსაც ისინი იღებენ. კერძოდ, თუ, საშუალოდ, უფროსი ასაკის ჯგუფის წარმომადგენლების ხელფასი გაიზარდა ერთნახევარჯერ, 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში გაიზარდა 2,1-ჯერ. ანუ ამ ასაკობრივ ჯგუფში იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც და საშუალო ხელფასიც.

– რას მიიჩნევთ ამის მიზეზად?

– ვიცით, რომ ახალგაზრდები უფრო იოლად ითვისებენ თანამედროვე სპეციალობებს, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ისინი უფრო აქტიურად არიან ჩართული საბანკო სექტორში, რიგ სხვა „ეპოქის შესატყვის“ საქმიანობებში სადაც ანაზღაურებაც უფრო მაღალია. ანუ დასაქმებისა და შესაბამისი ანაზღაურების პროპორციები თანდათანობით ახალგაზრდობის სასარგებლოდ იცვლება.

– ეს ტენდენციაც ზოგადია?

– განსაკუთრებით საქართველოში შეინიშნება, თუმცა მაინც ზოგადი ტენდენციაა მსოფლიოში, რადგან ცოდნა და ახალი უნარ-ჩვევები ახალგაზრდებს უფრო ეიოლებათ, ვიდრე ძველგაზრდებს. მაგალითად, შარშან საფრანგეთში დიდი გამოსვლები იყო საპენსიო ასაკის ორი წლით გაზრდასთან დაკავშირებით. ყველაზე აქტიურად გამოდიოდნენ ახალგაზრდები. თითქოს პარადოქსია – რატომ ახალგაზრდები, როდესაც მათ პენსიაზე გასვლა ძალიან დიდი ხნის შემდეგ მოუწევთ? მაგრამ, რეალურად, თუ საპენსიო ასაკი გადაინევს, მაშინ სამუშაო ადგილების გამოთავისუფლების პროცესიც შენელებს და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც შრომის ბაზარზე აპირებენ შესვლას, შეუმცირდებათ სამუშაოს მოძებნის შანსი. ამიტომაც გამოხატავდნენ ისინი პროტესტს საპენსიო ასაკის გაზრდის გამო. ჩვენთან ამ მიმართულებით ცოტა ილუზიური დამოკიდებულებაა: თუ არის ახალგაზრდა მინისტრი ან დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ყველა ახალგაზრდას ჰგონია, რომ ჯექ-პოტს მოხსნის, როგორც ლატარიაში და ხვალ, რომ დაამთავრებს მაგისტრატურას, შეეძლება, გახდეს მინისტრი თუ არა, დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაინც. მაგრამ რეალურად ასეთი მომხიბვლელი და მაღალი ანაზღაურების სამსახურის ადგილები მკვეთრად შეზღუდულია. ასე რომ, ორიენტაცია მხოლოდ იმაზე, რომ, თუ კარგად ისწავლი, აუცილებლად სახელმწიფო მინისტრი გახდები, არასწორია. კონკრეტული საქმიანობით და ამ მიმართულებით უნდა შეძლოს ახალგაზრდამ საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

– რაკი „საქსტატი“ ისეთ სქემებს აქვეყნებს, რომლებშიც პირადად მე, ვერაფრით ვერკვევი, სხვა გზას მივმართე: სამუშაო ხელფასი გადავამრავლე დასაქმებულთა რაოდენობაზე, მივუმატე პენსიონერთა პენსიების საერთო რაოდენობაც, შემდეგ გავყავი საარსებო მინიმუმზე და ორი მილიონი ადამიანი დამრჩა საარსებო მინიმუმის გარეშე.

– არ უნდა დაგვაგინყდეს რამდენიმე ასეული ათასი შრომითი მი-

გრანტი, რომლებიც აგზავნიან თანხებს. ერთხელ ამ თანხამ მილიონი მილიარდ ამერიკულ დოლარს და წელსაც, ალბათ, რეკორდული მაჩვენებელია მოსალოდნელი.

– რატომ?

– ისეთი ტენდენციაა თვეების მიხედვით, რომ, როგორც ჩანს, ჩვენ უკვე მეორედ დავძლევთ ამ მილიარდიან მიჯნას.

– პირველად როდის დავძლიეთ, შევახსენოთ მკითხველს?

– 2008 წელს, ომის შემდეგ, როდესაც ბევრი შრომითი მიგრანტი აპირებდა რუსეთიდან თანხების რეპატრიაციას და თვითონაც სამშობლოში დაბრუნებას. აგვისტოს ომის შემდეგ იმატა გადმორიცხვებმა, თუმცა შემდგომ წლებში დაიკლო, მაგრამ 900 მილიონზე ნაკლები არასდროს ყოფილა.

– ახლა რით იხსნება ფულადი გზავნილების სარეკორდო მაჩვენებელი?

– იმავე რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით: ჩვენი შრომითი მიგრანტების ნახევარზე მეტი რუსეთზე მოდის და თანაც, რუბლის კურსი გამყარდა ამერიკულ დოლართან მიმართებაში.

– რუსული ვალუტის გამყარებამ ჩვენც გვახიერა?

– შეიძლება, ასეთ ითქვას: თუ კურსით, ერთი ამერიკული დოლარი 32-33 რუბლი იყო, ჩამოვიდა 27-28 რუბლზე და გამოვიდა, რომ ერთი და იმავე ხელფასისა და შემოსავლის პირობებში, დოლარის განზომილებაში თანხა გაიზარდა, რამაც გაზარდა ფულადი გზავნილების ოდენობაც. მსოფლიოში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

– ისევ ახალგაზრდების დასაქმებას რომ დავუბრუნდეთ: ტენდენციაა ზრდისკენო, მაგრამ ციფრებით როგორ გამოიხატება ეს ტენდენცია?

– ჩვენ, საერთო ჯამში, გვყავს 618 ათასი დაქირავებით დასაქმებული და ეს რაოდენობა არ იცვლება. მათ შორის ახალგაზრდები, 15-დან 25 წლამდე, 50 ათასია. ეს მაჩვენებელი ბოლო წლებში გაიზ-

არდა თითქმის მეოთხედით და წინა წლებთან შედარებით საკმაოდ მაღალია, მაგრამ რაც შეეხება დინამიკას: 15-დან 25 წლამდე ჩვენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა გვყავს 206 ათასი, ეკონომიკურად არააქტიური – 336 ათასი. ამ ფონზე 50 ათასი დაქირავებით დასაქმებული არ არის ის მაჩვენებელი, რომელსაც რეალური გარდატეხის შეტანა შეუძლია. 206 ათასიდან 50 ათასი - მეოთხედზე ნაკლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი ახალგაზრდები სამსახურის გარეშე რჩებიან, ამიტომ მათთვის საჭიროა ახალი, დამატებითი პირობების შექმნა. ის, რაც ხდებოდა საფრანგეთში, არა მხოლოდ პოლიტიკური პრობლემების შედეგია, არამედ მეტისმეტი ლიბერალიზმისა და სამსახურის არქონის შედეგიც. როდესაც ადამიანს და განსაკუთრებით ახალგაზრდას, არ აქვს საინტერესო სამსახური ან რეალიზაციის სფერო, ის პირველივე შემხვედრი საქმით დაკავდება. ამიტომ, თუ სამუშაო ადგილები არ არის, ახალგაზრდების ინტერესების შესაბამისად, საქმიანობის ისეთი ფორმები მაინც უნდა მოიძებნოს, რომლებიც მათ ენერგიასა და ინტერესს დააკმაყოფილებს.

– **რომ ჭარბი ენერგია აგრესიაში არ გადაეზარდოს.**

– სუბლიმაცია უნდა მოხდეს მათი ენერგიის. ეს პრობლემა არსებობს ნებისმიერ საზოგადოებაში, განურჩევლად განვითარების დონისა და მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდისა.

– **სქესთა მიხედვით როგორია დასაქმებულთა ანაზღაურების მაჩვენებელი ახალგაზრდებს შორის?**

– მონაცემები ზოგადია და არ კონკრეტდება გენდერული ნიშნით ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. თუმცა მამაკაცებს შედარებით მაღალი ხელფასი აქვთ, ვიდრე ქალებს.

– **იმიტომ რომ მამაკაცებს უფრო მაღალი თანამდებობები უკავიათ?**

– მამაკაცებს უფრო მაღალი თანამდებობები აქვთ. ბოლო მონაცემებით, მამაკაცის საშუალო ხელფასია 786 ლარი, ქალების - 457 ლარი. ანუ ქალების ხელფასი მამაკაცების ხელფასის 58,1 პროცენტ-

ტია. სხვათა შორის, ოდნავ გაიზარდა, რადგან ადრე მხოლოდ 51-52 პროცენტს შეადგენდა. თუმცა საბჭოთა პერიოდში ქალების ხელფასი მამაკაცების ხელფასის 72 პროცენტი იყო. რაც შეეხება სხვა მონაცემებს: 15-დან 59 წლის ჩათვლით, ეკონომიკურად აქტიური 777 ათასი ქალი დასაქმებული და 851 ათასი - მამაკაცი. სულ ეკონომიკურად აქტიური 908 ათასი ქალი გვყავს და მილიონ 37 ათასი - მამაკაცი.

- ქალები ჭარბობენ?

- არა, სამუშაო ძალის მიღმა ქალების რაოდენობაა 728 ათასი და მხოლოდ 355 ათასია მამაკაცი. ანუ ქალების საერთო რაოდენობა მაინც მეტია. კერძოდ, კაცი გვყავს დაახლოებით მილიონ 400 000-ზე ნაკლები და ქალი - მილიონ 600 ათასზე მეტი. ამ ასაკის მოსახლეობის უფრო ზუსტ ციფრს აღწერა მოგვცემს, მაგრამ მის ჩატარებას საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აპირებენ. უკეთეს შემთხვევაში, 2014 წელს ჩატარდება, თუმცა კარგი იქნებოდა, 2011 წელს ჩატარებულიყო, მაგრამ შესაბამისი სახსრები ვერ მოიძიეს.

- ყველაზე კარგად დასაქმებული რომელი ასაკობრივი ჯგუფია?

- ითვლება, რომ 65 წელს გადაცილებულები, მაგრამ მათი წილი საერთო რაოდენობაში ნაკლებია და ამიტომ ამ მონაცემით ვერ ვიმსჯელებთ. ჩვენთან დაქირავებით დასაქმებულთა წილი ახალგაზრდებში იმავე დონეზეა, რაც საშუალოდ ქვეყანაში, თუმცა უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია სწორედ 25 წლამდე ახალგაზრდებში და ის საშუალო მაჩვენებელს სამჯერ აღემატება. საერთოდ, 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 35 პროცენტის დონეზეა, 25 წელს ზემოთ – ორჯერ მეტია, 69 პროცენტის დონეზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ მიეკუთვნება სამუშაო ძალას.

**რატომ ცხოვრობენ საზრანგეთში პენსიაზე
გასვლის შემდეგ საშუალოდ 24 წელს და რატომ
ჰყავთ საქართველოს აზერბაიჯანსა და
სომხეთზე დღეგრძელი მოსახლეობა**
№12, 19-25.03.2012

მართალია, ჩვენდა თავად, განვითარებულ ქვეყნებს ვედრებით და გეზიც ევროკავშირისკენ აგვიღია; მეტიც, ერთი მხრივ, სხვადასხვა რეიტინგებში მოწინავე პოზიციებსაც ვიკავებთ, მეორე მხრივ კი, დელეგაცია-დელეგაციაზე გვსტუმრობს ხოლმე რეფორმატორული გამოცდილების გასაზიარებლად, მაგრამ ეს მაინც ვერ უკარგავს აქტუალობას თემას, როგორ გამოვიყურებით ცხოვრების დონით, საშუალო ხელფასებით, პენსიითა თუ დასაქმების მაჩვენებლებით ჩვენი რეგიონული და უშუალო მეზობლების ფონზე. საკითხში ექსპერტი იოსებ არჩვაძე გაგვარკვევს.

– როგორ გამოვიყურებით ჩვენი ეკონომიკურ-სოციალური მაჩვენებლებით საერთო წარსულის მქონე მეზობლების ფონზე?

– ჩვენ ერთი შინელიდან ან, კავკასიური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ერთი ნაბადიდან - საერთო სახელმწიფოდან, საბჭოთა კავშირიდან გამოვედით, მაგრამ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში დღეს აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციებია. - აზერბაიჯანი უკვე გადავიდა უფრო „მძიმე წონით“ კატეგორიაში და მისი ეკონომიკური პოტენციალი საქართველოსას 4,3-ჯერ აღემატება, ანუ ჩვენ გვჭირდება 4,3-პროცენტისანი ეკონომიკური ზრდა, რომ ჩვენი მშპ-ის მატება აზერბაიჯანის ეკონომიკის ერთპროცენტისანი მატების ადეკვატური იყოს. იმას ვამბობ, რომ, თუ ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპით ვუსწრებთ აზერბაიჯანს, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ჩვენ მას გავუსწართ. მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობით აზერბაიჯანი 2,3-ჯერ გვის-

წრებს. აქამდე ჩვენი ეკონომიკური ზრდის დიდი ნაწილი მოდიოდა მომსახურების სფეროზე, მომსახურების სფეროში შედის სამთავრობო ხარჯები, მომსახურება...

– ...რკინიგზა, პორტები...

– ყველაფერი, ანუ მომსახურების სფეროში ზრდის ტემპი მნიშვნელოვანია, თუმცა რეალური სექტორის წილი ბოლო რვა წლის განმავლობაში 16 პროცენტული პუნქტით შემცირდა: იყო 53 და დავიდა 36-37-მდე. ეხლა უკვე გარკვეული იმედები გაჩნდა, განსაკუთრებით მრეწველობაში, სადაც ნელინად-ნახევარია, დამამიმედებელი ტენდენციები გამოიკვეთა და ამით რეალურმა სექტორმა იქნებ ცოტათი მაინც გაიუმჯობესოს პოზიციები.

– რით არის ცუდი მომსახურების სექტორი და რით სჯობია რეალურ სექტორს?

– ცუდი არ არის, მაგრამ მომსახურების სექტორი უფრო მონყვლადია ნეგატიური ფაქტორების მიმართ. ჩვენ ტურიზმზე ვაკეთებთ აქცენტს, მაგრამ ღმერთმა არ ქნას, თუ ცუდი მდგომარეობა შეიქმნა, ტურიზმი თითქმის მყისიერად წყდება და უამრავი ადამიანი უმუშევარი რჩება, მაშინ, როდესაც რეალური სექტორი გრძელვადიან პერიოდში ასეთი რისკებისაგან რამდენადმე უფრო დაცულია და წარმოების პროცესსა და საქონლის მიწოდებაში გარკვეული ინერცია მაინც ნარჩუნდება. თანაც, სამუშაო ადგილებთან მიმართებაში რეალური სექტორი უფრო ტრანსპარენტულია და ბიუჯეტის შემოსავლების უფრო მყარი გარანტორია. მომსახურება კი დღეს არის და ხვალ შეიძლება, არ იყოს.

– თუმცა რკინიგზა და პორტი ყოველთვის იქნება?

– ეგ თავისთავად. მაგრამ მე დამატებით ვგულისხმობ სასტუმროებს, რესტორნებს და ასე შემდეგ, სადაც ხალხი უმუშევარი დარჩება, როგორც კი პრობლემა შეიქმნება. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში იზრდებოდა ეკონომიკაც და საშუალო ხელფასიც. ჩვენთან ხელფასების ზრდის ტემპი დაახლოებით 1,5-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე აზერბაიჯანში, და კიდევ უფრო მაღალი,

ვიდრე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა. ეს იმით იხსნება, რომ ჩვენთან საშუალო ხელფასი განსაკუთრებით დაბალი იყო და მხოლოდ 2003 წელს მოხერხდა საშუალო ხელფასის გასვლა საარსებო მინიმუმის დონეზე. მანამდე საშუალო ანაზღაურება გაცილებით ნაკლები იყო და მას არათუ სოციალური, ეკონომიკური ფუნქციაც კი ფაქტობრივად, დაკარგული ჰქონდა. - ხელფასი, უბრალოდ, სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო. - სახელმწიფო სექტორში იგი სულ რამდენიმე დოლარის ეკვივალენტი იყო. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ხელფასის წილი მთლიან შემოსავლებში 75 პროცენტიდან 13 პროცენტამდე დაეცა. დღეს ეს გამოსწორებულია და ხელფასების უფრო სწრაფად ზრდაც ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით, თავის დროზე მისი სიმბოლური, მცირე სიდიდითაც აიხსნება. დღეს საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში მეოთხე ადგილზეა საშუალო ხელფასის სიდიდით.

- აქვე დავაზუსტოთ, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ დაქირავებით დასაქმებულების საშუალო ხელფასზე და არა თვითდასაქმებულების შემოსავალსა თუ დროებით დასაქმებულთა შესახებ. თან, სამუშაო ძალის მხოლოდ მესამედია დაქირავებით დასაქმებული. პირველ სამ ადგილს ვინ იწაინილებს?

- ბალტიისპირეთის ქვეყნები არ ითვლება. შესაბამისად, რუსეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი გვისწრებენ, მაგრამ, მაგალითად, აზერბაიჯანთან ჩამორჩენა გვაქვს 50 ამერიკული დოლარის ეკვივალენტით, მაშინ, როდესაც, მაგალითად, 2000 წელს გვისწრებდა რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის, უკრაინაც და ბელორუსიაც.

- ბელორუსიას გაუჭირდა? იქ ხომ საკმაოდ მაღალი ხელფასი და პენსიაა?

- ბელორუსში ეროვნული ვალუტის დევალვაცია მოხდა და ამან გამოიწვია დოლარში დენომინირებული ხელფასების შემცირება.

- იგრძნეს მოქალაქეებმა თავიანთი ვალუტის გაუფასურება?

- რა თქმა უნდა, მაგრამ ფასები არ გაზრდილა საგრძნობლად. საერთოდ, მნიშვნელოვანია, როგორია ამ ხელფასის მყიდველო-

ბითუნარიანობა. ბელორუსში ფასები ჯერჯერობით ჩვენზე დაბალია. საქართველოს ფასები დღეისთვის მსოფლიო ფასების 58 პროცენტის დონეზეა, როდესაც 2003 წელს ვიყავით 30 პროცენტის დონეზე. მაგრამ ამ მაჩვენებლის ზრდა ნიშნავს იმასაც, რომ ჩვენი ეკონომიკა მგრძნობიარე ხდება გარე რისკების მიმართ და ის პროცესები, რაც მსოფლიოშია, უშუალოდ აისახება ჩვენს ეკონომიკაზე. ამის პარალელურად, გამყარდა ჩვენი ლარი ამერიკულ დოლართან მიმართებაშიც. 2003 წლის ბოლოს ერთი ამერიკული დოლარი 2,11 ლარი ღირდა, დღეს 1,65 ლარია, ანუ ფასები იზრდება და ლარი მყარდება. ეს სენდვიჩის ეფექტით არის: ფასები ორმაგ ზენოლას განიცდის: ერთი მხრივ, ლარის გამყარების ხარჯზე, მეორე მხრივ, შიდა ფასების ზრდის ხარჯზე და ამის ხარჯზე ბევრი ინდიკატორი იზრდება ღირებულებით, მაგრამ რაოდენობრივად შეიძლება, არ გაიზარდოს. მაგალითად, თუ სოფლად ვინმემ შარშან მოინია 100 კილოგრამი კარტოფილი და, პირობითად, კილოგრამი 40 თეთრად გაყიდა, წელს კი – ლარად იმავე ოდენობის კარტოფილი, მისი შემოსავლები ფულად ფორმაში ორნახევრჯერ გაიზარდა, სინამდვილეში კი მის მიერ მოწეული კარტოფილის რაოდენობა არ შეცვლილა, უბრალოდ გაიზარდა ღირებულება.

– და გაიზარდა იმ პროდუქტების ფასიც, რომლებიც იმ 100 კილოგრამი კარტოფილის გაყიდვით მიღებული ფულით უნდა შეიძინოს?

– რა თქმა უნდა! ამიტომაც კეთდება ცალკეული გაანგარიშებები. თუმცა, მთლიან შიგა პროდუქტში ეს ბოლომდე მაინც არ აისახება. მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულებაში 3 პროცენტი უკავია იმ ელემენტს, რომელიც სუფთა მეთოდოლოგიურ დატვირთვას ატარებს, რეალურად კი არ არსებობს. მაგალითად, არის ეგრეთ წოდებული საცხოვრისის პირობითი რენტა და, თუ თქვენ ცხოვრობთ კერძო სახლში, მთლიან შიდა პროდუქტში ამ სახლის ღირებულება აისახება ისე, რამდენს გადაიხდიდით, იჯარით რომ

გქონდეთ ალებული. ეს საკმაოდ დიდი ციფრია, ნახევარ მილიარდ ლარამდე და წლიდან-წლამდე იზრდება.

– გამოდის, ეს მთლიანი შიგა პროდუქტი ტყუილივით ყოფილა?

– იქ აისახება ის გადასახადებიც, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა იხდის. რაც უფრო მაღალია შემოსავალი, მით უფრო მეტს იხდი და კიდევ ბევრი სხვა პირობითობით ითვლება მთლიანი შიგა პროდუქტი.

ხელფასის თემას რომ დავუბრუნდე: ერთი კანონზომიერებაა, რომ ხელფასები იზრდებოდა რაოდენობრივად, მაგრამ ხელფასის მიმღებთა რაოდენობა თითქმის იმავე დონეზე დარჩა, დაახლოებით, 630 ათასი ადამიანი იღებს ხელფასს, ანუ არსებითი გარღვევა არ მომხდარა.

– სომხეთში რამდენია საშუალო ხელფასი?

– სომხეთში საშუალო ხელფასი, ჩვენთან შედარებით, დაახლოებით, ერთი მეოთხედით ნაკლებია.

– არც ისე ჩამოგვრჩება.

– მაგრამ არის ერთი საინტერესო ტენდენცია: სომხეთში საშუალო პენსია უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. ესე იგი, ეკონომიკური ზრდის ტემპით მეტ-ნაკლებად თანაბრად ვართ, ხელფასებით ჩამოგვრჩება, მაგრამ საშუალო პენსიის სიდიდით გვისწრებს.

– რამდენით?

– 30 პროცენტით. იქ პენსია, დაახლოებით, 78 ამერიკული დოლარის ფარგლებშია. ამას თავისი ახსნაც აქვს: ჩვენთან მოსახლეობა უფრო დაბერებულია. მედიანური ასაკი ჩვენთან საშუალოდ, სომხეთთან შედარებით – 5 წლით და აზერბაიჯანთან - 8-9 წლით მაღალია. ამიტომაც არის ერთ-ერთ ინდიკატორი - დემოგრაფიული დანოლის კოეფიციენტი: რამდენი პენსიონერია შრომისუნარიან მოსახლეობაზე. ბოლო მონაცემებით, ჩვენთან პენსიონერები შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ და თითქმის იმდენნი არიან, რამდენიც ჩვენი 18 წლამდე ასაკის მოსახ-

ლეობაა. პენსიონერთა თანაბარ რაოდენობაზე აზერბაიჯანს ჩვენთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტი ბავშვი ჰყავს.

– სომხეთს?

– სომხეთში ერთ პენსიონერზე 1,8-ჯერ მეტი ბავშვი მოდის, ვიდრე საქართველოში.

– მათგან არანაირად გამორჩეულად არ ვცხოვრობთ, განსაკუთრებით, სიბერეში, პენსიაც ჩვენზე მაღალი აქვთ და ბავშვებიც მეტი ჰყავთ. ჩვენ რის ხარჯზე გავხდით ასეთი დღეგრძელები, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით ორივეს გადავუსწარიო?

შავი იუმორის მსგავსი რამ მახსენდება, როდესაც გერმანელებმა გაზის კამერაში შეყარეს ზესტაფონელები, მათ იქ საუბარი განაგრძეს, ზესტაფონში ამაზე უარეს გარემოში ვცხოვრობთო. რათქმა უნდა, ეკონომიკური პროცესები ამოკლებს ან ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას, მაგრამ ასეთი პირდაპირი კორელაცია არ არის. მაგალითად, საფრანგეთში პენსიაზე გასვლის შემდეგ სიცოცხლის ხანგრძლივობა 24 წელს შეადგენს, ამიტომაც არიან საპენსიო ასაკის გაზრდის წინააღმდეგი. თანაც ჩვენგან განსხვავებით, არათუ საფრანგეთში, არამედ იმავე სომხეთსა და აზერბაიჯანში პენსიის თანაფარდობა ხელფასთან გაცილებით მაღალია: აზერბაიჯანში პენსია საშუალო ხელფასის თითქმის 35 პროცენტია, სომხეთში – 26 პროცენტი, ჩვენთან – 15 პროცენტი. ესე იგი, ამ მხრივ ჩვენი პენსია საარსებო მინიმუმსაც ვერ უახლოვდება.

– სომხეთსა და აზერბაიჯანში უახლოვდება?

– სომხეთში საშუალო პენსია საარსებო მინიმუმის 85 პროცენტია, აზერბაიჯანში – 110 პროცენტი, ჩვენთან გაცილებით ნაკლებია და ახალი საპენსიო პაკეტიც, თვით სოციალური პაკეტის გათვალისწინებით, მხოლოდ 82 პროცენტია საარსებო მინიმუმის.

– რამდენად ადეკვატურად არის ასახული ჩვენს საარსებო მინიმუმში ყველა ხარჯი?

– სამომხმარებლო ფასების ინდექსის დაანგარიშებისას წელს სტატისტიკის სამსახურმა ამ კალათაში შეამცირა სურსათის წილი 40-დან 30 პროცენტამდე. საარსებო მინიმუმის გასაანგარიშებელ პროპორციაში კი დატოვეს 70-30-ზე.

– ეს ხომ აბსურდია, რომ საკვებში გვეხარჯება შემოსავლების 70 პროცენტი და მხოლოდ 30 პროცენტი ტანსაცმელში, მგზავრობაში, კომუნალურ გადასახდელებში?

– რა თქმა უნდა. ჩვენი სამომხმარებლო კალათა ვითარდება და როგორ უნდა ჩავატიოთ ის ძველი ნორმების ფარგლებში?! ამიტომ 70 პროცენტი სურსათზე არ ასახავს რეალობას. არ უნდა დავემსგავსოთ თვითმფრინავს, რომელსაც მწყობრიდან გამოსული ალტიმეტრი აქვს. ასეთი თვითმფრინავი აუცილებლად მოყვება კატასტროფაში. სტატისტიკამ ობიექტურად უნდა შეაფასოს პროცესები, მიღებული ციფრების ინტერპრეტირება კი ხელისუფლებისა და ოპოზიციის, საზოგადოებისა და მეცნიერების ამოცანაა. სტატისტიკა თავისუფალი უნდა იყოს ზენოლისგან, რადგანაც ობიექტური ინფორმაცია ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა სჭირს, როგორია მისი განვითარების ვექტორი და სად მივალთ, თუ პროცესები იმავე მიმართულებით კვლავაც გაგრძელდება.

– ჩვენს მინიმალურ სასურსათო კალათაში ძალიან სახალისო რამეები წერია, მაგალითად, რომ ყოველდღიურად უნდა მივირთვათ 25 გრამი ქათმის ხორცი და ბევრი კარტოფილი, ეს სტანდარტული ნორმებია?

– აქ არის რამდენიმე მიდგომა: როგორც ენერგეტიკული შემცველობა, ისე კალორიულობა.

– ტკბილი წყალი ძალიან კალორიულია. – ერთი და იმავე კალორიის მიღება შაქრით 11-ჯერ უფრო იაფად შეიძლება, ვიდრე საქონლის ხორცი. თუმცა, მართალია, კალორიულობა იგივე იქნება, მაგრამ ბალანსი დაირღვევა ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს

შორის და ამან შეიძლება, მძიმე შედეგი გამოიღოს ადამიანის ორგანიზმისთვის.

– აზერბაიჯანისა და სომხეთის უფრო მაღალი პენსიების მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ დაბერებული მოსახლეობა გვყავს?

– ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოვახდენთ სახსრების მობილიზაციას. მაგალითად, შეგიძლია, ნაკლები მინებიანი შენობები ააშენო და სახსრები მიმართო პენსიაზე. ეს უკვე პოლიტი-ეკონომიკურ გემოვნებაზეცაა დამოკიდებული, მაგრამ არის მეორე, ობიექტური ფაქტორი: ჩვენ მეტი პენსიონერი გვყავს როგორც მოსახლეობის თანაბარ, ისე დასაქმებულთა რაოდენობაზეც. 100 დაქირავებით დასაქმებულზე გვყავს 130 პენსიონერი, როდესაც უნდა იყოს 30-32 პენსიონერი, ანუ უმუშევრობის მაჩვენებელიც უნდა გამოსწორდეს. ჩვენთან, რა თქმა უნდა, იზრდება საშუალო ხელფასი, მაგრამ იმდენად ვინრო ფენას ეზრდება, რომ დიდ გავლენას ვერ ახდენს მთლიან შიგა პროდუქტსა და გადანაწილებით პროცესებზე. თანაც, ჩვენთან დაბალია ათვლის წერტილიც. ევროკავშირის დონემდე რომ ავიდეთ, უნდა გვყავდეს, დაახლოებით, 400- 450 ათასით მეტი დაქირავებით დასაქმებული იმავე ხელფასის პირობებში.

– ესე იგი, მილიონ 100 ათასი დაქირავებით დასაქმებული მაინც უნდა გვყავდეს?

– დიახ და ეს არ არის ფანტასტიკური ციფრი. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ხელფასს იღებდა 2 მილიონ 200 ათასი ადამიანი. დღეს, თუ საერთო მოსახლეობა შეგვიმცირდა 20 პროცენტით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეგვიმცირდა 30 პროცენტით, დასაქმებული მოსახლეობა – 40 პროცენტით, დაქირავებით დასაქმებული კი – 70 პროცენტით. დღეს დაქირავებით დასაქმებულები 1980-იანი წლების ბოლოს დროინდელი დასაქმებულების მხოლოდ 30 პროცენტიდაა...

**რატომ აღემატება ამერიკის შეერთებული
შტატების საშუალო ხელფასი
საქართველოს საშუალო ხელფასს 25-ჯერ
№33, 6-12.08.2012**

ბოლო წლებია, ჩვენს ქვეყანაში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, კვარტლების მიხედვით, 600-630 ათასი ადამიანია, თუმცა, უკანასკნელი მონაცემებით, ამ რაოდენობამ დაიკლო და 580 ათასამდე ჩამოქვეითდა. დასაქმებისა და უმუშევრობის როგორი ტენდენციაა ქვეყანაში, რით ჰგავს, ამ მხრივ, პოსტსაბჭოთა სივრცეს და რით განსხვავდება ცივილიზებული სამყაროსგან. როგორია საშუალო ხელფასის ოდენობა და რა შემოსავლებით ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობა? – ამ საკითხებს ექსპერტი იოსებ არჩვაძე განგვიმარტავს.

– რატომ შემცირდა დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა?

– მართალია, მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა, ძირითადად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის შემცირების გამო. გაიზარდა საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხვი. სამაგიეროდ, მათი რაოდენობა, ვისაც უნარი შესწევს, სათანადო პირობებში საქმიანობას მიჰყოს ხელი, შედარებით ნაკლებია. თანაც, უმუშევრობის მაჩვენებელს მნიშვნელოვანწილად აუმჯობესებს ის, რომ, საერთაშორისო მეთოდით, უმუშევრად მიიჩნევა ადამიანი, რომელსაც გამოკვლევამდე ერთი კვირის განმავლობაში არ ჰქონდა ანაზღაურება შრომითი საქმიანობიდან, ეძებდა სამუშაოს, მზად იყო მუშაობის დანყებისთვის, მაგრამ ვერ იპოვა. ადამიანი თუ ამ სამი კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ესე იგი, უმუშევარია. ამ სამი კრიტერიუმით, 300 ათასამდე უმუშევარი გვყავს. ინფორმაციას იმ ადამიანების შესახებ, რომ-

ლებმაც ხელი ჩაიქნეს სამუშაოს ძიებაზე, სტატისტიკის სამსახური უკვე რამდენიმე წელია, არ აქვეყნებს, მაგრამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მოითხოვს, რომ უმუშევრობა დავითვალთ ორი კრიტერიუმით: მკაცრი კრიტერიუმით, რომელიც მე ვახსენე და შედარებით რბილი კრიტერიუმით, როდესაც ადამიანს მუშაობის დანყება უნდა, მაგრამ ხელი აქვს ჩაქნეული და აღარ ეძებს სამუშაოს. თუ ამ მეორე კატეგორიასაც მივაკუთვნებთ უმუშევართა კატეგორიას, მაშინ უმუშევართა რაოდენობა იქნება არა 300 ათასამდე, არამედ, დაახლოებით, 380 ათასამდე. ეს რაც შეეხებოდა ოფიციალურ მეთოდიკას, მაგრამ არის კიდევ ერთი ნიუანსი: სტანდარტების მიხედვით, დასაქმებულად ითვლება ყველა თვითდასაქმებული.

- საერთოდ, დასაქმებულის დეფინიციაც გასაოცარია: დასაქმებულად მიიჩნევა ადამიანი, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში ერთი საათით მაინც იმუშავა, რაშიც მიიღო თანხა ან შრომა აუნაზღაურეს ნატურით?

- დიახ. ჩვენთან არ არსებობს არც მინიმალური ანაზღაურების და არც საათობრივი ანაზღაურების ცნება. ამერიკაში კი დაუშვებელია ადამიანისთვის საათში 8 დოლარზე ნაკლების გადახდა და მხოლოდ ცალკეული კატეგორიის მომუშავეებისთვის არის დასაშვები საათში 4 დოლარის გადახდა. ესენი არიან: ტაქსის მძღოლები, ოფიციანტები, სასტუმროების პერსონალი, რადგან იგულისხმება, რომ მათ ეგრეთ წოდებული „ხელის ქირით“ („ჩაისათვის“) უნდა შეივსონ შემოსავალი. ჩვენთან არ არის დადგენილი საათობრივი ანაზღაურების ზღვარი, თუმცა საჯარო სამსახურში მინიმალური ხელფასია 140 ლარი და ადმინისტრაციული სახედლებისთვის გამოიყენება 20-ლარიანი ათვლის სისტემა მინიმალური ხელფასის მაჩვენებლად.

- თვითდასაქმებულზე ვსაუბრობდით.

- თუ კრიტიკულად მივუდგებით თვითდასაქმებულთა რაოდენობას, იქაც საინტერესო სურათს მივიღებთ: ევროკავშირში

დასაქმებულთაგან 85 პროცენტი არის დაქირავებით დასაქმებული და მხოლოდ 15 პროცენტი თვითდასაქმებული. ჩვენთან ასეთი პროპორციაა: მხოლოდ 32 პროცენტი დაქირავებით დასაქმებული და 68 პროცენტი თვითდასაქმებული. ანუ გამოდის, რომ ჩვენთან 4.5-ჯერ მეტია თვითდასაქმებული, ვიდრე ევროკავშირში. ამიტომ, მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკისა, რომ ესპანეთსა და საბერძნეთში უმუშევრობის უფრო მაღალი დონეა, ვიდრე საქართველოში, შრომითი მიგრანტები საქართველოდან უფრო მიდიან მასობრივად იმ ქვეყნებში, ვიდრე იქიდან – აქეთ.

– ანუ რამდენი გამოდის უმუშევარი, ყველა კრიტერიუმით სრულფასოვნად თუ დავითვლით მათ რაოდენობას?

– ჩვენთან მილიონამდე ადამიანია თვითდასაქმებული, მაგრამ ამ თვითდასაქმებულთა დიდი ნაწილი, 80 პროცენტი, აგრარულ სექტორშია დასაქმებული. აგრარულ სექტორში, სადაც შრომის მწარმოებლურობა, ოფიციალური მონაცემებითაც კი, გაცილებით დაბალია, ვიდრე იყო 20-30 წლის წინათ. მაგალითად, 2000 წლიდან დღემდე საქართველოში შემოტანილია 9 ათას ტრაქტორამდე, მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს ტრაქტორების პარკი, დაახლოებით, 27 ათასი იყო. თუმცა 1980-იანი წლები სულაც არ ითვლება ჩვენს ქვეყანაში საუკეთესოდ და ტექნიკური ბუმის პერიოდად. ერთი სიტყვით, აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობა დაბალია. სტატისტიკის სამსახური ამის გამოც იკავებს თავს, გამოაქვეყნოს დასაქმებულთა რაოდენობა სექტორების მიხედვით, თუმცა არაპირდაპირი და სხვა წყაროების საფუძველზე მაინც ჩანს, რომ, ოფიციალურად, დასაქმებულთა 50 პროცენტი მოდის აგრარულ სექტორზე. ეს თითქმის 900 ათასი ადამიანია. სტატისტიკა თავის საიტზე აქვეყნებს მონაცემს, თუ რამდენი დამატებითი ღირებულება იქმნება აგრარულ სექტორში. თუ ამ მაჩვენებელს გავყოფთ დასაქმებულთა რაოდენობაზე, მივიღებთ მაჩვენებელს, რომელიც სულ ოდნავ აღემატება

ოფიციალურ საარსებო მინიმუმს. არადა სოფლის მეურნეობაში შრომა ეკონომიკურად გამართლებულად ითვლება, თუ ის იმდენ დოვლათს ქმნის, რომელიც საკმარისია, სულ ცოტა, 2,5-3 სუბიექტის შესანახად. თუ ეკონომიკურად შევაფასებთ ვითარებას, ის 900 ათასი ადამიანი სოფლად წარმოებული დოვლათის შექმნას, ნამდვილად არ სჭირდება. მაგრამ, ცნობილია, რომ ადამიანი ჰკიდებს ხელს ისეთ საქმიანობას, რომლისგანაც სარგებელს იღებს. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ: აგრარულ სექტორში სინამდვილეში 900 ათასი ადამიანი არაა დასაქმებული და ეს ციფრი, სულ ცოტა, უნდა განახევრდეს. ანუ 450 ათასამდე „დასაქმებული“ ზედმეტადაა მიწერილი სოფელს. თუ ამ მაჩვენებელს გავითვალისწინებთ, მაშინ დასაქმების აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს მივიღებთ: 450 ათასით უნდა გავზარდოთ უმუშევართა რაოდენობა, ან მეორე ვარიანტია: ის ხალხი, მართლაც, არ არის დასაქმებული სოფლად, მაგრამ არც უმუშევარია, რადგან ქვეყნის გარეთაა გასული. თუ ის 450 ათასი ქვეყნის გარეთაა გასული, მაშინ მათი რაოდენობა უნდა დავაკლოთ მოსახლეობის საერთო რაოდენობას. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის მოსახლეობა არაა 4.4 მილიონია, არამედ დაახლოებით ნახევარი მილიონით ნაკლები.

– **და, შესაბამისად, უმუშევრობის მაჩვენებელიც გაიზრდება?**

– დიახ. ვიმეორებ: ან უნდა ვაღიაროთ, რომ უმუშევრობა არის 40 პროცენტზე მაღალი, ან ჩვენი მოსახლეობა, სულ ცოტა, 450 ათასით იმაზე ნაკლებია, ვიდრე სტატისტიკის სამსახურის მიერაა გამოცხადებული.

– **დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასების ზრდის როგორი ტენდენციაა?**

– ბოლო წლებში ხელფასების ზრდამ საინტერესო ტენდენცია მიიღო: ჯერ იყო და, საბჭოთა სისტემის დაშლისთანავე ხელფასმა დაკარგა თავისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. უმოკლეს დროში ხელფასების წილი საოცრად შემცირდა შინამეურნეობათა შემოსავალში და იგი, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, შემოსავ-

ლების არათუ ერთადერთ, არამედ ძირითად ელემენტადაც კი აღარ დარჩა. ასე მოვედით 2000-იან წლებამდე. მეტსაც გეტყვით, ლარის შემოღების შემდგომ პერიოდში, ვიდრე 2003 წლამდე, საჯარო მოხელის საშუალო ხელფასი გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ოფიციალური საარსებო მინიმუმი და, თუ ავიღებთ საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას და დავიანგარიშებთ, რამდენი აკლდებოდათ მათ საარსებო მინიმუმამდე, გამოვა, რომ ამ 8-9 წლის განმავლობაში საჯარო სექტორში დასაქმებულებმა საარსებო მინიმუმზე, დაახლოებით, მილიარდ 600 მილიონი ლარით ნაკლები აიღეს. ჩვენ ვამბობთ, რომ შევარდნაძის დროს იყო კორუფცია და ეს ზოგადად სწორია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს მილიარდ 600 მილიონი იყო ის სუბსიდირება, რაც საჯარო სექტორში დასაქმებულმა რიგითმა ადამიანებმა გაიღეს სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისათვის, ყველა ხომ არ იყო კორუმპირებული?! და, ალბათ, დადგება დრო, როდესაც იმ რიგითი მოქალაქისადმი, რომელიც რამდენიმე დოლარად მუშაობდა სამსახურში, სახელმწიფო რაღაც ფორმით გამოხატავს მადლიერებას. საჯარო სექტორში ხელფასების ფორსირებულად მატება 2003 წლიდან დაიწყო. მაშინ საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, დაახლოებით, 126 ლარამდე იყო. 2011 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემით კი, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 761 ლარი იყო. ესე იგი, დაახლოებით, 7-ჯერ გაიზარდა. ასევე, გაიზარდა დოლარებშიც და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, დაახლოებით, 410 დოლარამდე ავიდა. ჩვენ სწრაფად გავაუმჯობესეთ საშუალო ხელფასი რაოდენობრივად და ხელფასმა თავისი ეკონომიკური მნიშვნელობა დაიბრუნა, მაგრამ ქვეყანაში არ გაზრდილა ხელფასის მიმღებთა რაოდენობა: რამდენიც დაქირავებით დასაქმებულიც იყო, იმდენივე დარჩა. თუ ადამიანი დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ანაზღაურება და ეს სწორი პოლიტიკაა, თუმცა, მეორე მხრივ, საშუალო ხელფასის გაანგარიშებაში მეთოდოლოგიური უზუსტობაა. კერძოდ, აქ შე-

დის ყველა დაქირავებით დასაქმებულის ხელფასი. თუ, მაგალითად, თქვენ დაქირავებული გყავთ უცხოელი მწვრთნელი ან მენეჯერი, რომელთა ხელფასიც ექვსნიშნა რიცხვით განისაზღვრება, მათი ხელფასებიც იდება საშუალო ყულაბაში და მერე აქედან ერთიანად იანგარიშება. ეს კი ზრდის საშუალო ხელფასის ოდენობას. ამერიკაში, მაგალითად, მსხვილი მენეჯერების, მაღალი ანაზღაურების მქონე იურისტებისა თუ სპორტსმენების ხელფასები არ შეაქვთ ხელფასის საერთო ფონდში, რომ ხელოვნურად არ გაიზარდოს ეს მაჩვენებელი.

გარდა ამისა, არის მოხელეების განსაკუთრებული კატეგორიაც: ბევრი ადამიანი ადრინდელი დამსახურებებისთვის იმაზე მეტ ხელფასს იღებს, ვიდრე ნორმალურ პირობებში უნდა მიეღო. საერთოდ, გარკვეული კავშირი უნდა არსებობდეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ხელფასებს შორის. აღმოჩნდა, რომ ჩვენ საშუალო ხელფასების დონით იმ ქვეყნების რიგში ვართ, რომლებიც ჩვენზე ეკონომიკურად ორჯერ განვითარებულნი არიან. მაგალითად, მექსიკის ეკონომიკა საქართველოს ეკონომიკას ორჯერ უსწრებს (მთლიანი შიგა პროდუქტის წარმოებით მოსახლეობის ერთ სულზე), მაგრამ საშუალო ხელფასების ოდენობის მხრივ, ერთ დონეზე ვართ.

– აბა, რის ხარჯზე იზრდება დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები? სხვა სფეროებს აკლდება?

– მოგახსენებთ. იმ ქვეყნებში, სადაც საქართველოსნაირი ეკონომიკური განვითარების დონეა, საშუალო ხელფასი ჩვენთან არსებულზე 40-50 პროცენტით ნაკლებია. ანუ ჩვენთან საშუალო ხელფასი დაახლოებით 70-75 პროცენტით მაღალია, ვიდრე ჩვენი ეკონომიკის მსგავსი პოტენციალის მქონე ქვეყნებში. ეს გავლენას ახდენს იმაზე, რომ ხელფასი არის არა მარტო შრომითი საქმიანობის გასამრჯელოს ფორმა, არამედ გარკვეულწილად, ბონუსის მატარებელიც. ეს არის დასჯისა და სტიმულირების ერთგვარი ფორმა. საინტერესო მომენტია: ხელფასის წილი შემოსავლებში ისე

არ გაზრდილა, რომ ნახევარზე მეტი იყოს, მაგრამ, თუ ხელფასის მიმღებთა რაოდენობას გავყოფთ შინამეურნეობების რაოდენობაზე, გამოვა, რომ 100 შინამეურნეობაზე მოდის ხელფასის 55 მიმღები. მაგრამ, რადგან ზოგიერთ ოჯახში 2-3 და მეტი დაქირავებით დასაქმებულია, თვითონ იმ ოჯახების რაოდენობა, სადაც ერთი ან ორი ხელფასის ამღებია, მხოლოდ 40 პროცენტამდეა. დანარჩენებს კი არც ერთი წევრი არ ჰყავთ დაქირავებით დასაქმებული. იმის თქმა მიწდა, რომ ერთი მხრივ, ხელფასმა მასობრივად, საყოველთაო მასშტაბით ჯერაც ვერ დაიბრუნა ძირითადი შემოსავლის ფუნქცია და, მეორე მხრივ, ხელფასმა შეიძინა პოლიტიკური დატვირთვა.

– როგორ არის გადანაწილებული დაქირავებით დასაქმებულებში სახელმწიფო და კერძო სექტორებში დასაქმებულთა ოდენობა?

– კერძო სექტორი ოდნავ უსწრებს, მაგრამ არც ისე არსებითად, რომ „კონსტიტუციური უმრავლესობა“ გააჩნდეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კერძო სექტორში დასაქმებულთა წილი გაცილებით მაღალია, მოსახლეობის ყოველ ათას სულზე დაქირავებით 445 ადამიანია დასაქმებული.

– 1 000-ში იგულისხმება მთელი მოსახლეობა: ბავშვებიან-მოსხუცებიანად?

– დიახ. ჩვენთან ყოველი ათასი ადამიანიდან დასაქმებული მხოლოდ 141. აი, ამიტომ არის, რომ, როდესაც ერთი ქვეყნის საშუალო ხელფასს მეორე ქვეყნის საშუალო ხელფასს ვადარებთ, უნდა გავითვალისწინოთ დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობაც. ჩვენთან საშუალო ხელფასი, მართლაც, გაიზარდა, მაგრამ იმდენად ვინწროა ის სოციალური ფენა, რომლებიც ხელფასს იღებენ, რომ ეს არსებით გავლენას ვერ ახდენს მთელი საზოგადოების საერთო კეთილდღეობის ზრდაზე. თუ ჩვენი საშუალო ხელფასი ამერიკის საშუალო ხელფასის დონის 9-10 პროცენტია, იმ შემთხვევაში, თუ ათასი კაცის ჯამურ ხელფასებს შევადარებთ, ჩვენი საშუალო ხელფასის ჯამური ფონდი მათი საშუალო ხელფასის ჯამური ფონდის

მხოლოდ 3,5 პროცენტია. ესე იგი, საქართველოში საშუალო ხელფასი 30-35-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამიტომ აუცილებელია, რომ ხელფასის მიმღებთა რაოდენობა გაიზარდოს.

– ძალიან შორს წავედით: აზერბაიჯანს თუ შევედრებით?

– აზერბაიჯანში ჩვენზე მეტი ჰყავთ დასაქმებული, მაგრამ, თუ პროცენტულად ავიღებთ, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ჩვენზე ოდნავ მეტი დასაქმებულია. იქაც დიდი სახელმწიფო აპარატია, მაგრამ აზერბაიჯანში, მაგალითად, საშუალო ხელფასის მყიდველობითუნარიანობა იმავე დონეზეა, როგორც საქართველოში, მაშინ როდესაც ეკონომიკური პოტენციალით თითქმის ორჯერ გვისწრებს. ანუ ჩვენი საშუალო ხელფასი ძალიან ახლოსაა აზერბაიჯანის საშუალო ხელფასთან მყიდველობითუნარიანობით, მაშინ, როდესაც ეკონომიკური პოტენციალით მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით.

– სომხეთში?

– სომხეთთან ანალოგია არ გამოგვადგება, რადგან სომხეთში გაცილებით მეტი ფულადი ტრანზაქციებია ჩვენთან შედარებით და იქ მოსახლეობის დიდი ნაწილი დიასპორის დახმარებით ცხოვრობს. სომხეთში დიდი ხანია, ფულადმა ტრანზაქციებმა საინვესტიციო დატვირთვა მიიღო, ჩვენთან კი ჯერაც უპირატესად სამომხმარებლო დატვირთვა აქვს.

– თურქეთში?

– იქ საშუალო ხელფასი ჩვენზე მაღალია, დაახლოებით, 850 ევროს, ანუ 1 100 დოლარის ფარგლებშია, მაგრამ თურქეთის ეკონომიკა ჩვენსაზე ოთხჯერ უფრო მაღალია.

– მაშინ ცოტა ჰქონიათ საშუალო ხელფასი?

– ხელფასის მყიდველობითუნარიანობით თურქეთის საშუალო ხელფასი ორჯერ მეტია, ვიდრე ჩვენთან, რადგან ჩვენთან ფასები უფრო დაბალია. თურქეთში თითქმის მსოფლიო დონის ფასებია - გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე ჩვენთან.

**როგორ მდიდრებიან ქართული
ბანკები საქართველოს მოქალაქეების
განათლებისა და ჯანდაცვის
პრობლემების ხარჯზე**

№38, 17-23.09. 2012

მართალია, ქვეყნის ბიუჯეტიც გაიზარდა და, მათ შორის, განათლების დაფინანსების მოცულობაც, თუმცა, თუ წლიდან წლამდე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს გადავხედავთ (კერძოდ, მინიმალური კომპეტენციის ზღვრის შეუქცევად შემცირებას), საქმე, მაინცდამაინც, დამაიმედებლად ვერ გვაქვს, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ 21-ე საუკუნე კრეატიულობის ეპოქაა, კრეატიულობის წყარო კი განათლების დონე და ხარისხია, მათ შორის, განათლებულების რაოდენობაც.

ჩვენი სახელმწიფო სრულად და ნაწილობრივაც მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სტუდენტებს უფინანსებს სწავლის საფასურს (უმადლეს სასწავლებლებში სწავლის წლიური საფასური 2 250 ლარია). გაცილებით მწირია სახელმწიფო დაფინანსება მაგისტრობის დონეზე (არადა სრულფასოვანი სპეციალისტის აღსაზრდელად უმაღლესი სასწავლებლის სამივე საფეხურის გავლაა აუცილებელი). მაგალითად, მაგისტრებს ბიუჯეტი მხოლოდ 2 მილიონი ლარით აფინანსებს. თანხა შემდეგნაირად ნაწილდება: თანხის 10 პროცენტი რეიტინგული სიის მიხედვით ნაწილდება (და ყველა მიმართულების მხოლოდ 44 მაგისტრისთვისაა საკმარისი), 40 პროცენტი მიმართულებების მიხედვით (სულ 27 მიმართულებაა და თითოეული მიმართულებისთვის, დაახლოებით, ამ თანხის 3,6 პროცენტია გათვალისწინებული, რაც ნიშნავს, რომ სამაგისტრო დაფინანსება შეხვდება მხოლოდ 6 მომავალ ექიმსა თუ იურისტს, ჟურნალისტსა თუ ფინანსისტს და ასე შემდეგ), თანხის 50 პროცენტი კი პრიორიტეტულ (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე

ნაწილდება. ამასთანავე, მათ ეძლევათ, როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაფინანსებაც).

გაამართლა თუ არა სწავლის დაფინანსების ამ სქემამ, როგორ ახერხებს მდიდარი დასავლეთი უფასო განათლების შენარჩუნებას (თან არა მარტო საკუთარი, უცხო ქვეყნის სტუდენტებისთვისაც კი) და რა პერსპექტივა აქვთ ქართულ სისტემაში განათლებამიღებულებს. თემას **სოსო არჩვაძესთან** ერთად განვიხილავთ.

– 2012 წელს, დაახლოებით, 600 მილიონ ლარამდეა ბიუჯეტში გამოყოფილი განათლების სფეროსთვის: სკოლამდელი დაწესებულებით დაწყებული და მეცნიერებით დამთავრებული. რა თქმა უნდა, კარგია, ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი იზრდება. 2012 წლისთვის გათვალისწინებულია, რომ განათლების სფეროზე მოვა საბიუჯეტო ხარჯების, დაახლოებით, 8,4 პროცენტი, წინა წლებში გაცილებით ნაკლები იყო. შევეცდები, შედარება მოვახდინო ევროგაერთიანებასთან. რატომ მაინცდამაინც ევროგაერთიანებასთან? ვფიქრობ, სამთავრობო დაწესებულებების წინ ევროკავშირის დროშების ფრიალი პირველ რიგში ხარისხობრივი პარამეტრების ევროკავშირზე სწორებას უნდა გულისხმობდეს. განათლებაზე ევროკავშირში საბიუჯეტო სახსრების თითქმის 12 პროცენტი მოდის. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკური განვითარების დონე იქ შეუდარებლად მაღალია (დაახლოებით, 10-11-ჯერ), განათლებისთვის გამოყოფილი რეალური ხარჯიც გაცილებით მეტია. გამოდის, რომ ისინი ეკონომიკურადაც ჩვენზე წინ არიან და განათლებაზეც პროცენტულად მეტს ხარჯავენ. მაგალითად, ბელგიაში ეს მაჩვენებელია 11,8 პროცენტი, ესტონეთში - 16,8 პროცენტი, ირლანდიაში - 12,6 პროცენტი, პოლონეთში - 13,4 პროცენტი. აქვე ფაქტობრივად გავმეორდები და ვიტყვი, რომ მათი 1 პროცენტის აბსოლუტური მოცულობა ჩვენს, სულ ცოტა, 10 პროცენტს უდრის.

თუ მთლიანობაში ავიღებთ ბიუჯეტს, ევროკავშირის ქვეყნების ბიუჯეტები გაცილებით სოციალურადაა ორიენტირებული, ვიდრე ჩვენი. ამას საყვედურისთვის კი არ ვამბობ, უბრალოდ ვხსნი. ჩვენ, როდესაც სახელმწიფოებრიობის მშენებლობა დავიწყეთ, ძალიან ბევრი ხარჯი მოითხოვა ინსტიტუციურმა მშენებლობამ: საჭირო იყო ჯარის, უშიშროების, საზღვრის, საბანკო სექტორის, პოლიციის და ასე შემდეგ ფორმირება. 2003 წლამდე სიმბოლური დატვირთვისა და მწირი შესაძლებლობების სახელმწიფო ინსტიტუტები გვქონდა და, შესაბამისად, ხარჯები პირველ რიგში მიიმართებოდა ამის გამოსწორებისთვის - სახელმწიფო მშენებლობებისკენ და მხოლოდ ამის შემდეგ დარჩენილი, „მონარჩენი“ სახსრები - განათლებაზე, კულტურასა თუ ხელოვნებაზე. ამდენად, ამას ახსნა მოეძებნება, მაგრამ, როდესაც ბავშვი ტირის, მას ვერ აუხსნი, რატომ არ მუშაობს მამა. ამდენად, ახლა საზოგადოება გაცილებით მეტს ითხოვს, ვიდრე 8-10 წლის წინათ ითხოვდა. ითხოვს მეტ ხარჯებს განათლებაზე, მეცნიერებაზე, კულტურაზე, ჯანდაცვაზე და მთლიანად სოციალურ ბლოკზე.

– სოციალური ხარჯების მხრივაც შევადაროთ ჩვენი და ევროკავშირის ქვეყნების ბიუჯეტები?

– ჩვენ საბიუჯეტო ხარჯების, დაახლოებით, 40 პროცენტამდე ვხარჯავთ სოციალურ ბლოკზე, თავისი საპენსიო სისტემიანად.

– ეს აუცილებლად ხაზგასასმელია, რადგან, მართალია, ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტმა გადააჭარბა მილიარდს, მაგრამ ჩვენ გვყავს 800 ათასი პენსიონერი და მათი საპენსიო მომსახურებაც, რაც მილიარდ ლარამდეა, სწორედ ამას ხმარდება.

– დიახ, ჩვენთან ხელფასის მიმღებთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია პენსიონერებთან შედარებით. - 200 ათასით ნაკლები დაქირავებით დასაქმებული გვყავს, ვიდრე პენსიონერი, არადა 3-4-ჯერ მეტი მაინც უნდა გვყავდეს. ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის წილით ჯანდაცვის

მთლიან ხარჯებში, იმიტომ რომ მოსახლეობის თავის თავზე იღებს საკუთარი ჯანდაცვის საჭიროებისათვის ხარჯების დიდ ნაწილს. გარკვეული კონვენსია შეინიშნება საყოველთაო დაზღვევის ელემენტის შემოტანით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს ტვირთი ერთბაშად მოაკლდება მოსახლეობის ჯიბეს. ამას წლები უნდა და ამ მიმართულებით ჯერ ბევრია გასაკეთებელი.

განათლებაში შედარებისათვის შემიძლია შემდეგი მონაცემი დაგისახელოთ: ევროკავშირში მთელი განათლების ხარჯების მხოლოდ 13 პროცენტი იფარება მოსახლეობის მიერ.

– აი, სწორედ ეს უნდა გკითხოთ: მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მოქალაქეების ცხოვრების დონე ჩვენსაზე გაცილებით მაღალია, მათი შემოსავლებიც სჭარბობს ჩვენს შემოსავლებს, სახელმწიფო ახერხებს, რომ განათლება უფასო იყოს არა მხოლოდ საკუთარი, უცხო ქვეყნების მოქალაქეებისთვისაც კი?

– ხარჯების ორი წყაროა: სახელმწიფოს და მოსახლეობის მიერ გაღებული. ჩვენთან მოსახლეობის მიერ საკუთარი ჯიბიდან გაღებული ხარჯები 60 პროცენტზე მეტს შეადგენს და ეს ძალიან დიდ გავლენას ახდენს შინამეურნეობების ხარჯების სტრუქტურაზე, მათ კეთილდღეობაზე. თან გავითვალისწინოთ, რომ ჯანდაცვაში ვითარება უფრო მძიმეა: მოსახლეობის მიერ საკუთარი ჯიბიდან გადახდების წილი უფრო მაღალია. ბოლო წლებამდე 80-82 პროცენტი იყო, თუმცა დღეს შეიძლება, დაიკლო 77-78 პროცენტამდე, მაშინ, როდესაც მსოფლიოში საშუალო მაჩვენებელი ასეთია: ჯანდაცვის ხარჯების 59 პროცენტს ფარავს სახელმწიფო და მხოლოდ 41 პროცენტს – უშუალოდ მოსახლეობა. რა თქმა უნდა, ეს გავლენას ახდენს მათი ხარჯების სტრუქტურაზე. სწავლას რომ თავი დავანებოთ, ძალიან ბევრი მოქალაქე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო იძულებული გახდა, დაეგირავებინა ან გაეყიდა სახლი, ბინა.

– ყველა კვლევა ამბობს, რომ ჯანდაცვის ხარჯი გაღატაკების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა და არამარტო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, გასულ წელს ბანკების საკუთრებაში გადასული უძრავი ქონების ღირებულებამ 210 მილიონი ლარი შეადგინა.

– საქართველოს მოქალაქეების 210 მილიონი ლარის ქონება გადავიდა მათ ხელში?

– შეიძლება, მათ შორის იურიდიული პირებიც იყვნენ, მაგრამ ძირითადად მოქალაქეების ქონებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო, საქართველოს მოქალაქეებმა გასულ წელს დაკარგეს 210 მილიონი ლარის ქონება. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ეს ნომინალური მაჩვენებელია, რადგან, როდესაც სესხით იტვირთება ქონება, მისი ღირებულება, როგორც წესი, ფასდება საბაზრო ღირებულებაზე 3-4-ჯერ იაფად. ამიტომ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალურად არანაკლებ ნახევარი მილიარდი ლარის ქონება გადავიდა საქართველოს კომერციული ბანკების ხელში. ეს საკმაოდ დიდი ციფრია. თუ გავიხსენებთ, რომ მხოლოდ შარშან ბანკების გაორმაგებულმა მოგებამ „მხოლოდ“ 300 მილიონზე მეტი შეადგინა. ამასთან ერთად, ბანკებმა, ასევე, წინა წელთან შედარებით, ორჯერ მეტი ქონება ჩაიგდეს ხელში. გამოდის, რომ ბანკების შემოსავლის წყარო არის არა იმდენად საკრედიტო რესურსების რეალიზაციიდან, არამედ მოსახლეობის გაჭირვებისა და სხვა ფაქტორების გამო მიღებული მოგება. მდგომარეობამ იმდენად მძიმე მასშტაბები მიიღო, რომ რამდენიმე თვის წინათ პრეზიდენტმა ვერბალურ დონეზე უკვე გააფრთხილა ბანკები, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევს უკმაყოფილების დიდ ტალღას. საკრედიტო რესურსების სიძვირით მსოფლიო პირველ ათეულში ვართ, მაშინ როდესაც ინფლაციის მაჩვენებელი არ არის მაღალი, პირიქით, ბოლო თვეებში გაცილებით დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ საბანკო სექტორი დიდ და დაუშსახურებელ მოგებას იღებს, ვიდრე ეს ნორმალური საბაზრო ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი.

– მე გადავხედე ქართული კომერციული ბანკების სტრუქტურის სესხების შეთავაზებებს, უშუალოდ სტრუქტურს, ბაკალავრსა თუ მაგისტრანტს, მისი ალების შესაძლებლობა არ აქვს.

– ჯერ ერთი, ეს სისტემა არ არის განვითარებული და რომც იყოს, იმის ალბათობა, რომ 25-წლამდე ახალგაზრდა იპოვის სამუშაოს, დაბალია. შემოძლია, გითხრათ, რომ, ოფიციალური სტატისტიკით, უმუშევრობის დონე 25 წლამდე ახალგაზრდებში ძალიან მაღალია: დაახლოებით, 40 პროცენტამდეა და ანაზღაურების მიმღებთა რაოდენობა 25-წლამდე ასაკის ყოველი ათასი ახალგაზრდიდან მხოლოდ 96-ია. ხოლო, რადგან 25 წლამდე ახალგაზრდის მიერ სამუშაოს შოვნის ალბათობა დაბალია, ბანკებს სხვა დამატებითი გარანტიები სჭირდებათ. ამდენად, ეს კომპლექსური პრობლემაა და მხოლოდ ბანკების კეთილ სურვილზე ან ახალგაზრდის უნარზე არ არის დამოკიდებული. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ სამუშაო და ჩვენ მასობრივად გვჭირდება სამუშაო ადგილების შექმნა.

– **სახელმწიფო ამბობს, რომ აფინანსებს მას, ვინც საუკეთესოა, თუმცა ბაკალავრიატის შემთხვევაში ეს 100-პროცენტიანი დაფინანსება ჰყოფნის მხოლოდ 1 000 ახალგაზრდას, მაგრამ, თუ საუკეთესო 4 000-ია?**

– სახელმწიფოს აქვს თავისი შეზღუდული ლიმიტი და მის მიერ სტრუქტურისთვის გამოყოფილი მაქსიმალური თანხა 2 250 ლარია, ხოლო, თუ სტრუქტური ისეთ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდა, სადაც სწავლა უფრო ძვირი ღირს, 100-პროცენტიანი გრანტის ალების შემთხვევაშიც კი, სხვაობა უნდა დაფაროს ოჯახმა. ოჯახს კი შესაძლოა, ამის საშუალება არ ჰქონდეს. ანუ ჩვენ ვერ ვქმნით სოციალურ ლიფტებს: იმ შესაძლებლობას, რომ ადამიანმა თავის უნარის საფუძველზე, ოჯახის მიერ ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე მიაღწიოს კარიერულ წინსვლას.

– **ჩვენთან ეს თითქმის გამორიცხულია?**

– შეზღუდულია, მაშინ, როდესაც მსოფლიოში ეს პროცესი მასო-

ბრივ ხასიათს ატარებს. იქ ეძებენ ინოვაციური, კრეატიული აზროვნების ადამიანებს. თავის დროზე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ბუმის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მათ განათლების სფეროში ჩადეს ძალიან ბევრი სახსრები. განათლების სფეროს ინვესტირება საკმარისად მყარია და გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ ზრდას იწვევს. თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი პროდუქცია კონკურენტუნარიანი იყოს მსოფლიოში, გვჭირდება შესაბამისი ტექნოლოგიები. ამას უზრუნველყოფენ ის ადამიანები, რომელთა ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობა ეფუძნება მსოფლიო სტანდარტებს. ანუ მათი ცოდნაც მსოფლიოს განვითარების დონის შესაბამისი და კონკურენტუნარიანი უნდა იყოს. შესაბამისად, თუ ჩვენ ნაკლებს ვხარჯავთ განათლებაზე, ჩვენი კონკურენტუნარიანობაც ნაკლები იქნება.

მეტსაც გეტყვით: ჩვენ გაცილებით ნაკლები სტუდენტი გვყავს, ვიდრე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს. მაგალითად, ლატვიასთან შედარებით მოსახლეობის ერთსა და იმავე რაოდენობაზე ჩვენ 2,5-ჯერ ნაკლები სტუდენტი გვყავს. ანუ, რა გამოდის? სტუდენტს ვაფინანსებთ გაცილებით ნაკლებად და მათი რაოდენობაც მოსახლეობის ყოველ ათას სულზე მონინავე ქვეყნებთან შედარებით ასევე უფრო ნაკლებია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენთან ინტელექტუალური ზრდის პოტენციალი გაცილებით დაბალია. მე არ ვამბობ, რომ ეს მხოლოდ ამ მიზეზის ბრალია, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება: ჩვენ ვლაპარაკობთ რეფორმების სისწრაფეზე, მაგრამ მე არსად წამიკითხავს, ვინმე წერდეს ქართული ეკონომიკური ზრდის სასწაულზე. როგორც ეს იყო გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იაპონიაში, კორეაში. ქართულ ეკონომიკურ სასწაულზე არ ლაპარაკობენ, იმიტომ რომ ჩვენთან 2003 წლის შემდეგ ეკონომიკური ზრდის ტემპები საკმაოდ მოკრძალებული იყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში კოლოსალური ვარდნა გვქონდა, ეკონომიკური ზრდის ამ თითოეული პროცენტის წონაც მოკრძა-

ლებული გამოდის. მაგრამ ჩვენ გვჭირდება ეკონომიკური ზრდა იმისთვის, რომ დავძლიოთ ის ჩამორჩენა, რაც საქართველოს ჰქონდა 1990-იანი წლებიდან. სანამ სიტუაცია აირეოდა, 1988 წელს, საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის თანაფარდობა მოსახლეობის ერთ სულზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, მის წევრ ქვეყნებთან შედარებით, 40 პროცენტამდე იყო, დღეს ეს თანაფარდობა, დაახლოებით, 13 პროცენტამდეა დასული. ამდენად, ალბათ, უნდა მოვახდინოთ ხარჯების მნიშვნელოვანი კონვერსია სოციალური სფეროს სასარგებლოდ. მე არ ვამბობ, რომ იოლი მისაღწევია, მაგრამ ქვეყნის მმართველობამ მეტად უნდა დაზოგოს ხარჯები მმართველობაზე და მეტი ხარჯი მიმართოს განათლების დაფინანსებაზე.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მეცნიერების დაფინანსებაზე აქვს ისრაელს - მთლიანი შიგა პროდუქტის დაახლოებით 4 პროცენტს ხარჯავს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, ასეთი პერიფრაზი გავაკეთოთ: ებრაელები იმიტომ კი არ არიან ჭკვიანები, რომ ბევრს ხარჯავენ მეცნიერებაზე, არამედ იმიტომაც, რომ იციან, ბევრი რომ უნდა დახარჯონ მეცნიერებაზე. ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ, რადგან ტექნოლოგიური ჩამორჩენა ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკურ ჩამორჩენას, ეკონომიკური ჩამორჩენა კი აღარ იძლევა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის საშუალებას. შეუძლებელია, მივალწიოთ მაღალ შემოსავლებს, რაც უნდა ბევრი ინვესტიცია შემოვიდეს და რაც უნდა ბევრი მიგრანტი გავიდეს უცხოეთში სამუშაოდ. მაგალითად, ჩვენი მიგრანტების საშუალო ანაზღაურება ადგილობრივების საშუალო ანაზღაურების 50-60 პროცენტია. ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ მეტი მიგრანტი გვყავდეს, არამედ მეტი კვალიფიციური დასაქმებული გვყავდეს, იმიტომ რომ თვითდასაქმება არ იძლევა საკმარის შემოსავალს: თვითდასაქმებულის შემოსავალი ამჟამად 3-4-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე დაქირავებით დასაქმებულის შემოსავალი...

**რამ დააბერა საქართველოს
მოსახლეობა და რატომ არ ნიშნავს
მოსახლეობის რაოდენობის ზრდა მის
ბაზრავლებას**

№41, 8-14.10.2012

მას გარდა, რომ სტუდენტურმა გამოსვლებმა დაასრულა ერთი პოლიტიკური ძალის ცხრანლიანი საკონსტიტუციო უმრავლესობიანი მმართველობა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ერთი პოლიტიკური ძალის საკონსტიტუციო ვადებში და არჩევნების გზით ჩანაცვლებაში და „ნაცმოძრაობის“ უძლეველობის მითიც დაამსხვრია, მეტად სახიფათო ტენდენციაც ნათლად დაგვანახვა. სტუდენტები, ანუ ის თაობა, რომლებმაც უნდა მისცენ დასაბამი მათ მომავალს, რომელთათვისაც გვინდა ეს ქვეყანაც და ამ ქვეყანაში დემოკრატია-კეთილდღეობა, მტკვრის ერთი სანაპიროს ერთ მონაკვეთზე ეტევა. მეორე მხრივ, მოსახლეობის დაბერების ტენდენცია დედამიწის განვითარებულ ნაწილში აშკარად გამოკვეთილია. მიუხედავად იმისა, რომ ვერც დემოკრატიული განვითარებით დავიკვებხნით და ვერც ეკონომიკურით, მოსახლეობის დაბერების მაჩვენებლით განვითარებული ქვეყნების რიგში ვართ.

კერძოდ, საქართველოში 2002 წელს ბუნებრივი მატება მხოლოდ 149 იყო, 2003 წელს – 139, 2004 წელს კი – 779. 1897 წელთან შედარებით 2011 წელს 15 წლამდე ასაკის ბავშვთა წილი მოსახლეობაში თითქმის 3-ჯერ შემცირდა, ხოლო 64 წელს გადაცილებულთა რიცხვი თითქმის იმავე პროპორციით გაიზარდა. 114 წლის განმავლობაში თანაფარდობა ხანდაზმული ასაკის მოსახლეობასა და ბავშვების რაოდენობას შორის თითქმის 8-ჯერ შეიცვალა ხანდაზმულების სასარგებლოდ. ამ მეტად აქტუალურ საკითხზე იოსებ არჩვაძეს ვესაუბრეთ.

- თავს ვიქებთ, სხვებიც გვაქებენ, რომ დემოკრატიის ტესტი ჩავაბარეთ, მაგრამ სტუდენტების რაოდენობამ მეტად მწუხარე ხასიათზე დამაყენა. თუ დემოგრაფიული ვითარება მძიმეა, აქვს აზრი ტესტებს?

- მდგომარეობა ნამდვილად არ არის სახარბიელო. თქვენ ახსენეთ დემოგრაფიული სიტუაცია, მე დავუმატებდი: არა მხოლოდ დემოგრაფიულ, არამედ ზოგადად, სოციალურ კონტექსტშიც. რომ დავყოთ მოსახლეობა მსხვილ ასაკობრივ ჯგუფებად: შრომისუნარიანად, ბავშვებად და მოხუცებად, ვნახავთ, რომ ჩვენთან დაბალია ახალგაზრდა ასაკობრივი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში: გნებავთ, 15-წლამდე ბავშვები ავიღოთ და, გნებავთ, სტუდენტური ასაკისანი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მოსახლეობა ბერდება და, დაახლოებით, რვა წლით უფრო ხანდაზმული მოსახლეობა გვყავს, ვიდრე აზერბაიჯანს და თურქეთს, ექვსი წლით უფრო ხანდაზმული, ვიდრე - სომხეთს. ფაქტობრივად, გამოდის, რომ შრომისუნარიანი ასაკის ერთი და იმავე რაოდენობის მოსახლეობაზე ჩვენ თურქეთსა და აზერბაიჯანზე 2,5-ჯერ მეტი პენსიონერი გვყავს. ესე იგი, ჩვენთან უფრო მრავლადაა წარმოდგენილი არაშრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, ბავშვები კი - ნაკლებად. რაც შეეხება სტუდენტებს: ავიღოთ 16-დან 25-წლამდე ასაკობრივი ჯგუფი, რაც სტუდენტურ ასაკად ითვლება. შემიძლია გითხრათ, რომ ეს წილიც მცირეა და არა მარტო მოსახლეობის აბსოლუტურ რაოდენობაში, არამედ სტუდენტთა საერთო რაოდენობაშიც. ჩვენ ყოველ ერთ მილიონ მცხოვრებზე გვყავს 10 000-ით ნაკლები სტუდენტი, ვიდრე ევროპულ ქვეყნებს.

- რეალურ სტუდენტებზე ვსაუბრობთ და არა სტუდენტური ასაკის მოსახლეობაზე?

- დიახ, ჩვენთან დაბალია პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი განათლების მქონე კონტინგენტის რაოდენობა, მაგრამ რას ნიშნავს სტუდენტთა მცირე რაოდენობა? ეს ნიშნავს, რომ მცირეა

კვალიფიციური, კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა. ჩვენთან, ჯერ ერთი, ისედაც მცირეა სამუშაო ძალის რიცხოვნობა. მართალია, მოსახლეობა გაიზარდა 2003 წლის შემდეგ, მაგრამ სამუშაო ძალის რაოდენობა შემცირდა. შედარებით მცირეა კვალიფიციური კონტინგენტი. არადა, დღეს მთელ მსოფლიოში ეროვნული სიმდიდრის ყველაზე სწრაფად მზარდი ელემენტი ადამიანისეული კაპიტალია. თუ ავიღებთ მთელ ეროვნულ სიმდიდრეს, რაც უფრო მაღალია მასში ადამიანისეული კაპიტალის ოდენობა, მით უფრო განვითარებულად ითვლება ქვეყანა. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი აქვს წიაღისეულის მარაგი, ქვეყნისთვის მთავარი სიმდიდრის განმსაზღვრელი დღეს სწორედ რომ ადამიანისეული კაპიტალია.

– მოვიყვანოთ მაგალითები, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას.

– მაგალითად, იაპონია არ არის სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი სხვა ქვეყნებთან შედარებით, არც გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩევა: მას არ კვეთს „საქარავნო გზები“ და გზაჯვარედინები, მაგრამ ის მსოფლიო გლობალური პოლიტიკის ძალიან აქტიური მოთამაშეა იმის გამო, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებლებს განვითარებული აქვთ სამუშაო უნარ-ჩვევები, პროფესიონალიზმი, მაღალია მათი შრომის მწარმოებლურობა და, საბოლოო ჯამში, ეს ქმნის იმ სიმდიდრეს, რითაც იაპონია ცნობილია მთელ მსოფლიოში. ამიტომ ადამიანისეული კაპიტალის სიდიდე და მისი ზრდის დინამიკა არის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, თუ როგორ მივდივართ ნინ.

– გარდა იაპონიისა, კიდევ რომელი ქვეყანა გამოირჩევა მსოფლიოში ადამიანისეული კაპიტალით?

– საერთოდ, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მეტია იქ ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანისეული კაპიტალის წილი.

– იგულისხმება დემოკრატიული განვითარება?

– დიახ, არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური კუთხე: შეიძლება, ქვეყანას ჰქონდეს მდიდარი რესურსები, მაგრამ ადამიანისეული კაპიტალის წილი იყოს ნაკლები: მაგალითად, ყაზახეთი. თუმცა, მაგალითად, სამხრეთ კორეაში განათლებას დიდი ყურადღება ექცევა და იქ ინგლისური ენის მცოდნე პირების მიერ კი არ ისწავლება კორეის სოფლებში ენა, არამედ პროფესიული განათლების მქონე პირთა მიერ. ჩვენთან რომ ჩამოჰყავთ ინგლისურენოვანი მოხალისეები, მართალია, მათ იციან ინგლისური, მაგრამ არ აქვთ პროფესიული, პედაგოგიური უნარ-ჩვევები, მხოლოდ ენის ცოდნა კი არ არის საკმარისი, იმისთვის, რომ ასწავლო.

– და გააჩნია, რისთვის ასწავლი, თუ ტურისტს უნდა ემსახურო, მოხალისე მასწავლებლების დონე საკმარისია, ალბათ, მაგრამ, თუ ამ ენაზე უახლესი ტექნოლოგიური და სამეცნიერო ნაშრომების გაცნობა გინდა, მოხალისეები ვერაფერს გიშველიან?

– ადამიანმა შედარებით იოლად რომ მოახერხოს ადაპტაცია იმ სახელმძღვანელოებთან, რომლებითაც განვითარებული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება, აუცილებელია ენის სწავლება ნორმალური, პროფესიონალი პედაგოგების მიერ.

– ევროპაში როგორაა საქმე?

– ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში განათლებაზე ხარჯების სიდიდე საკმაოდ მაღალია როგორც მთლიან შიგა პროდუქტში, ისე სახელმწიფო ბიუჯეტში. განათლების ხარჯი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საბიუჯეტო ხარჯებისა. ენების მაგალითს მოგიტანთ თვალსაჩინოებისთვის: ევროპის ქვეყნებში საშუალო სკოლების მოსწავლეებისთვის საგნებს შორის უცხო ენების სწავლება შეადგენს 2,3-ს. ესე იგი, ორზე მეტს, მშობლიური ენის გარდა. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის 12 ყვითელვარსკვლავიან ლურჯ დროშას არა მარტო სიმბოლური დატვირთვა აქვს, არამედ მართლაც აერთიანებს სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს და ენის

ცოდნა ხელს უწყობს მათ შორის ბარიერის მოხსნას, ურთიერთ-გაგებას და სოლიდარობის გრძნობის გაჩენას.

– ისე, ამერიკელებს არ უყვართო სხვა ენების სწავლა, რუსების არ იყოს?

– ამერიკა დიდი ქვეყანაა და იქ საკმაოდ მცირეა ისეთთა რაოდენობა, რომლებიც უცხო ენებს ფლობენ. თუმცა, მაგალითად, ამერიკის საელჩოს ბევრმა თანამშრომელმა მოახერხა ქართულის სწავლა, მაგრამ მასობრივად უცხო ენების მცოდნეთა თანაფარდობა ნაკლებია, ისევე, როგორც იმ ამერიკელთა თანაფარდობა მთელი ამერიკის მოსახლეობასთან, რომლებსაც ერთხელ მაინც დაუტოვებიათ ამერიკის კონტინენტი.

– კარგად არიან და არსად არ უნდათ წასვლა?

– დიახ და ნაკლებად ნუხან სხვაგან სამოგზაუროდ.

– ადამიანისეული კაპიტალის მაჩვენებელი?

– საკმაოდ მაღალია, მთლიანი ეროვნული სიმდიდრის თითქმის 45 პროცენტს აღწევს. ამაში შედის როგორც ხელფასის სიდიდე, ისე შრომის მწარმოებლობის დონე და მიიჩნევა, რომ პერსპექტივა კიდევ უფრო მეტი აქვთ. დღეს თანდათან მცირდება მატერიალურ-ქონებრივი სიმდიდრის წილი მთლიან ეროვნულ სიმდიდრეში და, იმედია, ჩვენთანაც მოვა ამის დრო. წარმოიდგინეთ, ჩემი შეფასებით, საქართველოდან გასული მოსახლეობის, რამდენიმე ასეულ ათასი ადამიანის, მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შრომის ანაზღაურება შეადგენს არანაკლებ 4 მილიარდ დოლარს.

– ერთ მილიარდს კი აქ აგზავნიან.

– უკვე ცოტა მეტს, მილიარდ სამას მილიონ დოლარს აგზავნიან საქართველოში.

– ეს რას ნიშნავს? ეს 4 მილიარდი ადამიანისეულ კაპიტალს გვიჩვენებს?

– რა თქმა უნდა, ესე იგი, მათზე არის მოთხოვნა. ესე იგი, მათი კვალიფიკაცია აკმაყოფილებს ადგილობრივ და საერთაშორისო

სტანდარტებს. ეს არის ის დოვლათი, რომელიც მათ მიერ იქმნება ერთი წლის განმავლობაში.

– მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მოსახლეობაც დაბერებულია, იქ ადამიანისეული კაპიტალის შექმნას მაინც ახერხებენ. როგორ?

– იქაც დაბერებულია მოსახლეობა და არანაკლებად, ვიდრე ჩვენთან და საშუალო ასაკი კრიტიკულ ზღვარსაა მიახლოებული. თუ 65 და მეტი წლის ასაკის მოსახლეობის ოდენობა აღემატება მოსახლეობის საერთო რაოდენობის 7 პროცენტს, ერი დაბერებულად ითვლება, ჩვენთან ეს მაჩვენებელი 14 პროცენტია, ანუ ორჯერ ვაჭარბებთ. ევროპაშიც იგივე მდგომარეობაა, თუმცა ევროპაში შრომისუნარიან მდგომარეობას გაცილებით ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ინარჩუნებენ. იქ სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით მაღალია.

– ძალიან შემშურდა, როდესაც გავიგე, რომ საფრანგეთში საპენსიო ასაკის შემდეგ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 24 წელია.

– ქალებში უფრო მეტია, 28 წელი და ეს დრო მათ ეკუთვნით დასვენების და აქტივობისთვის. ეს ასეა ყველა განვითარებულ ქვეყანაში. მაგალითად, სპეციალური პროგრამის გატარების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, ღარიბების რაოდენობა 65 წელს გადაცილებულთა შორის ორჯერ შემცირდა და დღეს ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია ამ ასაკობრივ ჯგუფში, ვიდრე მოსახლეობის სხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ესე იგი, ამერიკაში ასაკოვან მოსახლეობაში ღარიბები უფრო ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ მოსახლეობაში.

– ანუ ეს ქვეყანა იძლევა საშუალებას, რომ დააგროვო საპენსიო ასაკისთვის?

– დიახ. ჩვენთან კი ასაკობრივი პენსიონერი ფაქტობრივად უკვე მიეკუთვნება მარგინალურ სოციალურ ჯგუფს. ვისაც არ

აქვს საკმარისი შემოსავალი და რომ არა ოჯახის შრომისუნარიანი წევრი, მათი ფიზიოლოგიური არსებობაც კი შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ეს არის უმწვავესი პრობლემა. სხვანაირი სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს; მეტი თავისუფლება უნდა მიეცეს ბიზნესს, რადგან გადამეტებული ადმინისტრირება კლავს ინიციატივას, მათ შორის, ბიზნესშიც. უნდა არსებობდეს თამაშის ზოგადი წესები, მაგრამ არ უნდა ჩასაფრდეს თითოეულ ნაბიჯზე.

- დედამიწაზე ბოლო პერიოდში გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა, მათ შორის, ჩვენთანაც. იქ, გასაგებია, რატომაც, მაგრამ ჩვენთან რით იხსნება ეს?

- როდესაც ვლაპარაკობთ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდაზე. ვგულისხმობთ სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას. ახლა რომ ბავშვი იბადება, რა ხანგრძლივობის სიცოცხლე ელის მას დღევანდელი საწარმოო პირობების, კვების, ჯანდაცვისა და ასე შემდეგ პირობებში. ჩვენთან მეცხრამეტე საუკუნეში შედარებით დაბალი იყო სიცოცხლის ხანგრძლივობა, მაგრამ სამედიცინო სფეროს განვითარებამ, ანტიბიოტიკების შემოტანამ, სამედიცინო ქსელის შექმნამ ხელი შეუწყო სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას, მაგრამ დღეს ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემაა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი, რომელიც ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით, 5-ჯერ აღემატება განვითარებული ქვეყნის მაჩვენებელს. იაპონიაში, მაგალითად, სულ 3-4 შემთხვევაა ათას დაბადებულ ბავშვზე, ევროპაში ეს მაჩვენებელი 6-დან 8-მდეა. ჩვენთან, სხვადასხვა წელს, მერყეობს 18-დან 22-მდე, ზოგიერთი ექსპერტის აზრით კი, 32-ც კი არის.

- სანამ ადამიანისეული კაპიტალი შეგვექმნება, საჭიროა, რაოდენობა, ესე იგი, გამრავლება, ანუ ბევრი ბავშვის გაჩენა გადარჩენა?

- მეშინია, ბანალური არ ვიყო, რადგან არის ორი, კარგად ცნობილი პრინციპი, რომელიც დადებით შედეგს იძლევა: ეს არის გამ-

რავლება და განათლება, როდესაც ეს ორი კომპონენტი თანხვდება, იმ ერს გადაშენება და მსოფლიოს კონკურენტულ ბრძოლაში დამარცხება არ ემუქრება.

– განათლება ისევე აუცილებელია, როგორც გამრავლება?

– განათლება აუცილებელია, რომ ადეკვატურად უზასუხო თანამედროვე გამოწვევებს, გყავდეს კვალიფიციური სამუშაო ძალა და შეძლო თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების რაციონალური გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ხარისხიანი დოვლათის წარმოებისთვის. გაუნათლებელი თაობა, გაუნათლებელი ადამიანები ამას ვერ შეძლებენ. მხოლოდ გამრავლებას, რომ, უკაცრავად გამონათქვამისთვის, „მივანვეთ“, არ გამოვა.

– მსმენია, წლების წინათ ამბობდნენ, სჯობს, ერთი შვილი გყავდეს და უზრუნველყოფილი ყველაფრით, ვიდრე უფრო მეტი და ნაკლებად უზრუნველყოფილი?

– ამ მიდგომამ შეიძლება, გაამართლოს მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ გრძელვადიანში ეს ილუზორული შედეგია. არსებობს ადამიანური რესურსის ბუნებრივი და ტექნოგენური დანაკარგი, ამიტომ, პრობლემები რომ არ შეექმნას ადგილობრივ ეთნოსს, საჭიროა კვალიფიციური და განათლებული ადამიანების საკმარისი რაოდენობა და, მეორე მხრივ, მარტო განათლებაც ვერ შევლის: საჭიროა რაოდენობა და ხარისხი. პალესტინელების ლიდერს ეკუთვნის ასეთი ხატოვანი გამონათქვამი: ჩვენ ებრაელ ერს დავამარცხებთ პალესტინელი ქალის საშოთით. მაგრამ მარტო ეს არ არის: გამოწვევებს უნდა უზასუხო რაოდენობითაც და ხარისხითაც. ქვეყანაში უნდა იყვნენ ქართული ეთნოსის წარმომადგენლები, მაგრამ, ამასთანავე, ამ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრესის ნებისმიერი შეზღუდვა: ნიგნი იქნება ეს თუ სატელიტური თეფში, უარყოფითად მოქმედებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, ამიტომ ჩვენ გრძელვადიან პერსპექტივაზე უნდა ვიფიქროთ.

**306 დაუდგინა საქართველოს მოქალაქეებს
საარსებო ნორმად დღეში 10 გრამი
ღორის ხორცი, 5 გრამი საკონდიტრო ნაწარმი
და 25 გრამი ხახვი**

№45, 5-11.11.2012

„მარინე შეუდგა საკალანდე სამზადისს, მაგრამ რაღა სამზადისი, ღორი აღარ ჰყავდათ, ძარში არც ერთი ქათამი აღარ დაეტოვებინათ, ხაჭაპურებიც აღარსად იყო – ისიც წაეღოთ! თითქმის ვახშმობის დრო იყო, მარინემ, როგორც იყო, ორი ქათამი მოიგდო ხელში ქათამები გაბურტყლა, სამიოდ ხაჭაპური გამოაცხო, წმიდა თაფლის სანთელი ჩამოქნა, ერთი დოქი ადესის ღვინო ამოიღო ჭურვიდან.“ – აი, ასეთი სუფრით ეგებებოდა კალანდას „ეკუციის“ მიერ უკანასკნელ სარჩონართმეული გოგია უიშვილის ოჯახი და ეს მეცხრამეტე საუკუნეში, რუსეთის იმპერიის ქართული კოლონიის ერთ-ერთ სოფელში ხდებოდა. ოცდამეერთე საუკუნის დამოუკიდებელ საქართველოში მოსახლეობის 50 პროცენტი გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე – 2 100 კილოკალორიაზე – ნაკლებ საკვებს იღებს, ხოლო 25 პროცენტი, გაეროს მიერ დაწესებულ აბსოლუტურ მინიმუმზე, 1 800 კილოკალორიაზე ნაკლებს – 1 600 კილოკალორიას.

საქსტატის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულია ცხრილი, რომელიც აღწერს, თუ რომელი და რა ოდენობის პროდუქტები უნდა მიიღოს შრომისუნარიანმა მამაკაცმა დღიურად, რომ შრომისა და არსებობის უნარი ჰქონდეს: ყოველდღიურ მინიმალურ ნორმად შრომისუნარიანი მამაკაცისთვის 2 300 კილოკალორიაა მიჩნეული. მინიმალურ სასურსათო კალათაში სულ 40 დასახელების პროდუქტია (ჩაის, ღვინისა და მარილის ჩათვლით). ყველაზე დიდი წილი საქართველოს შრომისუნარიანი მამაკაცის, სახელმწიფოს მიერ

მინიმალურ ნორმად დათვლილ რაციონში, პურს უჭირავს (579,6 კილოკალორია, რაც დღიურად 250 გრამი პურის მოხმარებას ნიშნავს), მეორე ადგილასაა ხორბლის ფქვილი (227,6 კილოკალორია, დღიურად – 70 გრამი), მათ მოსდევს – სიმინდის ფქვილი და სხვა (123,8 კილოკალორია, დღიურად – 40 გრამი), შაქარი (199,6 კილოკალორია, დღიურად – 50 გრამი), თუმცა საკონდიტრო ნაწარმის დღიურ მინიმალურ ოდენობად 5 გრამია მიჩნეული (ენერგეტიკული ღირებულება – 20,7 კილოკალორია). მართალია, კარტოფილს დღიურ რაციონში მეექვსე ადგილი უჭირავს (80,4 კილოკალორია), სამაგიეროდ, მისი დღიური რაოდენობა 150 გრამია. ძროხისა და ხბოს ხორცის დღიურ ნორმად 40 გრამია დადგენილი (ენერგეტიკული ღირებულება – 65,3 კილოკალორია), ისევე, როგორც ნედლი და გაყინული თევზისა (სულ რაღაც, 15 კილოკალორია, თუმცა დღიური მოხმარება 40 გრამია) შინაური ფრინველის დღიურ ნორმად – 20 გრამია დანესებული (ენერგეტიკული ღირებულება 26,9 კილოკალორია), ხოლო ღორის ხორცის – 10 გრამი (ენერგეტიკული ღირებულება – 32,7 კილოკალორია). საკმაოდ საინტერესოა, რომ ხახვის დღიური ნორმა 25 გრამია (ენერგეტიკული ღირებულება – 11,2 კილოკალორია), მაშინ, როდესაც ბადრიჯნის – 10 გრამი (ენერგეტიკული ღირებულება – 2,4 კილოკალორია).

როგორ ითვლება საარსებო მინიმუმი საქართველოში, რატომ არის ის უსამართლო, შესაბამისად, როგორ უნდა დაითვალოს რეალური საარსებო მინიმუმი და, რაც მთავარია, რით დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ობიექტურად დათვლილი ეს მაჩვენებელი, – საკითხს ექსპერტი იოსებ არჩვაძე განგვიმარტავს.

– როგორ უნდა იყოს დათვლილი საარსებო მინიმუმი?

– მოკლედ რომ გიპასუხოთ, ობიექტურად. ნებისმიერი სტატისტიკური ინფორმაცია, ერთი მხრივ, მეთოდოლოგიურად უნდა იყოს

უზადო, ანუ შეესაბამებოდეს რეალობას და ასახავდეს ადეკვატურად და, მეორე მხრივ, აუცილებელია საზოგადოებამ ამ გაანგარიშებული მონაცემის რეალობა ირწმუნოს. რაც უნდა სწორად იყოს დათვლილი მონაცემი, თუ მისადმი საზოგადოებრივი ნდობა არ არსებობს, მაშინ ეს სერიოზული პრობლემაა და სხვანაირადაა გაანგარიშებული.

– თავის თავზე იგრძნოს, რას ნიშნავს? რომ ამ თანხით, მართლაც, რეალურად დაპურდეს?

– მეთოდოლოგიის მხრივ, ნაკლები პრეტენზიაა ჩვენი დღევანდელი საარსებო მინიმუმის მიმართ, უფრო გასაგები რომ იყოს, სხვა მაგალითს მოგიტანთ: საზოგადოება ცალსახად არ იღებს უმუშევრობის დონის მაჩვენებელს. მენტალურად ვერ ხარშავს, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე მხოლოდ 15 პროცენტია. თითქმის ანალოგიური დამოკიდებულებაა საარსებო მინიმუმის მიმართაც. აღმოსავლური ანდაზა მახსენდება: ათასჯერაც რომ გაიმეორო სიტყვა „ჰალვა“, პირში სიტკბოს ვერ იგრძნობო. საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით ასეთი მდგომარეობაა: მოქმედებს ეგრეთ წოდებული ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდი და ის 2 300 კილოკალორიაზეა გათვალისწინებული. თუმცა გააჩნია, ამ კილოკალორიებს რით მივიღებთ: შაქრისა და პურის დამატებით, თუ ცილებისა და ცხიმების რაციონალური ბალანსით.

– ჩვენს მინიმალურ სასურსათო კალათაში ღორის ხორცის დღიური მოხმარების ნორმაა 10 გრამი. ეს რა არის? ასეთი დღიური დოზის წამალიც კი იშვიათობაა.

– ეტყობა, პირში უნდა გამოივლო თანაც, აბსოლუტურად დარღვეულია მცენარეული და ცხოველური ცხიმების კალორიულობის თანაფარდობა. დღეს მინიმალურ სასურსათო კალათაში, დაახლოებით, 20-22 პროცენტის დონეზეა ცხოველური წარმოშობის ცხიმები, ანუ ხორცისა თუ რძის პროდუქტები, თევზი, კვერცხი.

- ანუ გვირჩევენ, პრასით გადით იოლალო?!

- უფრო მეტადაა წარმოდგენილი ხილი, პური, კარტოფილი, შაქარი და აი, ასეთი პროდუქტები. თან 2 300 კილოკალორია ძალიან დაბალი ნორმაა. მენშევიკურ საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების ნორმა იყო 2 800 კილოკალორია. გასაგებია, რომ მაშინ მეტი ფიზიკური დატვირთვა იყო და მეტი ფიზიკური ენერჯია ეხარჯებოდათ ადამიანებს, თუმცა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ 2 650 კილოკალორიაზე ნაკლები არ უნდა იყოს მინიმალური სასურსათო კალათა და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან, განსაკუთრებით სოფლად, შრომის ფონდშიარალება არ არის მაღალ დონეზე, ვფიქრობ, მინიმალური დღიური ნორმა 2 500 კილოკალორია მაინც უნდა იყოს. ანუ სასურსათო კალათა გადასასინჯია როგორც კალორიების ზრდის, ისე საარსებო მინიმუმის სტრუქტურის თვალსაზრისით. პროპორციებში უნდა შემცირდეს მცენარეული წარმოშობის კალორიებისა და გაიზარდოს ცხოველური წარმომავლობის კალორიების რაოდენობა. რაც, ფაქტობრივად, გაზრდის სასურსათო კალათის ღირებულებასაც.

- ჩვენი მეზობლები როგორ ითვლიან მინიმალურ სასურსათო კალათას? იქაც ჩვენი მსგავსი ნორმებია?

- მეტ-ნაკლებად ანალოგიური ვითარებაა, თუმცა იქ პროპორციებია სხვანაირი. მაგალითად, რუსეთში ცხოველური წარმოშობის პროდუქტები გაცილებით მეტია მოხმარების ნორმაში და ღირებულებითაც უფრო ძვირია მათი სასურსათო კალათა. საქართველო არა მხოლოდ ახლა, საბჭოთა პერიოდშიც კი მთელ საბჭოთა სივრცეში პირველ ადგილას იყო პურის მოხმარების მიხედვით და ერთ-ერთ ბოლო ადგილზე – ხორცის მოხმარებით. რაც შეეხება თანაფარდობას: საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის ერთ კილოგრამ პურზე ესტონელები მოიხმარდნენ 987 გრამ ხორცს, ჩვენ კი – 140 გრამ ხორცს. მაშინ, როდესაც იმ დროს საქართველოში მის

ფარგლებს გარედან 75 ათასი ტონა ხორცი და ხორცის პროდუქტები შემოდიოდა.

– არადა, ვითომ ქართველებს ხორცი გვიყვარს?

– გვიყვარს, მაგრამ ის ყოველდღიურ რაციონში უნდა იყოს. დღეს პირდაპირი პარალელის გავლება არ შეიძლება საბჭოთა პერიოდთან, მაგრამ სხვა მაგალითს მოვიტან: დედაქალაქის მერიამ შეამცირა დასუფთავების ტარიფი ზამთრის პერიოდში და ამით საშუალო თბილისურ ოჯახს საშუალოდ დაეზოგა თანხა, რაც საკმარისი იქნება ერთი კილოგრამი ხორცის შესაძენად. დაახლოებით, ასეთი ეკონომია მისცა საკრებულოს გადაწყვეტილებამ თბილისელებს.

– ოღონდ მე ერთი რამ ვერ გავიგე: ზაფხულში კონდიცირება, ანუ გაგრილება, თბილისის საკრებულოს აზრით, მხოლოდ მათი პრივილეგიაა? გამაგრილებელი ხელსაწყოებიც ელექტროენერგიით მუშაობენ.

– ეს გათვლილია იმ ოჯახებზე, რომლებიც ზამთარში დენით თბებიან და ეს მაინც შეღავათია. რაც შეეხება გადასახადებს: იგულისხმება, რომ საარსებო მინიმუმის, 150 ლარის, 70 პროცენტს შეადგენს სასურსათო ხარჯი, დანარჩენი 30 პროცენტი კი უნდა მოდიოდეს არასასურსათო ხარჯებზე: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მომსახურება, კომუნალური გადასახდელები.

– მაგრამ ეს თანაფარდობა ხომ არაადეკვატურია?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს დანესდა 1990-იან წლებში, იმ პერიოდში, როდესაც მეტროს ერქვა „ქართული რულეტკა“, ადამიანის შემოსავალი იყო უკიდურესად მცირე და, ძირითადად, კვების პროდუქტებზე იხარჯებოდა. დღეს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, მაგრამ დარჩა ძველი პროპორციები, რაც უკვე სრული ანაქრონიზმია. მაგალითად, ევროპასა და ამერიკაში ითვლება, რომ, თუ ოჯახი ხარჯების მესამედს ახმარს სურსათს, ის ღარიბია. ჩვენ შეგვიძლია, ავიღოთ 50-პროცენტიანი ზღვარი, რაც სურსათზე მინ-

იმალური ხარჯების უცვლელობის შემთხვევაშიც კი გაზრდიდა საარსებო მინიმუმის ღირებულებას, ხოლო, თუკი ბალანსს ცხოველური და მცენარეული წარმომავლობის კალორიულობას შორისაც ადვადგენდით, მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულებას კიდევ უფრო მეტად გაავზრდიდით.

– აქამდეც არსებობდა არაადეკვატური, მაგრამ მაინც მინიმალური სასურსათო კალათა და გვპირდებიან, რომ ის გახდება ადეკვატური, მაგრამ რას მოგვიტანს ეს? ვთქვათ, ჩაინერა, რომ დღეში უნდა მიიღო 200 გრამი ღორის ხორცი, თუ ამის ყიდვის ფული არ მექნა, რა მნიშვნელობა ექნება ჩემთვის, თუ ცხრილში ათის ნაცვლად ორასი გრამი ჩაინერება?

– ნებისმიერ საფრენ აპარატს აქვს სიმაღლის მზომი ხელსაწყო ალტიმეტრი, რომელიც ზომავს მანძილს მიწის ზედაპირიდან საფრენ აპარატამდე. ეკონომიკას, ფაქტობრივად, ალტიმეტრი აქვს გაფუჭებული, როდესაც არასწორადაა დათვლილი საარსებო მინიმუმი. და რა მოსდის საფრენ აპარატს, რომელიც მუდმივად არასწორ სიმაღლეს აჩვენებს?!

– რალაცას შეეჯახება, ადრე თუ გვიან?

– დიახ, კატასტროფას განიცდის. რეალურად დათვლილი სასურსათო კალათა დაგვანახვებს რეალურ სურათს, რომლითაც გავიგებთ, თუ რამდენი გვჭირდება იმისთვის, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფმა ოჯახებმა დაძლიონ ეს სიღარიბე; რა სოციალური პოლიტიკაა საჭირო იმისთვის, რომ ადამიანი სახელმწიფოზე კი არ იყოს ჩამოკიდებული, არამედ შევუქმნათ პირობები, თვითონ დასაქმდეს და მიიღოს საკუთარი შემოსავალი. ამისთვის გვჭირდება რეალური საარსებო მინიმუმის დათვლა.

– ჩვენს მეზობლებს ჩვენზე მსუყე მინიმალური სასურსათო კალათა აქვთ?

– არ ვიცი, რომ იქ სრული იდილიაა, ასეა თუ ისე, ყველანი საბჭოთა შინელიდან ვართ გამოსული, მაგრამ მათთან საარსებო

მინიმუმი ჩვენსაზე შედარებით გაცილებით მაღალია. მაგალითად, სომხეთში ეკონომიკური განვითარების დონე საქართველოსას უტოლდება, თუმცა საარსებო მინიმუმი იქ ჩვენზე მაღალია; გაცილებით მაღალია აზერბაიჯანში, უკრაინის საარსებო მინიმუმს ხომ საერთოდ ვერ შევედრებით, არადა, საქართველოს დონეზეა განვითარებული. ამას გარდა, საარსებო მინიმუმს უკავშირდება ბევრი სხვა ინდიკატორი, მათ შორის პენსია და საშუალო ხელფასი. ჩვენს მეზობელ ქვეყნებში პენსიის ოდენობა ახლოსაა საარსებო მინიმუმთან, ხოლო საშუალო ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობა ძალიან მცირეა. ჩვენთან, დაახლოებით, ექვსჯერადი სხვაობაა პენსიასა და საშუალო ხელფასს შორის, იქ კი - დაახლოებით, 2,6-ჯერადი. ამიტომაცაა აუცილებელი, რომ სასურსათო მინიმუმი რეალურად დაითვალოს. თუმცა მე ვერ ვიზიარებ მათ მოსაზრებას, ვისაც მიაჩნია, რომ ერთდროულადაა შესაძლებელი საარსებო მინიმუმის გაზრდაც და მინიმალური პენსიის მატებაც. ნათქვამია, რომ ორმოს ორი ნახტომით ვერ გადაახტებო.

– ჯერ რომელი უნდა გაიზარდოს? საარსებო მინიმუმი?

– საარსებო მინიმუმის გაზრდა სახელმწიფოსგან არ ითხოვს დამატებით რესურსს. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ სახელმწიფო აცხადებს, ჩემს ტერიტორიაზე მოქმედებს ფასების ასეთი სისტემა და ადამიანის არსებობისთვის საჭიროა ამდენი და ამდენი ლარი. ამის შემდეგ კი იღებს ვალდებულებას, რეალური საარსებო მინიმუმიდან, 220 ლარიდან, ნელ-ნელა აანაზღაუროს ჯერ 70, შემდეგ 80 და ასე შემდეგ პროცენტით. რასაკვირველია, ცხოვრება იცვლება, წინ მიდის და, თუ დღეს საარსებო მინიმუმი 220 ლარია, ის შეიძლება, ხვალ გახდეს 250 ლარი და ასე შემდეგ. მაგრამ ამით გვეცოდინება, რა მდგომარეობაშია ქვეყნის მოსახლეობის რალაც ნაწილი და რამდენი ადამიანია ამ ზღვარს მიღმა.

– ჩვენი და სომხეთის ეკონომიკა თანაბარ დონეზეაო, მაგრამ იქ საარსებო მინიმუმიც მეტია და მინიმალური პენსიაც, არადა,

ჩვენ ვამბობდით, რომ უზარმაზარი ბიუჯეტი გვქონდა, რა ხდება? უყაირათოდ ვხარჯავდით? აქვს რეზერვები ჩვენს ბიუჯეტს?

– ერთ-ერთ მიზეზად მე დავასახელებ ის, რომ ჩვენი მოსახლეობა უფრო დაბერებულია, ვიდრე სომხეთის და აზერბაიჯანის, ანუ ყოველი ასი კაციდან ჩვენ უფრო მეტი პენსიონერი გვყავს, ვიდრე მათ. ეს ნიშნავს, რომ უფრო მეტი რესურსის მობილიზება გვჭირდება. ამიტომ უფრო ეფექტიანი უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკა, რომ ამ გამონვევებს გაუძლოს.

– დაბერებას რომ გავუძლოთ?

– ის ცოდვები, რაც წინა ხელისუფლებას აქვს, თავისთავად რჩება ძალაში და მათ უარყოფას არავინ აპირებს, მაგრამ ობიექტური რეალობაც უნდა აღვნიშნოთ. ჩვენი მოსახლეობა არა მხოლოდ დაბერებულია, არამედ დაბერების პროცესი კვლავაც გრძელდება. მაგალითად, აზერბაიჯანს ყოველ 100 პენსიონერზე 15 წლამდე ასაკის სამჯერ მეტი ბავშვი ჰყავს, ვიდრე ჩვენ; თურქეთს – 4-ჯერ მეტი, სომხეთს – 80 პროცენტით, ანუ თითქმის 2-ჯერ მეტი. ჩვენ კი ვლავარაკობთ დემოკრატიაზე, სამართლიანობის აღდგენაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე...

– ხშირად მიფიქრია, ვისთვის გვინდა ტერიტორიები, თუ მათ ვერც კი ავაკსებთ?

– ეს დემოგრაფიული პრობლემა სათანადო ყურადღების გარეშე რჩება და ეს ჩვენი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ისევ საარსებო მინიმუმს რომ დავუბრუნდეთ: აშშ-სთან, ფასების მიხედვით, 60-პროცენტთან ზღვარზე გავვდით.

– ანუ, რაც იქ 100 დოლარი ღირს, ჩვენთან ღირს 60 დოლარი.

– დიახ, მაგრამ ჩვენი საარსებო მინიმუმი მათ მაჩვენებელთან შედარებით 9-10 პროცენტის დონეზეა. არ შეიძლება, იყოს ასეთი შეუსაბამობა. თანაც, ვისი შემოსავალიც ნაკლებია, ყველაზე მეტად ისინი გრძნობენ ინფლაციას, ვიდრე დანარჩენები. მაგალითად, პენ-

სიონერი თავის პენსიას ხარჯავს მხოლოდ კვების პროდუქტებზე, მაშინ, როდესაც კვების პროდუქტები უფრო სწრაფად ძვირდება, ვიდრე სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტები. როდესაც პური 5-10 თეთრით ძვირდება, პენსიონერი ამას პირდაპირ გრძნობს. ამიტომ რეალურად დასათვლელია არა მარტო საარსებო მინიმუმი ზოგადად, არამედ საარსებო მინიმუმი ოჯახების, სოციალური ტიპებისა და ასაკობრივი ცენზის მიხედვითაც. ამის გაანგარიშება სირთულეს არ წარმოადგენს, მთავარია, როგორი პასუხისმგებლობით მივუდგებით აღნიშნული ინდიკატორების გაანგარიშებას.

**ვინ მიეკუთვნება საქართველოში მდიდარ,
შეკლებულ, საშუალო, სოციალურად და
აბსოლუტურად ღარიბთა კატეგორიას და
როგორ უნდა გამოითვალოს თქვენი ოჯახის
სოციალური სტატუსი**
№50, 10-16.12.2012

მიუხედავად რვა მილიარდამდე გაზრდილი ბიუჯეტისა, ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, ღარიბია და განვითარებადი ქვეყნების რიცხვშია. თუმცა, ამის პარალელურად, არის კიდევ ერთი უსიამოვნო და არაჯანსაღი ტენდენცია. ჯერ ერთი, ღარიბები რიცხობრივად საგრძნობლად აღემატებიან მდიდრებს და, რაც მთავარია, მათ შორის სხვაობა (შემოსავლებისა და ცხოვრების დონის თვალსაზრისით) ზომამე მეტად დიდია. *რამდენი ოჯახი მიეკუთვნება საქართველოში ღარიბთა კატეგორიას, როგორს ეწოდება საშუალო შეძლების და რამდენად დაღმარებულია ქართველ მდიდართა ცხოვრება, რით განსხვავდება ქართველი ღარიბი და მდიდარი როგორც პოსტსაბჭოელი, ისე დასავლელი ღარიბ-მდიდრისაგან და არის თუ არა მოსალოდნელი განჭვრეტად მომავალში საქართველოს მოსახლეობის ნელში გამართვა?* - ამ შეკითხვებზე პასუხს ექსპერტი ოსებ არჩვაძე გაგვცემს.

- ვინ მიიჩნევა ჩვენს ქვეყანაში ღარიბად და ჩვენი რამდენი მოქალაქე მიეკუთვნება ამ კატეგორიას?

- თქვენმა კითხვამ გამახსენა ძველი მექსიკური ფილმი: „მდიდრებიც ტირიან“. სიღარიბეს სხვადასხვა ასპექტი აქვს: ეკონომიკური, სტატისტიკური, ემოციური და სოციალური. ეკონომიკური ასპექტი შეიძლება განისაზღვროს გარკვეული პარამეტრებით და შემოსავლის ან ხარჯების სიდიდის მიხედვით კონკრეტული ადამიანი, ოჯახი, შინამეურნეობა მივაკუთვნოთ მდიდართა ან ღარიბთა კატე-

ეგორიას. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ იმდენად განვითარდა პროცესები და ისე მოხდა სოციალური დიფერენცირება საზოგადოებაში, საზოგადოების ტრადიციული სამფენოვანი დაყოფა უკვე აღარ არის საკმარისი. ამიტომ მდიდრებსა და საშუალო ფენას შორის თავის ადგილს იჩემებს შეძლებულთა კატეგორია, ხოლო საშუალო ფენის ქვემოთ დანაწევრება უნდა მოხდეს სოციალური ნიშნით ღარიბებსა და აბსოლუტურად ღარიბებს შორის. ამ უკანასკნელთა შესაძლებლობები უკიდურესად შეზღუდულია. მათი რესურსების ძირითადი ნაწილი მიმართულია მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და აღარ რჩებათ არანაირი სახსარი მინიმალურ დონეზე სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად: წიგნის შესაძენად, კინოში წასასვლელად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ა.შ. ადამიანთა კატეგორია, რომელთა შემოსავალი სიღარიბის ზღვარზე გაცილებით (სულ ცოტა, 2-ჯერ მაინც) ნაკლებია, ლატაკთა კატეგორიას მიეკუთვნება. ამიტომ, თანამედროვე რეალობა მოითხოვს, სულ ცოტა, 5 სოციალური ფენის გამოყოფას: მდიდარი, შეძლებული, საშუალო, სოციალურად ღარიბი და აბსოლუტურად ღარიბი მოსახლეობა, ხოლო ამ უკანასკნელ კატეგორიაში კი კიდევ ლატაკთა კატეგორიის გამოყოფას.

- მაგრამ გაცილებით ოპტიმისტური რომაა ჩვენი სტატისტიკური მონაცემები?

- მე სპეციალურად ამოვიწერე სტატისტიკის სამსახურის საიტზე ინფორმაცია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილის შესახებ. ეს წილი განუხრელად მცირდება 2009 წლიდან. მაგალითად, თუ 2009 წელს სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებოდა მოსახლეობის 9.9 პროცენტი, 2010-ში - 9.7, 2011-ში კი - 9.2 პროცენტი. რა თქმა უნდა, ეს მონაცემები საკმაოდ დაშორებულია რეალობას.

- აბა, როგორ ახერხებენ ამ ციფრების გამოყვანას?

- რამდენჯერმე შეიცვალა სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების მეთოდიკა. ჩვენთან ერთმანეთს ხელოვნურად დააცილეს საარსე-

ბო მინიმუმისა და სიღარიბის ცნებები. როდესაც ამბობებენ, რომ „საარსებო მინიმუმი არის 150 ლარი“, ნორმალურ პირობებში ეს უნდა გულისხმობდეს, რომ თუ თქვენ 151 ლარი გაგაჩნიათ, უკვე აღარ მიეკუთვნებით ღარიბთა კატეგორიას, მაგრამ, ჩვენთან ვის მოუბრუნდება ენა თქვას, რომ ვისაც აქვს 151-ლარიანი შემოსავალი, ღარიბი აღარ არის?! თუნდაც 200-ლარიანი შემოსავლის მქონეც თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ღარიბთა კატეგორიას. ამიტომ ჩვენთან, სამწუხაროდ, სიღარიბის ცნება, ყინულოვან სფეროს მოწყვეტილი აისბერგით, ფაქტობრივად დრეიფშია. ისე, ამ მდგომარეობას აქვს გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური დატვირთვა: რაც უფრო ნაკლები მოსახლეობა იქნება ამ ნიშნულს ქვემოთ, ხელისუფლებას ექნება ფორმალური საფუძველი განაცხადოს: ცხოვრება წინ მიდის!

- ეს იმას არ გავს, ბრმას რომ ცოლი მოუკვდება და არ ვუთხრათო?

- ამიტომაც სიტუაცია რეალურად უნდა შევავასოთ. თუ ადამიანს ნნევა აწუხებს, მას თითზე ბრილიანტი კი არ უნდა წაუფსვათ, არამედ შესაბამისი წამალი უნდა დავაღვეინოთ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არ მალავენ რეალურ მდგომარეობას, მიუხედავად იმისა, რომ 30 წელიწადზე მეტია, ატარებენ ფართომასშტაბიან პოლიტიკას სიღარიბის წინააღმდეგ. სახელმწიფოსაგან სასურსათო ტალონების მიმღებ ღარიბთა კონტინგენტი 2000 წლის 16 მილიონიდან 2011 წლისთვის 47 მილიონამდე გაიზარდა. იქ სიღარიბის ზღვარი და საარსებო მინიმუმი იდენტური ცნებებია და, ფაქტობრივად, სინონიმებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენთან ასეთი რამ არ არის და ამიტომ ვიღებთ არასწორ ინფორმაციას.

- გამოდის, რომ ჩვენ უფრო ნაკლები ღარიბი გვყავს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს?

- ოფიციალურად, ამერიკაში მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტია ღარიბი, ჩვენთან კი - მხოლოდ 9.3 პროცენტი. გასათვალის-

წინებელია, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მყისიერად აღმოვჩნდით ტოტალური დიფერენციაციის პირობებში: გაჩნდა მოსახლეობის მალალშემოსავლიანი და დაბალშემოსავლიანი კატეგორიები, რომელთა შორის სხვაობა კატასტროფულად გაიზარდა. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველ ადგილზეა ქონებრივი და საშემოსავლო დიფერენციაციის მიხედვით. მაგალითად, ყველაზე მდიდარი 10 პროცენტის შემოსავლების თანაფარდობა ყველაზე ღარიბ 10 პროცენტის შემოსავლებთან ჩვენთან 18-მდეა (მხოლოდ ფულადი შემოსავლებით ეს განსხვავება 28-მდეც კი აღის), მაშინ, როდესაც რუსეთში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 13-ია, ბალტიისპირეთში კი არ აღემატება 10-ს. კიდევ უფრო დაბალია ეს მაჩვენებელი გერმანიასა და საფრანგეთში, ფინეთში კი, საერთოდაც, მხოლოდ 5.6-ია. მეორე მაგალითსაც მოვიყვან: შემოსავლების მიხედვით 10 ჯგუფად რომ დავეყოთ ახლანდელი მოსახლეობა და შევუდაროთ საბჭოთა დროის იმავე კატეგორიის მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობას, ასეთ სურათს მივიღებთ: ახლანდელი 75 პროცენტის საშუალო შემოსავალი მაშინდელი 75 პროცენტის საშუალო შემოსავალზე დაბალია, მაგრამ დარჩენილი 25 პროცენტის შემოსავლები აჭარბებს მაშინდელი 25 პროცენტის შემოსავლებს.

- ანუ ნაწილი უზომო გამდიდრდა, ნაწილი კი უღმერთოდ გაღატაკდა?

- დღევანდელი ყველაზე დაბალშემოსავლიანი სოციალური ჯგუფის შემოსავალი არის 18-20 პროცენტის დონეზე საბჭოთა დროს დაბალი შემოსავლების მქონეთა შემოსავლებთან შედარებით. მართალია, ეს ექსპერტული შეფასებაა, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი ინდიკატორის გვაიძულებს ასეთი დასკვნების გაკეთებას.

- რას ნიშნავს სოციალურად ღარიბი?

- გეტყვით კონკრეტულ კრიტერიუმებს. გახსოვთ, ილიკო ჩიგოგიძე (ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) რომ ამ-

ბობს ერთზე: სოფელში რომ ჩამოვიდა, ცალ-ცალი კალოში ეცვა, ეხლა კი რეზინის ჩექმებშია გამოჭიმულიო. მაშინ, 1940-იან წლებში, რეზინის ჩექმა ითვლებოდა წარმატებულობისა და სიმდიდრის ნიშნად. შემდეგ ეს იყო ფერადი ტელევიზორი, მობილური, მსუბუქი ავტომობილი, „აიპადი“, „აიპოდი“ და ა.შ.

- ყველა პერიოდს თავისი „რეზინის ჩექმები“ აქვს...

- დიახ. მაგალითად, ევროპაში მიიჩნევენ, რომ საშუალო ფენას მიეკუთვნება დასაქმებული პიროვნება, რომელსაც ოჯახში ჰყავს ორი ავტომობილი, აქვს სახლი ან ბინა, რომელშიც არის ოჯახის წევრთა რაოდენობის ტოლი საძინებლები, პლუს ერთი საერთო ოთახი, აქვს საბანკო ანგარიში, რომელზეც რიცხული თანხის ოდენობა უდრის საარსებო მინიმუმის თვრამეტმაგ ოდენობას და აგარაკი. კიდევ ერთი. იქ მიჩნეულია, რომ ოჯახმა სოლიდარობის ნიშნად კვირაში ერთხელ მაინც რესტორანში ერთობლივად უნდა ისადილოს. ჩვენ ამ კრიტერიუმებით რომ მივუდგეთ საქართველოში არსებულ ვითარებას, გამოვა, რომ ჩვენთან, ფაქტობრივად, არანაირი საშუალო ფენის ადამიანი არ არის. არსებობს კიდევ ერთი კრიტერიუმი: ჯერადი მეტობა ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან. რადგან ჩვენთან საარსებო მინიმუმი და სიღარიბის ზღვარი სხვადასხვა ცნებაა, მიჩნეულია, ყოველ შემთხვევაში, ეკონომისტების უმრავლესობა ვთანხმდებით, რომ ოჯახები, რომელთა შემოსავლები საარსებო მინიმუმის სამჯერამდეა, არიან აბსოლუტურად ღარიბები. თუ ოთხსულიანი ოჯახისათვის საარსებო მინიმუმი 250 ლარია, ესე იგი 750 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახი უნდა მიეკუთვნებოდეს აბსოლუტურად ღარიბს. ოთხსულიან ოჯახისათვის ეს სახსრები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მან, გარდა მიმდინარე ხარჯებისა, კომუნალური გადასახადებისა და კვებისა, სხვა რამეზე გასწიოს ხარჯი. ამის შემდეგ მოდიან სოციალურად ღარიბი ოჯახები, რომელთაც აქვთ 750-დან 1500 ლარამდე შემოსავალი. მათ აქვთ საკმარისი საშუალება, რომ კვების პროდუქტებზე ხარ-

ჯები დაფარონ და სხვა მიმდინარე მოთხოვნილებებიც დაიკმაყოფილონ, მაგრამ გაფართოებული საქმიანობისათვის სახსრები აღარ ჰყოფნით.

- ესე იგი, მე სოციალური ღარიბი ვყოფილვარ, სადღაც ზღვარზე....

- ოთხსულიანი ოჯახების 72 პროცენტი სოციალურად ღარიბია საქართველოში. დაახლოებით 10 პროცენტამდეა საშუალო ფენა და მათი შემოსავალია 1500-დან 2500 ლარამდე. შემდეგ უკვე მოდის შეძლებულთა კატეგორია, 2.5 ათასიდან 15 ათასამდე შემოსავლებით, ხოლო 15 ათას ლარზე მეტი შემოსავლის მქონენი კი მდიდართა კატეგორიას მიეკუთვნებიან.

- თუ ჩვენთან ოთხსულიანი ოჯახების 72 პროცენტი სოციალურად ღარიბია, მაღალჩინოსნების აბსოლუტური რაოდენობა მდიდარია.

- თუ, რა თქმა უნდა, ლეგალურ შემოსავალს გავითვალისწინებთ, არალეგალური, არადეკლარირებული შემოსავლები კი, შესაძლოა, უფრო მეტიც ჰქონდეთ. ასევე, მაღალია ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები. საბანკო სფეროში არის ადამიანთა კატეგორია, რომელთა ანაზღაურება რამდენიმე ათეული ათასი ლარია ყოველთვიურად. აღარაფერს ვამბობ მარეგულირებელი კომისიების წევრთა ხელფასებზე. ამდენად, შემოსავლის მიხედვით მოსახლეობის დიფერენცირება საკმაოდ მაღალია. და კიდევ: ჩვენი მოსახლეობის 8-9 პროცენტის შემოსავლები 250 ლარზე ნაკლებია. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში თითქმის 420 ათასი ადამიანი ურთულეს პირობებში არსებობს და მათ უკიდურესად უჭირთ.

- გამოსავალი რა შეიძლება იყოს?

- ბიზნესისათვის იმ რწმენის დაბრუნება, რომ მათ სახელმწიფოსთან მხოლოდ საქმიანი, კომპლიმენტარული ურთიერთობები ექნებათ, რომ მათ საქმიანობას არ დაემუქრება არანაირი დამატებითი გადასახადი და ბიუჯეტთან ურთიერთობა აგებული იქნება მს-

ოლოდ საგადასახადო კოდექსის მიხედვით. ეს აუცილებლად გააჩენს დამატებით სტიმულს, შემდეგ - დამატებით სამუშაო ადგილებს და ბოლოს - დამატებით შემოსავალს. დღეს დიდი ბრძოლაა, თუ რამდენი უნდა იყოს საარსებო მინიმუმი და რამდენი - მინიმალური პენსია. ჩვენი ეკონომიკა გავს მცირე ზომის ნამცხვარს, რომლის განაწილებისას ვცდილობთ შევძლოთ შეუძლებელი - თითოეულს შევახვედროთ დიდი ნაჭერი. არადა, ჯერ უნდა ვიზრუნოთ მთელი ნამცხვრის ზომის გაზრდაზე. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს აზრი ზრუნვას მის სამართლიან, თანაბარ დიდ ნაჭრებად განაწილებაზე. მხოლოდ ასეთ რეჟიმში თუ დაძლევს ქვეყანა სიღარიბეს. ჯერჯერობით კი ამ მხრივ სერიოზული პრობლემებია. თუმცა, შეგვიძლია ვისარგებლოთ სტატისტიკის მონაცემებით, თავი დავიმშვიდოთ და ვთქვათ, რომ „ჩვენთან სიღარიბის მაჩვენებელი 9.3 პროცენტია“, რომ „ისრაელსა და ამერიკაში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია“. მაგრამ, ეს ხომ ასე არ არის?!

ჩვენ ვამბობთ, რომ ფასების დონით, ბოლო 8 წლის განმავლობაში ორჯერ და მეტად დაფუძნდით ამერიკის დონეს. ამდენად, იმავე რაოდენობის საქონლის შესაძენად, რასაც 2000 წელს 100 დოლარად ვყიდულობდით, დღეს გვჭირდება 150 დოლარი. ამერიკაში, მაგალითად, მდიდრად ითვლება ოთხსულიანი ოჯახი, თუ მათი წლიური შემოსავალი 500 ათასი და მეტი დოლარია. ჩვენთან ეს მაჩვენებელიც გაცილებით დაბალია და 80-100 ათასი დოლარიდან იწყება. არადა, ფასებით ამერიკის დონის 60 პროცენტზე ვართ უკვე გასული.

- ანუ ჩვენი მდიდარიც კი ამერიკელი ღარიბის დონეზეა?

- ჩვენთან სიღარიბის ზღვარი კრიტიკას ვერ უძლებს. საშუალოდ, სიღარიბის ზღვრად ითვლება 4-სულიანი ოჯახისათვის წელიწადში 1800 დოლარის შემოსავალი, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ამერიკაში არის 24 ათასი დოლარი, ფასებს შორის კი მხოლოდ 40-პროცენტის სხვაობაა. სჯობია, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ

და დავსახოთ შესაბამისი ღონისძიებები. სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში გადასვლა (ქვევიდან ზევით ან პირიქით) ჩვეულებრივი მოვლენაა და იქ სიღარიბის რისკის ზონაში ოჯახების თითქმის 30 პროცენტი რჩება. ამიტომ, იქ კრიტიკულად, ანუ რისკის ზონად, ითვლება სიღარიბის ზღვარზე 25 პროცენტით მეტი შემოსავლის მქონეც.

ჩვენ უნდა ამოვიდეთ რეალობიდან და გავითვალისწინოთ, რომ ამერიკასთან უფრო ახლოს ვართ ფასების დონით, ვიდრე ჩამორჩენილ ქვეყნებთან. ფასების მაღალი დონე კი სტიმულს აძლევს ბიზნესს, სამომხმარებლო სექტორს. ჩვენ ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რევოლუციური ნაბიჯიც კი გადავდგით წინ. მაგრამ ყველაფერს აქვს ოპტიმალური ზღვარი. - თვით გერმანიაშიც კი არ არის ამერიკის შეერთებული შტატების ფასების დონე - მათ შორის 10-12-პროცენტიანი სხვაობაა.

- გერმანია ჩამორჩება ამერიკას ფასების დონით?

- დიახ. მაგრამ, მაგალითად, შვეიცარიაში უფრო მაღალია - 22 პროცენტით; იაპონიაშიც მაღალია. გერმანიაში პრესტიჟულად მიიჩნევა სოციალური სოლიდარობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით გაუმძაფრდათ ეს გრძნობა და მიიჩნევენ, რომ მათი მოქალაქეობრივი მოვალეობაა, დაეხმარონ გაჭირვებულებს. თან, არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. თან, ყოველგვარი ზედმეტი აფიშირებისა და ფიარის გარეშე. ამ მიმართულებით სვლა ცუდი არ არის. მართალია, ევროკავშირის დროშები ჩვენი ყველა სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის კაბინეტს ამშვენებს, მაგრამ ამას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა. ჩვენ უნდა მივდიოდეთ ევროკავშირის ფასეულობებისა და სტანდარტებისაკენ არა მარტო ფასების დონით, არამედ შემოსავლებისა და კეთილდღეობის, სოციალური სოლიდარობის და თანასწორობის მიხედვითაც. 1920 წლის შემოდგომაზე ევროპელი მეორე ინტერნაციონალის ლიდერები გვესტუმრნენ

და მათ იმჟამინდელი მთავრობის წარმომადგენლებმა მოატარეს აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. სტუმრები აღფრთოვანებულები დარჩნენ: ჩვენ ვნახეთ ქვეყანა, რომელიც უნდა გახდეს მოდელი ევროპის სოციალურ-დემოკრატიული მოწყობისაო. მართალია, იმ პერიოდს ძალიან მალე 70-წლიანი საბჭოთა პერიოდი მოჰყვა, მაგრამ, მოდი, ისიც გავითვალისწინოთ, რომ სოციალური სოლიდარობა, რის მაგალითს მაშინ ვაძლევდით ევროპას, ახლა მათგან მაინც გადმოვიღოთ, რადგან მხოლოდ დროშების ფრიალით შორს ვერ წავალთ...

**რა შეითხვევაში წამოართყამენ თავში
ქართულ ბიზნესს რუსულ ბაზარზე
და რატომ არის საქართველო ერთადერთი
კონსტრუქციული ქვეყანა,
რომელშიც არ აზღვევენ დავოზიტებს**

№10, 4-10.03.2013

ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების პროცესი მძიმედ, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. ბუნებრივია, რაც იყო, ის ვითარება ველარ დაბრუნდება, თუმცა ქართულ კომპანიებს საკუთარი გაყიდვების გაზრდის რეალური შესაძლებლობა ეძლევათ. მოვიხმოთ ციფრები: 2000-იან წლებში საქართველოს ექსპორტში ღვინოს მეორე ადგილი ეჭირა. მაგალითად, 2004 წელს ექსპორტის საერთო მაჩვენებელმა 646 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. პირველ ადგილზე შავი ლითონების ჯართი იყო 95 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტით ქვეყანაში 48 მილიონი აშშ დოლარი შემოვიდა. ეს მაჩვენებელი 2005 წელს 81 მილიონ აშშ დოლარამდე ავიდა. ბოთლებში კი მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება: 2004 წელს საქართველომ უცხოეთში 23 მილიონი ბოთლი ალკოჰოლური სასმელი გაყიდა, 2005 წელს – 45 მილიონი ბოთლი. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო მინერალური წყლების გაყიდვების მაჩვენებელიც: 2004 წელს საქართველოდან 19 მილიონი აშშ დოლარის მინერალური წყლები გაიყიდა, 2005 წელს – 32 მილიონის. თუმცა 2006 წელს რუსეთმა ხარისხის გამო დაწუნებულ ქართულ პროდუქციას თავისი ბაზარი გადაუკეტა და ქართულმა ღვინომ და მინერალურმა წყლებმა ექსპორტში პირველი პოზიციები დათმო. მეტიც, საერთო ჯამში, რფ-ის ბაზარზე ღვინის, მინერალური წყლების, ხილის, ციტრუსებისა და ბოსტნეულის აკრძალვით მიღებული ზარალმა საქართველოსთვის, სულ ცოტა, 150-180 მილიონამდე აშშ დოლარი შეადგინა.

რა პერსპექტივა და საფრთხეები ელის ქართულ პროდუქციას რუსულ ბაზარზე? – თემას ექსპერტი იოსებ არჩვაძესთან ერთად მიმოვიხილავთ.

– სტატისტიკის თანახმად, რა ხეირს ნახულობდა საქართველოს ბიუჯეტი, კერძო კომპანიები და მოსახლეობა რუსული ბაზრით 2006 წლის აკრძალვამდე?

– საქართველო წლების განმავლობაში ინტეგრირებული იყო, ჯერ საბჭოთა ერთიან ეკონომიკურ სისტემაში და, შემდეგ, მყარი კავშირები ჰქონდა რუსეთის ფედერაციასთან. თუ ავიღებთ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებს, რუსეთის წილად მოდიოდა საქართველოს მთლიანი საგარეო ბრუნვის, დაახლოებით, 75 პროცენტი, დანარჩენი 25 პროცენტი – სხვა მოკავშირე რესპუბლიკებზე.

– საბჭოთა დროზე ვლადპარაკობთ?

– დიახ. 1988 წლის მდგომარეობით, სანამ აირეოდა სიტუაცია, საქართველოს საგარეო ვაჭრობის სამი მეოთხედი მოდიოდა რუსეთზე, დანარჩენ 13 რესპუბლიკაზე კი – ერთი მეოთხედი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთელ საგარეო ბრუნვაში, სადაც საბჭოთა რესპუბლიკებიც შედიოდნენ და დანარჩენი მსოფლიოც, უცხოეთის წილი, დაახლოებით, 13 პროცენტი იყო, საერთო საგარეო ბრუნვის სამი მეხუთედი რუსეთზე მოდიოდა და ეს ძალიან დიდი ციფრი იყო.

– ანალოგიური სიტუაცია იყო სხვა რესპუბლიკებშიც?

– დიახ, სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკები მიბმული იყვნენ რუსეთზე და სამხრეთკავკასიური შიდა კოოპერაცია იყო ძალიან დაბალი. ყველა დაკავშირებული იყო ცენტრთან. ტექნოლოგიურად კოოპერაციის რესურსი არსებობდა, მაგრამ ცენტრი არ იყო დაინტერესებული სამხრეთ კავკასიაში საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კოოპერირების გაძლიერებით. დაიშალა საბჭოთა კავშირი და რუსეთის წილი საგარეო ბრუნვაში შემცირდა ჯერ 30 პროცენტამდე, შემდეგ კი – 20-22 პროცენტამდე. 1990-იანი წლების

ბოლოს რუსეთში, ძირითადად, მინერალური წყლების, ღვინისა და ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი ხდებოდა. ღვინის მთლიანი ექსპორტის დიდი წილი კვლავ რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა. მაგალითად, 2005 წელს რუსეთის ფედერაციის წილი ღვინის ექსპორტის ღირებულებაში 77 პროცენტს, ხოლო ნატურით გაცილებით მაღალ წიშნულს - 85 პროცენტს აღწევდა. ესე იგი, ღვინის ექსპორტში ერთ მხარეს იყო რუსეთი და მეორე მხარეს – დანარჩენი ქვეყნები. თანაც, რუსეთში გატანილი ღვინომასალების ღირებულება დანარჩენ მსოფლიოში გატანილთან შედარებით გაცილებით (დაახლოებით 1.7-ჯერ) დაბალი იყო. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: რუსეთში გადიოდა დაუფასოებელი ღვინო კონტეინერებში და უფრო დაბალი ხარისხისა დანარჩენ მსოფლიოში ექსპორტირებულთან შედარებით.

– იტანდა რუსეთის ბაზარი, თორემ ხომ არ გავიდოდა?

– დიახ, იტანდა, თუმცა ეს არ იყო მხოლოდ ქართველი მეღვინეებისა და ექსპორტიორების სარგებელი. იმ პერიოდში მოსკოვში მიწახავს არარეალურად დაბალ ფასად - 3-4 აშშ დოლარად - „ხვანჭკარა“ და სხვა, აშკარად ფალსიფიცირებული ქართული ბრენდული ღვინოები. აქედან გატანილ ღვინოს ადგილზე ხვდებოდა „სუროგატი ძმა“ და ორივე ერთად ითვისებდა რუსულ, თითქმის უსასრულო ბაზარს. ამდენად, 2006 წლის დასაწყისში რუსეთის მიერ ქართული პროდუქციის აკრძალვას, წმინდა პოლიტიკური დემარშის პარალელურად, ღვინოსთან მიმართებაში თავისი ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა.

ჩვენი მეწარმეების დიდი ნაწილი დიდი იმედით ხვდება ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნებას, თუმცა პირადად მე, დიდი მოლოდინი არ მაქვს. დიდი მოლოდინი ბაზრის დიდი სემენტის დაპყრობისა იმ ქვეყანაში, რომელთანაც საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობები, ძალიან თამამი და ოპტიმისტური ვარაუდია.

შესაძლოა, დაინტერესებულმა პირებმა რუსეთში დაიწყონ ქართული ღვინის ფალსიფიცირება, რის გამოც მე სხვა პრობლემასაც ვხედავ: ვინ დაიცავს ქართველი ბიზნესის ინტერესებს რუსეთის ფედერაციაში? როგორ მოხდება ანგარიშსწორება, პირობების დაცვა?! ეს ხომ ის კლასიკური ბაზარი არ არის, რომელიც ჩვენ ევროპასა და აზიის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში გვხვდება?! რუსეთის ბაზარი ახლა ყალიბდება და იქ სულ ახლახან დამთავრდა სფეროების დიდი გადანაწილება გახსოვთ ალბათ: 1990-იან წლებში დღე არ გავიდოდა, ამ მიზეზით ვინმე არ მოეკლათ.

- თუმცა, რუსეთის ბაზარზე მთელი მსოფლიო მუშაობს, მათაც იგივე პრობლემები აქვთ თუ ჩვენ დაბალი ღირებულების პრინციპით მოგვიდგებიან?

- ჩვენ ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები განწყვეტილი გვაქვს და მე არ მინდა, ქართული ბიზნესი რუსეთში იყოს თავში წამოსარტყმელი. ჩვენ გვჭირდება ისეთი ავტორიტეტული სტრუქტურები და ინსტიტუტები, რომლებიც თვალყურს მიადევნებენ ქართული ინტერესების დაცვას, მათ შორის, ბიზნესის სფეროში, რუსეთის ფედერაციაში.

- ორიოდ კვირის წინათ მედვედევმა თქვა, ჩვენ არ შევუშვებთ ქართულ ღვინოს რუსეთის იმ რეგიონებში, სადაც არის ღვინის ადგილობრივი წარმოება. ასეთი წესია რუსეთში? კრასნოდარის მხარეში არ უშვებენ ფრანგულ ღვინოებს?

- არ მგონია, ეტყობა, ეს სურვილის დონეზეა. მაგრამ ყველაფერი ვერ გადაწყდება სურვილის დონეზე, რადგან რუსეთი, ბოლოს და ბოლოს, გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი.

- ამ ორგანიზაციის წევრობა არ არის მექანიზმი, რომელიც დაიცავს ქართული ბიზნესის ინტერესებს რუსულ ბაზარზე?

- ამ ორგანიზაციის პირობაა, რომ ყველასთვის თანაბარი მდგომარეობა შეიქმნას და რაც ერთისთვისაა დასაშვები, ავტომატურად გავრცელდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა სხვა წევრ

ქვეყანაზე. ამდენად, ეს ორგანიზაცია მსოფლიოში თავისუფალი და ერთიანი წესებით ვაჭრობის დამცველი ინსტიტუტია და კიდევ ერთი საკითხი: რუსული ბაზარი უკვე ათვისებულია, განაწილებულია და ქართულ პროდუქციას ხელგაშლილი ნამდვილად არ ხვდება. გასული საუკუნის 1970-იან წლებში გადაღებულ ფილმებში რესტორანი „არაგვი“ და ღვინო „წინანდალი“ ბრენდებად ითვლებოდა. დღეს, რა თქმა უნდა, მოსკოვში არის რამდენიმე ათეული ქართული რესტორანი, მაგრამ სხვა ქვეყნების ეგზოტიკური დატვირთვის მქონე სამზარეულოების ფართო არჩევანიცაა. დივერსიფიცირებულია იქაური ბაზარი.

ერთ მაგალითს გავიხსენებ: გასული საუკუნის 90-იან წლებში მოსკოვში გაიხსნა სწრაფი კვების ობიექტი „მაკდონალდსი“ და ამ **სწრაფი კვების** ობიექტში რომ მოხვედრილიყავი, უფრო დიდხანს უნდა მდგარიყავი რიგში, ვიდრე ლენინის მავზოლეუმთან. აი, ასეთი ალოგიკური სურათი იყო: **სწრაფი კვების** ობიექტში მოსახვედრად გინევდა რიგში **ხანგრძლივი** დგომა. ახლა ასეთი პრობლემა აღარ არსებობს, იმიტომ რომ სწრაფი კვების ძალიან ბევრი ობიექტია მოსკოვში, სხვა ქალაქებშიც და რიგის პრობლემა მოხსნილია. ამდენად, ქართულ სამზარეულოსა და ქართულ ღვინოს ბაზრის საკუთარი სეგმენტის ხელახლა დასაკავებლად სერიოზული კონკურენციული ბრძოლა მოუწევთ და რამდენად წარმატებული იქნება ეს პროცესი, წინასწარ ძნელი სათქმელია.

– **მაშინ არც ისე მაღალი ხარისხის ღვინოს ვანარმოებდით, თუმცა უფრო ბევრს, დღეს კი იმდენს ვეღარ ვანარმოებთ, მაგრამ სამაგიეროდ, ხარისხია მაღალი.**

– თანაც, ჩვენ მხოლოდ ღვინის ექსპორტზე კი არ უნდა ავიღოთ აქცენტი, არამედ უნდა შევეცადოთ, მომსახურების ექსპორტიც მოვახდინოთ. ეს ნიშნავს, რომ მოვახერხოთ უცხოელი ტურისტების ჩამოყვანა საქართველოში და მათ ისეთი სერვისი და კომპლექსური მომსახურება შევთავაზოთ, რომელში ღვინოც შევა და ჩვენი ისტო-

რიისა და კულტურის გაცნობაც. კარგი ხარისხის ღვინის გასაღების პრობლემა მისი მარტო ქვეყნის გარეთ გატანა კი არ არის, არამედ ქვეყნის შიგნით მისი რაციონალური და კომპლექსური მიწოდება, რაც გაცილებით მეტ შემოსავალს მოუტანს სახელმწიფოს, ვიდრე ღვინის შიშველი გატანა და დახლებზე დანყოფილება. ამდენად, ჩვენ უნდა შევუთავსოთ ერთმანეთს ეს ორი ფორმა: საქონლის ექსპორტი და ღვინის გატანასთან დაკავშირებული მომსახურების ექსპორტი.

– თუკი ღვინისა და მინერალური წყლების შემთხვევაში უფრო მარტივია ხარისხის შემოწმება, ხილ-ბოსტნეულის შემოწმება უფრო რთული არ არის?

– აქ მე სხვა პრობლემას ვხედავ: ბოლო პერიოდში ვრცელდება ინფორმაცია, რომ უცხოელები ითვისებენ მიწებს, რომ ალაზნის მარცხენა სანაპირო იყიდეს ინდოელებმა. მაგალითად, წერენ, რომ ერთ-ერთმა ინდოელმა ინდოეთში ერთი ჰექტარი მიწის გაყიდვით 200 ჰექტარი იყიდა საქართველოში. ეს რას ნიშნავს? რომ ჩვენთან ერთეული მიწის ფასი 200-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ინდოეთში. რომ შევადაროთ ინდოეთი და საქართველო, საქართველო უბრალოდ ფიზიკურად ვერ გაუძლებს ამას. გეოგრაფიაში გვასწავლიდნენ მოსახლეობის სიმჭიდროვის ცნებას: რამდენი ადამიანი მოდის ერთ კვადრატულ კილომეტრზე. პირიქითაც დავითვალოთ.

– რამდენი მიწა მოდის თითოეულ ჩვენს მოქალაქეზე?

– დიახ და ერთ კაცზე გამოვა კვადრატული ფართობი, რომლის თითო გვერდის სიგრძე დაახლოებით 115 მეტრია.

– დასამარხად გვეყოფა, მეტზე რა მოგახსენოთ.

– ერთი გოჯი მიწაა, ინდოეთში კიდევ უფრო ნაკლებია – 50-50-ზე. ჩვენ არ გვაქვს იმის რესურსი, რომ ამდენი უცხოელი მივიღოთ. მიწა აუცილებელია არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანისთვის, არამედ ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო სივრცეს წარმოადგენს. შარშან გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გააკეთა განცხადება, რომ

პოლიტიკამ, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ატარებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნები მულტიკულტურის დანერგვით, კრახი განიცადაო. იმიტომ რომ ევროპაში ჩადის მილიონობით უცხოელი მიგრანტი, მათი ინტეგრაცია ადგილობრივ საზოგადოებაში სუსტად, ან საერთოდ ვერ ხორციელდება. ისინი ქმნიან თავიანთ ჩაკეტილ სისტემებს, კომუნებს, არ ემორჩილებიან ადგილობრივი ცხოვრების წესს და ცხოვრობენ თავიანთი კულტურისა და რელიგიის კარნახით, რაც დისონანსში მოდის ადგილობრივთა, ავტოქტონური მოსახლეობის ცხოვრების წესთან. თუ ეს პრობლემა გააჩნია ოთხმოც მილიონიან გერმანიას, სამოც მილიონიან საფრანგეთს, საქართველოში ხომ სულ სამნახევარი მილიონი ქართველი ცხოვრობს?! ასეთი კოროზია, რასაც გამოიწვევს ინდოელებისა თუ ჩინელების კომპაქტური დასახლებები, მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც უკავშირდება არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ მთლიანობაში ქვეყნის სოციალური და დემოგრაფიული მდგრადობის შენარჩუნებას. ჩვენ ახლა რუსეთის ბაზრისკენ ვიყურებით, მაგრამ ზურგიდან ასეთი საფრთხე გვემუქრება.

– რით შეიძლება დავაზღვიოთ რუსეთის ბაზარზე არსებული რისკები? ერთ დღეს ხომ შეიძლება, ისევ ჩავვიკეტონ?

– დაცვის აბსოლუტური გარანტია არ არსებობს. მაგალითად, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სადაც არ არის მიღებული კანონი დეპოზიტების დაზღვევის შესახებ. თუ თქვენ გაქვთ დეპოზიტი ბანკში და ის ბანკი გაკოტრდება, მხოლოდ ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, დაგიბრუნოთ თუ არა თანხა, ანუ ინსტიტუციურ დონეზე თქვენი დეპოზიტი დაზღვეული არ არის. მით უმეტეს, რთულია უცხო ქვეყნის ბაზრის რისკების დაზღვევა, თუმცა ერთგვარი დაზღვევა სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის ზრდა. მოსკოვში არის ადგილი, სადაც მხატვრები ჰყიდიან თავიანთ ნამუშევრებს. ათიოდე წლის წინათ გავიარე და რამდენიმე ქართველ მხატვარს გამოველაპარაკე.

მათ მითხრეს, როდესაც საქართველოში სიტუაცია არეული იყო, მილიციაც და მოსახლეობაც აგდებულად გვექცეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოში ვითარება ცოტა დაწყნარდა, ჩვენც უფრო მორიდებით გვეპყრობიანო. ამდენად, ყველაზე მთავარი დაცვა არის ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური გაძლიერება. თუ მოხერხდა სამოქალაქო მშვიდობის დამყარება და გარკვეული კონსენსუსი პოლიტიკურ ძალებს შორის, ეს კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს ბიზნესისთვის გარანტიების შექმნისთვის არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

**რატომ ითვლება დასავლეთში
პენსიონერები ყველაზე შექცეულ ფენად
და რატომ იღუპება საქართველოში
ყოველწლიურად ერთ წლამდე ასაკის
800 ბავშვი**

№15, 8-14.04.2013

კვლევის თანახმად, მსოფლიო რეიტინგში კეთილდღეობის მაჩვენებლით საქართველოს პენსიონერები 89-ე ადგილს იკავებენ. ამის პარალელურად, ცნობილია გაეროს მონაცემიც, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში, საშუალოდ, ერთ წლამდე ასაკის 800 ბავშვი იღუპება, მათგან 300-ის დაღუპვის მიზეზი, სწორედაც რომ, საკვების უკმარისობაა. ეს ორი მაჩვენებელიც მოწმობს, რომ, რაგინდ მრავალი ავტობანი ავაშენოთ, ევროსტანდარტებამდე ძალიან შორია. **იოსებ არჩვაძესთან** ერთად მიმოვიხილავთ ამ სავალალო სტატისტიკის მიზეზებსა და მათი შეცვლის შესაძლებლობებს.

– სხვა ქვეყნებთან შედარებით, რამდენად სავალალოა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის ჩვენი მაჩვენებელი?

– ჩვენთან რომ ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის საშუალო ევროპული დონე იყოს, შეგვეძლებოდა, წლის განმავლობაში 500-600 ბავშვის სიცოცხლე გადაგვერჩინა და მოკვდაობის მაჩვენებელი არ იქნებოდა 200-220-ზე მეტი. თუ იაპონიას ავიღებთ, იქ ძალიან იშვიათად იღუპებიან ჩვილები. ჩვენთან, ოფიციალური მონაცემით, ყოველათას ბავშვზე 12 ბავშვი იღუპება, ევროპაში ეს მაჩვენებელი არის 6-7, იაპონიაში – 2,8, სინგაპურში – 1,9. ამერიკის მონაცემიც, დაახლოებით, ემთხვევა ევროპულს. ასე რომ, ევროპაზე ორიენტაცია მხოლოდ დროშების ფრიალით კი არ უნდა გამოვხატოთ, არამედ,

იმ სისტემური ყურადღებითა და მიდგომით, რასაც ისინი იჩენენ ცალკეული სოციალური ჯგუფების მიმართ.

– პოსტსაბჭოთა სივრცესთან შედარებით როგორ გამოვიყურებით?

– ეს მაჩვენებლები: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა და სხვა, ძალიან მაღალ კორელაციაშია ცხოვრების დონესთან. მხოლოდ ქველმოქმედება და შემონირულობა ამ პრობლემას ვერ შველის. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ცხოვრების საერთო დონის გაუმჯობესებაზე, – აი, ეს არის ამ პრობლემის გასაღები, რომ შევამციროთ, ჯერ, ბავშვთა მოკვდაობა და შემდეგ, გავზარდოთ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

პენსიონერთა რაოდენობას უნდა შევხედოთ სტრუქტურულად: ჩვენთან 1999 წელს საპენსიო ასაკმა გადაინია 5 წლით, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში ნებისმიერი ხელისუფლება ერიდება ასეთი მყისიერი ნაბიჯის გადადგმას, რადგან საემარისია, ხელისუფლებაში მყოფმა ძალამ გამოაცხადოს საპენსიო ასაკის გაზრდა მისი მმართველობის სამანდატო პერიოდის ფარგლებში და შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს პოლიტიკური ხარაკირი იქნება მისთვის. ამიტომ ევროპულ ქვეყნებს აქცენტი აღებული აქვთ 15-20-25-წლიან პერიოდზე. ისინი ლაპარაკობენ, თუ როგორ მოხდება საპენსიო ასაკის ზრდა, მაგალითად, 2025 წლისთვის და ამას უკავშირებენ სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას. არის ცალკეული გათვლები, რის მიხედვითაც, 2030 წლისთვის საპენსიო ასაკი, დაახლოებით, ისეთივე იქნება, როგორიც იყო გასული საუკუნის 80-ანი წლების დასაწყისში.

– ანუ მაღალი?

– მაღალი, რაც ნიშნავს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზრდება, თუმცა თანაფარდობა სიცოცხლის ხანგრძლივობასა და საპენსიო ასაკს შორის, უცვლელი დარჩება. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას ჰქვია „ასაკის ინფლაცია“. ეს ნიშნავს, თუ, მაგალითად,

2030 წელს 65 წლის ადამიანი ისე იგრძნობს თავს ჯანმრთელობის მხრივ, როგორც დღეს 60 წლის ადამიანი, რაც დრო გავა, მით უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფში იქნება დაბერება „გადანეული“.

– **თუ ასე მიუვდგებით საკითხს, მაშინ საპენსიო ასაკის ზრდა საგანგაშო არ უნდა იყოს?**

– საგანგაშო არ არის, თუ ის მისდევს ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის ზრდას. ამიტომ სტრატეგიული ხაზი უნდა ავიღოთ საპენსიო ასაკის ინდექსაციაზე. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ საპენსიო ასაკიც გაიზარდოს იმ თანაფარდობით, როგორც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე იზრდება ჯანმრთელი ცხოვრების პერიოდი, რაკი უფრო გვიან დგება ავადმყოფობისა და დაბერების სხვა ბიოლოგიურად შეუქცევადი პროცესები.

– **ჩვეთან პირიქითაა, საპენსიო ასაკს ადამიანები ელოდებიან, როგორც შვებას, რადგან პენსიას მაინც აიღებენ.**

– ჩვენთან, რატომღაც, პენსიონერებმა დაივიწყეს თუ დაავინწყებინეს პიპინია ერისთავის ნათქვამი (კ/ფ „არაჩვეულებრივი გამოფენა“): აწი ვაპირებ ცხოვრებასო.

– **მე ვიტყვოდი, უფრო დაავინწყებინეს...**

– ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები იმისთვის, რომ პენსიონერმა თავი იგრძნოს სრულყოფილ პიროვნებად და ახალგაზრდა ასაკში მიუღწეველი სურვილები მაინც დაიკმაყოფილოს: მოგზაურობა იქნება თუ ახალი შთაბეჭდილებების მიღება.

– **რა იგულისხმება ევროპული გაგებით პენსიონრების კეთილდღეობაში?**

– კეთილდღეობის სხვადასხვა ინდიკატორი არსებობს და ნიშნავს ნორმალურ ფიზიკურ მდგომარეობას, კვებას, ძილს, საცხოვრებელ ფართობს, შემოსავალს, მიმდინარე მოთხოვნილებების მეტ-ნაკლებად სრული სახით დაკმაყოფილებას... ჩვენგან განსხვავებით, ევროპასა და ამერიკაში პენსიონერთა მატერიალური კეთილდღეობა, დაახლოებით, 1,5-ჯერ უკეთესია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში.

– ყველაზე წელგამართული ფენაა პენსიონერები?

– სიღარიბის დონე მათში გაცილებით დაბალია, შემოსავლებისა და დანაზოგების დონე – გაცილებით მაღალი. საბჭოთა პერიოდის დამსახურება თუ ბრალი იყო, მაგრამ მაშინ მოსახლეობის 83-85 პროცენტს ჰქონდა ანაბრები და დღეს ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა. უფრო მეტიც, იმ ჯგუფში, ვისაც დეპოზიტებზე ანაბარი აქვთ გახსნილი, პენსიონერთა რიცხვი ძალიან მცირეა.

– რა ინვესტ ბავშვთა მაღალ მოკვდაობას, დედების ჯანმრთელობის მდგომარეობა, არასრულფასოვანი კვება და ასე შემდეგ? ყოველწლიურად ერთ წლამდე ასაკის 800 ბავშვის სიკვდილი კატასტროფული მაჩვენებელი მგონია ჩვენი დემოგრაფიის მქონე ქვეყნისთვის.

– აბსოლუტური მატება, ანუ ბუნებრივი მატების მაჩვენებელი, სხვაობა შობადობისა და მოკვდაობის აბსოლუტურ მაჩვენებლებს შორის, ბოლო მონაცემებით, იყო 7 ათასზე ოდნავ მეტი. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 45-55 ათასს წლების მიხედვით, ანუ, საშუალოდ, 50 ათასი იყო. სამი წლის წინათ მატება გვექონდა 15 ათასი, მაგრამ შემდეგ შემცირდა, რადგან რამდენიმე ათასით გაიზარდა მოკვდაობის მაჩვენებელი და 3-4 ათასით შემცირდა შობადობის მაჩვენებელი, ამიტომ მათ შორის სხვაობამ იკლო.

– რა კომპონენტები ინვესტ ამას?

– კვება, ჯანდაცვის სისტემა, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა, მოსახლეობის სამომხმარებლო კულტურის დაბალი დონე. უნდა იცოდეთ, როგორ მოიქცე, რა კვების პროდუქტები მოიხმარო. ესეც თავის როლს ასრულებს.

– გაეროსვე მონაცემებით, საქართველოში 16 წლამდე ბავშვთა 9 პროცენტი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს, 25 პროცენტი – ფარდობით სიღარიბეში, ანუ 35 პროცენტი არასრულფასოვან

გარემოში იზრდება. რას ნიშნავს ეს, რომ ისინი არასრულფასოვან მოქალაქეებად გაიზრდებიან?

– უკეთეს შემთხვევაში, იქმნება სოციალური ფონი ქართველი გავროშების კვლავწარმოებისთვის; უარეს შემთხვევაში, იმ ტიპის ცხოვრების წესი ქმნის ამაღლს ცნობილი რომანის, „ქვიშის კარიერის გენერლების“ გმირებს. ჯერ კიდევ 2000-იან წლების დასაწყისში ჩატარდა კვლევა ბავშვთა შრომის შესახებ საქართველოში და აღმოჩნდა, რომ საქართველოში 15 წლამდე ასაკის რამდენიმე ათეული ათასი ბავშვი იყო, რომლებიც არც სწავლობდნენ, არც მუშაობდნენ და თავიანთ ნებაზე იყვნენ მიშვებულნი. დღეს ეს ციფრი, ალბათ, კიდევ უფრო მაღალი იქნება.

– პრაგმატულად რომ შევხედოთ საკითხს: ასეთ პირობებში გზრდილი ბავშვი, თუ მიაღწევს საპენსიო ასაკს, სახელმწიფოს უფრო ძვირი არ დაუჯდება?

– თქვენ უფრო ოპტიმისტურად უყურებთ საკითხს: ისინი საპენსიო ასაკის მიღწევამდეც შეუქმნიან პრობლემებს საზოგადოებასაც და საკუთარ თავსაც, იმიტომ რომ ხდება მათი ე.წ. სოციალური მაუგულიზაცია. ის შეიძლება, სარგებლობდეს ტრანსპორტით, ლიფტით, მაგრამ იყოს გაუცხოებული და არ ჰქონდეს კომუნიკაბელურობა, არ ფლობდეს ქცევისა და კომუნიკაციის იმ ნორმებს, რაც მიღებულია საზოგადოებაში. ესეც ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით. ხოლო, პესიმისტური გათვლებით, მივიღებთ იმას, რაც ილია ჭავჭავაძემ აღწერა თავის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“: ასოციალურ პირობებში ისინი ჩამოყალიბდებიან დამნაშავეებად. ამიტომ ჯობია მეტი მზრუნველობა გამოვიჩინოთ ამ ბავშვებისადმი, მოვაქციოთ ისინი გარკვეულ ჩარჩოებში მანამ, სანამ დაკარგავენ ამ დროს, რადგან შემდეგ მათი ადაპტაცია და რესოციალიზაცია გაცილებით რთული იქნება, თუ სულ დაგვიანებული არა.

– თუ არის ასეთი მონაცემი: როგორ მოქმედებს მძიმე სოციალური პირობები ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებზე?

– ამის სტატისტიკა არ არის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მაღალ კავშირშია ერთმანეთთან, იმიტომ რომ ადამიანს სჭირდება ახალი ინფორმაცია, შთაბეჭდილებები, გარემოსთან ადაპტირება, რაც უფრო მოკლებულია ამ პირობებს ბავშვი, მით მოკლებულია ის გონებრივი განვითარების შესაძლებლობას. მარტო ბუნებრივი ნიჭით კი ფონს ვერ გავა. ჩვენ ბევრი გონებაგახსნილი ადამიანი გვინახავს, თუმცა მათ სათანადო სწავლა-განათლების მიღების გარეშე საკუთარი თავის რეალიზაცია ვერ მოუხდენიათ. სოციალურ-მა ლიფტებმა რომ იმუშაოს, ჩვენ გვჭირდება არა მარტო ბუნებით ნიჭიერი ადამიანები, არამედ მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საკუთარი ნიჭის გამოსავლენად და თვითრეალიზაციისათვის.

– გამოდის, რომ ჩვენ ვკარგავთ მეოთხედს იმ შემოქმედებითი ძალიდან, რომელმაც უნდა შექმნას ამ ქვეყნის მომავალი. თუ კრეატიული, გონებრივად განვითარებული ადამიანების კრიტიკული მასა არ გვეყოლა, პროგრესს რა გამოიწვევს?

– არსებობს ამის საფრთხე. განვითარების პერსპექტივა და რესურსი უკავშირდება თვითკმარი სისტემის ჩამოყალიბებას. იმის ალბათობა, რომ ღარიბი ოჯახები ღარიბებად დარჩებიან, ჩვენთან უფრო მაღალია, ვიდრე იმის ალბათობა, რომ მდიდარი ოჯახის შვილები გაღარიბდებიან, მიუხედავად თავიანთი უნარ-ჩვევებისა და ნიჭისა. ამიტომ ეს მომენტი გასათვალისწინებელია. ვახსენე სოციალური ლიფტები, რაც ჩვენთან ვერ მუშაობს, არადა, მთელ მსოფლიოში, ევროპასა თუ ამერიკაში და ახლა უკვე რუსეთშიც, ნიჭიერ პიროვნებას სათანადო პირობებს უქმნიან, რომ მათ შეძლონ თავიანთი ამ უნარების უკეთ გამოვლენა და მეტი სოციალური აქტივობა.

– თუკი ბავშვების პირობები რამდენიმე წელიწადში შეიძლება, გამოსწორდეს და დრო მეტ-ნაკლებად ითმენს, პენსიონერებს ამდენი დრო არ აქვთ. ვინმეს პოსტსაბჭოთა სივრცეში აქვს ჩვენზე უარესი მდგომარეობა, ამ მხრივ?

– ჩვენზე ცუდი ვითარებაც არის, მაგალითად, ტაჯიკეთში, თურქმენეთზე მონაცემები ნაკლებად ვრცელდება. ჩვენ ოდნავ ვუსწრებთ მოლდოვას. მაგრამ მთლიანობაში ასეთი სიტუაციაა: საშუალო ეკონომიკურ დონესთან შედარებით, ჩვენი პენსიონერების მდგომარეობა უფრო უარესია, ვიდრე ქვეყანაში საშუალო ეკონომიკური მდგომარეობა. ჩვენ ნაკლები გვყავს დაქირავებულთა კონტინგენტი და შედარებით ბევრი - პენსიონერი. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ყოველ 100 დაქირავებით დასაქმებულზე მოდიოდა 42 პენსიონერი, დღეს მოდის 131 პენსიონერი. ესეც არის იმის მიზეზი, რომ ჩვენთან პენსიონერთა კეთილდღეობა ამ მაჩვენებლის საერთო, საშუალო დონეს ჩამორჩება.

– ამერიკული სამყაროს დევიზია: თუ ღარიბი დაიბადე, შენი ბრალი არ არის, მაგრამ, თუ ღარიბად კვდები, ეს უკვე შენი ბრალია. ჩვენ მივალთ ოდესმე ამ თეზამდე?

– ამერიკელები სხვა აფორიზმითაც ხშირად სარგებლობენ: თუ ჭკვიანი ხარ, მდიდარი რატომ არ ხარ?! მაგრამ ეს მოქმედებს ნორმალურ საბაზრო პირობებში, სადაც თამაშის საერთო წესებია ყველა ვერტიკალსა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. ამ პრინციპმა რომ ჩვენთან იმუშაოს, უნდა გვექონდეს კანონის უზენაესობა და თამაშის საერთო წესს იცავდეს ყველა მოთამაშე და, უპირველესად, არბიტრები.

– როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება, რომ ბავშვები და პენსიონერები შიმშილით არ იხოცებოდნენ, რომ ასაკის მომატება გარდაუვალ სიღატაკეს არ ნიშნავდეს? სხვადასხვა ქვეყანამ ხომ გაიარა ეს გზა და არსებობს მათი გამოცდილება?

– სხვადასხვა ზომების გატარება შეიძლება და თვით ყველაზე მდიდარ ქვეყნებშიც კი ბოლომდე არ არის დაძლეული სიღარიბე. მაგალითად, ამერიკაში სასურსათო ტალონების მიმღებთა რაოდენობა ათჯერ აღემატება საქართველოს მოსახლეობის მთლიან რაოდენობას. ესე იგი, ეკონომიკური განვითარება არ ნიშნავს, რომ ეს

პრობლემა ბოლომდე იხსნება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მაღალ კორელაციაშია. შეიძლება, მაგალითად, ოჯახს ჰქონდეს საშუალება და თავის ბავშვებს ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ აჭმევდეს ხიზილალას. მაგრამ, თუ გარშემო არიან ბავშვები, რომლებიც შიმშილობენ, მათ შორის გავრცელებულია ინფექციური და გადამდები დაავადებები, აბსოლუტურად დაცული შეძლებული ოჯახის შვილიც ვერ იქნება. ამდენად, ეს სოციალური წყლულები უნდა მოვიშუშოთ, ბროლის კოშკებში კი არ უნდა აცხოვრონ შეძლებულებმა თავიანთი ოჯახის წევრები, არამედ იზრუნონ იმისთვის, მინიმუმამდე დავიდეს გაჭირვებულ ადამიანთა რაოდენობა და ამის ერთ-ერთი საფუძველი ეკონომიკაა, სამუშაო ადგილების შექმნა!

ჩვენ შეგვიძირდა დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, დიდი ნაწილი ქვეყნის გარეთაა გასული და მათ გასულ წელს მილიარდ 400 მილიონი დოლარის ტრანზაქცია განხორციელეს. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე გასულ წელს ქვეყანაში განხორციელებული მთლიანი უცხოური ინვესტიციები მთელი მსოფლიოდან. საჭიროა სამუშაო ადგილების შექმნა ქვეყანაში, რადგან საქართველოში, სადაც მოსახლეობას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი მოზარდი თაობისადმი მზრუნველობა, ჩვილთა მოკვდაობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ქვეყნის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე. რაც უნდა ბანალურად გვეჩვენოს, უნდა ვიზრუნოთ ეკონომიკის განვითარებასა და შემდგომ შექმნილი დოვლათის სამართლიან განაწილებაზე. ეს ახალი რეცეპტი არ არის, მაგრამ ამაზე უკეთესი რეცეპტი კაცობრიობას ჯერჯერობით არ მოუგონია. მაგალითად: ნორვეგიაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ეკვატორულ აფრიკაში.

**რატომ ტოვებენ ეთნიკური
რუსები რუსეთს, რომელიც მეორე ადგილზეა
მსოფლიოში მილიარდერთა რაოდენობით**

№40, 30-06.10.2013

გაეროს სტატისტიკის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია პირველ ადგილს იკავებს შემდეგი პარამეტრებით: ბუნებრივი აირის მოპოვება და ექსპორტი (რაც მსოფლიო ანალოგიური მაჩვენებლის 35 პროცენტია); პლატინის ექსპორტი; ბუნებრივი რესურსების რაოდენობა; ვერცხლის და ალმასების მარაგი და ალმასის ექსპორტის მაჩვენებელი; ქვის ნახშირის რაოდენობა (რაც მსოფლიო მარაგის 23 პროცენტს შეადგენს); ტყის რესურსი (მსოფლიო მარაგების 23 პროცენტი); სასმელი წყლის რაოდენობა; თუთიის, ტიტანის, ცვილის მარაგი; ტორფისა და აზოტის რაოდენობა. რუსეთი მსოფლიოში მეორე ადგილზეა ალმასების მოპოვებაში, პლატინისა და ოქროს მარაგებით. საგულისხმოა ისიც, რომ რუსეთი პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში მილიარდერების ზრდის მაჩვენებლით და მეორე ადგილს - მათი რაოდენობის მიხედვით (ბუნებრივია, აშშ-ს შემდეგ).

ამის პარალელურად, რუსეთი 67-ე ადგილზეა მსოფლიოში ცხოვრების დონით და 71-ე ადგილზე – ადამიანური პოტენციალის განვითარების მაჩვენებლით; 72-ე ადგილი აქვს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეზე განხორციელებული ხარჯით, 127-ე - მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლით, 111-ე - სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით, მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლით კი – 134-ე ადგილი.

მეტიც, რუსეთის ფედერაცია პირველ ადგილზეა: მსოფლიოში თვითმკვლევლობის რაოდენობით ხანდაზმულებს, ბავშვებსა და მოზარდებს შორის; გაყრისა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ოდენობით; აბორტებისა და მშობლების მიერ მიტოვებუ-

ლი ბავშვების რიცხვით; მოსახლეობის კლების მაჩვენებლით; სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს გაყიდვის რაოდენობით, ალკოჰოლითა და თამბაქოს მოხმარებით დაღუპულთა რაოდენობით, სიკვდილიანობის მაჩვენებლით გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით და ფალსიფიცირებული მედიკამენტების გაყიდვის მაჩვენებლით, და ბოლოს, რუსეთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში ჰეროინის მოხმარებით (რუსეთის ფედერაციაში დედამინაზე წარმოებული ჰეროინის 21 პროცენტს მოიხმარენ).

ამის გათვალისწინებით, რთული ასახსნელია, რა თავში იხლის ჩვენს სეპარატისტულ ტერიტორიებს, როდესაც საკუთარი მოსახლეობისთვის ვერ მოუვლია. ასეა თუ ისე, რუსეთის ეკონომიკურ პოტენციალსა და მოსახლეობის ცხოვრების დონეს შორის ასეთი ასტრონომიული სხვაობის შესახებ განმარტებებს ექსპერტ **იოსებ არჩვადისგან** მოვისმენთ.

– რუსეთი პარადოქსების ქვეყანაა, რადგან ბევრი მაჩვენებლით ის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში და, გარკვეულწილად, ცუდი სამსახურიც კი გაუწია რუსეთს ამ სიმდიდრემ: სამენარმეო სულისკვეთება, ეკონომიკის რეჟიმი, რაციონალური დამოკიდებულება რესურსებისადმი მეასე პლანზე მოისროლეს.

– **საერთოდ, ეს დამახასიათებელია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნებისთვის?**

– გააჩნია, როდის იყო აღმოჩენილი. ბევრი ქვეყანა აღმოჩენისთანავე რაციონალურად უდგება თავის რესურსებს. მაგალითად, გასული საუკუნის 60-იან წლებში, როგორც კი ქუვეითში ნავთობი აღმოაჩინეს, მაშინვე დაიწყეს მომავალი თაობის ფონდების შექმნა, რომ, თუ ოდესღაც ნავთობი გამოილეოდა, არ შენელებულიყო ზრდის დინამიზმი. რუსეთში შუა საუკუნეებში, ფეოდალიზმის ეპოქაშიც კი, თავადები თუ მმართველი ძალა, მაინც თვითმპყრობელზე

დამოკიდებულად მიიჩნევდნენ თავს და მეფის, იმპერატორის ნების აღმსრულებლები იყვნენ. შემდეგ, საბჭოთა პერიოდში, მინისტრები და სხვა თანამდებობის პირები განკარგავდნენ ათეულობით მილიარდი მანეთის ქონებას, მაგრამ ისინი მესაკუთრეები არ იყვნენ. იყვნენ მენეჯერები და ასეთმა დამოკიდებულებამ ჩამოაყალიბა ქცევის სტერეოტიპი ქონებისადმი.

– ანუ გამწვანებლური დამოკიდებულება აქვთ?

– რაციონალური დამოკიდებულება ნაკლები ჰქონდათ, სადაც არ იყო მათი პირადი ინტერესი, დამოკიდებულება იყო არაეკონომიკური. მაგალითად, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ერთი მილიონი დოლარის მთლიან შიგა პროდუქტზე საბჭოთა კავშირი ხარჯავდა 5-ჯერ მეტ ფოლადს და 3,5-ჯერ მეტ ცემენტს. მართალია, ტრახაზობდნენ, რომ საბჭოთა კავშირში ინარმოებოდა 150 მილიონი ტონა ფოლადი და ამერიკაში - მხოლოდ 115 მილიონი ტონა, მაგრამ საბოლოო პროდუქტის მიხედვით, შედეგები იყო აბსოლუტურად განსხვავებული. აი, ასე მოვიდა რუსეთი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. შემდეგ უკვე ბიზნესმენებმა სხვადასხვა გარემოებით ჩაიგდეს ხელში მუქთად და ბუნებრივი წიაღისეულით სარგებლობის ის რენტა, რითაც მთელ საზოგადოებას უნდა ესარგებლა, მოხვდა ცალკეული პირების, შემდგომში ოლიგარქებად წოდებულების, ხელში. რუსეთს ჯერჯერობით არ ჰყავს მეორე თაობის მილიარდერები.

– მხოლოდ მუქთი შემოსავლით გამდიდრებულების ამარაა?

– თანაც, ხაზს ვუსვამ, ისინი ყველანი არიან პირველი და არა მეორე-მესამე თაობის მილიარდერები. თანაც, მათი აქტივები 2008 წლის შემდეგ რამდენადმე შემცირდა ღირებულებაში, რის გამოც თვით ყველაზე წარმატებულმა მილიარდერებმაც კი მსოფლიოს მილიარდერთა ტოპ-ასეულში ასეულის ბოლოსკენ გადაინიეს. ეს იმის გამოა, რომ მათ თამაშის მკაცრ წესებს შედარებით ნაკლებად აუღეს ალღო.

- ანუ ფულით ფულს ვერ იგებენ.

- რენტაბელობის დონე შედარებით დაბალია მათში, ვიდრე დასავლეთელი მილიარდერების. მთლიანობაში, რუსეთში დიდი ფული იშოვება, მაგრამ ფულს შოულობენ რუსეთში და ხარჯავენ და აბანდებენ დასავლეთში. ლონდონს ხშირად უწოდებენ „ლონდონგრადს“, იმდენი რუსი მილიონერი, მილიარდერი და ოლიგარქია იქ და იმდენი აქტივი აქვთ გადატანილი, რომ წარმატებით უწევენ კონკურენციას არაბეთის, სპარსეთის ყურის შეიხებსა და დედამიწის სხვა ნაწილებიდან წამოსულ მილიონერებს. თუმცა რუსეთში დიდი ოდენობით დოვლათი იქმნება, მაგრამ მისი განაწილება შორს არის ოპტიმალურისგან.

- ანუ ასიმეტრიულად ნაწილდება დოვლათი რუსეთში?

- დიახ, ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ბევრი პარამეტრი ცოტა უფრო უარესი აქვს, მაგრამ საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა და მისი მაგალითის მოტანა თვალსაჩინოებისთვის ნაკლებად გამოგვადგება. რუსეთში არსებული დისპროპორცია გაცილებით უარესად მოქმედებს თვით რუსეთის მდგომარეობაზე და, ზოგადად, სხვა ქვეყნებზე. რუსეთში შემოსავლების დიფერენცირება არის 17:1-თან. ანუ ყველაზე მდიდრისა და ღარიბის შემოსავლებს შორის სხვაობა 17-ჯერადია, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა პერიოდში ეს სხვაობა, დაახლოებით, 4-4,5-ია 1-თან.

- საქართველოში როგორია ეს შეფარდება?

- ცოტათი ვუსწრებთ რუსეთს: თვრამეტი ერთთან.

- მაგრამ ჩვენი 18-ჯერადი სხვაობა შეუდარებლად ნაკლებია მათ 17-ჯერადზე?

- რუსეთის ეკონომიკა მასშტაბებით დიდია და რუსეთში მოსახლეობის ერთ სულზე გაცილებით მეტი ინარმოება, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტის ორ მესამედზე მეტი და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ ბიუჯეტის 92 პროცენტი რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დოტაციაზეა.

– ასეთი მძიმე რეალობა რის ბრალია, მხოლოდ შემოსავლების ასიმეტრიული განაწილების და ბუნებრივი რესურსებისადმი უყაირათო დამოკიდებულების?

– არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც არ შემიძლია, არ შევეხო და რაც უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროზე - კორუფცია. ეს არის მათი ცხოვრების წესი და ზოგადად, მართალია, კორუფციის ძირითად მიზეზად ითვლება სახელმწიფო ინსტიტუტების დახურულობის მაღალი დონე, სახელმწიფოს სუსტი, არათანმიმდევრული პოლიტიკა, ნეპოტიზმი და ასე შემდეგ, მაგრამ რუსეთი მასშტაბური ენდემური კორუფციის ქვეყანაა. დავინტერესდი და აღმოვაჩინე, რომ რუსეთში კორუფციის პირველი ფაქტები, რომელმაც მემატინაც კი დაინტერესა, გვხვდება მეთოთხმეტე საუკუნეში.

– რას უკავშირდებოდა?

– იმას, რომ მსაჯულს, მოსამართლეს არ აქვს უფლება, რომ ქრთამის საფუძველზე გაათავისუფლოს დამნაშავე. ეს იყო საინსტრუქციო წერილი ზემოდან, ეტყობა, მექრთამეობამ განაჩენის გამოტანისას ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ მოვიდა ცირკულარი, აღარ გააკეთოთ ასეთი რამო. შემიძლია, ვთქვა, რომ კორუფცია არის რუსეთის ეკონომიკის მთავარი დარგი. თავისი მოცულობით, ღირებულებითი ფორმით კორუფცია ორჯერ აღემატება ნავთობისა და გაზის ჯამური ექსპორტის ღირებულებას. დაწყებული შუა საუკუნეებიდან რუსეთში კორუფციას ყველანაირი ხასიათი ჰქონდა, მათ შორის, საყოფაცხოვრებო. რუსეთისთვის კორუფციის ორივე ფორმა ძალიან განვითარებულია, თუმცა მსოფლიოს დიდ ნაწილს და ჩვენც ბოლო წლებში გვაქვს ეგრეთ წოდებული მხოლოდ ელიტური კორუფცია, როდესაც კანონშია ჩადებული არათანაბარი პირობები ცალკეული სოციალური წრეების, ბიზნესმენების, ცალკეული პიროვნებების მიმართ.

– დაბალ და საშუალო დონეზე კორუფციის აღმოფხვრა, ხომ მეტყველებს, რომ ჩვენი მოსახლეობა კორუფციისკენ ბუნებრივად მიდრეკილი არ ყოფილა.

– კორუფციის სამი ფორმიდან უკვე 2012 წლის პირველი ოქტომბრისთვის დაძლეული იყო საყოფაცხოვრებო და საქმიანი კორუფცია და ბოლო პერიოდში გადაიდგა ნაბიჯი ინსტიტუციური, ანუ ელიტური კორუფციის დასაძლევად. ისევ რუსეთს დავუბრუნდეთ: რუსეთმა არა მარტო განავითარა კორუფციული საქმიანობა, არამედ, მის აღრიცხვაში ისეთი ელემენტები შემოიტანა, როგორცაა კორუფციის ღირებულების საშუალო ზომა. მაგალითად, კორუფციული გარიგებების რაოდენობასაც კი ითვლიან და აღმოჩნდა, რომ ყოველწლიურად სამ-ოთხ ადამიანზე საშუალოდ თითო კორუფციული გარიგება მოდის. საბავშვო ბაღში მონყობა იქნება თუ სხვა ყოფითი საქმიანობა, დაახლოებით, 150 დოლარამდეა ქრთამის სიდიდე. რაც შეეხება უფრო მაღალ დონეს, რომელიც უკავშირდება ბიზნესს ან სასარგებლო გადანყვეტილებების მიღებას, აქ სულ სხვა პარამეტრებით ანგარიშობენ. მაგალითად, რამდენი კვადრატული მეტრი საცხოვრებლის ყიდვაა შესაძლებელი საშუალო ზომის თითო ქრთამით.

– და რამდენის შექენაა შესაძლებელი?

– მაღალ დონეზე ქრთამის ეს სიდიდე გაიზარდა და აღემატება 200 კვადრატული მეტრი ფართობის ღირებულებას. თან, ლაპარაკია საცხოვრებელ ფართობზე რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში. თუმცა, როგორც ეკონომისტს, მიმაჩნია, რომ კორუფცია აგრეთვე არის ეკონომიკის რეაქცია მოუწესრიგებელ საგადასახადო კოდექსზე, ეკონომიკურ ურთიერთობებზე და გარკვეული დაშვებით შეიძლება, ვილაპარაკოთ „კარგ“ და „ცუდ“ კორუფციაზე. „კარგი“ კორუფცია არის არაეფექტიანი და ზედმეტად დარეგულირებული კანონმდებლობის „დაზეთვა“: ასეთ დროს ჩინოვნიკები აჩქარებენ გადანყვეტილებების მიღებას. დაახლოებით, ის ხდება, რაც ჩვენ-

თან იუსტიციის სახლში, როდესაც თქვენ დაჩქარებული წესით იღებთ ცნობას დამატებით საფასურად. და ის ხარჯი, რაც ადრე კორუფციას ხმარდებოდა, „გათეთრდა“ და ამით სახელმწიფო იღებს იმ შემოსავალს, რასაც ჩინოვნიკები თავიანთი გულმოდგინებისა და სწრაფი მომსახურებისთვის იღებდნენ.

– მაგრამ იუსტიციის სახლში არის არჩევნის საშუალება: თუ არ გეჩქარება, საერთოდ უფასოდაც შეიძლება აიღო ცნობა.

– რა თქმა უნდა, ის რაც ჩვენთან ხდება იუსტიციის სახლებში, არის წინგადადგმული ნაბიჯი. კიდევ ერთი მომენტი არის ის, რომ „კარგი“ კორუფციის შემთხვევაში, ეს „მარცხნივ“ გადახდილი ფული რჩება ქვეყანაში და ისევ ადგილობრივ ეკონომიკურ ზრდას ემსახურება. რაც მეტი ფული რჩება ქვეყანაში, სხვა თანაბარ პირობებში, მით ნაკლებად მავნებლურია ასეთი კორუფცია, თუმცა ჯობია, ეს სახსრები ხვდებოდეს ბიუჯეტში. სხვათა შორის, „კარგი“ კორუფციის მაგალითია სამხრეთი კორეა, რომელმაც განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია და ჩრდილოეთ კორეას, მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე ხალხია, მოსახლეობის ერთ სულზე 20-ჯერ უსწრებს. მისი რამდენიმე პრეზიდენტი კორუფციის გამო ციხეშიც აღმოჩნდა, იმდენად მასობრივი ხასიათი ჰქონდა კორუფციას.

– ძალიან ცუდი მაჩვენებლები აქვს რუსეთს სიკვდილიანობის, ცხოვრების დონის, სიცოცხლის ხანგრძლივობის, ნარკომანიის თუ სხვა მხრივ. რატომ არ მობილიზდება თანხა ამ პრობლემების მოსახსნელად? უბრალოდ ადამიანური რესურსი აღარ დარჩებათ, რომ აითვისონ ამხელა ტერიტორია.

– რუსეთში მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რუსეთის მოსახლეობა შემცირდა სიდიდით, რომელიც აღემატება დღეისთვის ბალტიის სამივე ქვეყნის მოსახლეობას, ერთად აღებული.

ეს იმ პირობებში, როდესაც რუსეთში ხდება ეთნიკური რუსებისა და ბევრი ყოფილი საბჭოთა მოქალაქის ემიგრაცია, რომლებმაც

დატოვეს თავიანთი ისტორიული სამშობლო და გადავიდნენ საცხოვრებლად რუსეთში. თითქმის ორი მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მილიონამდე ან უფრო მეტი სომეხი. ქართველებიც ბევრნი არიან, თავი რომ დავანებოთ შუააზიელებს და სხვა ეთნოსების წარმომადგენლებს. მიუხედავად ამისა, რუსეთის მოსახლეობა წლიდან წლამდე ექვსასი ათასით მცირდება. ესე იგი, რუსეთში მცირდება რუსი ეთნოსის რაოდენობა. სად მიდიან რუსები? მიდიან ევროპაში, კვიპროსზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ასეთი ტრადიციაა: თავიანთი ოჯახის წევრებს აბინავებენ შვეიცარიაში, ლონდონში, თვითონ კი ბიზნესს აკეთებენ რუსეთში. ანუ ფულს შოულობენ ერთგან და ხარჯავენ სხვაგან. იზრდება მოსახლეობის საშუალო ასაკი რუსეთში. საპენსიო ასაკი ჯერ ძალაშია – 60 წელი მამაკაცებისთვის და 55 წელი ქალებისთვის, თუმცა უკვე გაისმის ხმები, რომ საჭიროა მისი აწევა.

– **ადამიანური რესურსი აღარ ჰყოფნით?**

– დიახ, მათი რაოდენობა, რომლებიც შეძლებენ მუშაობას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებში არის 64 წელი. იქ, ფაქტობრივად, მამაკაცები „ნითელ ნიგნში“ არიან შესატანი.

– **ეს ეტყობათ რუსის ქალებს მოქმედებაში. ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა?**

– ქალების ცოტა მეტია და ეს ზოგადი ტენდენციაა მსოფლიოში. მაგალითად, საფრანგეთში ქალები პენსიაზე გასვლის შემდეგ 28 წელიწადს ცხოვრობენ, მამაკაცები – 22 წელიწადს. ამ ფონზე რუსეთის იგივე მაჩვენებელი ძალიან მძიმეა.

– **აქვს რუსეთს რესურსი, პოტენციალი, რომ გამოასწოროს ეს ვითარება?**

– რა თქმა უნდა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში. მაგალითად, დამოუკიდებლობის შემდეგ მითი, რომ რუსები დედაბუდიანად სასმელისადმი არიან მიდრეკილნი, დაინგრა. ვინც ბიზნესი წამოიწყო და საკუთარი საქმით მიღებული შემოსავლის, „დიდი

ფულის“ გემო გაიგო, შედარებით ნაკლებად ეტანება სასმელს. ამიტომ რუსის მიდრეკილება სასმელისადმი იყო გაუსაძლისი და თაობიდან თაობამდე უცვლელი მიმიე მდგომარეობისადმი გარკვეული შინაგანი პროტესტი; პროტესტი სიტუაციის შეცვლის უუნარობისადმი და ლოთობაში პოულობდნენ შვებას. თუ გაუჩნდებათ იმის პერსპექტივა, რომ ცალკეული ადამიანის ნიჭსა და უნარს ექნება ადეკვატური გამოყენება, ეს ეროვნული უბედურების მატარებელი მავნე მიდრეკილება თანდათანობით დაიძლევა...

**რატომ არის „იუჟნაია ოსეტია“ რუსეთის
ფავორიტი და რატომ ახარჯავს
მცირარიცხოვან ცხინვალს აფხაზეთზე
3-ჯერ მეტ თანხას
№43, 21-27.10.2013**

2008 წლის ომმა საქართველოს ეკონომიკას ძლიერი დარტყმა მიაყენა, რაც ციფრებში შემდეგნაირად გამოიყურება: საქართველოს ეკონომიკის 2008 წლის პირველი ნახევრის 9-პროცენტისიანი ზრდა 2008 წლის მეორე ნახევარში 2,8 პროცენტამდე შემცირდა. მთლიანობაში, ქვეყნისთვის ომით მიღებული ზარალი მრავალი მილიარდი დოლარით იზომება. მაგალითად, სომხეთის ეკონომიკამ, რომელიც საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ ორი მესამედია, აგვისტოს ომით გამოწვეული კომუნიკაციების შეფერხების გამო 500 მილიონი დოლარის ზარალი განიცადა. ამ ფონზე ადვილი წარმოსადგენია, რა ოდენობის მატერიალური ზარალი მიაყენა აგვისტოს ომმა საქართველოს. ექსპერტი **იოსებ არჩვაძე** დაგვეხმარება იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის ფულს ხარჯავს რუსეთის ფედერაცია თავის მიერ აღიარებული წარმონაქმნების დასახმარებლად. რა უჯდება ეს რუსეთის გადასახადის გადამხდელს და როგორ გამოიყურება ამ ფონზე დანარჩენი, არაოკუპირებული საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები.

– რა მასშტაბის ფინანსური დახმარება აღმოუჩინა რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში დღემდე?

– რუსეთი ფართომასშტაბიან ეკონომიკურ, ფინანსურ დახმარებას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს“. 2009-2012 წლებში და 2013 წლის პირველ ხუთ თვეში რუსეთმა აფხაზეთსა და ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოს-

ეთს“ გამოუყო 47 მილიარდი რუბლი, 21 მილიარდამდე - სოციალურ განვითარებაზე, დანარჩენი - საბიუჯეტო ინვესტიციებზე. რუსულმა ბიუჯეტმა თავის მიერ აღიარებულ ამ „სახელმწიფოებს“, საერთო ჯამში, ერთ-ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება აღმოუჩინა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხები გრანტული დატვირთვისაა – გადის „ფინანსური დახმარების“ მუხლით და არ აყალიბებს რუსეთისადმი სახელმწიფო ვალს. ამის გარდა, რუსული მოქალაქეობის ჩამორიგება აფხაზეთსა და ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრებთათვის გულისხმობს მათთვის საპენსიო უზრუნველყოფას რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის ხარჯზე.

– ეს თანხები ოფიციალურად მიიმართება ცხინვალსა და სოხუმში?

– ამ წარმონაქმნებისადმი დახმარების მნიშვნელოვანი სახსრები იმალება რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის სტატიაში „ეროვნული თავდაცვა“. ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება უხალისოდ ასაჯაროებს საკუთარ თავდაცვაზე გაღებულ ხარჯებს. ამ მხრივ, არც რუსეთია გამონაკლისი. ამ ქვეყნის ოფიციალური მონაცემები საერთაშორისო ინსტიტუტების (მაგალითად, SIPRI-ის - სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემების კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის) მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე, დაახლოებით, 1,5-ჯერ ნაკლებია, ანუ 60 მილიარდი დოლარია, ნაცვლად 90,7 მილიარდისა, რაც ამ ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 4,4 პროცენტია. რუსეთის შეიარაღებულ ძალების საერთო რიცხოვნობა, რეზერვის გარეშე, მილიონ 40 ათასს შეადგენს. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მიერ თავდაცვაზე განეული ხარჯები საშუალოდ ერთ სამხედრო მოსამსახურეზე გაანგარიშებით 111 ათას აშშ დოლარს აღემატება.

– ამ თანხაში შედის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განლაგებულ კონტინგენტზე განეული ხარჯი?

– რუსეთს, თავის მიერ დამოუკიდებლად აღიარებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“, ეგრეთ წოდებულ „დამოუკიდებელ

სახელმწიფოებთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, თითოეულში 4-4 ათასი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს, სულ, დაახლოებით, 8 ათასი სამხედრო. ამას გარდა, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა, ოფიციალურად, 2.1-2.2 ათასია, ხოლო ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ – 1250. ანუ ამ ტერიტორიებზე სამხედრო კონტინგენტის საერთო რაოდენობა 11450-ს აღწევს. თუ ზემოთ მოტანილი გაანგარიშებით ვისარგებლებთ, ამ „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ დაცვა, იქ შეიარაღებული ძალების ყოლა, იარაღის შეტანა და საბრძოლო მდგომარეობაში მუდმივი ყოფნის უზრუნველყოფა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და ექსპლუატაცია, საზღვრის კონტროლი და ასე შემდეგ, რუსეთის გადასახადის გადამხდელებს ყოველწლიურად, დაახლოებით, 900 მილიონი დოლარი უჯდებათ. ამის გარდა, აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც დიდწილად ისევ რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდირებით ყალიბდება, 2013 წელს თავდაცვაზე გათვალისწინებულია, დაახლოებით, 9 მილიონი დოლარი. შესაბამისად, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ერთი მოსამსახურისთვის თავდაცვაზე გაღებული ხარჯების მოცულობა, დაახლოებით, 4100 დოლარს შეადგენს.

– **რუსეთში როგორია ეს მაჩვენებელი?**

– რუსეთის მოსახლეობის ერთ სულზე თავდაცვითი ხარჯები შეადგენს, დაახლოებით, 635 დოლარს. გამოდის, რომ რუსეთი აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ მოქალაქეების, რომლებიც დიდწილად რუსეთისავე მოქალაქეებიც არიან, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, „ქართული აგრესიისგან დასაცავად,“ მოსახლეობის ერთ სულზე ხარჯავს სულ ცოტა, ხუთჯერ მეტ თანხას, ვიდრე უშუალოდ რუსეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის. რუსული დახმარებების წყალობით, მაგალითად, თუ საქართველოს თავდაცვაზე მოდის საბიუჯეტო ხარჯების 8 პროცენტი, რუსეთში – 12,4 პროცენტი,

აფხაზეთში – 182,8 პროცენტი, ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ კი – 240,5 პროცენტი.

მეორე მხრივ, სამხედრო ხარჯებით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს რუსეთი 7,3-ჯერ, აფხაზეთი – 22-ჯერ, ცხინვალის რეგიონი კი თითქმის ასტრონომიულად – 73,7-ჯერ უსწრებს.

– გარდა რუსეთიდან მიღებული ამ ფულადი დახმარებებისა, კიდევ თუ არსებობს რამე შემოსავლის წყარო საქართველოს ამ ორ ოკუპირებულ რეგიონში?

– აფხაზეთში შექმნილი მთლიანი შიგა პროდუქტი, ოფიციალური სტატისტიკით, დაახლოებით, 750 მილიონი დოლარია. ცხინვალის რეგიონში კი, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, 100 მილიონ დოლარზე მეტი არ არის. ანუ, საერთო ჯამში, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ეს შეადგენს 850 მილიონ დოლარამდე, რაც საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლის მეოცედეა. რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა, აფხაზი და ოსი მოსახლეობის „უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად,“ უფრო მეტ ხარჯებს გულისხმობს, ვიდრე თავად ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების შრომით შექმნილი მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულებაა. მოსახლეობის ზუსტი რიცხოვნობის ცოდნა, მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის ცოდნასთან ერთად, აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისა თუ წარმონაქმნის ეკონომიკური განვითარების დონის დასადგენად. აფხაზეთის მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა. სოხუმის ოფიციალური ინფორმაციით, 2011 წლის მდგომარეობით, 241.4 ათასია. თუმცა, ჩვენი ექსპერტული შეფასებით, ეს ციფრი საკმაოდ გაბერილია და მოსახლეობის რეალური რაოდენობა 190-200 ათასს არ უნდა აღემატებოდეს. კიდევ უფრო ნაკლებია მოსახლეობა ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“. თვით ადგილობრივი და რუსული წყაროებით, ამ „დამოუკიდებელ ქვეყანაში“ ჩარჩენილი მოსახლეობის რაოდენობა 10-დან 30 ათასამდეა. მაგალითად, კარნეგის ცენტრის თანამშ-

რომელი, ალექსეი მალაშენკო აცხადებს, რომ დღეისთვის „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობა ეს არის მოსკოვის ერთი ქუჩის მოსახლეობა. აფხაზეთში პენსიონერთა რაოდენობა 49.8 ათასია, „სამხრეთ ოსეთში“ კი, მოსახლეობის ფაქტობრივი რიცხოვნობიდან გამომდინარე, 10 ათასს არ უნდა აღემატებოდეს.

– პენსიების მხრივაც პრივილეგიურ მდგომარეობაში ჰყავთ, ვიდრე რუსეთში მცხოვრები რუსი პენსიონრები?

– რუსეთის ფედერაციაში საშუალო პენსია, 2013 წლის აპრილის მდგომარეობით, 10 400 რუბლია, ხოლო საშუალო დანიშნული პენსია – 10 014 რუბლი. თუ ამოვალთ იქიდან, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ყველა პენსიონერი რუსეთის მოქალაქეა, ხოლო საშუალო პენსია რუსეთის ფედერაციაში არსებული საშუალო პენსიის 80 პროცენტს მაინც შეადგენს, მაშინ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პენსიონერების პენსია 280 დოლარზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ჯამური ხარჯები პენსიებზე, 200 მილიონ დოლარზე მეტი იქნება. გამოდის, რომ რუსეთის ფედერაცია ყოველწლიურად, დაახლოებით 1,1 მილიარდ დოლარამდე ხარჯავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მხოლოდ ორი დანიშნულებით – შეიარაღებული ძალების ყოფნისა და პენსიონერების საპენსიო უზრუნველყოფისთვის. აქვე გავიმეორებ, რომ ამ თანხებში არ შედის რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთისთვის“ გამოყოფილი ფინანსური დახმარებები, რომლებმაც 2009 წლიდან დღემდე უკვე 1,5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

– რუსეთის ფედერაცია თანაბრად ეხმარება ორივე რეგიონს თუ ფავორიტი მაინც ჰყავს?

– მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ორივე ცნო, სამხედრო კონტინგენტებიც თითქმის თანაბარი რაოდენობით ჰყავს საქართველოს ამ ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ფინანსური დახმარების მასშტაბები განსხვავებულია. მართალია, ოფიციალური მონაცემე-

ბით, აფხაზეთის მოსახლეობა სამჯერ და მეტად აღემატება ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას, 2008 წლის აღიარების შემდეგ, ეგრეთ წოდებულმა „სამხრეთ ოსეთმა“ აფხაზეთთან შედარებით 2,4-ჯერ მეტი რუსული ფინანსური დახმარება მიიღო. ასეთი დისპროპორცია გამონვეულია იმით, რომ აფხაზეთს, ასე თუ ისე, აქვს ეკონომიკა, ახდენს გადასახადების ადმინისტრირებას. აფხაზეთი რუსეთიდან ყოველწლიურად, დაახლოებით, 100 მილიონი დოლარის დახმარებას იღებს, რაც აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 55 პროცენტია. აფხაზეთში წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტი საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლის 79 პროცენტი, ხოლო საბიუჯეტო ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე - 94 პროცენტს უტოლდება, თუმცა ეს უკანასკნელი, რუსეთიდან მიღებული ფინანსური ინიექციების გარეშე მხოლოდ 48 პროცენტია. არსებითად განსხვავებული სურათია ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“. - იქ ეკონომიკა თითქმის არ არსებობს. ადგილზე წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტი, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ მეოთხედამდეა; საბიუჯეტო სახსრების 92 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მიერ განეულ დახმარებაზე მოდის. შესაბამისად, ადგილზე მობილიზებული სახსრების წილი მხოლოდ 8 პროცენტია და დასახულია ამოცანა, რომ ეს მაჩვენებელი 12 პროცენტამდე გაიზარდოს. ეს 8 პროცენტიც ძირითადად ის საშემოსავლო გადასახადია, რასაც ეგრეთ წოდებულ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული მოქალაქეები იხდიან. ადგილობრივი და რუსი ექსპერტები ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ მომავალს მისი ეკონომიკის განვითარების გარეშე ერთიან რუსულ გარნიზონად გადაქცევაში ხედავენ. სწორედ ამ „ერთიან გარნიზონთან“ შეუფერხებელი კომუნიკაციისთვისაა გათვალისწინებული რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 900 მილიონი დოლარი როკის გვირაბის გაფართოება-რეკონსტრუქციისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან იკვეთება უაღრესად „საინტერესო“ სურათი: აფხაზეთი, ეკონომიკური განვითარების დონით, დანარჩენ საქართველოს, სულ ცოტა, ერთი მეხუთედით, ხოლო ცხინვალის რეგიონი კი – 4-ჯერ და მეტად ჩამორჩება, მაგრამ საბიუჯეტო ხარჯების მოცულობით აფხაზეთი თითქმის ჩვენს დონეზეა, ცხინვალის რეგიონი კი დაახლოებით 2,5-ჯერ გვაჭარბებს. მაგრამ თუ გარე დახმარებებს, სუბსიდიებსა და გრანტებს გამოვრიცხავთ აფხაზეთის, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთისა და დანარჩენი საქართველოს ბიუჯეტებიდან, ესე იგი, დავტოვებთ მხოლოდ ადგილზე მობილიზებულ გადასახადებსა და სხვა სახის ადგილობრივ შემოსავლებს, მაშინ დანარჩენი საქართველოს ბიუჯეტი მოსახლეობის ერთ სულზე 2-ჯერ და მეტად გადააჭარბებს აფხაზეთის ანალოგიურ, ხოლო თითქმის 5-ჯერ – ცხინვალის რეგიონის მაჩვენებელს. ასეთ პირობებში განსაკუთრებით თვალშისაცემია „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ თავდაცვაზე განეული ხარჯებისა და შეიარაღებული ძალების ამკარა მეტობა საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სახელმწიფოებრიობის იმიტაციას ქმნის რუსეთის ფინანსური მხარდაჭერა და რომ არა ეს, ქართულ სახელმწიფოს არ გაუჭირდებოდა საერთო ენის გამონახვა იქაურ მოსახლეობასა და პოლიტიკურ ლიდერებთან. დიდწილად სწორედ ფინანსური ინიექციებით ხდება მათი გადაბირება რუსეთის მიერ.

– როდემდე შეიძლება, გაგრძელდეს ეს მუდმივი დოტაცია რუსეთის მხრიდან. მით უფრო, ჩვენ ვიცით, რომ ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების ბიუჯეტები დოტაციურია და იქ არ წყდება სისხლიანი დაპირისპირება. ანალოგიური მომავალი ელით ჩვენს ოსებსა და აფხაზებსაც?

– მგონი, გაცნობიერებული აქვთ ეს, უბრალოდ მათ ჩვენკენ შემოსაბრუნებლად გარკვეული დრო სჭირდებათ. რუსეთმა მათ მისცა „შანსი“, თავი გამოეჩინათ ქართული სახელმწიფოებრიობის წი-

ნაალმდეგ აქტიური მოქმედებით და იმდენად არიან დამძიმებულნი ამით, რომ პოლიტიკოსთა იმ თაობას, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კონფლიქტის გაღვივებასა და აქტიურ სეპარატისტულ მოძრაობაში, უჭირთ პირისპირ დაჯდომა და საუბარი. რა თქმა უნდა, ქართული მხრიდანაც იყო დანაშაული და გადაცდომა, საბოლოოდ, ორივე მხარემ მოახერხა „**НАЛОМАТЬ МНОГО ДРОВ**“. პოლიტიკური გავლენის შესანარჩუნებლად და იმის სადემონსტრაციოდ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა სუსტია, არშემდგარია, მას ექსცენტრული პირები ხელმძღვანელობენ და ასე შემდეგ, რათა ჩრდილოეთ კავკასიას საქართველოს სახით დაანახონ საფრთხობელა: თუ თქვენ რამეს მოინდომებთ, თქვენც იმავე ვითარებაში ჩაცვივდებითო. მთლიანად რამდენადაა დამოკიდებული საქართველოს სხეულზე აღმოცენებული ეს ორი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი რუსეთზე, კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდანაც. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებზე მოდის დასაქმებულთა: საქართველოში - ერთი მეექვსედი, აფხაზეთში - 72 პროცენტი, ცხინვალის რეგიონში კი - 90 პროცენტზე მეტი. ისიც, ამ უკანასკნელში, ძირითადად, ძალოვან და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში არიან დასაქმებულნი. მოკლედ, ვერც ერთი ატრიბუტით, ვერც აფხაზეთი და ვერც ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი, ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის მოთხოვნებს.

- ჩვენ ვაკმაყოფილებთ?

- რა თქმა უნდა, რადგან ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლების 92 პროცენტამდე მთლიანად მოდის საკუთარ შემოსავლებზე. საქართველოს აქვს მოდელი, რომლითაც შეუძლია სახელმწიფოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი ამოცანების დაუხმარებლად გადაწყვეტა.

**რას ნიშნავს სამსაზოგადოებრივი საკანონო
სისტემა, შეუნარჩუნდება თუ არა, საკანონო
რეჟიმით, მინიმალური პენსია ყველა
პენსიონარს და რის მიხედვით დაითვლება
საბოლოო პენსიის სიდიდე
№48, 25.11-1.12.2013**

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სიბერე კვლავაც სიღარიბის სინონიმია, რასაც არც სუბიექტური მიზეზები აკლია და არც ობიექტური. ამიტომაც დღის წესრიგში პენსიის დაგროვებითი სისტემის დანერგვის საკითხი დადგა. რას ითვალისწინებს დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელი ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეები ისარგებლებენ ამ ინიციატივით და როდის შეძლებენ საქართველოს პენსიონერები სიბერის ღირსეულად გატარებას. თემას ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე განგვიმარტავს.

– რასაც ჩვენ დღეს პენსიას ვუწოდებთ, არ არის, კლასიკური გაგებით, პენსია, ეს ერთგვარი სოციალური დახმარებაა ხანდაზმულებისთვის. რა არის მთავრობის მიერ შემოთავაზებული ახალი დაგროვებითი მოდელის არსი?

– ეს სუფთა ქართული ნოუ-ჰაუ არ არის. ეს არის მოდელი, რითაც სარგებლობს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა. იქ, სადაც საბაზრო ეკონომიკა უკვე დამკვიდრდა და, იმავდროულად, გარკვეული პრობლემებია დემოგრაფიული სტრუქტურის თვალსაზრისით: გაიზარდა შედარებით მაღალი ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეების წილი და შემცირდა ბავშვების წილი. ეს ჩვენთან მოხდა და არა იმიტომ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა, არამედ, მთავარი მიზეზი ისაა, რომ შობადობა შემცირებული და ამან გამოიწვია მაღალი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. ოპტიმალური იქნებოდა დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა

საპენსიო ასაკის ადამიანებზე 4-ჯერ მეტი რომ ყოფილიყო. ჩვენთან სრულიად განსხვავებული სურათია. ფრჩხილები რომ გავხსნათ, ჩვენთან გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა საგრძობლად ჩამორჩება ამ გადასახადების იმედზე მყოფი ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის რაოდენობას. ამ ფონზე ძველი მოდელის შენარჩუნება ნიშნავს, რომ მაღალი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა გავწიროთ ცხოვრების ძალიან დაბალი დონისთვის.

– თუ არ მეშლება, ჩვენთან მილიონ ექვსასი ათასია სამუშაო ძალის ოდენობა, საიდანაც დაქირავებით დასაქმებულია ექვსასი ათასი, ხოლო პენსიონერთა რაოდენობა უახლოვდება რვაასი ათასს, რაც იმას ნიშნავს, სამუშაო ასაკის ყველა მოქალაქეც რომ იყოს დასაქმებული, მაინც გაგვიჭირდებოდა ჩვენი საპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა.

– დიახ, ამ მხრივაც, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ერთ პატარა „საიდუმლოს“ გავამხელ: დასაქმებულებს შორის არიან ის ადამიანებიც, რომლებიც გასცდნენ საპენსიო ასაკს, მაგრამ პენსიონერებს არ მიეკუთვნებიან იმის გამო, რომ განაგრძობენ მუშაობას. ისინი დე-ფაქტო აქტიური მოსახლეობაა, თუმცა, ასაკობრივი ნიშნით, დასაქმებულებს არ უნდა მიეკუთვნონ. სხვა ფაქტორებსაც თუ დავამატებთ, კიდევ უფრო მძიმე სურათს მივიღებთ. გავრცელებული ინფორმაციით, მთავრობა ძალიან მონდომებულია, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა დანერგოს. ეს არ არის ერთჯერადი აქტი, ამას გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა დასჭირდება და ამით თავის დროზე ისარგებლებენ, უპირველესად, ის ადამიანები, რომლებიც დღეს თავიანთი შრომისუნარიანობისა და ნიჭის გაფუჭრების ხანაში არიან.

– თუ შეიძლება, ასაკი დავაკონკრეტოთ.

– დაახლოებით, 40 წლამდე ასაკის მოსახლეობა, იმიტომ რომ დაგროვებით საპენსიო სისტემას ამოქმედებისათვის სჭირდება

გარკვეული დრო და რესურსები. ვნახოთ, როგორია კლასიკური საპენსიო მოდელი: სახელმწიფო უარს არ ამბობს თავისი ხანდაზმული მოსახლეობის დახმარებაზე. სოციალურ დახმარებას თუ სოციალურ პენსიას მიიღებს ქვეყნის ყველა მოქალაქე, რომელიც საპენსიო ასაკის იქნება.

– დავაზუსტებ, ანუ იმ თანხას, რაც დღეს შეადგენს 150 ლარს?

– დაახლოებით, საარსებო მინიმუმის დონეზე სოციალურ პენსიას გარანტირებულად მიიღებს ქვეყნის თითოეული მცხოვრები, მიუხედავად მისი დამსახურებისა, შრომითი სტაჟისა და ამ პერიოდში მის მიერ გამოიმუშავებული თანხისა. მაგრამ, ამის გარდა, გვაქვს სტრატეგია: ვიყოთ განსხვავებულები სიმდიდრეში და არა მსგავსნი სიღარიბეში. ეს არის ჩვენი სამერმისო საქმიანობის სლოგანი და ითვალისწინებს, რომ ადამიანები თავიანთი კეთილდღეობის დონესა და ხარისხს უნდა განსაზღვრავდნენ თავიანთი შრომითი საქმიანობის დროს და ისინი დადგებიან არჩევნის წინაშე: დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი? ანუ მათ შეეძლება, გარკვეული თანხა შეიტანონ საპენსიო ფონდებში.

– რა განსხვავებაა ბანკში და საპენსიო ფონდში შენატანს შორის?

– თქვენ თავისუფალი ხაროთ თქვენს არჩევანში.

– ის, რომ ბანკში ფულის შეტანა უფრო რისკიანია?

– საპენსიო ფონდი შეიძლება, იყოს სახელმწიფო ან კერძო, მსჯელობის პროცესშია ეს საკითხი. ბევრ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საპენსიო ფონდები. როდესაც თანხების აკუმულირება ხდება, 40 წლის ადამიანი, რომელიც საპენსიო ფონდში გადარიცხავს თანხას, იმის ილუზიით არ უნდა იკვებებოდეს, რომ ის თანხა იქნება უძრავად და უკან დაუბრუნებენ 20 თუ 25 წლის შემდეგ. რა თქმა უნდა, ის ფული არ არის გაჩერებული, მუშაობს, დიდწილად გააჩნია საინვესტიციო დატვირთვა. მაგალითად, როდესაც 40 წლის ასაკში დაიწყებს ადა-

მიანი თანხის შეტანას და 65 წლის ასაკში მოუწევს პენსიაზე გასვლა, ამ 25 წლის განმავლობაში მის მიერ შეტანილი თანხა ბრუნავს, იზრდება და ცივილიზებული ურთიერთობის პირობებში პენსიის სიდიდე განისაზღვრება არა მხოლოდ მოქალაქის მიერ შეტანილი თანხის სიდიდით (ინდექსირების გათვალისწინებით), არამედ, პლუს მოგების იმ ნაწილითაც, რაც ამ თანხის მეშვეობით იქნა მიღებული ამ ხნის განმავლობაში.

– თუ დასავლეთის მაგალითს ავიღებთ, ჩვენ ვიცით, რომ იქ ანაბრებზეც დაბალი საპროცენტო განაკვეთია და სესხებზეც, ჩვენთან ორივე მაღალია, თუმცა კრედიტებზე – არაადეკვატურად მაღალი. საპენსიო ფონდის მიერ დარიცხული პროცენტი უფრო მაღალია თუ საბანკო ანაბარზე დარიცხული?

– საბანკო პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ იქ უფრო დაბალია ჩვენთან შედარებით, მაინც უფრო მაღალია, ვიდრე იქაურ საპენსიო ფონდში არსებული. აქ ლაპარაკია მასშტაბებზე: რისკის ფაქტორი განაპირობებს საპროცენტო განაკვეთის სიდიდესაც.

– მესმის, მაგრამ დასავლეთში ანაბრები ხომ დაზღვეულია, მაშინ სად არის რისკი?

– დაზღვეულია ანაბარზე შეტანილი თანხის გარკვეული რაოდენობა. მაგალითად, ევროპაში ის გაზარდეს 100 ათას ევრომდე; რუსეთში - 40 ათას დოლარამდე. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა პოსტსოციალისტურ სივრცეში, რომელსაც დღემდე არ აქვს ანაბრების დაზღვევა.

– იმას ამბობთ, რომ საპენსიო ფონდებს აქვს დაბალი რისკი და არიან უფრო სტაბილურები?

– დიახ და სახელმწიფო აწარმოებს მონიტორინგს და ცუდლუტობებს ნაკლებად უნდა ველოდოთ, ვიდრე ბანკების შემთხვევაში, რადგან ბანკები აბსოლუტურად დამოუკიდებელი სტრუქტურები და გამორიცხულია სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა.

– ჩვენც იმ დაგროვებითი საპენსიო სისტემისკენ მივდივართ, რაზეც თქვენ ახლა ისაუბრეთ?

– ჩვენ ახლა ვდგავართ გზაჯვარედინზე, იყოს თუ არა ნებაყოფლობითი შენატანები საპენსიო ფონდში; მოხდეს თუ არა საშემოსავლო გადასახადის ნაწილის გადამისამართება საპენსიო ფონდში.

– ანუ შესაძლოა, 20-პროცენტიანი საშემოსავლოდან გადაირიცხოს თანხები საპენსიო ფონდში ან იმ 20 პროცენტს ზემოთ დამატებით გადარიცხოს თანხა დაქირავებულმა?

– ჯერჯერობით რიტორიკული კითხვებია, პასუხები არ არის. ბევრი ვარიანტია, მაგრამ ზუსტად არ ვიცით, რა გზით წავლენ და რა მეთოდებს შემოგვთავაზებენ; ვფიქრობ, ამაზე მხოლოდ მთავრობის ძალისხმევა არ იქნება საკმარისი, უნდა გაიმართოს საზოგადოებრივი მსჯელობა, მათ შორის, მეცნიერების, პრაქტიკოსების კომპეტენტური სიტყვის მონაწილეობით. ვფიქრობ, თუ ნორმალურად წავა ყველაფერი, 40 წლამდე ასაკის მოქალაქეებს 20-25 წლის შემდეგ შეიძლება, ჰქონდეთ ნორმალური საპენსიო სისტემა.

– თუმცა აქ არის ერთი აუცილებელი პირობა: მოქალაქე უნდა მუშაობდეს, თუ უმუშევარია, რას დააგროვებს?

– თუ ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოვალთ, მაშინ ამაზე ფიქრიც არ შეიძლება, მაგრამ წინ უნდა გავიხედოთ იმ პერსპექტივით, რომ სამუშაო ადგილები იქნება, ეკონომიკა გვექნება მდგრადი, განვითარებული და გაცილებით მსხვილ-მასშტაბიანი.

– უმუშევრები ყველა ქვეყანას ჰყავს, უმუშევრების პენსიის პრობლემა როგორ წყდება?

– უმუშევრებიც იღებენ დახმარებას, ჩვენთან 2008 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა ეგრეთ წოდებული სოციალური გადასახადი, რომლის პარალელურადაც არსებობდა 12-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადი. ისინი დაწყვილდა და ჯერ 25 პროცენტი შეადგინა, შემდეგ – 20-მდე შემცირდა. სოციალურ გადასახადს

ბევრი ქვეყანა იხდის და ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო საპენსიო უზრუნველყოფის სახსრების ფორმირებისთვის. ჩვენთან, ახალი საკონსტიტუციო ნორმით, გადასახადების შემოღება და, მით უმეტეს, მათი განაკვეთის ზრდა, რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს. ეს პოპულისტური ნაბიჯი, ვფიქრობ, ბევრ უსიამოვნებას შეგვახვედრებს.

– შევახსენოთ მკითხველს, რომ ეს გადაწყვეტილება წინა ხელისუფლებამ მიიღო.

– ჩვენ ხელისუფლებას ვირჩევთ იმიტომ, რომ მან უფრო კომპეტენტურად მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხზე; ხომ არ ვაწყობთ რეფერენდუმს ომის დანებების ან ზავის საკითხებზე? ეს უფლებები მთავრობაზეა დელეგირებული. ბუნებრივია, არავის არ აძლევს ხელს გადასახადების შემოღება, მაგრამ, რეალობიდან გამომდინარე, ხან უნდა შემოვიღოთ, ხან უნდა გავზარდოთ, ხან – შევამციროთ. ამდენად, რეფერენდუმზე ამ საკითხის გამოტანა არ იქნება მართებული.

– თუ იმაზე მეტ ხანს ვიცოცხლე, ვიდრე გათვალისწინებულია, პენსია მაინც იმავე ოდენობით მომეცემა?

– მოგებული რჩება ის, ვინც მეტ ხანს ცოცხლობს. ის იღებს იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე შეიტანა და სტატისტიკურად იყო საშუალოდ გათვლილი. საფრანგეთში, მაგალითად, პენსიაზე გასვლის შემდეგ მამაკაცები საშუალოდ ცხოვრობენ 22 წელიწადს, ხოლო ქალები – 28 წელიწადს. ჩვენთან ეს ციფრი გაცილებით მოკრძალებულია: ქალებისთვის, დაახლოებით, 15 წელიწადია, მამაკაცებისთვის – 7 წელიწადი. ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია სიცოცხლის ხანგრძლივობასთან.

– კონკრეტული მაგალითი რომ მოვიყვანოთ, რამდენი თანხა უნდა გადავიხადო ყოველთვიურად, რომ ამდენი და ამდენი პენსია მქონდეს? ეს როგორ ითვლება?

– წინასწარაა ცნობილი, ვინ რამდენს აიღებს საპენსიო ასაკის დადგომასთან ერთად. პირობითად ვთქვათ, თუ თვეში 100 ევროს გადაიხდით, მაშინ გექნებათ პენსია, ვთქვათ, 300 ევრო; თუ გადაიხდით 120 ევროს, გექნებათ 380 ევრო. კორელაციური ცხრილებია და თავად განსაზღვრავ, რამდენის მოკლება გიღირს დღეს, რომ შემდეგ პენსია მიიღო. ადამიანი არის თავისუფალი არჩევნის წინაშე. მას შეუძლია, ნაკლები გადაიხადოს და შესაბამისად, ნაკლები ექნება პენსია.

– ყველას ჯვარი სწერია, მეც, ვთქვათ, ვერ მივალწიე საპენსიო ასაკამდე – რა ემართება ჩემ მიერ საპენსიო ფონდში შეტანილ თანხას?

– ეს წინასწარ უნდა იყოს დათქმული. ოჯახის წევრებს მიეცემათ მაშინვე ან გარდაცვლილი პირის საპენსიო ვადის დადგომამდე. ყველაფერი დეტალურადაა განწერილი. მაგალითად, ჩილე დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა საპენსიო სისტემის დაგროვების დიდ ნოვატორად. იქ, დაახლოებით, 11 განსხვავებული საპენსიო სისტემა და ფონდი მოქმედებს.

– გარდაცვლილის საპენსიო თანხა ოჯახს დანამატების გარეშე უბრუნდება?

– დიახ. ამასთანავე, იგულისხმება, რომ თქვენ უვლით საკუთარ ჯანმრთელობას და რამე მავნე თვისებებით ზიანს არ აყენებთ მას. დაზღვევაში ამას ჰქვია მორალური რისკის ცნება. ამერიკაში, მაგალითად, ვინც შემჩნეულია გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობაში, ალკოჰოლის გამოყენებაში, მათთვის დაზღვევის თანხა ავტომატურად უფრო მეტია, იმიტომ რომ მათ შემთხვევაში რისკის ფაქტორი გაცილებით მაღალია.

– ჩვენთან პარადოქსული რამ ხდება: სადაზღვეოები არ უზღვევენ ავტომანქანას 23 წლამდე ასაკის მძღოლს, იმიტომ რომ რისკი მაღალია; პარლამენტარს კი 21 წლის ასაკიდან ვირჩევთ. ანუ კანონების წერას ვანდობთ, მაგრამ მანქანას – არა.

– ამიტომაცაა საზოგადოება უფრო მომატებული რისკის ქვეშ.

– **ზოგადად რომ ჩამოვაყალიბოთ, როგორია დაგროვებითი პენსიის სქემა?**

– სქემა სამსაფეხურიანია: პირველი საფეხურია საბაზისო, ანუ სოციალური პენსია, რომელიც მიეცემა აბსოლუტურად ყველას, ვინც არის საპენსიო ასაკის; მეორე საფეხურია, როდესაც საშემოსავლო გადასახადიდან რაღაც პროცენტი მიდის საპენსიო ფონდში, იმისდა მიუხედავად, გაქვთ თუ არა თქვენ ამის სურვილი და იქ დაგროვილი თანხა საპენსიო ასაკის დადგომასთან ერთად, ემატება საბაზისო პენსიას. მაგრამ, ამის პარალელურად, თუ თქვენ გინდათ, რომ თქვენი პენსია უფრო მეტი იყოს, შეგიძლიათ, გააფორმოთ ხელშეკრულება რომელიმე საპენსიო ფონდთან და განახორციელოთ ნებაყოფლობითი დამატებითი შენატანები ყოველთვიურად.

**რატომ განაგრძო ახალმა ხელისუფლებამ
ქველის მიერ შექმნილი სახელფასო ტრადიცია
და რატომ უჯდება მაღალჩინოსანთა
„პატიოსნება“ საქართველოს მოსახლეობას
უფრო და უფრო კვირი
№51, 16-22.12.2013**

ძველი, ჯერაც საბჭოთადროინდელი ანეკდოტია: მზესუმზირის ორი გამყიდველი, რომლებიც ხიდზე საქმიანობდნენ, ვერ შეთანხმდა, რა არის კომუნიზმი. ერთ-ერთმა გადაწყვიტა, აზრი გამვლელისთვის ეკითხათ. გამვლელმა არ დაიზარა და ხატოვნად აუხსნა: გაჩერებაზე რომ ორი „ვოლგა“ დგას, ერთი ჩემია, ერთი – ჩემი მეგობრის, როდესაც შუაში შენი „ვოლგაც“ დადგება, კომუნიზმში ვიქნებითო. დაბრუნდა მზესუმზირის გამყიდველი თავის მეგობართან და აუხსნა: მე ხომ ხიდის თავში ვყიდი მზესუმზირას, შენ – ხიდის ბოლოში, შუაში რომ მესამეც დაინყებს მზესუმზირის გაყიდვას, კომუნიზმში მაშინ ვიქნებითო. ეს ძველისძველი ანეკდოტი ჩვენს ქვეყანაში დამყარებულმა სახელფასო უსამართლობამ გამახსენა. მართალია, ჩინოვნიკებისთვის ქართული რეალობისთვის არაადეკვატურად მაღალი ხელფასების დანიშვნის ტრადიციას საფუძველი „ნაციონალებმა“ ჩაუყარეს, თუმცა გზას არც „მეოცნებეებმა“ უგანეს: ანუ იქ, ზემოთ, კვლავაც „ჯიბთა“ ცვენაა, აქ, ქვემოთ, კი „მზესუმზირით მოვაჭრეების“. რამდენად სამართლიანად ნაწილდება შემოსავლები ქვეყანაში და რატომ არის უცხო ხილი ჩვენი საზოგადოების „გავძეხი“ ნაწილისთვის სოციალური სოლიდარობა? – საკითხს ეკონომიკის ექსპერტ იოსებ არჩვაძესთან ერთად მიმოვიხილავთ.

– ბოლო 8 წელია, რაც მაღალჩინოსანთა ხელფასი აღემატება როგორც საარსებო მინიმუმს, ისე ქვეყანაში არსებულ საშუალო

ხელფასს. არ არსებობს რამე სქემა, რა ფარგლებში შეიძლება, აღემატებოდეს მაღალჩინოსანთა ხელფასები საარსებო მინიმუმსა თუ რომელიმე სხვა ზოგად მაჩვენებელს?

– სახელფასო თემა არის იმ შინაგანი წინააღმდეგობებისა და არასრულყოფილების გამოხატულება, რაშიც ჩვენი ეკონომიკაა. იმის გამო, რომ ჩვენი ეკონომიკა არ არის ისეთი ეფექტიანი, როგორც გვინდა, რომ იყოს და მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და ჩვენს ისტორიას ეკადრება, ხელფასები არის ისეთი, როგორიც არის. მანამდე ერთ საკითხზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: ბოლო წლებში ხელფასები ძალიან ინტენსიურად იზრდებოდა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი ქვეყანაში ნომინალური მშპ-ის ზრდას უსწრებდა ორჯერ და ცალკეული წლების მიხედვით, ორ-ნახევარჯერაც. მაგალითად, მთლიანი შიგა პროდუქტის ხელფასტევადობა 1996 წლის 6 პროცენტთან 22 პროცენტამდე გაიზარდა. ზრდა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ, თუ ხელფასტევადობის ჩვენს მაჩვენებელს ევროპისას შევადარებთ, ის საკმაოდ დაბალია. მაგალითად, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 60 პროცენტია. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი კი 40 პროცენტს აღემატება. ამდენად, აქ პრობლემაა არა ის, რომ ხელფასებია მაღალი ან ქვეყანაში აღარ არსებობს ხელფასების შემდგომი ზრდის რესურსი, არამედ ის, რომ ხელფასის საშუალო სიდიდის ზრდას არ მოჰყოლია დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა. ქვეყანაში ძალზე მცირეა ხელფასის მიმღებთა რაოდენობა. მაგალითად, ამერიკასთან შედარებით ჩვენთან ყოველათას ადამიანზე დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობა 3-ჯერ ნაკლებია. შესაბამისად, ეს გავლენას ახდენს კეთილდღეობაზე და პრობლემის ეპიცენტრი უკვე არა საშუალო ხელფასია, არამედ ის, თუ რამდენია დასაქმებული. თუ ცხრასართულიან კორპუსში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს, მისი ხელფასი რომ გავანაწილოთ კორპუსის მაცხოვრებლებზე, ის საკმაოდ მცირე გამოვა, ამიტომ

ჯობს, ხატოვნად რომ ვთქვათ, თითო სართულზე თითოს მაინც ჰქონდეს ხელფასი. - მარტივი მაგალითია, მაგრამ კარგად ასახავს რეალობას.

- ამერიკასთან შედარებით სამჯერ მცირე დასაქმებულთა რაოდენობა კიდევ რის მაჩვენებელია?

- ეკონომიკურად ჩვენ ჩამოვრჩებით ამერიკას, მაგრამ ეს ჩამორჩენა უფრო მეტია დღეს, ვიდრე საშუალო ხელფასის მიხედვით. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო. შემოძლია, ციფრებიც დავასახელო. მაგალითად, 2003 წელს მოსახლეობის ერთ სულზე ჩვენი მშპ ამერიკის მშპ-ის 2,4 პროცენტი იყო, საშუალო ხელფასი კი - 2,1 პროცენტი. ამჟამად მშპ-ის მიხედვით, დაახლოებით, 8 პროცენტამდე ვართ, ხოლო საშუალო ხელფასით, უკვე 13 პროცენტამდე. მაგრამ საქმე ის არის, რომ, რადგან ჩვენთან ხელფასის მიმღებთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, რეალურად, ის 13 პროცენტი მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე 4 პროცენტი გამოდის.

- საშუალო ხელფასი, დაახლოებით, 700 ლარი, იანგარიშება დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასებიდან და მის ამ 700 ლარობას განსაზღვრავს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა მაღალი ხელფასები, თუმცა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთაგან ყველა არ იღებს ისეთ მაღალ ხელფასებს, როგორსაც ჩინოვნიკები.

- დიახ, თვითონ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებიც ორ კატეგორიად იყოფა: საჯარო მოხელეები და, მაგალითად, სკოლის პედაგოგები. ბიუჯეტის პროექტის საბიუჯეტო ასიგნებებს თუ გადავხედავთ, განათლების სისტემაში დაახლოებით 1 200 საჯარო მოხელეა და ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, ისევე, როგორც 70 ათასი პედაგოგიც, რომლებიც საჯარო მოხელეები არ არიან. იგივე ითქმის პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებზეც.

– საჯარო სამსახურის ვაკანსიების საიტზე მოცემულია სხვადასხვა ვაკანსიებისთვის განსაზღვრული ხელფასები: ყველაზე დაბალი რანგის საჯარო მოხელის ხელფასი, მინიმუმ, 800 ლარია; ხოლო საშუალო რანგის საჯარო მოხელის ხელფასი ათასი ლარიდან სამი ათას ლარამდეა. პედაგოგი რამდენიმე თვეში თუ დააგროვებს 800 ლარს.

– მე არ მინდა, პედაგოგებს რადიკალური გამოსვლისკენ მოვუწოდო, მაგრამ უმრავლეს ქვეყანაში პედაგოგი აპრიორი მიეკუთვნება საშუალო კლასს და იგულისხმება, რომ მისი ხელფასი უნდა აღემატებოდეს ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასს. სხვათა შორის, ეს ასე იყო რევოლუციამდე, ნიკოლოზის დროს რომ უწოდებენ: პედაგოგის ხელფასი 1,5-ჯერ მეტი უნდა ყოფილიყო საშუალო ხელფასზე, განსაკუთრებით კი, სოფლის პედაგოგები იყვნენ დაფასებულნი. ამ ლოგიკით, თუ საჯარო მოხელის ყველაზე დაბალი ხელფასი 800 ლარია, პედაგოგის ხელფასი 1 200 ლარი მაინც უნდა იყოს. მაგალითად, ჩვენთან ნებისმიერი მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელის ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატება გაეროს განიარაღების კომიტეტის ხელმძღვანელის ხელფასს. თავის დროზე ითქვა, ბიუჯეტიდან რომ გადავუხადოთ ხელფასი, მაშინ სახელმწიფო სტრუქტურების გავლენის ქვეშ მოექცევიანო, მაგრამ, იგივე ლოგიკით, მაშინ ბიუჯეტიდან არც პროკურორებს და მოსამართლეებს უნდა გადავუხადოთ ხელფასი, რომ ისინიც არ მოექცნენ რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის გავლენის ქვეშ.

– ახლა, მართალია, გაიზარდა პრეზიდენტ მარგველაშვილის ხელფასი, 7 200 ლარამდე, მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილს წლიური 5 000 ჰქონდა, რაც ჩამორჩებოდა მისივე მრჩევლის, მინისტრების, მინისტრების მოადგილეების, სამხარეო პროკურორების და ა. შ. ხელფასს, მინიმუმ, 2-ჯერ მაინც. რა პრინციპით?

– ძველადაც იყო მსგავსი პრაქტიკა, მაგალითად, ვიცე-პრემიერის ხელფასი დაახლოებით 3-ჯერ ნაკლები იყო მისი დაცვის

მუშაკთან შედარებით. ვიცე-პრემიერი იღებდა 13 მილიონ კუპონს, მისი დაცვის მუშაკი – 39 მილიონ კუპონს.

– ვის მოუმწიფდა თავში ასეთი გენიალური სქემა?

– იგულისხმებოდა, რომ ვიცე-პრემიერს სხვა პრივილეგიებიც ჰქონდა, დახმარებები, გრანტები და მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ ხელფასი არ განიხილებოდა. არ ვგულისხმობ კორუფციულ სქემებს, ლეგალური პრივილეგიები და შემოსავლები მაქვს მხედველობაში.

– გამოდის, რომ პარლამენტის წევრი ერთ თვეში იღებს იმდენ ხელფასს, რასაც პენსიონერი აიღებს 4 წელიწადში, ანუ 48 თვეში. არ არის უხერხული სხვაობა?

– ყველაზე იდეალური იქნებოდა, რომ საჯარო მოხელეების ხელფასი ჯერადად ყოფილიყო დამოკიდებული საარსებო მინიმუმთან. ვთქვათ, პირობითად, პრეზიდენტის ხელფასი 20-ჯერ უფრო მაღალი – საარსებო მინიმუმთან და ასე შემდეგ. მაგრამ 2001 წლიდან ეს სისტემა აღარ მუშაობს და მეტი „თვითშემოქმედების“ საშუალება მიეცათ სამინისტროებს. ეს არა მხოლოდ არაეკონომიურია, არამედ, ამცირებს სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმს, და ზრდის უწყებრივ, კორპორაციულ „პატრიოტიზმს“, სოლიდარობის განცდას. საჯარო მოხელეები დამოკიდებულნი ხდებიან იმ ხელმძღვანელებზე, რომლებმაც მიიყვანეს სამსახურში. ამდენად, საჯარო მოხელეები ამ პირობებში გამოდიან არა ერთიანი სახელმწიფოებრივი ინტერესების გამტარებლებად, არამედ, იმ პოლიტიკის გამტარებლებად, რასაც მათ უწყების ამჟამინდელი ხელმძღვანელი კარნახობს, იმიტომ რომ მათი შემოსავლები და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური მდგომარეობა, მთლიანად ამ უფროსის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

– ანუ თითოეული უწყება თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს თავის სახელფასო ბაძეს არსებული სახელფასო ბიუჯეტის პირობებში?

– მეტ-ნაკლებად თავისუფალნი არიან ისინი, თანაც, შეუძლიათ, საბიუჯეტო სახსრების გარკვეულად გადათამაშება. დაახლოებით, 10 პროცენტის ფარგლებში შეუძლიათ, გაზარდონ ან შეამცირონ ხელფასის ფონდი. მართალია, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მაგრამ ამის საშუალება აქვთ.

– **ნორმალურია ვითარება, როდესაც ერთი მოქალაქე ბიუჯეტიდან ერთ თვეში იღებს იმდენ ხელფასს, რასაც მეორე მოქალაქე 48 თვეში? და ეს არ ეხებათ მხოლოდ პარლამენტარებს - მინისტრებსა და მოადგილეებს ამაზე მეტიც აქვთ.**

– თვალში მოსახვედრია, თორემ პარლამენტარები უნდა იღებდნენ მაღალ ხელფასს. რომ შევამციროთ პარლამენტარის ხელფასი და გადავანანილოთ პენსიონრებზე, ამ უკანასკნელთაგან თითოეულის პენსია ყოველთვიურად მხოლოდ 7-8 თეთრით გაიზრდება.

– **მე მესმის, პარლამენტარი 150-ა, ხოლო პენსიონერი – 800 ათასი და იმასაც ვეთანხმები, რომ მათ უნდა ჰქონდეთ მაღალი ხელფასი და არ მიგულისხმია, რომ უნდა მოიკლონ და დაუმატონ პენსიონერებს, მაგრამ თითო ათასი მოკლება დადებითად წარმოაჩენდა მათ და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას შეუწყობდა ხელს. ის თანხა, ვთქვათ, ბავშვებისთვის უფასო სპორტული ჯგუფების გახსნისთვის მოეხმარებინათ.**

– მე ბევრს ვიცნობ პარლამენტშიც და სამინისტროებშიც, რომლებიც საკუთარ შემოსავალს მხოლოდ საკუთარ ოჯახს არ ახმარენ, ისინი უჩემრად, ყოველგვარი აფიშირების გარეშე ეხმარებიან გაჭირვებულ ნათესავებს და მათ მიერ გაღებული ეს რეგულარული სახსრები საკმაოდ შთამბეჭდავია.

– **გასაგებია, ნათესაობას გაუმართლებს და მათგან ვინმე პარლამენტში ან სამინისტროში მოხვდება, მაგრამ მე სახელმწიფოებრივ მიდგომასა და აზროვნებაზე ვლაპარაკობ.**

– ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ უნდა არსებობდეს ეკონომიკური მექანიზმი, რათა საზოგადოების მეტი წევრი იყოს უზრუნველყოფი-

ლი და ეს უკავშირდებოდა არა ვინმეს მიერ წყალობის გაღებას, არამედ, ეკონომიკურ საქმიანობას. ამიტომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ისეთი ეკონომიკური მექანიზმის ფორმირებაზე, რომელშიც დასაქმების რესურსი გაიზრდება და სამუშაო ადგილების რაოდენობა მოიმატებს. ამაში უნდა გადავუხადოთ ფული საჯარო მოხელეებს და პარლამენტარმა, უპირველესად, ასეთი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს, რომ მისი იქ ყოფნა ემსახურება ისეთი საკანონმდებლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, საინვესტიციო კლიმატის შექმნას და საბოლოოდ, მეტი სამუშაო ადგილის ფორმირებას. ეს უნდა იყოს მათი საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი.

– **ვარდების რევოლუციისთანავე შეიქმნა რეფორმების ფონდი. მოტივაცია იყო შემდეგი: ჩინოვნიკებს, რომ არ მოეპარათ, მაღალი ხელფასი სჭირდებოდათ. შემდგომმა წლებმა აჩვენა, რომ, რათა არ მოიპარონ, უფრო და უფრო მაღალი ხელფასები სჭირდებათ. იმთავითვე ვფიქრობდი, რომ ასეთი უსამართლო მოდელი სამართლიან სისტემას ვერ შექმნიდა. არადა, ეს უსამართლობა ისევ გრძელდება.**

– სწორედ იმას ჰქვია სამოქალაქო საზოგადოება, რომ მისი ყველა ფენის წარმომადგენელი მეტ-ნაკლებად უნდა გრძნობდეს იმ ცხოვრების დონეს, გაჭირვებას თუ სიკეთეს, რაც მთლიანად საშუალოდაა საზოგადოებისთვის დამახასიათებელი. ის მოარული შედარება, ინგლისის დედოფალი ომის დროს სასახლეს არ ათბობდაო, სწორედ ამას ემსახურება. ბუკინგემის სასახლე, ალბათ მაინც თბებოდა, მაგრამ ამ გამონათქვამის არსია, რომ მმართველი უნდა იყოს თავისი ხალხის მდგომარეობის თანაზიარი. სოციალური სოლიდარობის გამოვლენა, სოციალური სამართლიანობის წინა პლანზე წამოწევა გაცილებით ჯანსაღ გარემოს ქმნის როგორც სამართლებრივ, ისე ეკონომიკურ სფეროში, ვიდრე შიშველი ნორმატიული

აქტების მიღება ჯარიმებისა და სანქციების სახით. ამიტომ თუ საზოგადოება გრძნობს, რომ ხელისუფალი მის მხარეზეა, განიცდის შექმნილ ვითარებას და ცდილობს, თავისი მდგომარეობა მიუსადაგოს საზოგადოების დანარჩენი ნაწილის მდგომარეობას, ის უფრო მეტი ნდობით, გაგებით და პასუხისმგებლობით მოეკიდება ხელისუფლების შეფასებას.

**როგორ იზიდავს აზერბაიჯანი
საქართველოზე 8-ჯერ მეტ ინვესტიციას
და ვინ უკეთავენ გზას თურქმენულ
სანავს ქართულ ბაზარზე
№2, 13-19.01.2014**

ისე დაგვებდა, რომ, ან ნავთობის საერთაშორისო ფასი იზრდება, რაც სანავს გვიძვირებს, ან ნავთობის ფასი იგივე რჩება და ლარი გვიძვირდება, რაც, საბოლოოდ, ბენზინის ხარჯს გვიზრდის. ისეც ხდება, რომ საერთაშორისო ფასები იკლებს, მაგრამ, ლარი გვიუფასურდება. ასეა თუ ისე, ფაქტობრივად, სანავსის პერმანენტული გაძვირების რეჟიმში ვცხოვრობთ. ამის პარალელურად, გავრცელებული ინფორმაციით, თითქოს სანავსის დეფიციტია მოსალოდნელი, იმ მიზეზით, რომ „სოკარს“ გაუჭირდება იმავე ოდენობის სანავსის შემოტანა, რაც ადრე შემოჰქონდა. მეორე მხრივ, უცნაურია სანავსის დეფიციტზე საუბარი, ჯერ ერთი, საბაზრო ეკონომიკისა და, რაც მთავარია, ქართულ ბაზარზე რამდენიმე მსხვილი ნავთობიმპორტიორის არსებობის გათვალისწინებით (მით უფრო, რომ აზერბაიჯანი, სულ რაღაც, „ევრო 2-ის“ სტანდარტის სანავსს აწარმოებს). ბენზინის ფასებსა და დეფიციტის პერსპექტივას ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე შეაფასებს.

– ბარელი ნავთობის ფასი 95 აშშ დოლარის ფარგლებშია, თუმცა, სანავსი მაინც გაძვირდა ჩვენს ბაზარზე, რაც ამჟამად დაუკავშირეს ლარის გაუფასურებას. მართლაც ისეთი დიდი რყევა განიცადა ლარმა, რომ 7-10 თეთრით გაძვირებულიყო სანავსი?

– ნავთობის ფასს ერთგვარი ეგზისტენციური დატვირთვა აქვს, რაც შეიძლება ხატოვნად ასეც კი გამოვხატოთ: „ნავთობი ჩვენი მღელვარებისა“. ასეა თუ ისე, ამაზეა დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკა: იმ ქვეყნებისა, რომლებიც ნავთობის ექსპორტს ეწ-

ევთან და იმ ქვეყნებისაც, რომლებიც იმპორტზე არიან დამოკიდებულინი. სამწუხაროდ, საქართველოში ნავთობის ადგილობრივი წარმოება მცირეა. ჩვენ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გვექონდა პიკური ამოფრქვევა: ორი წლის განმავლობაში სამ მილიონ ტონაზე მეტი იყო წარმოება, მაგრამ, შემდგომში იკლო და დღეს მხოლოდ რამდენიმე ათეული ათასი ტონის მოპოვება ხდება, რაც არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას და ფაქტობრივად, მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებული.

– დავაზუსტებ: ამოფრქვევა იყო თუ მოპოვება? ანუ, არის და, უბრალოდ, ამჟამად არ მოვიპოვებთ?

– გასული საუკუნის 70-იან წლებში იმდენად მაღალი იყო საქართველოში ნავთობის მოპოვება, რომ, შეგვიძლია, ვუნოდოთ ამოფრქვევაც და მოპოვებაც. მაშინდელი საქნავთობის გენერალურმა დირექტორმა ამისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც კი მიიღო.

– ახლა რა უშლის ხელს მოპოვებას?

– ნავთობის მოპოვებას მაღალი ტექნოლოგიები და ინვესტიციები სჭირდება. მაგალითად, აზერბაიჯანში უცხოური ინვესტიციების 70 პროცენტზე მეტი ნავთობისა და გაზის ინდუსტრიულ სექტორზე მოდის და საქართველოსთან შედარებით იქ უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე რვაჯერ უფრო მეტია და, უპირველესად, ეს უკავშირდება ენერგომატარებლებს. ნავთობპროდუქტების მხრივ, ჩვენ დამოკიდებული ვართ მსოფლიო ბაზარზე. კარტელურ გაერთიანება „ოპეკში“ ხდება გარკვეული შეთანხმება მოპოვების თვალსაზრისით და ფასები დგინდება შეთანხმებით, თუმცა, ეს ჩვენთვის შეღავათი არ არის.

– არსებობს ევროპის ენერგოპორტალი, რომელზეც ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში სანავთობის ყოველდღიური ფასები მოცემული, თავისი ფასწარმოქმნიანად; ჩაშლილია კომპონენ-

ტები, რაც აწარმოებს ბენზინის ფასს. რა გახდა იმის გასაჯაროება, როგორ დგინდება სანავის ფასი ჩვენს ქვეყანაში?

– ჩვენთვის ცნობილია ბენზინის საბაზრო ფასი, აქციზის სიდიდე, ტრანსპორტირების ფასი და, შეგვიძლია, დაახლოებით ვიანგარიშოთ, რა უჯდებათ ნავთობიმპორტიორებს სანავის შემოტანა. შემიძლია, გითხრათ, რომ სანავზე აქციზური გადასახადი გაცილებით მაღალია ჩვენთან, ვიდრე ჩვენს მეზობელ სომხეთსა და რუსეთში. მაგრამ, თუ ავიღებთ საცალო ფასებს, საქართველოს, ამ მხრივ მაინცდამაინც სანუნუნო არაფერი აქვს. ჩვენი მეზობელი თურქეთი მსოფლიოს ყველაზე ძვირი სანავის მქონე ქვეყნების ხუთეულში შედის.

– მაგრამ, როგორც ვიცი, თურქეთში სანავის ფასწარმოქმნის სხვა პრინციპია და მხოლოდ სანავთან არ არის დაკავშირებული, სხვა კომპონენტებიც ემატება.

– გასაგებია, მაგრამ, მომხმარებლისთვის თურქეთში ბენზინი ძვირი ღირს. ჩვენთანაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები და ამან გავლენა მოახდინა ბაზარზე. ჩემი დაკვირვებით, ბოლო წლებში შეინიშნება, ერთი მხრივ, საავტომობილო პარკის ზრდა და, მეორე მხრივ, ბენზინის მოხმარებისა და იმპორტის შემცირება. იმის გამო, რომ სანავი საკმაოდ ძვირია, სულ უფრო მეტი და მეტი ავტომანქანა, რომელიც საქართველოში შემოდის, გადაჰყავთ გაზზე.

– ოფიციალური მონაცემით, ჩვენთან ავტოპარკის 9-პროცენტიანი ზრდაა ყოველწლიურად.

– 30-50 ათასით იზრდება ყოველწლიურად ჩვენი ავტოპარკი და ამ ნაზარდის სულ უფრო დიდი ნაწილი არის არა ბენზინის, არამედ, შეჭირხნული გაზის მომხმარებელი. ბენზინის მომხმარებელთა წილი ახალშემოყვანილ ავტომანქანებში სულ უფრო და უფრო მცირდება და ეს გავლენას ახდენს ბენზინის იმპორტის მაჩვენებელზე. საქართველოში ბოლო 3-4 წლის განმავლობაში თითქმის 50-60 ათასი ტონით შემცირდა ბენზინის იმპორტი, მაშინ, როდესაც

ავტომანქანების რაოდენობა თითქმის ერთი მეოთხედით გაიზარდა. ჩემი გათვლებით, 2014 წელს გაზით მოძრავი ავტომანქანების გარბენის სიგრძე გადააჭარბებს ბენზინზე მომუშავე ავტომობილების მიერ გავლილ კილომეტრებს, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შევამცირებთ ბენზინის იმპორტს. 2001 წლის შემდეგ ნავთობპროდუქტების იმპორტის ჯამური ოდენობა ეკვივალენტურია 2004-2005 წლების მთლიანი შიგა პროდუქტის საშუალო არითმეტიკული. 2001 წლიდან 2013 წლის ჩათვლით 5,8 მილიარდი აშშ დოლარის ნავთობპროდუქტების იმპორტი განვახორციელეთ საქართველოში. ეს საკმაოდ დიდი ციფრია და, შემოძლია, ისიც გითხრათ, რომ ნავთობპროდუქტების იმპორტის თანაფარდობა ჩვენს მთლიან ექსპორტთან 40 პროცენტის ფარგლებშია. ესეც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ნიშნავს, რომ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარებასთან, უკავშირდება ნავთობის იმპორტს, მასზე ფასებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს საერთო მდგომარეობაზე. ამასთან, საწვავის იმპორტის ღირებულების ზრდა წინ უსწრებდა ჩვენი იმპორტის მთლიან ზრდას. გაზრდილია ამ იმპორტის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტთან და ძალიან ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, რის მიხედვითაც, ჩვენ საგრძნობლად ვართ დამოკიდებული ნავთობის იმპორტზე. ყოველწლიურად მოსახლეობის ერთ სულზე ნავთობპროდუქტების დაახლოებით 200 დოლარის იმპორტი ხორციელდება.

– მეც დამითვლია, ჩემს რესპონდენტებსაც, რამდენი უჯდებათ ნავთობიმპორტიორებს ერთი ლიტრი ბენზინი და მათ მიერ დაწესებული საცალო ფასი საკმაოდ მაღალია, ანუ, მოგების ლუფტი მაღალია, რაც ცოტა უცნაურია, თუ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ვიმსჯელებთ.

– აქ ორი მომენტი: ერთია, რამდენად კეთილსინდისიერად ეპყრობიან ნავთობიმპორტიორები მომხმარებელთა ინტერესებს და, მეორე, რომ ჩვენთან არიან მხოლოდ მსხვილი იმპორტიორები,

მცირე იმპორტიორები ბაზრიდან გაქრნენ და, სადაც არ არის თავისუფალი კონკურენცია, იქ შესაძლებელია თამაშის გარკვეული ნესების დადგენა, თუ პირდაპირ არა, ჯენტლმენური გარიგებით. ქვეყნის შიდა ბაზარზე სულ რამდენიმე მსხვილი ნავთობიმპორტიორია.

– „სოკარს“ ოფიციალურადაც უჭირავს ბაზრის დიდი წილი და, არის მოსაზრება, რომ დანარჩენებზე დიდწილად მისგან ყიდულობენ სანვავს. ის ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, სანვავის დეფიციტი შეიქმნას, რადგან, არ არის გამორიცხული, „სოკარმა“ ველარ შეძლოს იმდენივე სანვავის შემოტანა, რამდენიც შემოჰქონდაო, არ ადასტურებს დანარჩენი ნავთობიმპორტიორების „სოკარზე“ დამოკიდებულებას? თორემ, რატომ უნდა შეიქმნას დეფიციტი?

– საბაზრო ეკონომიკის პირობებში დეფიციტის შექმნა შეუძლებელია. 2008 წლის ივლისში ნავთობის ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია – 147 დოლარი ღირდა ერთი ბარელი, მაგრამ, ეკონომიკური კრიზისისა და მოთხოვნის შემცირების საფუძველზე, ნავთობროდუქტების ფასი იმავე წლის ბოლოსათვის თითქმის ხუთჯერ - 32 დოლარამდე შემცირდა. იმ წელს აზერბაიჯანიდან სანვავის იმპორტი წინა წლებთან შედარებით ფიზიკურად არ შემცირებულა, ღირებულებით კი სამჯერ შემცირდა. ამიტომ, დეფიციტზე ლაპარაკი არ არის სწორი. ბაზარი დეფიციტზე რეაგირებს ფასების მომატებით. უბრალოდ, შეიძლება, მოპოვებასთან გვეკონდეს სირთულეები.

– მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სირთულეებია აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვებასთან.

– თუ შემცირდა საერთო მოპოვება, ეს აისახება ფასებზე, თუმცა, „წმინდა ადგილი ცარიელი არ რჩება“, ჩაენაცვლება სხვა წყარო და ბაზარი გაჯერდება. 2000 წლისთვის მანქანის ერთი ავზის გავსება 60 ლარამდე უჯდებაოდა მომხმარებელს, დღეს კი 130 ლარი უჯდება. სანვავის ფიზიკური მოცულობა არ გაზრდილა, მაგრამ

ფასი გაიზარდა. ის ეჭვი, რომ სხვა ნავთობიმპორტიორი კომპანიები „სოკარისგან“ ყიდულობენ მის მიერ შემოტანილ ნავთობს, ახალი არ არის, მაგრამ, არც ეს კომპანიები და არც „სოკარი“ თავგამოდებით არ უარყოფენ აღნიშნულ ბრალდებას, რაც დამატებითი ეჭვის გაჩენის საფუძველი ხდება.

– **საწვავის კრიზისზე თავად „სოკარის“ წარმომადგენელმა ისაუბრა, თუმცა, იქვე დაგვიპირდნენ, რომ შეეცდებიან, არ აგრძნობინონ ქართველ მომხმარებელს. რატომ ვერ ხერხდება თურქმენეთიდან საწვავის შემოტანა? ეს ხომ გააიფებდა ბენზინს? მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანიდან „ვერო 2-ის“ სტანდარტის საწვავი შემოდის და თურქმენულიც ამავე დონისაა.**

– ეს მარტო იმპორტიორების პრობლემა არ არის, რადგან, თურქმენეთს მსოფლიო ბაზარზე გასვლაში პრობლემები იმის გამო ექმნება, რომ რუსეთი არ არის მაინცდამაინც დაინტერესებული, რომ თურქმენეთს ჰქონდეს დამოუკიდებელად გატანის შესაძლებლობა.

– **ჩვენ რა, მსოფლიო ბაზარი ვართ? ან, რამდენი საწვავი უნდა მოვიხმაროთ? თუ, გზა გაიჭრება და ამის შესაძლებლობას არ უშვებს რუსეთი?**

– არის ეს მომენტიც. თუ რამე გაკეთდება, რუსეთი უნდა დარჩეს მონოპოლიური ჰაბის როლში და მხოლოდ მისი გავლით უნდა განხორციელდეს გატანა. ეს რუსული პოლიტიკის ზოგადი პრინციპია და, ამ შემთხვევაში თურქმენეთის ძალისხმევაც ამას უკავშირდება.

– **მსმენია ექსპერტებისგან, რომ აზერბაიჯანიც წინააღმდეგია, თავის ტერიტორიაზე გაატაროს თურქმენული საწვავი. არადა, კასპიის ზღვა სულ 200 კილომეტრი სიგანისაა და ტრანსპორტირებაც იაფი დაჯდება.**

– კასპიის ზღვის შეღვის განაწილებაზეც არის მათ შორის აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა, თუმცა, შესაძლებელია საერთო ენის გამონახვაც. რამდენიმე წლის წინათ ისიც კი დაინერა, რომ

ნიაზოვის მოულოდნელი გარდაცვალება იმას უკავშირდება, რომ მან შეძლო წინააღმდეგობის დაძლევა – თურქმენეთს დამოუკიდებლად გაუხსნა გზა მსოფლიო ბაზრისკენ და სწორედ ამას შეეწირა მისი სიცოცხლე.

ეს დაინერა პრესაში, თუმცა, ხმამაღლა ამ საკითხზე არ საუბრობენ. ჩვენ რა შეგვიძლია ამ პირობებში?! თუ დეფიციტი იქნება, საწვავის ფასი გაიზრდება და მოხმარებაც იქნება ადეკვატური. კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან: 2005 წელს მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასების რყევა გამოიწვია ქარიშხალმა „კატრინამ“, მათ შორის საქართველოში, 20-22 დღის განმავლობაში, აგვისტო-სექტემბერში, ბენზინის ფასი 1,4 ლარიდან 2,25 ლარამდე გაიზარდა და, ამ ხნის განმავლობაში, ჩვენმა მომხმარებელმა რამდენიმე ათეული მილიონი ლარით მეტი გადაიხადა საწვავში. ეს რას ნიშნავს? როდესაც არის დეფიციტი, ძვირდება შემოტანილი საქონელი და მომხმარებელს მეტის გადახდა უნევს. იგივე რამ მოხდება, თუ ბაზარზე რაღაც პრობლემები შეექმნება აზერბაიჯანიდან საწვავის შემოტანას: ან ფასი გაიზრდება, თუ არა და, მონოდების ბაზარი ჩანაცვლდება. ასეთია საბაზრო პრინციპი და არ უნდა ველოდოთ ამ ზოგადი სურათიდან ამოვარდნას.

– და, გამოსავალია, თუმცა, ერთჯერადი დიდი ხარჯია, ავტომანქანების გაზზე გადაყვანა.

– რომ დააკვირდე, ნახავთ, რომ გაზის დამტენი სადგურებით თბილისში ტაქსების უკვე ლამის 100 პროცენტი სარგებლობს, ისევე, როგორც მსუბუქი ავტომანქანების დიდი ნაწილიც გაზზეა გადაყვანილი. თბილისში, როგორც წესი, უფრო ტევადი, მასიური მანქანების სიჭარბეა და, რადგან ისინი საწვავს დიდი რაოდენობით მოიხმარენ, მასობრივად გადაჰყავთ გაზზე. ეს ამცირებს ბენზინზე აბსოლუტურ მოთხოვნას.

– ჩვენთან ორი თვალშისაცემი უცნაურობაა: გაზზე მომუშავე ძვირად ღირებული „ჯიპები“ და ავტობუსის აიფონიანი მგზავრები.

– ზოგს ბინაზე მეტად მანქანით სიარული უფრო დიდ სიამოვნებასა და კმაყოფილებას ანიჭებს. მაგალითად, ევროპაში, განვითარებულ ქვეყნებში, შედარებით მცირელიტრაჟიანი მანქანებით კმაყოფილდებიან, ზოგან კი, საერთოდაც, ველოსიპედებით გადაადგილდებიან, ანუ, უფრო რაციონალური დამოკიდებულებაა ამ მხრივ. ჩვენ კი, მათთან შედარებით, მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე „ჯიპების“ რიცხვით ერთ-ერთი მონინავე ქვეყანა ვართ და უკვე შვეიცარიასაც კი ვუსწრებთ.

– ყოველ შემთხვევაში, სანვავთან დაკავშირებით კატასტროფული არაფერი გველის?

– ჩვენ ისეთი პერიოდები გავიარეთ, ახლანდელი პრობლემები მათთან მონაგონია. ისინი, არა მგონია, დაუძლეველი დარჩეს. თუმცა, რა თქმა უნდა, თვალყური უნდა ვადევნოთ პროცესებს და გვქონდეს ადექვატური რეაქცია საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

**რამ გამოიწვია ლარის კურსის ვარდნა, რატომ
იყო ინფლაცია აუცილებელი ბიუჯეტის
შესავსებად და რით უწყობს ხელს მოსახლეობა
ფასების ხელოვნურ მატებასა და ინფლაციას
№4, 27.01.-2.02.2014**

რაკი ლარის კურსი დოლართან მიმართებაში უკვე კარგა ხანია, ეცემა, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ფაქტმა მოქალაქეების ყურადღებაც მიიპყრო და, ფასების სამომავლო მატების შიშით, საფუძვლიანადაც შეაშფოთა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ჯერჯერობით ფასებს საგრძნობლად არ მოუმატია, ყოველ შემთხვევაში, ლარის გაუფასურების პირდაპირპროპორციულად. რა სუბიექტური და ობიექტური მიზეზები უდევს საფუძვლად ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, რა ნიშნულამდეა სავარაუდო მისი დაცემა, რა კავშირი აქვს ამ ფაქტს ბიუჯეტის შევსებასთან და რა რესურსი აქვს სახელმწიფოს ლარის დოლართან მიმართებაში ძველ ნიშნულამდე დასაბრუნებლად? – კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე უპასუხებს.

– ჩვენი თვალი შეეჩვია ლარის კურსის სიმყარეს. რეალური იყო თუ არა, თვალს მაინც უხაროდა ეროვნული ვალუტის მეტ-ნაკლები სიმყარე. ვალუტის კურსის გაუფასურებას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, ჩვენს შემთხვევაში, რამ გამოიწვია ის?

– ვალუტის სიმყარე ყოველთვის არ ნიშნავს, რომ კარგადაა საქმე. მაგალითად, საბჭოთა კავშირში მანეთის კურსი არ შეცვლილა გასული საუკუნის 60-ანი წლებიდან, როდესაც ფულადი რეფორმა განხორციელდა, 80-ანი წლების ბოლომდე, როდესაც პირველად დაიშვა უცხოური ვალუტის შედინება საბჭოთა კავშირში. თუმცა, იმ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად ჩამორჩა

ბევრ ქვეყანას. ხატოვანი გამონათქვამია – სრული სტაბილურობა სასაფლაოზეაო. ამიტომაც, როდესაც ვალუტის კურსი უცვლელია, იბადება კითხვები: ხომ არ არის სტაგნაცია და ხომ არ ხდება რისკების გადავადება პრობლემების გადაჭრის ნაცვლად?! აი, ასე კრიტიკულად უნდა მივუდგეთ ვალუტის ნებისმიერი ტიპის სტაბილურობას, მაგრამ, ჩვენ იმდენად მძიმე 1990-ანი წლები გამოვიარეთ, ფასების ცვლილების ჩათვლით და ფულის გაუფასურებით დამთავრებული...

– რომ, ძალიან მგრძნობიარეები გავხდით?

– მტკივნეულად აღვიქვამთ კურსის ცვლილებას და, ვშიშობთ, ხომ არ იქნება რეციდივები. ამ შიშის დაძლევის გარკვეული დრო სჭირდება. არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ ყოფილა ფასთა ისეთი ცვლილება და ინფლაცია, როგორც საქართველოში იყო. მაგალითად, საქართველოში 1995 წლის ფასების დონე, 1980-იან წლებთან შედარებით, არც მეტი, არც ნაკლები, 356 000-ჯერ გაიზარდა. ამდენად, კურსის ნებისმიერი ცვლილება თითქმის ავადმყოფურ რეაქციას იწვევს. თუმცა, აქ მეორე მომენტიც არის: არა მხოლოდ საქართველოში, მთელ მსოფლიოში ინფლაცია ისეთი კატეგორიაა, რომელზეც გავლენას ახდენს ეკონომიკის არა მარტო ფაქტობრივი მდგომარეობა, არამედ – საზოგადოების განწყობა, მისი დამოკიდებულება, ნდობა არა მხოლოდ ეკონომიკისადმი, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმიც კი. ამიტომ, ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ამოცანაა, არა მარტო ისეთი ეკონომიკური, საკრედიტო, საბანკო თუ მონეტარული პოლიტიკა გაატაროს, რომ ეს შიში მინიმუმამდე დაიყვანოს, არამედ, მას ევალება გარკვეული ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება; თავისი საქმიანობის რეკლამა, მეტი გამჭვირვალობა, რომ სიმშვიდე შეიტანოს საზოგადოებაში და მას შიში და ეკონომიკური ნევროზი მოუხსნას.

– თითქოს არ ცდილობს მთავრობა ამ ტიპის ნევროზის მოხსნას თუ მეჩვენება?

– რასაც ვაკვირდები ბოლო პერიოდში, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მთელი აქცენტი გადადის მთავრობაზე, ფინანსთა სამინისტროზე და ამ პროცესში ეროვნული ბანკის როლი ჩრდილშია – თითქოს, ის პროცესები, რაც ხდება, მას ნაკლებად ეხება. ეს მაგონებს ანეკდოტს: როდესაც სომხურ რადიოს ჰკითხეს, რომელი სახელმწიფოა ყველაზე დამოუკიდებელიო, უპასუხა: ის, რომელზეც არაფერი არ არის დამოკიდებულიო. რეალურად, ეროვნულ ბანკს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება, იმიტომ რომ, ჩვენთანაც, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ფასებზე პასუხისმგებლობა, ეგრეთ ნოდებული ინფლაციის ტარგეთირება, მიზნობრიობა არის ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა. თუ ინფლაციის ტარგეთირება და ვალუტის კურსი დაიდება სასწორის პინებზე, შეიძლება ითქვას, რომ ინფლაციის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია და არა ვალუტის კურსის რაღაც დონეზე შეჩერება. ამ შემთხვევაში, ინფლაციის პასუხისმგებლობის სიმძიმის მხოლოდ ფინანსთა სამინისტროზე გადატანა არ იქნებოდა სწორი. თავისი პოზიცია უფრო ხშირად უნდა გამოხატოს და პასუხისმგებლობაც აიღოს ეროვნულმა ბანკმა და ეს პასუხისმგებლობა უნდა ჩანდეს მის ყოველდღიურ ქმედებებსა და შესაბამის განცხადებებში. მით უმეტეს, გვახსოვს ეროვნული ბანკის ორი წლის წინანდელი ჰიპერაქტიურობა ბანკ „ქართუსთან“ მიმართებაში, რომელსაც სუფთა პოლიტიკური კონტექსტი ჰქონდა. ასევე, ეროვნული ბანკის დამოკიდებულება ეკონომიკური მოვლენებისადმი აშკარად მიანიშნებს, რომ ამასაც გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა აქვს.

– არავისთვისაა სიახლე მოსაზრება, რომ სწორედ ეროვნული ბანკის მანიპულაციების შედეგი იყო ლარის გაცვლითი კურსის მეტ-ნაკლები სტაბილურობა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ბანკის პასიურობაა ლარის კურსის რყევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი?

– ზოგჯერ პასიურობა. მაგალითად, 2012 წლის საპარლამენტო

არჩევნების შემდეგ, მიმოქცევიდან ამოვიდა საკმაოდ დიდი რაოდენობის ფულადი მასა და ფულის იმ მასას, რაც არჩევნების პერიოდში იყო, ქვეყანა დაუბრუნდა 2013 წლის მაის-ივნისისთვის. ამ დროის განმავლობაში მიმოქცევაში არ იყო საკმარისი ფულადი მასა. მეორე მხრივ, ინფლაციის დროს საზოგადოებას უჩნდება მოტივაცია, შეიძინოს ცოტა მეტი პროდუქტი, იმის შიშით, რომ ხვალ ის, შეიძლება, გაძვირდეს. მაგალითად, ბოლო კვირებში თბილისში კარტოფილი სწორედ ამის გამო გაძვირდა. განცდით, რომ კარტოფილი, შესაძლოა, კიდევ გაძვირებულიყო, მოსახლეობამ დიდი მარაგი გაიკეთა და ამით კიდევ უფრო გააძვირა ეს პროდუქტი. ყველა ცდილობდა თავის გადარჩენას, მაგრამ, საბოლოოდ, ირაციონალური შედეგი მივიღეთ. თავის მხრივ, დეფლაციის დროს ჩნდება სტიმული, ნაკლები შეიძინო და მოიხმარო, იმ იმედით, იქნებ კიდევ უფრო გაიაფდეს. მაგალითად, მომხმარებლის ნაწილი გაზაფხულზე მარწყვის შექენას აგვიანებს სწორედ იმ იმედით, რომ მალე უფრო გაიაფდება. საზოგადოების ასეთი ფსიქოლოგიური ქცევა ეკონომიკას კარგს არაფერს უქადის. ჩვენ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გვინევდა დეფლაციურ პროცესში ყოფნა. თუმცა ფასების საერთო დონის შემცირება ყოველთვის არ არის ცუდი, მაგალითად, თუ ის უკავშირდება ტექნიკურ პროგრესს, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ამის მაგალითია იაპონია: ბოლო 20 წლის განმავლობაში მხოლოდ 7 ნელინადს ჰქონდა ინფლაციის მაჩვენებელი 0-დან 1 პროცენტს შორის და მხოლოდ ერთხელ აღემატებოდა 1-პროცენტთან ნიშნულს, ოღონდ, საკმაოდ ჩამორჩებოდა 2-პროცენტთან მაჩვენებელს. ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტაცია იაპონიას საშუალებას აძლევს, შედარებით იაფად აწარმოოს და მოახდინოს თავისი პროდუქციის რეალიზაცია. ეს მართლაც პროგრესული მოვლენაა და, ამ მხრივ, იქ წარმოებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. მეტიც, გაიაფება იაპონიას საშუალებას აძლევს, დაიპყროს მსოფლიო ბაზრები. მაგალითად, იაპონიის მიერ ამერიკის ტერიტორიაზე წარმოებული

ავტომანქანების რაოდენობა აღემატება თვით ამერიკული საწარმოების მიერ წარმოებული ავტომობილების რაოდენობას. ასე რომ, დეფლაციასაც გააჩნია: ის სუფთა მონეტარული პოლიტიკის შედეგია თუ ეკონომიკური წინსვლის.

– იაპონიამდე ჯერ შორს ვართ. ისევ ჩვენს ბაზარს დავუბრუნდეთ: მიუხედავად იმისა, რომ ლარის რყევა მცირე არ არის, ფასები მაინცდამაინც არ გაზრდილა.

– როდესაც ასეთი აჟიოტაჟია კურსთან მიმართებაში, ის ავტომატურად წარმოშობს წინმსწრებ ნაბიჯებს და, ამიტომ, ფასებში გათვალისწინებულია ის საფრთხე, რაც, შეიძლება, მოჰყვეს ინფლაციის შემდგომ გაგრძელებას.

– ანუ, ამ გაცვლითი კურსისთვის ჩვენი ფასები მზად იყო?

– როდესაც ფასები მეტ-ნაკლებად სტაბილურია, „უსაფრთხოების ბალიშის“ შექმნის სურვილი მინიმალურია, მაგრამ, როდესაც გაცვლითი კურსი ერთ დღეს არის 1,65, მეორე დღეს – 1,68 ან 1,7 და ასე შემდეგ, რადგან ბევრი რეალიზატორი, მწარმოებელი, დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე, ცდილობს, ფასში ჩადოს გარკვეული მარაგი, რომ შემდგომ ვალუტის კონვერტაციისას არ დაზარალდეს. თუ გვინდა, რომ ეს პროცესი ძალიან სწრაფად არ წავიდეს, მომხმარებელს უნდა გაუქრეს უსაფრთხოების ძალიან დიდი ბალიშის აუცილებლობის განცდა. როდესაც ასეთი პირობები იქმნება, ბუნებრივია, ფასში თავის დაზღვევის კომპონენტის არსებობა ავტომატურად იწვევს ფასების ზრდას, შემდეგ ეს უკვე ავტომატურად გადადის საბანკო სექტორზე – ბანკი ისეთი პროცენტით გასცემს სესხს, რომ მისი მოგების რეალური პროცენტი მაღალი იყოს. თუ ინფლაცია 10 პროცენტია, ბანკი 10 პროცენტზე ნაკლები პროცენტით არ გასცემს სესხს. ინფლაციის მაჩვენებელი ბუნებრივად იწვევს საბანკო მომსახურების ფასის გაზრდას.

– კრედიტების გაძვირებას?

– დიახ, „უსაფრთხოების ბალიში“ გადადის საბანკო სფეროში და

ის კვლავ წარმოების ყველა სფეროსა და ასპექტში ვლინდება.

– და, ანაზრებიც უფასურდება.

– რა თქმა უნდა და, საბოლოოდ, ეს მომხმარებლის გადასახდელია, უპირველესად კი, ზარალდებიან ფიქსირებულშემოსავლიანი ადამიანები. ამას კიდევ ერთი შედეგი აქვს, რომელზეც ჯერჯერობით საუბარი არ არის, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ კურსის დაცემა გაგრძელდა, შემოსავლების მიხედვით, სოციალური დიფერენციაცია კიდევ უფრო გაიზრდება. შემცირდება მათი კეთილდღეობა, ვინც ეროვნულ ვალუტაში იღებს ფიქსირებულ შემოსავალს, ხოლო, იმ პირების მდგომარეობა, რომელთა საქმიანობა საგარეო ეკონომიკას უკავშირდება და შემოსავალი უცხოურ ვალუტაში აქვთ, შედარებით უკეთესი იქნება.

– ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდებიან, მდიდრები კი კიდევ უფრო გამდიდრდებიან?

– სამწუხაროდ. მაგრამ, მე ექსტრაპოლირება გავაკეთე. იმ სიჩქარით რომ გაგრძელდეს ეროვნული ვალუტის კურსის შემცირება, რაც 2014 წლის პირველი სამი კვირის განმავლობაში ხდებოდა, კურსი წლის ბოლომდე, შეიძლება, მაქსიმუმ, 1,85-მდე დაეცეს. მაგრამ, ასეთი მცირე პერიოდით ექსტრაპოლირება მიუღებელია. ჩემი გათვლებით, მე ვერ მივიღე 1,85-ზე მეტი². ამასთან, მოსალოდნელია ინვესტიციების შემოსვლა, რაც, თავისთავად, გულისხმობს უცხოურ ვალუტაში ფულადი მასის შემოსვლას და, შედარებით დაბალანსდება კურსი უცხოურ და ადგილობრივ ვალუტებს შორის.

– იზიარებთ მოსაზრებას, რომ ინფლაცია ჰაერივით სჭირდება ბოდა 2013 წლის ბიუჯეტის შევსებას?

– საერთოდ, დეფლაციის გამო ბიუჯეტი ვერ ივსება, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც დაბალი იყო. არადა, ბიუჯეტის შევსების სულ სამი წყარო არსებობს: პირველი – გადასახადების ამოღე-

² შენიშვნა: ინტერვიუ ჩაწერილია 2014 წლის 24 იანვარს. 2014 წლის ბოლოს ლარის ოფიციალურმა კურსმა აშშ დოლართან 1.86 შეადგინა.

ბა. სწორედ ამ კოეფიციენტის მიხედვით შეგვიძლია, ვისაუბროთ საგადასახადო სამსახურების ეფექტიანობაზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველი 100 დოლარიდან, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, სახელმწიფო ახერხებს 95-ის ამოღებას. 100-პროცენტიანი მაჩვენებელი არც ერთ ქვეყანაში არ არის. ჩვენთან, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით, შესაძლოა, ეს ციფრი კიდევ უფრო დაბალი იყოს.

– მეორე მაჩვენებელია, თუ რამდენად იზრდება ეკონომიკა და, მესამე – „მარადონას ხელის“ ეფექტი.

– ეს რას ნიშნავს?

– 1986 წელს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში ჩატარდა. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინა და ინგლისი. ოთხი წლით ადრე, მოგეხსენებათ, მათ სამხედრო კონფლიქტი ჰქონდათ ფოლკლენდის კუნძულების გამო. ინგლისმა არგენტინას წაართვა ის კუნძულები, რომლებსაც ეს უკანასკნელი თავისად თვლიდა. ამდენად, ფეხბურთის იმ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არგენტინამ ორით ერთი გაიმარჯვა. მეორე გოლი მარადონამ გაიტანა. ჩანდა, რომ ხელიც წააშველა, მაგრამ, მსაჯმა, რატომღაც, ვერ შეამჩნია და გოლი ჩათვალა. საბოლოოდ, არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ჩემპიონატის შემდეგ მარადონას ჰკითხეს, გამოიყენა თუ არა ხელი გოლის გატანისას. მარადონამ დიპლომატიურად უპასუხა: თუ ეს ხელი იყო, ეს მხოლოდ ღვთის ხელი თუ იქნებოდაო.

იმის თქმა მინდა, რომ როდესაც სახელმწიფოს უჭირს - ეკონომიკა ვერ ეზრდება, ადმინისტრირება უჭირს და პრობლემა აქვს ბიუჯეტის შევსებასთან - ამ შემთხვევაში ინფლაციის ფაქტორი არის „მარადონას ხელი“; ინფლაცია მუშაობს ბიუჯეტის შევსებაზე. ამდენად, საბოლოოდ, სახელმწიფოა მოგებული ინფლაციით. არ არის მთლად კორექტული საქციელი, მაგრამ, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს და მხოლოდ ფინანსთა

სამინისტროს ნუ დავადანაშაულებთ, ეს არის ზოგადი კლასიკური ეკონომიკური მოდელი. აი, ამ კუთხითაც უნდა შევხედოთ ამ პროცესს. რამდენიმე ფაქტორი დაემთხვა: საზოგადოების შიში, ნდობის დაბალი დონე სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, ეროვნული ბანკის გაუგებარი პოზიცია, თუმცა, ჩემთვის გასაგებია და, საბოლოოდ, ეს ფაქტორები ემსახურება ბიუჯეტის შევსებას.

**რა ტიპის პროდუქციის გაკვირება
მოქმედებს ყველაზე მკაფრად საქართველოს
მოქალაქეების ხარჯებზე და რატომ რჩება
ყველაზე აქტუალურ პრობლემად
საკვების შექმნა
№7, 17-23.02.2014**

საქსტატი, სხვა დანარჩენთან ერთად, სამომხმარებლო ფასების ინდექსს, ანუ სამომხმარებლო კალათაზე ინფლაციის გავლენასაც ანგარიშობს. სამომხმარებლო ფასებს ხუთი ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი) საცალო ვაჭრობის და მომსახურების 1 500 ობიექტზე აკვირდებიან. სამომხმარებლო ფასების ინდექსი კი 12 სასაქონლო ჯგუფს მოიცავს. კერძოდ, სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (30,25 პროცენტი); ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (5,08 პროცენტი), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (2,87 პროცენტი); საცხოვრებელი სახლი, ნყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეობები (8,38 პროცენტი); ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება (6,21 პროცენტი); ჯანმრთელობის დაცვა (10,09 პროცენტი); ტრანსპორტი (11,82 პროცენტი); კავშირგაბმულობა (3,61 პროცენტი); დასვენება, გართობა და კულტურა (6,56 პროცენტი); განათლება (5,42 პროცენტი); სასტუმროები, კაფეები და რესტორანი (4,96 პროცენტი); სხვადასხვა საქონელი და მომსახურება (4,74 პროცენტი).

თავის მხრივ, სამომხმარებლო კალათა არის იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, რასაც ქვეყანაში ყველაზე ხშირად მოიხმარენ. ამჟამად სამომხმარებლო კალათა 295 საქონლისა და მომსახურებისგან შედგება, რომლებსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა, მთლიანი მოხმარების პროპორციულად. 2012 წლიდან სამომხმარებლო კალათა ყოველწლიურად ახლდება და ის სულ ახლახანაც განახლდა: აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოქალაქეების-

ვის გიტარა და ყავის სერვიზი ფრიად აქტუალური შენაძენი გამხდარა (ამიტომაც ისინი დაემატა ადრე არსებულ ჩამონათვალს), ჯონჯოლის ავტორიტეტს კი კვების რაციონში თავისი ძველებური სიდიადე დაუკარგავს (ამიტომაც ის ამოვარდა ხსენებული ჩამონათვალიდან).

რაკი საქართველოს მოქალაქის სამომხმარებლო კალათა 295 საქონელსა და მომსახურებას მოიცავს, ეკონომიკის ექსპერტი **იოსებ არჩვაძესთან** ერთად მიმოვიხილავთ, რომელ საკვებ პროდუქტებსა და მომსახურებაზე მიუწვდებათ ხელი ჩვენს მოქალაქეებს და რის გაძვირება იწვევს ხოლმე მათი ყოფის დამძიმებას.

– ზემოჩამოთვლილ სასაქონლო ჯგუფებს მიწერილი აქვს პროცენტის მაჩვენებელი, მაგალითად, სურსათი და უალკოჰოლო სასმელები – 30,25 პროცენტი. რას ნიშნავს ეს პროცენტი?

– სამომხმარებლო კალათას აქვს ორმაგი დატვირთვა: ერთია ინფლაციის გასაანგარიშებელი და, მეორე, საარსებო მინიმუმის დადგენა შრომისუნარიანი მამაკაცისთვის. მიუხედავად ფორმალური მსგავსებისა, მათ სხვადასხვანაირი დატვირთვა აქვს. პირველი ემსახურება ქვეყანაში ფასების სამომხმარებლო ინდექსის რეალური დონის, ანუ ინფლაციის დადგენას, მეორე კი მხოლოდ იმას, თუ როგორ იცვლება შეზღუდული რაოდენობის სამომხმარებლო დოვლათის, კერძოდ, კვების პროდუქტების მინიმალური ნაკრების ღირებულება და რა გავლენას ახდენს ის საარსებო მინიმუმზე. დადგენილია, რომ შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცმა დღე-ღამეში უნდა მოიხმაროს 250 გრამი პური. როდესაც ვიცით, რომ კილოგრამი პური ორი ლარი ღირს, მაშინ 250 გრამი ეღირება 50 თეთრი, ასეთივე გაანგარიშება ტარდება საარსებო მინიმუმში შემავალ ყველა საკვებ პროდუქტზე. შემდეგ დგინდება ჯამური ღირებულება და ის თანხა, რაც შრომისუნარიან მამაკაცს საკვებად სჭირდება, აიღება, როგორც სამოცდაათი პროცენტი, დანარჩენ 30 პროცენტად მიჩნეულია ყველა დანარჩენი არასასურსათო ხარ-

ჯი: ტანსაცმელი, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, კომუნალური გადასახდელები და ასე შემდეგ. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ 30,25 პროცენტს. ის გამოიყენება ინფლაციის გასაანგარიშებლად. ამ შემთხვევაში საქონლის ასორტიმენტი უფრო ფართოა. თუ პირველ შემთხვევაში მიზანი იყო საარსებო მინიმუმის დადგენა, მეორე შემთხვევაში გვინტერესებს, რამდენს ხარჯავს საზოგადოება მთლიანობაში სამომხმარებლო დოვლათის შესაძენად, რომელსაც ის შეიძენს დანყებული ელიავას ბაზრობიდან და დამთავრებული „გუდვილით“ თუ „კარფურით,“ ასევე, როგორ შეიცვალა ფასები მის მიერ შეძენილ საქონელზე რალაც პერიოდის განმავლობაში. 30,25 პროცენტი გვეუბნება, რომ, თუ სურსათზე ფასი ერთი პროცენტით იცვლება, ეს ასახვას ჰპოვებს ინფლაციის მაჩვენებელში ერთი პროცენტი გამრავლებული 0,3025-ზე. მაგალითად: რამდენიმე წლის წინათ თბილისში ძალიან გაძვირდა წინიბურა - ლარ-ნახევრიდან ოთხ-ნახევარ ლარამდე. იმავე პერიოდში გაიფადა თვითმფრინავით მგზავრობა, საშუალოდ, 90 ლარით, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი მწვავედ განიცდიდა წინიბურას გაძვირებას 3 ლარით და ვერ გრძნობდა თვითმფრინავით მგზავრობის გაიფებას 90 ლარით. იმიტომ რომ, თვითმფრინავით მგზავრობის სიხშირე გაცილებით ჩამორჩებოდა წინიბურას მოხმარების სიხშირეს. ამიტომ, პროცენტულად რომ ავილოთ, წინიბურას ფასის ცვლილებას უფრო დიდი გავლენა აქვს სამომხმარებლო ფასის დინამიკაზე, ვიდრე თვითმფრინავით მგზავრობის ფასს ნებისმიერი მიმართულებით, იქნება ეს შემცირება თუ გაზრდა.

– სასაქონლო ჯგუფში „სურსათი თუ უალკოჰოლო სასმელები“ 92 დასახელების პროდუქტია. ეს ის საკვები პროდუქტებია, რომლებსაც რეალურად მოიხმარს ჩვენი მოსახლეობა?

– რასაც მოიხმარს და რომელთა გარეშეც ადამიანის კვება, არსებობა თითქმის წარმოუდგენელია. მინიმალურ სასურსათო კალათაში შეზღუდული რაოდენობის რამდენიმე ათეული სახეობის

კვების პროდუქტი შედის, სამომხმარებლო კალათაში კი უკვე 295 დასახელების როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონელია. ეს ის საქონელია, რისთვისაც რეალურად გაიღებს ჩვენი მოსახლეობა ხარჯებს. მაგალითად, წლევეანდელი სამომხმარებლო კალათიდან ამოღებულია ჯონჯოლი.

– ძალიან უცნაური იყო.

– ბოლო წლების განმავლობაში სამჯერ ამოვარდა და სამჯერ დაემატა სამომხმარებლო კალათას ჯონჯოლი. თუ გახსოვთ, მეორე მსოფლიო ომის დროს ხარკოვი სამჯერ აიღეს ფაშისტებმა და სამჯერ გაათავისუფლა ის საბჭოთა არმიამ. ადრე დასავლეთ საქართველოში შედარებით ნაკლებად მოიხმარდნენ ჯონჯოლს, უფრო აღმოსავლეთ საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი. როგორც ჩანს, ისეთი ოჯახები მოხვდნენ გამოკითხვაში, რომლებიც ჯონჯოლს არ მიირთმევენ. მაგალითად, 2010 წლის სამომხმარებლო კალათიდან ამოვარდა მინერალური წყალი „ბორჯომი“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში მაშინ არ სვამდნენ „ბორჯომს“. ყოფილა შემთხვევა, როდესაც რამდენიმე ათეული საქონლით მომხდარა კალათის გადახალისება. წლევეანდელ სტრუქტურას თუ დავაკვირდებით, რამე რეგულაციური ცვლილება არ მომხდარა, თუმცა რამდენიმე ეგზოტიკური დატვირთვის საქონელი მოხვდა სამომხმარებლო კალათაში: გიტარა და ყავის სერვიზი.

– ყურადღება მივაქციე, რომ სასაქონლო ჯგუფში „ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება“, რატომღაც, არ არის ჩაის სერვიზი.

– ისეთი ოჯახები მოხვდა გამოკითხვაში, სადაც ჩაის სერვიზი არ იყო... გარკვეულწილად, ამას მსუბუქი იუმორით უნდა შევხედოთ. ისე, სადაც არის გიტარა, იქ რატომ არ უნდა იყოს ჩქარი ტაში?! ეს ორი რამ ერთმანეთთან ხომ ძალიან ახლოსაა?!

– კიდევ ერთი საინტერესო მომენტი, იმავე სასაქონლო ჯგუფში არის დანა-ჩანგალი, მაგრამ არ არის კოვზი. ისეთ რა ოჯახებ-

ში მივიდნენ, სადაც კოვზი არ სჭირდებათ? კიდეც, არის საბანი, მაგრამ არ არის ბალიში და ლეიბი.

– ამიტომ მეტი შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო. ჩვენი სამომხმარებლო კალათა რამდენიმე ასეული საქონლისა და მომსახურებისგან შედგება და ის ვერ იქნება უსასრულო. მაგალითად, რაც უნდა განვითარებული საზოგადოება იყოს, ყველა ვერ შევა პარლამენტში, ამიტომ იქ გვყავს დეპუტატები, რომლებიც ჩვენს ინტერესებს უნდა წარმოადგენდნენ. ასევე, სამომხმარებლო კალათაში საქონელ-წარმომადგენლები წარმოადგენენ რამდენიმე სასაქონლო ჯგუფს და იქ ვერ შევიტანთ ყველა საგანს. ჩვენ არ გვაქვს ფუფუნების საშუალება, რომ ძალიან დანვრილებით მოვახდინოთ ფასების ინდექსირება. თან, არ დაგვაინყდეს, ინფლაციის ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს განვითარების ვექტორს და არა რეალობას. ძალიან ბევრი პირობითობაა, ამიტომაც, გარკვეულწილად, პირობითობის მატარებელია ეს ინდიკატორი და ვერ გავექცევით ამ ცდომილებას. თან, საზოგადოებაც არაერთგვაროვანია თავისი კეთილდღეობისა და შემოსავლების მიხედვით. დასაბუთებულია, რომ ქვეყნებში, რომლებშიც საზოგადოების საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენცირება 10-ს აღემატება, სოციალური დაძაბულობის მომენტი მატულობს. ჩვენთან კი ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

– დავაზუსტოთ მკითხველისთვის: სხვაობა საზოგადოების ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღარიბი ფენების შემოსავლებს შორის ჩვენთან ძალიან დიდია.

– დიან და მოხმარების ის სტრუქტურა, რაც ახასიათებთ ყველაზე მდიდრებს, აბსოლუტურად არ არის საინტერესო და აქტუალური მათთვის, ვინც ყველაზე დაბალ სოციალურ ფენას წარმოადგენს. მათი მოხმარების, ქცევისა და ინტერესების კულტურა და არეალი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ასე რომ, ეს მომენტიც მუშაობს. შესაბამისად, ყოველთვის მოიძებნებიან საზოგადოებაში ადამიანები, რომლებიც კრიტიკულად შეხედავენ ამ მაჩვენ-

ებელს და საკუთარი სუბიექტური მდგომარეობიდან გამომდინარე ჩათვლიან, რომ ის არასწორად გამოხატავს რეალურ ვითარებას. ისინი ზოგად პროცესზე იმსჯელებენ პირადი მდგომარეობის ცვლილების მიხედვით, მაშინ როდესაც სტატისტიკის ამოცანაა, გააშუალოს მონაცემი. ეს ზოგჯერ კარგია, ზოგჯერ – ცუდი. ზოგადად, საშუალო მაჩვენებელი უფრო ტენდენციის გამომხატველია, ვიდრე რეალური მდგომარეობის.

– რადგან ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი, 30,25 ანერია სურსათის სასაქონლო ჯგუფს, გასაგებია, რომ სწორედ საკვები პროდუქტების გაძვირება მოქმედებს ყველაზე ძლიერად ჩვენი მოქალაქეების ჯიბეებზე. „ტანსაცემელსა და ფეხსაცემელს“, სულ რაღაც, 2,87 პროცენტი ერგო, იმიტომ რომ ჩვენი მოსახლეობა ნაკლებად ანახლებს თავის გარდერობს. ამის ფული აღარ რჩება?

– ნაკლები გავლენა აქვს ტანსაცემელსა და ფეხსაცემელზე ფასების ცვლილებას. იყო დრო, როდესაც სურსათის ფასებს 60-პროცენტისანი გავლენა ჰქონდა, ის ახლა ფაქტობრივად განახევრებულია, მაგრამ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სურსათის ფასების გავლენა 15-16 პროცენტს არ აღემატება. ჩვენ 2010 წელს გვქონდა საკმაოდ მაღალი ინფლაცია სურსათზე, 30 პროცენტზე მეტი და ამის გამო ინფლაციის მაჩვენებელი წლის ბოლოსათვის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 11,2 პროცენტით. იმისდა მიხედვით, რა წონას მივაკუთვნებთ ამა თუ იმ სასაქონლო ჯგუფს, შეგვიძლია, ინფლაციის მაჩვენებელი შევამციროთ ან გაეზარდოს. ოღონდ ეს არ უნდა იყოს ვოლუნტარისტული ნაბიჯი.

– სასაქონლო ჯგუფს „სასტუმროები, კაფეები და რესტორანი“ მიკუთვნებული აქვს 4,96 პროცენტი. გამოდის, რომ ვერც ამ სერვისით სარგებლობს ჩვენი მოსახლეობა.

– ჩვენი მოსახლეობის შინა მეურნეობების ხარჯების მთლიან მოცულობაში სასტუმროს, კაფეებისა და რესტორნების ხარჯი შე-

დარებით მოკრძალებულია, თუმცა იმედა, რომ, შემოსავლების ზრდის კვალობაზე, როგორც ამ, ისე არასასურსათო მიმართულებითაც ხარჯების მოცულობა გაიზრდება და სტრუქტურა ამჟამინდელთან შედარებით რადიკალურად განსხვავებული იქნება. თანდათან მივუახლოვდებით განვითარებული ქვეყნების სტრუქტურას, სადაც სურსათზე ხარჯი დაბალია, მომსახურების, დასვენებისა და სხვა ხარჯები კი - გაცილებით მაღალი.

- თითქმის ანალოგიური პროცენტი აქვს მიკუთვნებული სასაქონლო ჯგუფს, „განათლება“ – 5,42 პროცენტი. განათლებაც ხელმიუწვდომელი ხარჯი ყოფილა, რაკი მისი გაძვირება თუ გაიაფება დიდ გავლენას ვერ ახდენს მოსახლეობის მთლიან ხარჯებზე.

- განათლებასთან მიმართებაში შედარებით ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა, გამოხატავდეს სახელმწიფოს მიერ მაღალი სუბსიდირების დონეს.

- ეს ის შემთხვევაა?

- მე ზოგადად მოგახსენებთ. მაგალითად, ევროპაში განათლებაზე ხარჯების მთლიან მოცულობაში მოსახლეობის წილი არ აღემატება 13 პროცენტს. ჩვენთან ეს მაჩვენებელი ორი მესამედის დონეზეა. ესე იგი, განათლებაზე განეული ხარჯების ორ მესამედს მოსახლეობა თავისი ჯიბიდან ან, უკეთეს შემთხვევაში, სპონსორის ხარჯზე ფარავს.

- საკვები პროდუქტების შემდეგ აქტუალური ხარჯია ტრანსპორტი და ჯანდაცვა – 12 და 10 პროცენტი. ძალიან დაბალია ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს წილი. არადა, ლამის ყველა ეწევა და სვამს?

- როგორც გითხარით, ეს ინფორმაცია მიიღება შინამეურნეობების გამოკვლევით, როდესაც ოჯახში მიდის ინტერვიუერი, როგორც წესი, ხვდება დიასახლისი და მას შეიძლება, არ ჰქონდეს სრული ინფორმაცია, რამდენს ხარჯავს მისი მეუღლე სასმელზე,

რამდენ სიგარეტს ეწევა ან შეიძლება, შვილები არასრულწლოვნები ჰყავდეს, რომლებიც ეწევიან, მაგრამ ამაზე მშობლები საქმის კურსში არ არიან. ამიტომ ეს გამოკითხვა ყოველთვის ზუსტად ვერ გამოხატავს რეალურ მდგომარეობას. დაზუსტება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალიზებული კვლევებით.

– თუმცა დიასახლისს ნამდვილად ეცოდინება, რა ხდება სასაქონლო ჯგუფში „ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება“, რომელსაც მიკუთვნებული აქვს 6,21 პროცენტი. ვერც სახლს არემონტებენ, მაინცდამაინც, ხშირად ჩვენი თანამოქალაქეები და ვერც ახალ ავეჯ-ტექნიკას ყიდულობენ?

– ესეც შედარებით მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შედეგია, იმიტომ რომ, 1990-ან წლებში, როდესაც შეიზღუდა შემოსავლის ტრადიციული წყაროები, მოსახლეობას სულ სხვა მიმართულებით მოუწია აქტივობა შემოსავლების მისაღებად, ამიტომ ბევრგან, განსაკუთრებით, სოფლად, ჯერ კიდევ აქვთ 20-30 და მეტი წლის წინანდელი ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, როდესაც წელიწად-ნახევრის წინათ კახეთისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხით ბევრმა მიმდინარე ეკონომიკური პრობლემები მოიგვარა და თანხა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად გამოიყენა. ზოგმა ტელევიზორი შეიძინა, ზოგმა – მაცივარი, ზოგმა – ავტომანქანა და ა.შ. ასეთივე სიტუაცია იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც მრეწველობა სამხედრო რელსებიდან სამოქალაქო წარმოების რელსებზე გადავიდა და მოსახლეობამ ძალიან სწრაფად დაიწყო თავისი რამდენიმე წლის განმავლობაში ხელოვნურად შეკავებული სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

**რატომ უნდა გენს ქალების ხელფასი
მამაკაცების ხელფასის 60 პროცენტს
და რატომ იკავებენ საქართველოში
არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში
დასაქმებული ქალები მამაკაცებზე მაღალ
თანამდებობებს**

№14, 7-13.04.2014

საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა კარგა ხანია, სტაბილურად უცვლელია (600 ათასის ფარგლებში), რაც პენსიონერთა რაოდენობას, საშუალოდ, 200 ათასით ჩამორჩება (რაც საკმაოდ ცუდი ტენდენციაა). ქალებს, საშუალოდ, მამაკაცებზე გაცილებით ნაკლები ხელფასი აქვთ. მაგალითად, დაქირავებით დასაქმებული მამაკაცის საშუალო თვიური ანაზღაურება 1 070 ლარამდეა, ხოლო ქალის - სულ რაღაც 640. ყველაზე მაღალ ანაზღაურებას საფინანსო სფეროში დასაქმებული მამაკაცები იღებენ - თვეში საშუალოდ 1 831 ლარს. თუმცა ყველაზე ნაკლები ანაზღაურება აქვთ პედაგოგ მამაკაცებს (ქალებს, მით უფრო).

რომელ სფეროებში დასაქმებულ ადამიანებს აქვთ ყველაზე მაღალი და დაბალი ხელფასი ჩვენს ქვეყანაში, რით განსხვავდება სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები და რა როლს ასრულებს დასაქმებასა და ხელფასის ოდენობაში დასაქმებულის სქესი? – ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას იოსებ არჩვაძის დახმარებით შევეცდებით.

– რომელ სფეროებშია ჩვენთან ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი სახელფასო ანაზღაურება?

– მართალია, სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახორციელებს დაკვირვებას, მაგრამ ბოლო სრული მონაცემი ჯერჯერობით არ გვაქვს, თუმცა, გასული წლის მეოთხე კვარტლის მიხედვით, საქა-

რთველოში დაქირავეებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 875,5 ლარი იყო.

– გაზრდილა.

– საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა ეს არ არის ზღვრული მაჩვენებელი, რადგან არის მთელი რიგი დარგები, სადაც საშუალო ხელფასი გაცილებით მაღალია. მაგალითად, საფინანსო სფეროში საშუალო ხელფასი 1 430 ლარია, სახელმწიფო მმართველობაში – თითქმის 1 200 ლარი; სამთომოპოვეებით მრეწველობაში – 1 006 ლარი; მშენებლობაშიც საკმაოდ მაღალი საშუალო ხელფასია – 1 168 ლარი; მაგალითად, ნარმოებასა და განაწილებაში საშუალო ხელფასი 1 077 ლარია; ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 1 213 ლარი. თუმცა არის დარგები, სადაც საშუალო ხელფასი გაცილებით დაბალია. ანაზღაურება სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხელფასის საშუალო მაჩვენებელს - თითქმის 35 პროცენტით. მაგრამ „რეკორდსმენი“ მაინც განათლების სფეროა, სადაც საშუალო ხელფასი საშუალო ეროვნული ხელფასის მხოლოდ 54 პროცენტია.

– როდესაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს ახსენებთ, რას გულისხმობთ, სად არიან ისინი დასაქმებულები: გადამამუშავებელ ქარხნებში თუ?

– სოფლის მეურნეობაში, ძირითადად, დასაქმებულები არიან ფერმერულ მეურნეობებში, მათი რიცხვი დიდი არ არის, თუმცა საშუალო ხელფასი 571 ლარია. მაშინ, როდესაც განათლების სფეროში საშუალო ხელფასი 476 ლარია.

– ისიც საშუალო მაჩვენებელი, რადგან პედაგოგების ხელფასი, როგორც წესი, ვერ აღწევს ამ 476 ლარს და საგრძნობლად ჩამორჩება სკოლის დირექციის ხელფასებს.

– რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება განათლების სფეროში ყველა დასაქმებულის საშუალო ხელფასი და ადმინისტრაციას ბევრად

მაღალი ხელფასი აქვს, ვიდრე პედაგოგებს. იგივე მდგომარეობაა სამეცნიერო ინსტიტუტებშიც.

- თუმცა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებს სკოლის პედაგოგებზე მეტი ხელფასი აქვთ.

- გაშუალებული ციფრია. ისე, პედაგოგების ხელფასი მნიშვნელოვნად ჩამორჩება უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლების ხელფასსაც.

- ძალიან მცირედით ჩამორჩება ფინანსურ სექტორში დასაქმებულთა ხელფასებს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები. ეს კარგია თუ ცუდი? ისეთი მდიდარი სახელმწიფო ვართ, რომ ჩვენს ბიუჯეტსაც აქვს იმ ფუფუნების საშუალება, რაც კერძო ფინანსურ სექტორს?

- ფინანსურ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა დიდი არ არის. თანაც, აქ შეიძლება ორი მომენტი გავითვალისწინოთ: 2003 წლამდე საშუალო ჩინოვნიკური ხელფასი ძალიან დაბალი იყო, ეს პრობლემა გადაიჭრა, მაგრამ მეორე უკიდურესობისკენ წავიდა პროცესი. დღეისათვის საშუალო ხელფასი ეკონომიკასა და მმართველობის სფეროში იმაზე მაღალია, ვიდრე ამის ეკონომიკური რესურსი შეიძლება გააჩნდეს ჩვენსაირ ქვეყანას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკონომიკური განვითარებით, დაახლოებით, 10-ჯერ ჩამოვრჩებით, მაგრამ საშუალო ხელფასის მაჩვენებლით ამერიკის საშუალო ხელფასის 14 პროცენტის დონეზე ვართ. ანუ ჩვენი ამერიკისაგან ჩამორჩენა საშუალო ხელფასით უფრო ნაკლებია, ვიდრე ეკონომიკურად.

მეორე მხრივ, როდესაც სახელმწიფო მოხელეებზეა საუბარი, მხოლოდ ქვეყნის შიდა მდგომარეობიდან კი არ უნდა ამოვიდეთ, არამედ იმითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუ როგორი ხელფასებია ანალოგიურ თანამდებობებზე სხვა ქვეყნებში; მარტო ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასს კი არ უნდა შევეუდაროთ, არამედ, იმავე რანგის თანამდებობის პირის ხელფასსაც სხვა ქვეყანაში.

– თანაც, თუ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი ჩამორჩება კერძო სექტორში არსებულ საშუალო ხელფასს, მაშინ კვალიფიციური კადრების გადინება კერძო სექტორში გარდაუვალია და სახელმწიფო, უბრალოდ, კვალიფიციური კადრების გარეშე დარჩება.

– არასახელმწიფო სექტორში საშუალო ხელფასი, დაახლოებით, 14-15 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე სახელმწიფო სექტორში. ეს არც ისეთი დიდი სხვაობაა, იმიტომ რომ სახელმწიფო სექტორს აქვს თავისი პრივილეგიები, მომხიბვლელობა, სოციალური დაცულობის შედარებით მაღალი დონე, ამიტომაც არის, რომ საზოგადოებისთვის უფრო მეტი მოწონებით სარგებლობს სახელმწიფო სექტორში დასაქმება, ვიდრე არასახელმწიფო, კერძო სექტორში.

– **ისევ სტაბილურად 600 ათასის ფარგლებშია დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა?**

– 700 ათასამდე მერყეობს, თუმცა ზუსტი მონაცემები გვექნება მაისის ბოლოს, სამწუხაროდ, რადიკალური გარღვევა არ მომხდარა.

– **რომელ სფეროშია ყველაზე მეტი დაქირავებით დასაქმებული?**

– თუ მარტო დასაქმებულებს ავიღებთ, რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობაა უპირობო ლიდერი. ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 850 ათასზე მეტია.

– **ოღონდ ისინი არ არიან დაქირავებით დასაქმებულები?**

– ყველაზე მეტი დაქირავებით დასაქმებული მრეწველობაშია, დაახლოებით, 120 ათასია და ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებული 450 ათასი ადამიანი იყო, ანუ დღევანდელზე თითქმის 4-ჯერ მეტი. 100 ათასზე მეტია დასაქმებული განათლების სფეროში: ამ რაოდენობაში იგულისხმება 70 ათასამდე პედაგოგი და 30-35 ათასი უმაღლესი სასწავლებლების პერსონალი. მრავალრიცხოვანია მმართველობით სფეროში

დასაქმებულთა კონტინგენტი - 200 ათასზე მეტი. აქ შედიან პოლიციელებიც, სამხედრო ოფიცრებიც...

– ქალებისა და მამაკაცების დასაქმების მაჩვენებელი როგორია?

– საკმაოდ დიდია გენდერული ნიშნით დასაქმებულთა მაჩვენებლებში: ქალები შეადგენენ 60 პროცენტს, მამაკაცები – 40 პროცენტს, თუმცა ქალის ხელფასი მამაკაცის ხელფასის მხოლოდ 60 პროცენტს შეადგენს.

– ქალებს ნაკლებს უხდიან?

– უფრო მოკრძალებულია ქალების მონაწილეობა იმ თანამდებობებზე, სადაც მაღალი ხელფასებია. პირობითად, ეს თუნდაც იმიტაც ჩანს, რამდენი მინისტრია ქალი და რამდენი – მამაკაცი.

– თუმცა ქალების რაოდენობამ შეუდარებლად მოიმატა საქართველოს პარლამენტში, თუკი წინა მოწვევის პარლამენტში სულ 7 დეპუტატი ქალი იყო, ახლა მათი რაოდენობა გაორმაგდა.

– 1998 წელს ქალის საშუალო ხელფასი მამაკაცის ხელფასთან შედარებით 52 პროცენტი იყო, დღეს, როგორც გითხარით, 60 პროცენტამდეა, თუმცა საბჭოთა დროს ქალის ხელფასი მამაკაცის ხელფასის 72 პროცენტის დონეზე იყო. მაგრამ ქალთა დასაქმების მაჩვენებელი უფრო მაღალია. მაგრამ არის ერთი საინტერესო დეტალი: საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებული ქალების ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე იმავე ორგანიზაციებში დასაქმებული მამაკაცების.

– რატომ?

– მამაკაცები უფრო ფართოდ არიან წარმოდგენილნი ტექნიკური სამუშაოების შესრულებაში: დამხმარე პერსონალი, მძღოლები და ასე შემდეგ. ქალების პოსტები და შესაბამისად, ხელფასები, საშუალოდ ამიტომაც უფრო მაღალი გამოდის.

– ესე იგი, სახელდობრ, ქართულ სამუშაო ადგილებზე ქალებისთვის თანამდებობები ნაკლებად ხელმისაწვდომია, ამი-

ტომ დაბალი ანაზღაურება აქვთ, ხოლო უცხოელების მიერ შექმნილ სამუშაო სივრცეში ქალები უფრო მაღალ თანამდებობებს იკავებენ, ვიდრე მამაკაცები?

– უბრალოდ საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ მამაკაცებს შედარებით დაბალი ხელფასი აქვთ.

– მაგრამ ხელფასი ხომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის ადეკვატურია? საერთაშორისო ორგანიზაციებში ქალების მიერ შესრულებული სამუშაო უფრო ხარისხიანად მიიჩნევა?

– გარკვეულწილად, ასეც შეიძლება, ითქვას.

– უცხოეთშიც ჩამორჩება ქალების ხელფასები მამაკაცების ხელფასს?

– გენდერული საკითხი ყველა ქვეყანას აწუხებს და ეს პრობლემა საქართველოში არ დანყებულა, თუმცა დასავლეთს შემუშავებული აქვს მთელი რიგი ნორმატიული აქტები და დოკუმენტები, რაც საშუალებას იძლევა ამ განსხვავების თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, არის შეღავათები დიასახლისებისთვის, სკანდინავიის ქვეყნებში სავალდებულოა, რომ დეკრეტული შვებულების ნაწილით მამაკაცებმა აუცილებლად უნდა ისარგებლონ. იქ ქალებს აქვთ საშუალება, უკეთ მოახდინონ საკუთარი უნარებისა და პოტენციალის რეალიზება, თუმცა ბოლომდე ეს პრობლემა არსად არის გადაჭრილი და თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს.

– როგორია დასაქმებულთა ასაკი?

– 25-დან 35-წლამდე ასაკიანების წილი დაქირავებით დასაქმებულთა შორის უფრო მაღალია, ვიდრე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ანუ იმ ასაკში, როდესაც ყველაზე მეტად ხდება ცოდნის, კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების გამომუშავება და მათი რეალიზაცია, დასაქმების მეტი პირობაა შექმნილი. შესაბამისად, 25-დან 35-წლამდე ასაკობრივ ჯგუფში დასაქმების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ყველა დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში.

- ეს ჯანსაღი სექემაა?

- გულახდილად რომ გითხრათ, ეს ერთგვარად იმ დისკრიმინაციული მიდგომის შედეგიცაა, როდესაც 35 წლის ზემოთ ადამიანებს სამსახურში, უბრალოდ, აღარ იღებდნენ.

- ხომ შეჩერდა ეს ტენდენცია?

- რადგან 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ უარი თქვა ძველი კადრების ჩამოცილებაზე, გამოდის, რომ ისევ ისინი დარჩნენ სამუშაო ადგილებზე ინერციით, რაც მნიშვნელოვანწილად „ძველთან“ ერთად „ახალი“ ნეპოტიზმითაცაა გამოწვეული. ანუ, „ძველ დამწვარზე ახალი მდულარეც დაესხა“...

- 21-ე საუკუნე არის ტექნოლოგიებისა და კრეატიულობის ეპოქა. თუ უნარების მიხედვით არ დანინაურდნენ ადამიანები, ეს ხომ ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა უბრალოდ კონკურენტუნარიანი ვერ იქნება და, საბოლოოდ, დამუხრუჭდება. თქვენი აზრით, ნეპოტიზმს რა უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი აქვს?

- აქ ორი, გრძელვადიანი და მოკლევადიანი ეფექტია მხედველობაში მისაღები. როდესაც ნეპოტიზმით ან სხვა ნიშნით ინიშნება ადამიანი, მას მოკლევადიანი გეგმები აქვს და მისი მოქმედება არ არის გათვლილი გრძელვადიან შედეგზე, ამიტომ ცდილობენ, მოკლევადიანი გეგმები შეასრულონ. ასეთ პიროვნებას კვალიფიკაცია, ინტელექტი, მოქალაქეობრივი სიმნიფე და რიგი სხვა, წარმატებული სახელმწიფო მოხელისათვის აუცილებელი საქმიანი თვისება, არ ყოფნის ან საერთოდ არ გააჩნია. ამის გამო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისი შედეგები მნიშვნელოვანწილად დამუხრუჭებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

**როგორ ახვევს საკრედიტო ბაზუი რამდენიმე
კრედიტის ერთი ახალი სესხით გადაფარვა,
როდის ემუქრება ბანკის 113 000 კლიენტს
ქონებას გაყიდვა და როგორ იქცა დაბირავება
საკუთარი ხელით საკუთარი ქონების
დაკარგვის საშუალებად**

№20, 19-25.05.2014

2014 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, მილიარდ 800 მილიონი ლარის სამომხმარებლო სესხია გაცემული. 2013 წლის განმავლობაში კი ქართულმა ბანკებმა 8 მილიარდი ლარის იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხი გასცეს, იმის პარალელურად, რომ 113 ათასი ადამიანის ქონებაა გადაცემული აღსრულების ბიუროსთვის (ამ მონაცემში არ შედის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო მევახშეების მსხვერპლთა რაოდენობა). რატომ მიეძღვნენ საქართველოს მოქალაქეები საბანკო სესხებს და აღმოჩნდება თუ არა თავად ბანკები კლიენტებისთვის დაგებულ საკრედიტო მახეში? – თემაზე ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე გვესაუბრება.

– 2 მილიარდამდე სამომხმარებლო სესხია გაცემული, არადა, ის ერთ-ერთი ძვირი საბანკო პროდუქტია. რას მოვიხმართ ამდენს?

– საბაზრო ეკონომიკა, ზოგადად, სხვა ნიშნებთან ერთად, გულისხმობს სამომხმარებლო საზოგადოებასაც, მთელი ეკონომიკური მექანიზმი, სარეკლამო ბიზნესი, მედია მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანები დააინტერესონ და მათთვის მიმზიდველი გახადონ ყიდვისა და მოხმარების პროცესი. ბევრი, სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გამო, ვერ უმკლავდება ამ ცდუნებას (არა მხოლოდ საქართველოში, მთელ მსოფლიოში) და ცდილობს, ის მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების რესურსი ამ მომენტში

არ გააჩნია, დაიკმაყოფილოს მომავალი შემოსავლების ხარჯზე. ამ დროს ავინყდებათ ის ელემენტარული რამ, რომ, როდესაც ადამიანი გარკვეული ვადით იღებს სესხს, ის მოგვიანებით საკუთარი ფულით უნდა გაისტუმროს და გასცეს სამუდამოდ. ასე რომ, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას და საქონლის შეფარდებით სიუხვეს თან ახლავს საკრედიტო დავალიანება გამოვლენის სხვადასხვა ფორმით.

– სტაბილური ეკონომიკისა და პოლიტიკის ქვეყნებში, ამას აქვს გამართლება, მაგრამ ისეთ არასტაბილურ გარემოში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ცოტა რისკიანი არ არის გრძელვადიანი სესხების აღება. სხვა რომ არაფერი, ქვეყანაში არ არსებობს ხანგრძლივი შრომითი ხელშეკრულებების პრაქტიკა?

– გასაგებია და ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის გაერთიანების გახსენება: დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანელებში მასობრივი ხასიათი მიიღო ძვირად ღირებული უახლესი ტექნიკისა და ავტომობილების შეძენამ, რის ფუფუნების უფლებასაც დასავლეთ გერმანელები ხშირად თავიანთ თავს არ აძლევდნენ. ეს იმას ჰგავს, როდესაც დამშეული ადამიანი სანოვაგით დატვირთულ სუფრაზე მოხვდება შემთხვევით და გარკვეულ შინაგან კონტროლს კარგავს. შესაბამისად, ადამიანი იმ მომენტში ნაკლებ ყურადღებას აქცევს, რომ აღებული კრედიტი გადასახდელია. არ მინდა, ისე წარმოვადგინო საქმე, რომ საქართველოშიც ასე იყო, თუმცა საქონელსა და მომსახურებაზე გარკვეული დეფიციტის შემდეგ ბაზრის გახსნამ მოთხოვნილება გაგვიჩინა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება გვინწევს დღესვე ავანსად ხვალინდელი თუ ზეგინდელი შემოსავლების იმედად. ჩვენი მოსახლეობის დამოკიდებულებას საბანკო სექტორისადმი, აჩვენებს იპოთეკით დატვირთული ქონების ოდენობაც, თუმცა სამომხმარებლო თუ იპოთეკურ სესხს ყოველთვის არ აქვს სამომხმარებლო დატვირთვა. ამ საბანკო ვალის დიდი ნაწილი ჩამოყალიბდა იმის გამოც,

რომ ბოლო დრომდე არ არსებობდა ან სუსტად იყო განვითარებული სხვა შემაკავებელი და სოციალური დაცულობის ინსტიტუციები: სადაზღვევო სისტემა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ასე შემდეგ. ხშირად ოჯახში ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემა იყო არა მარტო კეთილდღეობისა და მისი წევრის ყოფნა-არყოფნის საკითხი, არამედ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი ცვლილების განმსაზღვრელი ფაქტორიც.

– **გალარიების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო სწორედ ჯანდაცვის ხარჯი.**

– ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ჩვენთან ბოლო დრომდე ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯის თითქმის 78 პროცენტი მოდიოდა მოსახლეობის ჯიბეზე. მაშინ, როდესაც საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი არ აღემატება 40 პროცენტს და რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო დაბალია მოსახლეობის მონაწილეობის წილი ამ ხარჯში. იმის გამო, რომ ჩვენთან ამის რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტს არ გააჩნდა, მოსახლეობა თავისი სახსრებით ცდილობდა ჯანდაცვის ხარჯის დაფარვას. რა იყო ეს რესურსი? ან ფულადი დანაზოგი, რაც ძალიან მოკრძალებული ჰქონდა ჩვენს მოსახლეობას, ან სესხის აღება. სესხის აღებისას გარანტიის სახით იღებოდა უძრავი ქონება. ანუ ერთი პრობლემაა სამომხმარებლო სესხი, მაგრამ იპოთეკური სესხების დიდი ნაწილი აღებულია იმის გამო, რომ არ არსებობდა ჯეროვანი სოციალური დაცვა. ეს მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს არ ეხება, იგივე ეხება განათლების სფეროსაც, თუმცა განათლების სფეროში მთლიანი ხარჯების, დაახლოებით, ორი მესამედი მოსახლეობის ჯიბეზე მოდის, მაშინ, როდესაც ევროპაში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია და 15 პროცენტს არ აღემატება.

– **ვისარგებლებ შემთხვევით და ასეთ სტატისტიკას მოვითხან: მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა იმ უმაღლესებისა და მიმართულებების ჩამონათვალი, რომლებსაც დააფინანსებს. სულ**

სახელმწიფო მისთვის მნიშვნელოვან მიმართულებებზე 15 ათას სტუდენტს დააფინანსებს, თუმცა მხოლოდ 5 ათას აბიტურიენტს აქვს ამ მიმართულებებზე შეტანილი განაცხადი.

– ადამიანი მიმართავს საბანკო სისტემას და ითხოვს სესხს, მაგრამ იქ მას საკმაოდ დრაკონული პირობები ელოდება. მაგალითად, ბოლო მონაცემებით, სესხების საშუალო წლიური განაკვეთი არის 19 პროცენტი, მაშინ, როდესაც დეპოზიტების სიდიდეა – 7,6 პროცენტი. სხვაობა სესხებისა და დეპოზიტების საშუალო მაჩვენებლებს შორის, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, სპრედი, მათ შორის საკმაოდ მაღალია და 11,4 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც ევროპაში თუ ბანკი ამ ინდიკატორების 3-4-პროცენტიან სხვაობაზე მუშაობს, თავს ბედნიერად გრძნობს. ჩვენთან სხვაობა გაცემულ სესხებსა და მოზიდულ დეპოზიტებს შორის საპროცენტო განაკვეთის მიხედვით საშუალო მსოფლიო დონეს 3-4-ჯერ აღემატება.

– 2013 წლის განმავლობაში 8 მილიარდის ლარის იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხი გაიცა. საკმაოდ ბევრი ხომ არ არის ჩვენთვის?

– ეს საქართველოსთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა ვადიანი სესხების მოცულობა კიდევ უფრო მეტია, 10 მილიარდ ლარს აღემატება დღეის მდგომარეობით. არის ასეთი მაჩვენებელი: სესხების თანაფარდობა მშპს-თან, ამ მხრივაც ჯერჯერობით ძალიან დიდი თანაფარდობა არ არის მშპ-ის მესამედის დონეზეა გაცემული. მაგალითად, საბჭოთა პერიოდში, რომელიც ნამდვილად არ ითვლებოდა საბაზრო ეკონომიკის პერიოდად, კრედიტების თანაფარდობა მშპს-თან 80 პროცენტს შეადგენდა, ჯამში, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. მართალია, საქართველოში 10 მილიარდზე მეტი ვადიანი სესხია გაცემული, მაგრამ არის ასეთი მაჩვენებელიც – ვადაგადაცილებული სესხი. ასეთი დღეისათვის 231 მილიონი ლარია. ეს ვადაგადაცილებული სესხები სესხების საერთო მოცულობის მხოლოდ 2,2 პროცენტია.

– ჩვენთან საკმაოდ აქტუალურია სესხების ერთი ახალი სესხით გადაფარვის სქემა. ეს ჩვენ მიერაა მოგონილი თუ მანამდეც არსებობდა?

– ამაზე „საავტორო უფლება“ ჩვენ ნამდვილად არ გვეკუთვნის. ახალი სესხი ყოველთვის არა, მაგრამ საკმაოდ ხშირად არის წინა სესხზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთის. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობაზე თავდაპირველად აზერბაიჯანისგან ავიღეთ 200 მილიონი დოლარის კრედიტი შედარებით დაბალი პროცენტით, მაგრამ, რადგან ეს არ იყო საკმარისი, დამატებითი სახსრები მოიზიდეს უფრო მაღალი პროცენტით. საპირისპირო მაგალითი: 2008 წელს ევრობონდების გამოშვებით აღებული თანხის რესტრუქტურისაცია მოხდა და 2011 წლის გაზაფხულზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მისი დაფარვის ვადა გადაინეგდა 2013 წლიდან 2021 წლამდე, ანუ 8 წლით. ამასთან, პროცენტის მომსახურების განაკვეთი შემცირდა 0,3 პროცენტით.

– მაგრამ წელთა რაოდენობა ხომ გაიზარდა, რამაც, საბოლოოდ, დასაბრუნებელი თანხის ოდენობა გაზარდა?

– გაიზარდა და 500 მილიონ ევროთი აღებულ სესხზე მოგვიწევს, თავის პროცენტთანად, 900 მილიონი ევროს გადახდა.

– მოქალაქეებიც ხშირად მიმართავენ ამ ხერხს.

– საბანკო დანესებულებებს შორის ინფორმაცია იცვლება და, თუ ეგრეთ წოდებულ შავ სიაში მოხვდა ადამიანი, მას საკმაოდ გაუჭირდება ახალი კრედიტის აღება.

– შავ სიაში შეიძლება, არ არის.

– მესმის, მაგრამ მთლიანობაში ეს არის პრობლემის არა გადაჭრა, არამედ – გადავადება.

– ჩვენი ევრობონდების არ იყოს.

– დაახლოებით, იგივეა. საბანკო სექტორი ხშირად ცვლის მომსახურების საპროცენტო განაკვეთს, რაც უკავშირდება არა იმდე-

ნად პოლიტიკის ცვლილებას, ან გამკაცრებას ან ლიბერალიზაციას, რამდენადაც ინფლაციის დონეს.

– და ვერაფრით მივალნიეთ, რომ რეალური პროცენტი თქვან. დასავლეთშიც ასეა? ადამიანმა არ იცის, საბოლოოდ, რა თანხის დაბრუნება მოუწევს?

– ეს იქ ხელშეკრულების საგანია. როდესაც, პირობითად, 20 თვის განმავლობაში იღებთ სესხს, მართალია, ბანკი ყოველთვიურად თანაბარ თანხას გახდევინებთ, მაგრამ ამ თანაბარ თანხას სხვადასხვა პროცენტით ანაწილებს – თავდაპირველად იღებს პროცენტს და შემდეგ – ძირს. ასე რომ, შესაძლოა, თქვენ სამი წლის განმავლობაში გადაუხადოთ ბანკს 3 ათასი ლარი, მაგრამ თქვენი დავალიანება 10 ათასლარიანი სესხიდან ისევ 9.5 ათასი ლარი იყოს, რადგან ბანკი ჯერ თავის პროცენტს იბრუნებს და შემდეგ ძირითად თანხას. ბანკები მიდიან ამაზე და კლიენტი მზად უნდა იყოს მოვლენების ასეთი განვითარებისათვის.

– და ევროპული ბანკებიც ასე იქცევიან?

– პრინციპი იგივეა, ოღონდ ევროპაში საბანკო პროცენტი დაბალია და, შესაბამისად, მომსახურების თანხის სიდიდეც ნაკლებია.

– ბინების დაგირავების პროცესში არაჯანსაღი დამოკიდებულება ჩნდება: ბინის პატრონები არარეალურად მაღალ ფასად აგირავებენ ბინებს და დიდი ალბათობით არ ექნებათ მოთხოვნილი თანხის დაბრუნების საშუალება და უძრავი ქონების ნაწილს ამ გზითაც კარგავენ ჩვენი მოქალაქეებიო.

– ეს ფაქტორი არის და ამაში თავიანთი წვლილი მიუძღვით საბანკო სექტორსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს. ისინი ხელს უწყობენ არა საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირებას, არამედ – მის გაქრობას. ერთი ცნობილი პიროვნების გამონათქვამის პერიფრაზი რომ მოვახდინოთ: საბანკო სექტორი წარმატებით ასრულებს შუა ფენის გაკრეფას და საქმე იქამდე მიჰყავთ, თუ ასეთი ტენდენციები გაგრძელდა, საზოგადოებას აღარ ეყოლება საშუალო

ფენა. მათი წარმომადგენლობა იქნება მცირე და სიმბოლური - ისეთივე, როგორც ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას ჰყავს პოლიტიკურ ლანდშაფტში სიმბოლურად თავისი წარმომადგენელი.

– მაგრამ ეს ხომ არაგონივრულია? თუ სესხის ამღები არ იქნა, ბანკები ფულს რით იშოვიან?

– ჩვენ ერთხელ გვექონდა საუბარი მოკლე და გრძელვადიან გეგმებსა და პერსპექტივებზე. მაგალითად, ნარკოტიკებით მოვაჭრე ხეირს ნახულობს იმით, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი კრეატიული და შეძლებულია და იღებს შემოსავლებს, მაგრამ, თუ ყველა, ნარკოტიკებით მოვაჭრეების გარდა, იქნება გაბრუნებული და არ ექნებათ არსებობის უნარი, მოვაჭრე სარგებელს ვერ ნახავს. მაგრამ მოვაჭრეს მაინც ურჩევნია, გაზარდოს ნარკოტიკების რეალიზაცია, მიიღოს შემოსავალი და იმ მომენტში გაიუმჯობესოს თავისი ფინანსური მდგომარეობა. დაუნდობელი და თამამი შეფასებაა, მაგრამ ბანკების ასეთი პოლიტიკა ნაკრომოვაჭრეების მოქმედებას მაგონებს.

– ლატარეები და გათამაშებები დამახასიათებელია ღარიბი ქვეყნისთვის. მადლობა ღმერთს მათმა რაოდენობამ იკლო, მაგრამ ძალიან ბევრი ლომბარდია, მათი სიუხვე ცალსახად მიუთითებს, რომ გვარიანად გვიჭირს?

– ეს მიუთითებს ეკონომიკურ გაჭირვებაზე და არა მარტო ეკონომიკურ გაჭირვებაზე, იმაზე, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალია ეკონომიკური განათლებისა და რაციონალიზმის დონე. თუკი სლოტ-კლუბებისა თუ კაზინოებისადმი რომანტიკული დამოკიდებულება და ფიქრობენ, რომ გამარჯვების, მოგების შემთხვევაში შეძლებენ ერთი ხელის მოსმით ყველა პრობლემის გადაჭრას, ლომბარდებში საკუთარი გადაუდებელი საჭიროებისთვის შეიძლება გაიმეტონ ოჯახის რელიკვია, ძვირფასი ნივთი, საქორწინო ბეჭედი და ასე შემდეგ. ეს ჩვენი დრამატული ცხოვრების ერთ-ერთი „თვალსაჩინოება“ და მწარე რეალობაა.

– მართალია, 8 მილიარდი ლარის იპოთეკური სესხი გასცეს ბანკებმა, მაგრამ, ვთქვათ, მესამედმა ვერ დააბრუნა სესხი, არის სამი მილიარდი უძრავი ქონების მყიდველი ჩვენთან?

– მოხდება ის, რაც დაემართა ამერიკის შეერთებულ შტატებს: იპოთეკით დატვირთული ბინები გადადიოდა ბანკების საკუთრებაში. ბანკები ფიქრობდნენ, მაინც ჩვენს საკუთრებაშიაო, მაგრამ ბაზარი გააფერებული იყო. ასეთ მაგალითს მოვიტან: როდესაც პიკასო გარდაიცვალა, მისი ქონება, ნახატების ერთობლივი ჯამური ღირებულება, გამოვიდა ძალიან დიდი თანხა – 350 მილიონი დოლარი. პიკასოს გარდაცვალებისთვის ეს უზარმაზარი თანხა იყო, მაგრამ სპეციალისტებმა მაშინვე თქვეს, ასეთი ბაზარი მხატვრის ნაწარმოებებისთვის არ არსებობსო. ანუ პიკასოს ყველა ნახატი რომ გასულიყო ბაზარზე, უბრალოდ, ამდენი მყიდველი არ იქნებოდა. ასევეა ამ შემთხვევაშიც: ამდენმა უძრავმა ქონებამ რომ მეპატრონე შეიცვალოს, ეს ნიშნავს იმ ფიზიკური პირების დამარცხებას, მაგრამ ბანკებს ფაქტობრივად სასურველ შედეგს არ მოუტანს.

**რატომ იზარალებენ ქართველი
ავტორიტეტები სომხეთის საბაჟო კავშირში
ბანკოტონაობით და აზერბაიჯანის მიერ
2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანების
აპრკალვით
№25, 23-29.06.2014**

ჩვენი მეზობელი სომხეთი უკვე გახდა საბაჟო კავშირის წევრი და პირი რუსეთისკენ ქნა; ჩვენ 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოვანერთ ხელს და პირს ეკონომიკურად ევროკავშირისკენ ვიზამთ. ჩვენი მეორე მეზობელი აზერბაიჯანი არც იქითაა, არც – აქეთ. ამ ორივესთან და რუსეთთან, ანუ ჯამში სამივესთან საკმაოდ აქტიური საგარეო სავაჭრო ბრუნვა გვაქვს. როგორ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, კერძოდ, მის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელზე საბაჟო კავშირის შექმნა (მით უფრო, უკვე დანამდვილებით ვიცით, რომ სომხეთში ავტომანქანების რე-ექსპორტს ვეღარ განვახორციელებთ, რადგან არასაბაჟო კავშირის წევრი ქვეყნებიდან პროდუქცია საბაჟო ტარიფის ოთხმაგი ოდენობით დაიბეგრება)? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ეკონომიკის ექსპერტ **სოსო არჩვაძესთან** ერთად შევეცდებით.

– როგორი ეკონომიკური დამოკიდებულება იქნება საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების არასაბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებთან?

– სახელმწიფოს აქვს რამდენიმე ატრიბუტი: ღერბი, ჰიმნი, ვალუტა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები და სხვა. ასევე, სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტია საკუთარი საბაჟო სივრცე, ანუ საქონლის მოძრაობის გაკონტროლება და შესაბამისი ბაჟის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის დაწესება-ამოღება კონკრეტულ საქონელზე. ეს შეიძლება, იყოს: საბაჟო გადასახადი (იმპორტის გადასახადს რომ უწოდებენ),

აქციზი, დამატებითი ღირებულების გადასახადი იმპორტირებულ საქონელზე. ექსპორტი გათავისუფლებულია ამ გადასახადისგან. ერთიანი ეკონომიკური სივრცის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა საბაჟო კავშირი. ეს ნიშნავს, რომ ცალკეული სუვერენული სახელმწიფოები თავიანთი სუვერენიტეტის საგრძნობ ნაწილს ნებაყოფლობით თმობენ სხვა სახელმწიფოების სასარგებლოდ, მათგან სრული ნაცვალგების პრინციპით იგივენაირი სარგებლის მიღების პირობით, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, თანხმდებიან საქონლისა და მომსახურების უბაჟო გადაადგილებაზე საერთო ეკონომიკურ სივრცეში. ამ სახელმწიფოებს შორის საქონლის მოძრაობა განიხილება როგორც ერთი ქვეყნის შიგნით საქონლის გადაადგილება.

– ანუ რაღა ერევიდან მოსკოვში საქონლის გაგზავნა და რაღა გორიდან – ქარელში?

– დაახლოებით. ეს ნიშნავს, რომ საბაჟო გადასახადების გადახდას ეს საქონელი არ ექვემდებარება. ეს აჩქარებს საქონლის, კაპიტალის მოძრაობას, ამცირებს თვითღირებულებას და ასე შემდეგ. თუმცა აქ მეორე მომენტიცაა: რადგან ეკონომიკური განვითარების დონითა და პოტენციალით საბაჟო კავშირში შემავალი სახელმწიფოები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებიან, აქ მეტ სარგებელს ნახულობს ის, რომელსაც უფრო განვითარებული ეკონომიკა, განვითარებული რეალური სექტორი აქვს და, შესაბამისად, დანარჩენი წევრების მასზე დამოკიდებულების ხარისხი საგრძნობლად იზრდება.

– საბაჟო კავშირის წამყვანი მოთამაშე იქნება რუსეთი.

– მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 17 ათას დოლარამდეა, სომხეთში კი 4 ათას დოლარს ოდნავ ასცდა. შესაბამისად, მაღალია რისკი, რომ სომხეთის ეკონომიკა მოექცეს რუსეთის ეკონომიკის გავლენის ქვეშ და ამის მკაფიო ნიშნები უკვე ჩანს.

– ამის ნიშნებიც და იმისიც, რომ ჩვენს მეზობელ სომხეთში საკმაოდ გაძვირდება უცხოური, ანუ არასაბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია.

– იმავე სომხეთში ჩვენი ექსპორტის დიდი ნაწილი მოდის ავტომობილებზე, ისევე, როგორც აზერბაიჯანში. საქართველო მაინც-დამაინც ვერ გამოირჩევა აქტიური საექსპორტო პოტენციალით და ჩვენ სამხრეთ კავკასიაში ექსპორტით იმპორტის გადაფარვის ფაქტობრივად ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გვაქვს. ეს, მიუხედავად იმისა, რომ გასულ, 2013 წელს სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც გვქონდა ექსპორტის იმპორტით გადაფარვის 100-პროცენტზე უფრო მაღალი მაჩვენებელი.

– ეს სულ ავტომობილების რეექსპორტის შედეგია?

– ძირითადად, ეს ავტომანქანების რეექსპორტის ხარჯზეა. მაგალითად, აზერბაიჯანთან ეს მაჩვენებელი 111,3 პროცენტია, სომხეთთან – 173,6 პროცენტი. მაგრამ ამ ბედნიერებამ, როგორც კინოფილმებშია, დიდხანს ვერ გასტანა.

– მიზეზები სხვადასხვაა: აზერბაიჯანში უბრალოდ იკრძალება 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანები, რაც ჩვენს ავტოდილერებს საშუალებას მისცემს, რომ ახალი ავტომანქანების იმპორტირებას მიჰყოს ხელი აზერბაიჯანში.

– აზერბაიჯანი თავისი ეკონომიკური პოტენციალით, სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, უკვე აბსოლუტურად სხვა წონით კატეგორიაშია. მარტო მისი საგარეო ვაჭრობის მოცულობა თითქმის სამჯერ აღემატება საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტს. ცალკეული წლების მიხედვით მას უფრო მაღალი მაჩვენებელიც ჰქონია, მაგრამ გასულ წელს აზერბაიჯანს 44 მილიარდი დოლარის საგარეო სავაჭრო ბრუნვა ჰქონდა. თანაც, ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მართლაც სანატრელი მაჩვენებელი აქვს: ჩვენზე 10-ჯერ უკეთესი. ჩვენ, დაახლოებით, 35 პროცენტამდე გვაქვს, აზერბაიჯანს – 338 პროცენტი.

- ნავთობისა და გაზის ხარჯზე ოღონდ.

- რასაკვირველია, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანში შევიდა დიდი ოდენობით უცხოური კაპიტალი, ინვესტიციები და ამან საშუალება მისცა აზერბაიჯანს, ხელი მოეკიდა მეგაპროექტებისთვის. გაუჩნდათ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების, დუბაისთან შეჯიბრის ამბიცია: კასპიის ზღვაზე თითქმის კილომეტრიანი შენობის აგებას აპირებენ. ეს ყველაფერი მოდის ქარბი ფულიდან. ამას ეკონომისტები ჰოლანდიურ ავადმყოფობასაც უწოდებენ. მაგრამ ეს სხვა თემაა. ფაქტია, აზერბაიჯანს გააჩნია ამის პოტენციალი. მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის 5 ათასი დოლარის საგარეო სავაჭრო ბრუნვა აქვს.

- ამიტომ იმედია, შეისყიდიან ჩვენი ავტოდილერებისგან ახალ ავტომანქანებს, თუმცა სომხური ბაზარი ნამდვილად იკეტება ქართველი ავტოდილერებისთვის. რა ოდენობის ზარალს განიცდიან ისინი?

- სომხეთთან ვაჭრობას, მაინცდამაინც, დიდი წილი არ უკავია. საზღვრისპირა არაორგანიზებული ვაჭრობა ხილით, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მიიღება.

- თუმცა სომხები უშვებენ ნებოს, მასტიკას, სამშენებლო პროცესისთვის გამოსადეგ წვრილ-წვრილ საქონელს. რის წარმოებასაც მძლავრი ბაზა არ სჭირდება, მაგრამ მაინც წარმოებაა. ჩვენ, რატომღაც, ნებოს წარმოებაც კი ვერ მოვახერხეთ.

- სხვათა შორის, სომხეთში რეალური სექტორი, მათ შორის მრეწველობა, საკმაოდ განვითარებულია და ეკონომიკაში მრეწველობის წილი იქ ჩვენთან შედარებით, ორჯერ უფრო მაღალია. გასაგებია, სომხეთს ატომური ენერჯეტიკა აქვს, რაც ეკონომიკაში შესაბამის „ამინდს“ უქმნის, მაგრამ მთლიანობაში მრეწველობა სოლიდურ შემოსავალს აძლევს იქ დასაქმებულებსაც და სახელმწიფო ბიუჯეტსაც.

თუ დავითვლით, გამოვა, რომ სომხეთში ავტომანქანების გატანის შეზღუდვა 150 მილიონი დოლარით შეგვიმცირებს ბრუნვას ამ ქვეყანასთან, თუ იქ ისეთივე ოთხმაგი ტარიფები იქნა შემოღებული, როგორცაა დღეს რუსეთი აკავებს იმპორტის მოძალეხას საკუთარ შიდა ბაზარზე. ვიცი, რომ ისინი ზრდიან გადასახადებს თამბაქოს ნაწარმზე, აპირებენ აქციზის მომატებას ნავთობპროდუქტებზე, თუმცა ეს იქნება ამ საბაჟო კავშირის შიდა კამპანია.

– შიგნით რუსული თამბაქო და ნავთობპროდუქტები თავისუფლად იმობრავებს?

– რა თქმა უნდა და შედარებით იაფად, აქციზის გადასახადის ფარგლებში. მაგრამ, მაგალითად, ჩვენთან, როდესაც 2005 წელს სიგარეტზე აქციზის განაკვეთი სამჯერ გაძვირდა, ქართული ბაზარი დაიპყრო კონტრაფაქტურულმა სიგარეტმა; მაშინ ჩვენმა საგადასახადო სამსახურმა, სულ ცოტა, 110 მილიონი ლარი იზარალა. კურიოზი მოხდა: შემოსავალი, რაც მას უნდა მიეღო აქციზური განაკვეთის ზრდის ხარჯზე, მატების ნაცვლად პირიქით, შემცირდა. აქციზის განაკვეთმა აინია, მაგრამ შემოსავალმა იკლო, იმიტომ რომ რუსეთში აქციზური განაკვეთი იყო 9 ცენტი, სომხეთში – 18 ცენტი, ჩვენთან კი - 40 ცენტი. როდესაც ეკონომიკური საზღვრები არ არის დაცული, იქ იაფი კონტრაფაქტული საქონელი იკავებს ძვირად ღირებული, ადგილობრივი მაღალი აქციზით დატვირთული საქონლის ადგილს.

– რუსეთთან გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და ის, ასევე, არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, ისევე, როგორც სომხეთი. გარდა ავტომანქანებისა, სომხეთში შედის ქართული მედიკამენტები, რომლებიც, როგორც ამბობენ, უფრო იაფად იყიდება იქ, ვიდრე საქართველოში. სომხეთის საბაჟო კავშირში განწვერიანების შემდეგ მედიკამენტებიც გაძვირდება?

– შეიძლება, გაძვირდეს, თუმცა არ ვიცი, რამდენად საინტერესო იქნება ისევე სომხეთისთვის ქართული ფარმაცევტული პროდუქცი-

ის შეტანა. რადგან, მაგალითად, ბელორუსში ჩვენთან შედარებით, დაახლოებით, 4-5-ჯერ უფრო იაფია ნამლები. ამიტომ იქიდან შეიტანს. თუ აქამდე გეოგრაფიული სიახლოვის ფაქტორი მუშაობდა, ახლა იმუშავებს დაბალი ფასების ფაქტორი.

- ქართული ვაჭრობისა თუ ეკონომიკის რა სფეროები დაზარალდება საბაჟო კავშირის ამოქმედებით?

- მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დროს ერთიანი ეკონომიკური სივრცე არსებობდა, ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის კოოპერირების დონე არ იყო მაღალი და დღეს საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც კავშირი აქვს სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც, მაგრამ ჩვენს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წილი 10-15 პროცენტია. გაცილებით ნაკლებია ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანისთვის საქართველოსთან მიმართებაში. აზერბაიჯანში საერთოდაც რომ არ შევიდეს ავტომობილები საქართველოდან, შეიძლება, ვერც იგრძნონ. - აზერბაიჯანის იმპორტის მხოლოდ 0,8 პროცენტი მოდის საქართველოდან იმპორტზე.

- ჩვენთვის კი რა დიდი მაჩვენებელია ის, რასაც ჩვენგან აზერბაიჯანელები ყიდულობენ.

- დიახ, ჩვენ აზერბაიჯანში გასულ წელს 710 მილიონი დოლარის პროდუქცია გავიტანეთ და აქედან 52 პროცენტი ავტომობილებზე მოდიოდა. მათთვის ეს თანხა არც ისე შთამბეჭდავია - როგორც გითხარით, საგარეო სავაჭრო ბრუნვა გასულ წელს 44 მილიარდი დოლარი ჰქონდათ.

- რა ტიპის პროდუქციაზე შეიძლება, მოიმატოს ფასებმა სომხეთში და ზოგადად საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნებისთვის?

- ყველა იმ პროდუქციაზე, რომელიც სომხეთში შევა საბაჟო კავშირის არანეგრი ქვეყნებისგან, ანუ დანარჩენი მსოფლიოსგან, გარდა რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთისა.

– მიუხედავად იმისა, ის ქვეყნები არიან თუ არა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები?

– დადგინდება თამაშის საერთო წესები, რომ საბაჟო კავშირის არც ერთმა წევრმა ქვეყანამ არ იზარალოს. თუ რომელიმე ქვეყნიდან პროდუქციის მინოდებაზე მაღალია დამოკიდებულება, მაშინ საბაჟო ტარიფი იქნება დაბალი. ამას მარტო საბაჟო კავშირი კი არ აკეთებს, არამედ ევროკავშირიც. მაგალითად, იმ შეთანხმებით, რომელსაც 27 ივნისს ვანერთ ხელს, საქართველოსთვის პროდუქციაზე კვოტებია დაწესებული. ხოლო, თუ შეტანისას მათი ფასი იქნა ევროკავშირში მოქმედ ფასზე დაბალი, ევროკავშირს შეუძლია, მაღალი ტარიფი დაანესოს ამ პროდუქტებზე, რომ არ აღმოჩნდეს ევროკავშირში არსებულ ფასებზე დაბალი. როგორც იტყვიან, გარკვეული პროტექციონისტული პოლიტიკაა და საბაჟო კავშირის პრინციპი ერთია: იცავს შიდა მწარმოებელთა ინტერესებს, მთლიანად უკვე ამ ქვეყნებისათვის საერთო შიდა ბაზარს.

– ცოტაა თუ ბევრი, არაერთი ადამიანი სარგებლობს სომხეთში პროდუქციის გატანით: რა ზარალს ნახავენ ისინი?

– სომხეთთან საქონელბრუნვის მოცულობა არ არის დიდი: ექსპორტი არის 300 მილიონზე მეტი და იმპორტი 200 მილიონზე ნაკლები.

– 500 მილიონი არ არის ცოტა ჩვენთვის.

– მაგრამ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 11 მილიარდს აღემატება.

– ბელორუსთან, რუსეთთან და ყაზახეთთან?

– ბელორუსთან გვაქვს სავაჭრო ურთიერთობა, მაგრამ ის ათეულშიც არ შედის. ჩვენს საგარეო ვაჭრობაში ლიდერის მაისური ისევ თურქეთს აქვს, თუმცა შესაძლოა, რუსეთმა ჩამოართვას; მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი, მესამეზე – რუსეთი, შემდეგ – უკრაინა, სომხეთი. მართალია, უკრაინასთან სავაჭრო ბრუნვა ამა

წლის პირველ ოთხ თვეში წინა ოთხ თვესთან შედარებით შემცირდა 30 პროცენტით.

– რუსეთის საბაჟო კავშირში განევრიანება როგორ აისახება ჩვენს ეკონომიკაზე?

– ჩვენი საზოგადოება იდეოლოგიურ შტამპებშია მოქცეული და არ ითვლის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას. ამიტომ ამ თემაზე საუბრის დაწყება ნებისმიერი ხელისუფლებისთვის შესაძლოა, არა-პოპულარული აღმოჩნდეს. თუმცა მე ვფიქრობ, ეკონომისტები, ექსპერტები, პოლიტოლოგები უნდა დასხდნენ და აწონ-დაწონონ რას იძლევა ევროკავშირი ან საბაჟო კავშირი და დაიდოს მათემატიკური ფორმულა, პირობითად: რა უპირატესობა აქვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას საბაჟო კავშირში განევრიანებასთან შედარებით? თუ ვამბობთ, რომ ევროკავშირი კარგია, უნდა ინახოს ციფრებში, რა სარგებელს ნახავს საქართველო თუ მოანერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებას. მაგრამ აქ ნდობის საკითხია: ევროკავშირის უპირატესობა აღიარებულია.

– ანუ საბაჟო კავშირის შექმნა და ჩვენი ევროკავშირის სივრცესთან ინტეგრირების მცდელობა დააზარალებს ჩვენს ეკონომიკურ მაჩვენებლებს?

– ნებისმიერი ბარიერი და აკრძალვა - თავისუფალ მოძრაობას აზრი იქნება ეს, საქონელი თუ კაპიტალი, რა თქმა უნდა, ზარალის მომტანია. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენს სამეზობლოში მიმდინარე პროცესებიდან უნდა ველოდოთ...

**306 ითვლება საქართველოში
ღარიბად და როგორ ახერხებს მილიონ
ასი ათასი ოჯახი 900 ათასი
ავტომობილის ყოლას**
№47, 24-30.10. 2014

ქართველები, რომლებიც დიდი შემოსავლებით არ გამოვირჩევით, ყველაზე მეტ ფულს სურსათში ვხარჯავთ, თუმცა ჩვენი შემოსავლების ფონზე ერთი უცნაური სტატისტიკაც გვაქვს – მილიონ ასი ათას ოჯახზე 900 ათასი ავტომობილი მოდის, რითაც მილიონერთა ქალაქ შენევისასაც კი „ვუსწრებთ“. რაში იხარჯება ჩვენი მოსახლეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯები და როგორია ეს მონაცემები ევროპულ სტანდარტებთან მიმართებაში, ამის შესახებ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, **სოსო არჩვაძეს** გავესაუბრეთ.

სოსო არჩვაძე: საქართველოში სამომხმარებლო ხარჯების ყველაზე დიდი წილი, არანაკლებ 35 პროცენტი, სურსათზე მოდის. რაც შეეხება სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, აქ სურსათის მაჩვენებელი 40 პროცენტს აჭარბებს. სურსათს სამომხმარებლო ხარჯებში მოჰყვება კომუნალური და სხვა მომსახურების ხარჯები, ამას მოსდევს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საოჯახო მოხმარების ტექნიკა. არ დაგვაფინყდეს, რომ საკმაოდ დიდი განსხვავებაა ღარიბი და მდიდარი მოსახლეობის მონაცემებს შორის. მთლიანი სამომხმარებლო ფულადი ხარჯებიდან სურსათზე მოდის: ღარიბ მოსახლეობაში - ნახევარზე მეტი, მდიდრებში კი - მხოლოდ 18 პროცენტი. ის, რომ ქართველები ყველაზე მეტ ფულს ვხარჯავთ სურსათზე, იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო ეკონომიკური განვითარების დაბალ საფეხურზეა. ევროპული სტანდარტების მიხედვით, ოჯახი, რომელიც სამომხმარებლო ხარჯების 1/3-ზე მეტს ხარჯავს სურსათზე, ღარიბად ითვლება. ამ „ევროსტანდარტის“ მიხედვით, საშუა-

ლო ტიპური ქართული ოჯახი შეიძლება მივიჩნიოთ ღარიბად. ბევრი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობების მქონე ყველაზე მაღალშემოსავლიანი ოჯახების წილი მოსახლეობის 2.0-2.5 პროცენტს არ აღემატება. ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 23 პროცენტი, ჩვენი სტანდარტებით, ღარიბია; მათგან 9 პროცენტი – ლატაკი, რომელთა შემოსავალი ფაქტობრივად მხოლოდ სურსათზე მინიმალურ მოთხოვნებს ფარავს.

– რა კრიტერიუმებით ფასდება დღეს ღარიბი, ლატაკი და საშუალო ფენები და როგორია ამ შეფასების ქართული სტანდარტი?

– თუ საქართველოში ერთი ოჯახის, იგივე შინამეურნეობის, შემოსავალი 700 ლარია, მაშინ ღარიბად ჩაითვლება ის ოჯახი, რომლის მედიანური შემოსავალიც 420 ლარზე ნაკლებია. ექსპერტთა შეფასებით, ჩვენთან საშუალო ფენას მიეკუთვნებიან ის ოჯახები, რომელთა შემოსავლები ოფიციალურ საარსებო მინიმუმს აღემატება 3-6-ჯერ. ევროპული სტანდარტით, საშუალო ფენას მიაკუთვნებენ იმ ოჯახებს, რომელთაც აქვთ სახლი, თითოეულ ოჯახის წევრზე დაახლოებით 20 კვადრატული მეტრის ფართობით, პლიუს კიდევ ერთი საერთო ოთახი (25-30 მ²); აგარაკი, 1-2 ავტომობილი, აძლევენ თავს უფლებას, წელიწადში ორჯერ დაისვენონ... მკითხველი მიხვდება, ჩვენთან ვინ ფასდება ასეთი კრიტერიუმით.

– მდიდრები?

– ასეც შეიძლება ითქვას. ამის გარდა, მას დეპოზიტზე უნდა ჰქონდეს თანხა, რომელიც 18 თვის საარსებო მინიმუმის ეკვივალენტურია. ქართველებმა მდიდრების დასახასიათებლად ზოგჯერ ვიყენებთ ტერმინს „ჩაქცეული“, მაგრამ ამ სიტყვის შესატყვისი ქონების რაოდენობრივი სტანდარტული პარამეტრი არაა დადგენილი.

– მდიდრები რაში ხარჯავენ უფრო მეტ ფულს?

– მათი დიაპაზონი ამ მხრივ, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანია. ისინი ფულის დიდ ნაწილს ხარჯავენ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში: მოგზაურობაში, შოპინგში, გართობაში, რელაქსაციაში, სწავლა-განათლებაზე, ესთეტიკურ ოპერაციებსა და პრევენციულ ჯანმრთელობაში; ფაქტობრივად, არ არსებობს სამომხმარებლო მიმართულება, რაზეც მდიდარს ხელი არ მიუწვდება ან ინტერესი არ გააჩნია. თუმცა, მათი ხარჯების მონაცემებშიც ყველაზე დიდი პროცენტული წილი მაინც სურსათს უკავია - სამომხმარებლო ბიუჯეტიდან სურსათზე მდიდრების ხარჯები 3,8-ჯერ აღემატებიან ღარიბების ხარჯებს, მაგრამ მდიდრების სამომხმარებლო ხარჯებში სურსათს მხოლოდ 18 პროცენტი უკავია, ღარიბებისაში კი - ხარჯების ნახევარზე მეტი. მდიდრები პროცენტულად უფრო ნაკლებს ხარჯავენ, ვიდრე ღარიბები, თუმცა, მოხმარენ უფრო მაღალი ხარისხისა და მოხმარების მაღალი მზაობით უზრუნველყოფილ, შესაბამისად, უფრო ძვირ პროდუქტს. მდიდრების, ისევე, როგორც ღარიბების ხარჯებში, მეორე „ადგილი“ უკავია კომუნალურ და სხვა სახის მომსახურების ხარჯებს. ამას გარდა, მდიდრის სახლი (ბინა), შესაძლოა, ტექნიკურად უფრო მეტად იყოს აღჭურვილი, სიგნალიზაციით დაწყებული, სატელიტური თეფშებით დამთავრებული, რაც, შესაბამისად, ზრდის ხარჯს. მე სპეციალურად გავაკეთე ანალიზი და, შემოიძლია გითხრათ, რომ თუ ღარიბ მოსახლეობაში კომუნალური და სხვა მომსახურების ხარჯები 21-22 პროცენტია, მდიდარი მოსახლეობის კომუნალური ხარჯი დიდად არ განსხვავდება მათგან და ეს მაჩვენებელი 24 პროცენტს შეადგენს - კომუნალურ მომსახურებათა ჩამონათვალის უფრო ვრცელი ნომენკლატურის გამო.

– და სხვა არამატერიალური სიკეთეები: დასვენება, კულტურა, მოგზაურობა – რა თანხებს ვუთმობთ მათ?

– ამის პასუხად ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ესტონეთში მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს მოსახლეობაზე 3-ჯერ ნა-

კლებია, მაგრამ იქ გამოსული ახალი მხატვრული ნაწარმოების, რომანის ტირაჟი საშუალოდ 10-12 ათასია, ჩვენთან კი დიდი ხანია, ასეთი ტირაჟებით წიგნი აღარ გამოდის და, თუ ვინმე ორ-სამ ათას წიგნს გაყიდის, ეს უკვე ბესტსელერად ითვლება. კითხვადობის ინტენსივობით ჩვენზე სამჯერ ნაკლები მოსახლეობის მქონე ქვეყანაში გამოცემული წიგნების საშუალო ტირაჟი ოთხჯერ მაღალია! გაეროს მონაცემით, ეკონომიკური განვითარების მხრივ, ჩვენ 112-ე ადგილზე ვართ, უფრო წინა, 79-81-ე პოზიცია გვიკავია ე. წ. ადამიანისეული განვითარების ინდექსით. ბოლო ათი წელიწადია, მოსახლეობის პრიორიტეტად იქცა განათლება. საგრძნობლად მოიმატა ამ მხრივ განუღმმა ხარჯებმა. ევროკავშირის ქვეყნებში განათლებაზე საშუალოდ იხარჯება მთლიანი შიგა პროდუქტის 5,8 პროცენტი, ჩვენთან კი - 3,2 პროცენტი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საშუალო ფენა თითქმის არ არსებობს და მოსახლეობის უმეტესობას დაბალი შემოსავალი აქვს, საკმაოდ მაღალია მოსახლეობაში განათლების მიღების მოტივაცია. ქართველი შეიძლება მშვიერი დარჩეს, მაგრამ ცდილობს შეიღს კარგი განათლება მისცეს.

ხარჯების ნუსხაში ასევე მნიშვნელოვანია ჯანდაცვა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გადასვლასთან დაკავშირებით არ დაჯამებულა ბოლო მონაცემები, მაგრამ 2013 წლის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის წილი ჯანდაცვაზე გაღებულ მთლიან ხარჯებში (დაახლოებით 78%) თითქმის ორჯერ აღემატება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (40%).

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა კომუნიკაციების მოხმარების მაჩვენებელი. შესაძლოა, სტუდენტს საშუალო ოჯახიდან არ ჰქონდეს კომუნალური ტრანსპორტით მგზავრობის ფული, მაგრამ აუცილებლად უნდა ჰქონდეს მობილური ტელეფონი.

- თქვენი მონაცემებით, საქართველოში მილიონ ასი ათასი ოჯახია და თითქმის 900 ათასი ავტომობილი. ეს სტატისტიკა რაზე მეტყველებს?

- ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო და უფრო იზრდება ავტომობილების რაოდენობრივი კონცენტრაცია თითოეულ ოჯახზე. მატულობს ისეთი ოჯახების რაოდენობაც, რომელთა მფლობელობაში ერთზე მეტი ავტომობილია. ევროპული სტანდარტით, განვითარებულ ქვეყნად ითვლება ის ქვეყანა, სადაც კომუნალური საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოწესრიგებულია და არა ის, სადაც ბევრი ავტომობილია! ამის მაგალითად მოვიყვანო შენევა, რომელიც, ფაქტობრივად, მილიონერთა ქალაქია და სადაც ცხოვრების დონე ძალიან მაღალია, ყველა ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტი - ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი - საოცრად განვითარებული და მოწესრიგებულია. ჩვენი სტატისტიკა ამ მხრივ მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს - ჩვენ გვჭირს პროვინციული სნობიზმი: ჩვენ არც ისეთი მდიდრები ვართ, რომ ამდენი ავტომობილით მოვიწონოთ თავი (იცინის). ჩვენთან დღეს ერთგვარ მოდურ ტრენდად იქცა საბანკო ვალით ავტომობილის შეძენა, იპოთეკით ქონების დატვირთვა. მე ამის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ერთ სტატისტიკას მოვიშველიებ - 2014 წლის მეორე კვარტალში ჩვენმა საბანკო სექტორმა ხელში ჩაიგდო კერძო მესაკუთრეთა 86 მილიონი ლარის ქონება, საგრძნობლად გაიზარდა მოვალეთა რეესტრში შეტანილ ფიზიკურ და იურდიულ პირთა რაოდენობა. ჩვენ ვიღებთ ვალებს ისე, რომ ხშირად არ გვაქვს გაცნობიერებული მათი გადახდის გზები და საშუალებები. ჩვენ საბაზრო ეკონომიკაში ფონს გასვლა გვინდა იმ წესებით, რომლებიც იქ მიღებული არაა, ასე კი არ გამოდის.

**შეუქმნის თუ არა პრობლემებს ქართული
პროდუქციის რუსეთში შეტანას
2015 წლის იანვრიდან ევრაზიული კავშირის
ამოქმედება
№2, 12–17.01.2015**

სომხეთი საბაჟო კავშირს რომ მიუერთდა, ეს ჯერ კიდევ 2014-ში შევიტყუეთ, მაგრამ 2015 წელი იმ ამბით დაიწყო, რომ ჩვენი მეზობელი სომხეთი ან უკვე ევრაზიული კავშირის ნაწილიც გახდა. მართალია, ევრაზიულ კავშირში რფ-სთან ერთად ბელორუსი და ყაზახეთიცაა, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მაინც სომხეთის მოქმედებაა, იმდენად, რამდენადაც ის ჩვენი მეზობელი და სავაჭრო პარტნიორია. გამომდინარე რეალობიდან, რომ ჩვენ და სომხეთი სრულიად სხვადასხვა ეკონომიკურ ბლოკებში აღმოვჩნდით, რა ბედი ელის ჩვენს კეთილმეზობლურ ეკონომიკურ ურთიერთობას, – ამ თემაზე ეკონომიკის ექსპერტ **იოსებ არჩვაძეს** გავესაუბრეთ.

– უპირველესად, საკითხს უნდა შევხედოთ იმ გლობალური დაპირისპირების ქრილში, რაც გამოიხატება არა მხოლოდ რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებაში, არამედ, ზოგადად იმ დაპირისპირებაში, რომელიც გამოიკვეთა გასული წლის ზაფხულიდან „ბრიკს“-ის წევრ ქვეყნებსა და G7-ს შორის. მოგეხსენებათ, „ბრიკს“ არის აბრევიატურა ხუთი ქვეყნის ეკონომიკური კავშირისა – ბრაზილია, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი და მათთან მოგვიანებით შეერთებული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; მეორე მხრივ კი, არის G7, რომლის წევრიც ბოლო დრომდე ფორმალურად იყო რუსეთიც, მაგრამ უკრაინის მოვლენების გამო ის დაითხოვეს და **დიდი რვიანი** ისევ დიდ **შვიდიანად გადაკეთდა**, როგორც ეს მოდიოდა ჟისკარ-დესტენის დროიდან, 1975 წლის რამბუიეში (საფრანგეთი)

პირველი შეხვედრიდან. ეს დაპირისპირება არის ბრძოლა გავლენის სფეროებისთვის, ენერგეტიკული რესურსების მოპოვებისთვის და ხშირად პოლიტიკური და დიპლომატიური დაპირისპირება გადაიზრდება ხოლმე სამხედრო დაპირისპირებაშიც, როდესაც დიპლომატიური გზით მიზანი ვერ მიიღწევა. ასე იყო 2008 წელს საქართველოში, ასეა ახლა უკრაინაში და არავინ იცის, სად იქნება მომავალში. თუმცა აქ არის ერთი მომენტი – „ბრიკსის“ წევრებმა, ეკონომიკური ზრდის მხრივ, გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს და დღეს უკვე მიუახლოვდნენ დიდი შვიდეულის ეკონომიკურ პოტენციალს. მაშინ, როდესაც, მაგალითად, 2000 წელს იყვნენ დიდი შვიდიანის 40 პროცენტის დონეზე.

– ბრაზილია არც ისე მდიდარია, ინდოეთი უღარიბესია, რუსეთს რაც ემართება, ვხედავთ, მაშინ ვის ხარჯზე იზრდება „ბრიკსის“ ეკონომიკური მაჩვენებლები?

– ბრაზილია საკმაოდ დიდი სახელმწიფოა და არა მარტო ტერიტორიით, იმ ქვეყანაში იქმნება მთელი მსოფლიოს ეკონომიკის 3 პროცენტი.

– მე ის ვიგულისხმე, რომ დიდია სიღარიბის მაჩვენებელი და კრიმინოგენური ვითარებაც საკმაოდ რთულია.

– აქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ეკონომიკური განვითარების დონითაც ხელნამოსაკრავი ქვეყანა ნამდვილად არ არის. მაგრამ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში ბრაზილიის წილი მოკრძალებულია და დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როგორც იყო მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც მსოფლიოს კოლონიური განაწილება დასრულდა, ახლად გაერთიანებულმა გერმანიამ თავისი წილი მოითხოვა, მაგრამ, რადგან „თავისუფალი“ ტერიტორიები აღარ არსებობდა, ვერ მისცეს და ამანაც შეუწყობელი მაშინ გერმანიის აგრესიულობას. დღესაც იგივე სურათს ვხედავთ: თავის ეკონომიკასთან შედარებით მაგალითად, დიდ ბრიტა-

ნეთს 4-ჯერ მაღალი წილი აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, ხოლო ჩინეთს – 4-ჯერ ნაკლები. აი, ასეთი კონტრასტებია და ამიტომ ეს ქვეყნები თავს ერთგვარად დაჩაგრულად მიიჩნევენ და კოორდინირებული მოქმედებით ცდილობენ, დანარჩენ მსოფლიოს აჩვენონ საკუთარი ძალა და მოითხოვონ, თუ ადეკვატური წილი არა, ადგილი მაინც იმ სუფრაზე, სადაც ლომების „პარადია“. რაც ხდება ჩვენს სამეზობლოშიც, ამის ერთგვარი გამოძახილია და შეგვიძლია, ჩავთვალოთ რუსეთის მიერ მათზე თავსმოხვეულ პოლიტიკად, და არა იმად, თითქოს მათ რუსეთზე მზე და მთვარე ამოსდით. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ინტეგრაციის რამდენიმე სტადია გაიარა რუსეთმა იმ ქვეყნებთან ურთიერთობაში, რომელთა შეტყუებასაც ცდილობს ამ კავშირში: ჯერ იყო თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის იდეა, შემდეგ – საბაჟო კავშირი, მოგვიანებით – ერთიანი ეკონომიკური სივრცე და დღეს ლაპარაკია ევრაზიის ეკონომიკურ კავშირზე, რომელიც ეკონომიკური ფორმით, თუ პოლიტიკას გავითვალთვალოთ, ძალიან ჩამოჰგავს საერთო ბაზრის პრინციპებს. თუმცა ამაზე არ ჩერდებიან და თუ სომხეთი 2 იანვარს შეუერთდა ევრაზიულ კავშირს, ყირგიზეთი, ალბათ, მაისის ბოლოსთვის გაერთიანდება ამ კავშირში. იქმნება ევრაზიის ეკონომიკური კომისია, ევრაზიის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო, რომლებსაც გარკვეული ფუნქციები აქვს: ერთიანი საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის შემუშავება, ადმინისტრირება, სავაჭრო რეჟიმების დანესება სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შემდეგ ტარიფებისა და საბაჟო ბარიერების შემოღება როგორც იმპორტირებულ, ისე ექსპორტირებულ პროდუქციაზე.

– ექსპორტირებულზე?

– მოსაკრებლის დანესება ნავთობის ექსპორტზე, რაც გააძვირებს ენერგეტიკულ პროდუქტებს სხვა ქვეყნებისთვის, მაგრამ ევრაზიული კავშირის წევრებისთვის იქნება შეღავათიანი ამ

გაერთიანების გარკვეული მიმზიდველობის შესანარჩუნებლად. რუსეთისთვის ეს არის ჩუბაისისეული ლიბერალური რბილი ძალის პოლიტიკის გამოხატულება, რომლითაც ის ცდილობს მიზნის მიღწევას და თავისი გავლენის აღდგენას პოსტსაბჭოთა სივრცეზე ეკონომიკური საშუალებებით. დავინტერესდი რუსეთის მთელი საგარეო სავაჭრო ბრუნვის ბოლო სტატისტიკური მონაცემებით და საყურადღებო ინფორმაცია აღმოჩნდა: ევრაზიულ კავშირში გაერთიანებული ქვეყნების სავაჭრო ბრუნვის წილი რუსეთის საგარეო ვაჭრობაში არის ძალზე მცირე, დაახლოებით, 7 პროცენტის ფარგლებში, დანარჩენი მოდის შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებზე – იქიდან იღებს რუსეთი საკვებ პროდუქტებსა თუ ავტომანქანებს.

– კონკრეტულად რა მონაცემებია?

– 40 მილიარდი დოლარის ღირებულების სურსათი შედის რუსეთში შორეული საზღვარგარეთიდან; 17 მილიარდის ფეხსაცმელი და ტანსაცმელი; თითქმის ამდენივე ღირებულების ავტომობილები და ასე შემდეგ. პროპორციებით კი, დაახლოებით, 750 მილიარდის ბრუნვა აქვს შორეულ საზღვარგარეთთან, ხოლო იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს ქმნის, 63 მილიარდის; აქ შედის ყაზახეთი, ბელორუსია და ჩვენი მეზობელი სომხეთი.

– ეს ხომ ნიშნავს, რომ ევრაზიული კავშირის შექმნა ცხოვრების დონეს გააუარესებს ამ ქვეყნებში? ან როგორ უნდა გაუნიონ ამ ქვეყნების სუსტი ეკონომიკების გაერთიანებამ კონკურენცია ძლიერ დასავლურ ეკონომიკებს?

– გაუჭირდებათ. იმავე სომხეთის მაგალითი რომ ავიღოთ: შეღავათიანი ფასები ექნება იმ პროდუქციაზე, რომლებიც გააქვს რუსეთის ფედერაციას, მაგრამ იმ ტარიფების მიხედვით, რაც რუსეთში მოქმედებს, მაგალითად, უცხოურ ავტომობილებზე, სომხეთი დაზარალდება. ბოლო წლებში საქართველოს გავლით სომხეთში

ნელინადში 20-25 ათასი ავტომობილი შედიოდა. აქამდე სომხეთის მოქალაქეებს საქართველოში შეძენილი 6-7 წლის მანქანების განბაჟება უფლებოდათ, დაახლოებით, 700 დოლარამდე, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნის შემთხვევაში კი, ჩვენი 700 დოლარის ნაცვლად, 8 400 დოლარი დაუფლებათ.

– ანუ ვერ შეიძენენ?

– საკმაოდ ძვირი ჯდება. იმავე რაოდენობის მანქანები რომ შევიდეს სომხეთში ევრაზიულ კავშირში განწევრიანების შემდეგაც, დასჭირდებათ 150-180 მილიონი დოლარით მეტი თანხა. რა თქმა უნდა, სომხეთის მოსახლეობა ამ თანხას არ გადაიხდის და ორიენტირებული დარჩება რუსულ ავტომობილებზე და იქნება რუსული საქონლის გასაღების ბაზარი.

– და როგორ იმოქმედებს ეს ჩვენს ბაზარზე?

– ამ ბაზრის დაკარგვის გამო ჩვენი ავტოდილერები, სულ ცოტა, 10-12 მილიონი დოლარის შემოსავალს დაკარგავენ მხოლოდ სომხეთთან. ანალოგიურად დაიკარგება უფრო მეტი შემოსავალი აზერბაიჯანის შემთხვევაში, თუმცა იქ სულ სხვა მიზეზით.

– იქ ხომ ძველი ავტომანქანები აიკრძალა. ახლები შეიყვანონ ჩვენმა ავტოდილერებმა?

– ეს უკვე იქნება დამოკიდებული აზერბაიჯანის მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე. ახალი ავტომობილი უფრო ძვირი ღირს.

– გარდა ავტომობილების რეექსპორტისა, კიდევ რომელ სფეროს მიადგება ზიანი სომხეთის ევრაზიულ კავშირში განწევრიანებით?

– ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დიდი ზიანი მოგვადგება, იმიტომ რომ, საქართველოს ფართო ეკონომიკური კავშირები აქვს და სომხეთთან სავაჭრო ბრუნვა არც ისე მაღალია. ბოლო მონაცემებით, 3-4 პროცენტია სომხეთთან ვაჭრობის წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში. ასე რომ, ჩვენ ამას იოლად გადავიტანთ. თუმ-

ცა სომხეთის საბაჟო სტატისტიკა ორი ფეხით კოჭლობს: სომხეთის იმპორტი და საქართველოს ექსპორტი ერთმანეთს საკმაოდაა აცდენილი. სომხეთის ექსპორტი და საქართველოს იმპორტი, ანუ რაც სომხეთიდან შემოდის საქართველოში ერთი ერთზე ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ, რაც საქართველოდან შედის სომხეთში, ანუ ჩვენი ექსპორტი და სომხეთის იმპორტი ხუთჯერად განსხვავებას იძლევა.

– რატომ? მალავენ გადასახადებს?

– არ აფიქსირებენ ექსპორტს. ძირითადად, ეს არის ავტომობილები, რადგან აქ ხდება მათი განბაჟება, სომხეთი ამას არ აფიქსირებს, როგორც იმპორტს და საკმაოდ დიდი სხვაობა გამოდის. დაახლოებით, 260-მილიონიან ბრუნვაში 200 მილიონი არ არის დაფიქსირებული.

– სომხეთის ბიუჯეტს არაფერი ეკუთვნის იმ არალრიცხული 200 მილიონიდან?

– შეიძლება, საქართველოში გადაფორმდა ის მანქანები, მაგრამ, რაც 2 იანვრიდან ძალაში შევიდა ევრაზიული კავშირი, არჩევნის გაკეთება მოუწევთ.

– უკვე ველარ იყიდიან ავტომანქანებს საქართველოში?

– არა, იმიტომ რომ, 2 იანვრიდან ევრაზიული კავშირის ტარიფები ამოქმედდა სომხეთის ტერიტორიაზე.

– ყაზახეთთან და ბელორუსთან ეკონომიკურ ურთიერთობაში დავზარალდებით?

– ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობა იმას ჰგავს, ქუჩის იქითა მხარეს ნაცნობს რომ დაინახავ და მიესალმები. არსებითი ვაჭრობა არ გვაქვს რომელიმესთან, ამ ქვეყნებსაც ძირითადი ორიენტაცია აქვთ რუსეთზე. ბელორუსიის მთელი საგარეო სავაჭრო ბრუნვის დიდი ნაწილი მოდის დსთ-ს ქვეყნებსა და ე.წ. „შორეულ საზღვარგარეთზე“. ამ უკანასკნელთან 80 მილიარდიანი სავაჭრო ბრუნვა აქვს. ეს 7-8-ჯერ მეტია საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე.

– მაგრამ ბელორუსია ჩვენზე დიდია.

– თუმცა არა „7-8“-ჯერ - მხოლოდ 2-2,5-ჯერ!

– რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობაში შეგვიქმნის პრობლემას ევრაზიული კავშირის შექმნა?

– ჩვენს საერთო საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 10 პროცენტამდეა რუსეთის წილი. სომხეთს აქვს, დაახლოებით, 25 პროცენტამდე, ბელორუსიის მთელი სავაჭრო ბრუნვის ნახევარი რუსეთზე მოდის, მეორე ნახევარი კი – დსთ-ის სხვა ქვეყნებსა და შორეულ საზღვარგარეთზე. მაგრამ ჩვენი პრობლემა ის არის, რომ რუსეთთან არ გვაქვს დივერსიფიცირებული ურთიერთობა: ძირითადად, რამდენიმე პროდუქტის ექსპორტ-იმპორტით ვართ დაკავშირებული, ამიტომ ამ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მარეგულირებელი ნორმების შეცვლა მგრძნობიარე იქნება ჩვენი ადგილობრივი მწარმოებლებისთვის. ეს არის: მინერალური წყლები, ღვინო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და რუსეთიდან – ენერგორესურსები.

– კიდევ შემოგვაქვს?

– 2008-შიც კი შემოგვქონდა და არ შეწყვეტილა არც ერთი წამის განმავლობაში. ზაფხულში გაგვაქვს იაფად და ზამთარში შემოგვაქვს საკმაოდ ძვირად.

– რა უცნაური ხელშეკრულება გვქონია რუსეთთან.

– ზამთარში საქართველოს ენერგეტიკა ნაკლებ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და ამიტომ გვჭირდება შემოტანა.

– ამაზე გავლენას, ცხადია, არ მოახდენს ევრაზიული კავშირის შექმნა, მაინც ძვირად ვყიდულობთ, თურმე.

– ამაზე არა, მაგრამ საინტერესოა, როგორ მოხვდება ჩვენი ხილი და ბოსტნეული რუსულ ბაზარზე.

– რატომ? იმიტომ რომ მაღალი ტარიფით დაიბეგრება ჩვენი მწვანელი? და ვინ იქნება მისი კონკურენტი სომხური თუ ყაზახური მწვანელი?

– მოთხოვნები შეიძლება, შეიცვალოს. ამას წინათ გაჩნდა ინფორმაცია, რომ თითქოს აიკრძალება რუსეთში ჩვენი ხილის შეტანა, არადა ასეთ არამდგრად რეჟიმში ყოფნა რთულია სოფლის მეურნეობისთვის. შეიძლება, სომხეთმა გაუწიოს კონკურენცია ქართულ პროდუქციას. მაგალითად, დაუნესდეს შეღავათები სომხეთში წარმოებულ იმავე პროფილის პროდუქციას. ამით გაზარდოს სომხეთისთვის ევრაზიული კავშირის მიმზიდველობა და საქართველოს ხელი შეუშალოს. ერთი სიტყვით, ჩვენ სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ და დაგვეჭირდება გარკვეული ცვლილებების გატარება, რომ სასურველ შედეგამდე მივიდეთ.

**რა როლს ასრულებს ქართველების
კეთილდღეობაში გმოგზაებისა და
ბაბუა-ბებიაების მიერ დატოვებული ქონება
და რატომ ელის საქართველოს 10 წელიწადში
კიდევ უფრო გაღატაკება
№17, 27.04–3.05.2015**

თუ მსოფლიო ბანკს დავუჯერებთ, სიღარიბის განმსაზღვრელი მთავარი ინდიკატორი შემოსავლებია. შესაბამისად, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის, მთლიანი შიგა პროდუქტის მიხედვით ქვეყნები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: დაბალი, საშუალო (რომელიც, თავის მხრივ, დაბალ საშუალო და მაღალ საშუალოდ იყოფა) და მაღალი შემოსავლების მქონედ. საქართველო დაბალი საშუალო შემოსავლების მქონედ. ეკონომიკის ექსპერტ **სოსო არჩვაძესთან** ერთად მიმოვიხილავთ სხვადასხვა ქვეყნის წლიურ შემოსავლებსა და საქართველოს მოქალაქეების საშემოსავლო რეალობა-პერსპექტივას.

– არსებობს რაღაც მაჩვენებელი, რომელიც ასახავს, ვთქვათ, ყოველთვიურ ნორმატიულ საშუალო შემოსავალს ან ხარჯებს?

– როგორც წესი, საშუალო წლიურ მაჩვენებელს ანგარიშობენ მთლიანი შიგა პროდუქტით, მაგრამ ამ მთლიანი შიგა პროდუქტის შემადგენლობაც განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით: ზოგან სოფლის მეურნეობას უჭირავს დიდი ადგილი, ზოგან – ტურიზმს, ახალ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში კი – ვაჭრობასა და საგარეო ურთიერთობას, ამიტომ შემოსავლებიც ამაზეა დამოკიდებული და მნიშვნელოვნად განსხვავდება.

– ყველაზე მეტი შემოსავალი სად არის, სადაც წამყვანი მრეწველობაა? და სად არის ყველაზე დაბალი - სადაც სოფლის მეურნეობაა?

- ყველაზე კარგი მაჩვენებელი, ამ მხრივ, აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა მოსახლეობის 2 პროცენტზე ნაკლებია, მაგრამ აგრარულ სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა რამდენჯერმე შეიძლება გაიზარდოს, როდესაც მოსავლის აღება-დაბინავებაა - დროებით დაქირავებულთა ხარჯზე. კიდევ ერთი ნიუანსი, რასაც კორექტივი შეაქვს ქვეყნების მიხედვით შემოსავალში: უნდა გავითვალისწინოთ, რომ თითოეული ადამიანი და საზოგადოება მოცემულ მომენტში არის არა მარტო იმ ერთი კონკრეტული წლის განმავლობაში შექმნილი დოვლათის მომხმარებელი, არამედ, წინა თაობების მიერ დაგროვილი ქონების ელემენტების მომხმარებელიც. ბევრი ჩვენგანი ცხოვრობს სახლში, რომელიც ამენებულია ბებია-ბაბუის მიერ, სარგებლობს მშობლების დანატოვარი ქონებით. მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს წარმოების მაღალი დონე, კეთილდღეობის მიხედვით შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ზედა ნახევარში ვიმყოფებით.

- დაგროვილი ქონების ხარჯზე?

- არა მარტო. ისე, ცნობისათვის: წელიწადში ჩვენ ვანარმოებთ მსოფლიოში საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული დამატებით ღირებულების ნახევარს.

- ანუ, არც ისე ცუდად გვაქვს საქმე?

- ასეთივე მაჩვენებელი აქვთ აფრიკას, აზიას, ლათინურ ამერიკას. მაგრამ ჩვენი კეთილდღეობა რამდენადმე უკეთესია იმის გამო, რომ ჩვენ ვსარგებლობთ ძველი, დანატოვარი სიმდიდრით, თუმცა ფაქტობრივი მიმდინარე შემოსავალი ნაკლები გვაქვს. პირობითად, ადამიანს აქვს ხელფასი ათასი ლარი, მაგრამ აქვს სახლი, ანუ არ სჭირდება ბინის დაქირავება, სარგებლობს მაცივრით, რომელიც ჯერ კიდევ 1990 წელს იყიდა მისმა მშობელმა. ამდენად, მისი მომხმარებისა და კეთილდღეობის დონე რამდენადმე მაღალია, ვიდრე მისი მიმდინარე შემოსავლები და ეს დაგროვილი სიმდიდრე დაახ-

ლოებით 20-25 პროცენტით ზრდის საერთო კეთილდღეობას, მაგრამ ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.

– ერთხელაც, ამორტიზდება, არა, მაცივარი?

– ასეთი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, მაქსიმუმ, 20-25 წელიწადს გაგრძელდეს მსგავსი ტენდენცია, შემდეგ ჩვენი მოსახლეობა აღმოჩნდება იმ მწვავე რეალობის წინაშე, როდესაც მისი მოხმარების აბსოლუტური მასშტაბი დამოკიდებული იქნება მხოლოდ მათ მიერ შექმნილი დოვლათის სიდიდეზე ან კიდევ იმ ვალების აღებაზე, რომლებსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მისცემენ.

– თუ სწორად გავიგე, 20 წელიწადში კიდევ უფრო გავლარიბდებით, თუ შემოსავლების დღეს არსებული დინამიკა შენარჩუნდა და ის არ გაიზარდა?

– თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ კიდევ უფრო გავლარიბდებით. ავიღოთ 2011 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საშუალო წლიური ზრდის ტემპი – შეგნებულად ავირჩიე ეს ოთხი წელიწადი, რომ მოხვედრილიყო წინა და მოქმედი ხელისუფლების 2-2 წელი – და, დავუშვათ, რომ ეს ტემპი არ შეიცვლება მომდევნო 11 წლის განმავლობაში, მაშინ 2025 წელს ჩვენ გავალთ ბულგარეთის 2014 წლის დონეზე. ბულგარეთი იმიტომ ვახსენე, რომ ის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა ევროკავშირის 28 ქვეყანას შორის.

– ეს ხომ ნიშნავს, რომ, რაღაც, უიმედოა ჩვენი ევროკავშირისკენ სვლის ტემპი?

– ჩვენ ორიენტაცია უნდა ავიღოთ იმ დადებით ფასეულობებზე, რითაც ევროპამ თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში; აქცენტი უნდა გავაკეთოთ ღირებულებებზე და არა ინსტიტუტებზე. ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ჰუმანიზმი, ადამიანის უფლებები, თანასწორობა და სხვა ის ფუნდამენტური ღირებულებები, რითაც ასე ცნობილია ევროპა.

– რამდენს ვხარჯავთ და რაში ყოველწლიურად?

– საკმაოდ მოკრძალებულია საკვების, სასმლისა და თამბაქოს ხარჯები, ჯამში, ყოველწლიურად 3 600 დოლარის ოდენობით. თუმცა ეს ხარჯები საკმაოდ მაღალია პროცენტულად და დაახლოებით 38,5 პროცენტს შეადგენს ჩვენი მთლიანი წლიური ხარჯისა. პრინციპი ასეთია: რაც უფრო მაღალშემოსავლიანია ოჯახი, მით უფრო მეტს ხარჯავს ის სურსათზე. მაგალითად, თუ ჩვენ ვხარჯავთ 3.6 ათას დოლარს, ამერიკელები ხარჯავენ 11-ჯერ მეტს, მაგრამ მათი მთლიანი ხარჯებიდან მხოლოდ 8,8 პროცენტი მოდის სურსათზე. ასევე, დაბალი მაჩვენებელი აქვს სინგაპურს, შვეიცარიას – დაახლოებით 9-9 პროცენტი; გაერთიანებული სამეფო და კანადა ხარჯავენ 9,5-9.5 პროცენტს თითოეული და ა.შ.

– თუმცა, ჩვენი მაღალი მაჩვენებელი არ ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო ბევრს მივირთმევთ?

– რა თქმა უნდა. მხოლოდ სურსათზე თუ ჩვენ წელიწადში მოსახლეობის ერთ სულზე ვხარჯავთ დაახლოებით 2 700 დოლარს, ამერიკელები - 35 630 დოლარს.

– ამდენს რას მიირთმევენ?!

– თანაც, გაითვალისწინეთ, რომ სურსათზე ფასები ამერიკაში რამდენადმე უფრო დაბალია, ვიდრე ჩვენთან. ამერიკა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია მოხმარებული კალორიების მიხედვით – 3.8 ათასი კილოკალორია დღე-ღამეში. იქ არის ქარბი წონის პრობლემა - მასობრივი ხასიათი მიიღო ქარბწონიანი მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ. ამიტომ ბოლო დროს სულ უფრო პოპულარული ხდება ფიზიკური ვარჯიში, სირბილი, წონის დაგდება და ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესი.

– აბა, საიდან მოდის მითი, რომ ქართველები ჭამა-სმის მოყვარულები არიან?

– ჩვენ უფრო მეტს ვლაპარაკობთ ჭამა-სმაზე, ვიდრე ამას რეალურად ვაკეთებთ. ქართულ სუფრას აქვს თავისი ლაზათი, მა-

გრამ ჩვენი საკვების კალორიულობა არც ისე მაღალია და საკმაოდ მოკრძალებულია ევროპული სტანდარტებით. ჩვენთან მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და მათი შემოსავლები არ იძლევა საკმარისად დაბალანსებული კვების პროდუქტების მიღების შესაძლებლობას.

– როგორც პაატა კოლუაშვილმა აღნიშნა, ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე ბალახიჭამია ერი ვართ, რადგან უზომოდ დიდი რაოდენობით მწვანე მწიკვანებს მივირთმევთ. იმის თქმა მინდა, რომ ფხალეული არ არის კალორიული, არც სალათები.

– თანაც, ჩვენ სამხრეთული ქვეყანა ვართ, სამხრეთულ ქვეყნებში კი გაცილებით ნაკლებ ცხოველურ პროდუქტებს მოიხმარენ. მაგალითად, ჩვენ ყოველ მოხმარებულ ერთ კილოგრამ პურზე მივირთმევთ დაახლოებით 130 გრამ ხორცპროდუქტებს, ესტონეთში კი ეს მაჩვენებელი თითქმის ერთი ერთზეა.

– ჩვენ ამერიკას შევედარეთ საკვებზე ფულის ხარჯვის მხრივ და კატასტროფა გვქონია ლამის; რეგიონის ფონზე როგორ გამოიყურება ეს მაჩვენებელი?

– უპირველესად, თურქეთს შევადაროთ, რადგან, დიდი სახელმწიფოა და, გარკვეულწილად, სამაგალითო. თურქეთში ჩვენთან შედარებით სურსათის ხარჯის წილი 1,5-ჯერ დაბალია, ისინი თავიანთი შემოსავლების მხოლოდ 22 პროცენტს ხარჯავენ სურსათზე. მართალია, ამერიკასთან შედარებით ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, მაგრამ, აბსოლუტურ განზომილებაში ეს ციფრი მაინც საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება, განსაკუთრებით საქართველოს ფონზე. თუ საქართველოში სურსათისთვის მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში იხარჯება 2 700 დოლარი, თურქეთში – 8 100 დოლარი; ლატვიაში სურსათს მიაქვს მთლიანი ხარჯის 19 პროცენტი, ესტონეთში – 20, ლიტვაში – 24 პროცენტი. შესაბამისად, აბსოლუტურ განზომილებაში ლატვიაში სურსათზე წელიწადში 9

455 დოლარს ხარჯავენ, ესტონეთში – 10 068-ს, ლიტვაში – 9 921 დოლარს - ფაქტობრივად, საქართველოზე თითქმის სამჯერ უფრო მეტს. მაგრამ სურსათის ხარჯის წილი მათ მთლიან ხარჯებში დაბალია. ეს იმის გამოა, რომ მათი მთლიანი შიგა პროდუქტი საკმაოდ მაღალია. ესტონეთი ამ მხრივ, საერთოდ, ლიდერია პოსტსაბჭოთა სივრცეში.

- რუსეთში?

- რუსეთი ჩვენგან ძალიან შორს არ არის წასული, იქ მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 30,5 პროცენტი იხარჯება სურსათზე, მაგრამ აბსოლუტურ განზომილებაში ჩვენთან შედარებით საკმაოდ მაღალია ეს მაჩვენებელი, ჩვენთან შედარებით თითქმის 3-ჯერ მეტი – 7 400 დოლარია მოსახლეობის ერთ სულზე. გასაგებიცაა: რუსეთს საკმარისად დიდი მთლიანი შიგა პროდუქტი აქვს.

- რაკი საქმე რუსეთს ეხება, სასმელის ხარჯი შედის ამ თანხაში?

- თუ ჩვენ მთლიანი ხარჯის 5,2 პროცენტს ვხარჯავთ სიგარეტსა და სასმელში, რუსები ხარჯავენ 8,3 პროცენტს, ეს საკმაოდ დიდი ციფრია და 8-პროცენტიანი მაჩვენებელი თითქმის 2 000 დოლარზე მეტია.

- ჩვენ თითქოს სასმელიც ვვიყვარს, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა.

- არ არის 5 პროცენტი დაბალი მაჩვენებელი, ამერიკას რომ შევედაროთ.

- მაგრამ ამერიკაში თითქმის არ მოიხმარენ თამბაქოს?

- თამბაქოსა და სასმელზე მხოლოდ 2,1 პროცენტს ხარჯავენ.

- რა ვიცი, აბა, ამერიკულ ფილმებში სულ სასმელს სვამენ დღე-ღამის ნებისმიერ დროს...

- იქ დიდი შემოსავლები აქვთ. პროცენტულად დაბალი მაჩვენებელი აქვს სასმელისა და თამბაქოს მოხმარების ნავთობმომპოვებ-

ელ მაჰმადიანურ სახელმწიფოებს – მათ რელიგია უკრძალავს თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებას და ამიტომ მათთან ეს მაჩვენებელი დაბალია. მაგალითად, ყატარში, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა, მხოლოდ 0,3 პროცენტი იხარჯება სასმელსა და თამბაქოზე.

– საკვებისთვის რამდენს ხარჯავენ მდიდარ აღმოსავლურ ქვეყნებში?

– აღმოსავლურ ქვეყნებში, მაგალითად, პირველ ადგილზეა ყატარი – 12 პროცენტით. ეს თანხაში 12 826 დოლარია მოსახლეობის ერთ სულზე. ესე იგი, ყოველწლიურად მათი საშუალო შემოსავალი 100 000 დოლარია. მართალია, საშუალო მაჩვენებელი ორიენტაციას გვაძლევს, მაგრამ ის არც მთლად ზუსტია, რადგან ეს იგივეა, საავადმყოფოები შევადაროთ ერთმანეთს პაციენტების საშუალო ტემპერატურით. მნიშვნელოვანია, როგორ ნაწილდება ეს შემოსავლები ცალკეულ ჯგუფებს შორის. საქართველოს პოსტსაბჭოთა სივრცეში ლიდერის ყვითელი მაისური აცვია – ჩვენთან ყველაზე მაღალია დიფერენცირება მდიდრებსა და ღარიბებს შორის და ამ მხრივ რუსეთსაც კი ვუსწრებთ. რუსეთი იმიტომ ვახსენე, რომ თიკუნი „ახალი რუსი“ სწორედ იქიდან წამოვიდა, ანუ მდიდრების კონტინგენტი დიდია. ჩვენთან, იმის გამო, რომ მცირეა მთლიანი შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე, დიფერენციაცია მდიდრებსა და ღარიბებს შორის მაღალია. გამოდის, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი აბსოლუტურ სიღარიბეში ან სიღარიბესთან მიახლოებულ მდგომარეობაშია. ამის საპირისპიროდ, შემოიძლია, მოგიყვანოთ იაპონიის მაგალითი: იაპონია მსოფლიოს პირველ ათეულში მყოფი ქვეყანაა თავისი ეკონომიკური განვითარებით და მარტო ტოკიოში თითქმის ნახევარი მილიონი დოლარული მილიონერი ცხოვრობს, მაგრამ მილიარდერთა რაოდენობა მცირეა. მაგალითად, ინდოეთს 3,5-ჯერ მეტი მილიარდერი ჰყავს, ვიდრე იაპონიას (შესაბამისად,

84 და 24), მაშინ, როდესაც ინდოეთის მთლიანი შიგა პროდუქტი იაპონიის მთლიანი შიგა პროდუქტის მხოლოდ ნახევარია. მეტიც, იტალიასაც კი თითქმის ორჯერ მეტი მილიარდერი ჰყავს, ვიდრე იაპონიას. რუსეთში 110 მილიარდერია, თან, რუსეთში ადრე კრიზისამდე უფრო მეტი მილიარდერი იყო. მდიდრებსა და ლარიბებს შორის იაპონიაში განსხვავება მხოლოდ 4,5-ჯერადია, ანუ, პირობითად რომ ვთქვათ, იქ ყველა მდიდარია, განსხვავებით რუსეთის, საქართველოსა თუ ინდოეთისგან, სადაც ეს სხვაობა ჯერადად მაღალია.

**როგორ ქმნიან ქართველი ქალები
მოჯახში საქმიანობით 7,5 მილიარდის
პროდუქტს და რატომ იღებენ საქართველოში
დასაქმებულ ქალები მამაკაცებზე ნაკლებ
საშუალო ხელფასს
№23, 6-12.08.2015**

„იზიარდის“ ფორუმის დასრულების შემდეგ შევიტყვეთ, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს და ამ საქმისთვის თანხასაც გამოყოფს. უფრო კონკრეტულად კი ბიზნეს საქმიანობაში, არც მეტი, არც ნაკლები, ქალების ჩასართავად. რა შესაძლებლობა ეძლევათ საქართველოს მოქალაქე ქალებს, რატომ აიძულებს დასავლეთი საქართველოს მამაკაცებს, ჩართონ ქალები პოლიტიკასა თუ ბიზნესში, რატომ არ ფასობს ქალის შრომა საქართველოში და არსებობს თუ არა ქვეყანაში განვითარებისა და სოციალური სტატუსის მოპოვების თანაბარი შანსები, სქესის მიუხედავად, – ამ კითხვებზე ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე გვიპასუხებს.

– რა პროექტებია ეს და როგორი პრაქტიკა აქვს „იზიარდს“?

– „იზიარდი“ ჩვენთან დიდი ხანია, მუშაობს და სტრატეგიაა კერძო სექტორისთვის ხელის შეწყობა, ენერგეტიკული სექტორის დახმარება და საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ჩართვა გლობალურ ეკონომიკურ პროცესში. ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ დაფინანსდეს ეს მიმართულებები, უპირველესად - ინფრასტრუქტურა, მომარაგება-ლოგისტიკა, ტელეკომუნიკაციები და სხვა. ერთ-ერთი მიმართულებაა, რაც უნდა გასაკვირი იყოს, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამ მიმართულებით გარკვეული ჩამორჩე-

ნა გვაქვს. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, მათი წილი მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში 4-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირში: ჩვენთან არის 16-17 პროცენტი, ევროკავშირში - 64-65 პროცენტი. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარეშე სრულყოფილად ვერ განვითარდებით და ვერც ხალხს მოვიმადლიერებთ, იმიტომ რომ, მაგალითად, ერთი მილიონი ლარის (ან დოლარის) ინვესტიცია თითქმის 2-2,5-ჯერ მეტ სამუშაო ადგილს ქმნის მცირე ბიზნესში მსხვილ ბიზნესთან შედარებით. ამიტომ ეს პერსპექტიულია ხალხის დასაქმების, უმუშევრობის შემცირებისა და კეთილდღეობის შედარებით სწრაფ რეჟიმში ამალღების კუთხით.

– ქალების მომენტი რატომ გახდა აქტუალური, ეს საკუთრივ „იზიარდის“ ინიციატივაა?

– მახსენდება ერთი პასაჟი ფილმიდან „კავკასიელი ტყვე ქალი“: „Когда космические корабли бороздят...“³, ანუ მსოფლიოში ისეთი პროცესებია, როდესაც ქალები აქტიურობენ პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებაში ყველაზე დიდი გავლენის მქონე პირთა მსოფლიო ათეულში ორი ქალბატონია. ერთი – გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და მეორე – ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ჯანეტ იელენი. სულ მსოფლიოში 1 800-მდე მილიარდერია და მათგან 200-მდე ქალია, ანუ ყოველი მეცხრე მილიარდერი მსოფლიოში ქალია. და ერთ ციფრსაც ვიტყვი: მილიარდერთა პირველ ათეულში ორი ქალბატონია - ლილიან ბეტანკური და ალისა ვალტონი, რომელთაგან თითოეულის აქტივების ღირებულება ცალ-ცალკე 2,5-ჯერ აღემატება საქართველოს წლიურ მთლიან შიგა პროდუქტს.

– ამ ქალებმა თავად დააგროვეს ეს ფული, თუ მამამ დაუტოვა, ქმარმა, საყვარელმა აჩუქა?

³ როდესაც კოსმოსური ხომალდები კვალავენ (რუს.).

– არ ვიცი, საიდან დაიწყეს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ისინი საკუთარი აქტივების ზრდას აგრძელებენ. პირველმა მათგანმა ბოლო ერთ წელიწადში თავისი აქტივების ღირებულება 13 მილიარდით გაზარდა. ჩვენ კი, ამ მხრივ, სატრაბახო ბევრი არაფერი გვაქვს – არც ქალებს და არც კაცებს.

ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებული ქალების საშუალო ხელფასი საშუალო ეროვნული ხელფასის მხოლოდ 75 პროცენტია. უშუალოდ კაცების ხელფასებს რომ შევადაროთ ქალების ხელფასი, იქ გაცილებით ნაკლები გამოდის – დაახლოებით 64 პროცენტი. ეს იმ დროს, როდესაც მოსახლეობაში ქალთა რიცხვი მამაკაცებისას სჭარბობს, ხოლო 15 წელზე მეტი ასაკის ადამიანებში ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის თითქმის 70 პროცენტი ქალია. ისინი, ძირითადად დიასახლისობენ. ერთი მომენტია კიდევ: ჩვენი ქალები სახლში იმდენს შრომობენ, რომ, თუ ამას ფულად ერთეულში გადავიყვანოთ, მთლიანი შიგა პროდუქტის მეოთხედს მაინც მივიღებთ – 7,5 მილიარდ ლარს.

– როგორ გადაგყავთ? რის მიხედვით შეაფასეთ ქალის შრომა სახლში?

– შევაფასე შემდეგნაირად: თუ პირობითად, დიასახლის ქალთა შრომას სახლში რვასაათიან სამუშაო დღედ ჩავთვლით (ისე ბევრი დიასახლისი, როგორც წესი, უფრო მეტს შრომობს), ხოლო დასაქმებულ ქალთა მიერ საშინაო საქმეებისათვის დათმობილ დროს – მხოლოდ 4 საათად ვიანგარიშებთ, დახარჯული დროის ანაზღაურების საფუძვლად კი ავიღებთ ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა საშუალო ხელფასს, გამოვა, რომ ჩვენი დიასახლისების, ზოგადად, ქალების სახლებში შრომა ფულად ერთეულში წლიურად 7,5 მილიარდ ლარზე მეტი იქნება. სამწუხაროდ, ეროვნული ანგარიშგების სისტემა არ მოითხოვს მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელში დიასახლისების შრომის შეყვანას. ამიტომ ეს შრომა, პირდაპირ

რი და გადატანითი მნიშვნელობით, შეუფასებელი და დაუფასებელი გვრჩება.

– რამდენად რეალურად გეჩვენებათ ქალების ჩართვის ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესში. მოუტანია სხვა ქვეყნებში ასეთ პროექტს შედეგი?

– საერთოდ, რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა, მით უფრო მაღალია ქალთა წარმომადგენლობა არა მარტო დასაქმებაში, არამედ ზოგადად ეკონომიკურ საქმიანობაში და მით უფრო მაღალია მათი შრომის ანაზღაურებაც. ჩვენთან მთელი სამუშაო ძალის მხოლოდ 46 პროცენტია ქალი, მაშინ, როდესაც მოსახლეობაში ქალი 53 პროცენტია. ცოტა ქალი გვყავს პარლამენტშიც, აზერბაიჯანში კი გვისწრებს: თუ ჩვენს პარლამენტში ქალები 12 პროცენტია, აზერბაიჯანში – 16. ყველაზე მეტი ქალი პარლამენტში კი ჰყავს რუანდას. რუანდას, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ყველაზე მეტი სისხლისღვრით იყო გამორჩეული. ეტყობა, ქალებმა ჩათვალეს, რომ კაცები არ ვარგოდნენ არც პოლიტიკაში, არ გამოსდიოდათ ურთიერთობა და თავიანთ თავზე აიღეს ქვეყნის მართვა. დღეს რუანდის პარლამენტში ქალები შეადგენენ ნახევარზე მეტს, 52 პროცენტს.

– დაამჩნია ამან კვალი ქვეყანას?

– ყოველ შემთხვევაში, ცუდი მაინც აღარ ისმის რუანდაზე. როგორც ჩანს, ქალებმა მშვიდობის მანდილი ჩამოაგდეს. სხვათა შორის, ჩვენთან, გაეროს შეფასებებით, დაბალია მთლიანი ეროვნული პროდუქტის შექმნაში ქალების წილის მაჩვენებელიც. საქართველო, ამ მხრივ, ბოლო ადგილზეა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ტაჯიკეთიც კი გვისწრებს. მსოფლიოს 175 ქვეყნიდან კი მხოლოდ 144-ე ადგილზე ვართ. ჩვენთან ეს მაჩვენებელი, ანუ ქალების წილი მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში მამაკაცების იმავე მაჩვენებლის 43 პროცენტია.

– ჩვენთან ნამდვილად არ არსებობს ქალების განათლების პრობლემა. ვერც იმას ვიტყვით, რომ ქალებს მიზანდასახულად არ აძლევენ სამუშაო ადგილებს. არ არის ასეთი მასობრივი და გამოკვეთილი დისკრიმინაცია. მაშინ რა გვჭირს, რატომ გვაქვს ასეთი არაცივილიზებული მაჩვენებელი?

– სტუდენტთა 57 პროცენტი გოგონაა და 43 პროცენტი ვაჟი, ანუ უფრო მეტი სტუდენტი გოგონაა, მაგრამ კარიერულ სფეროში და სამუშაო ადგილების დაკავებაში ეს ტენდენცია იკარგება. იმიტომ რომ, იმ დარგებში, სადაც მაღალია ხელფასი, ქალების წილი დაბალია. მაგალითად, მშენებლობის სექტორში, სადაც შედარებით მაღალი ანაზღაურებაა, ქალი სულ 7 პროცენტია; მრეწველობაში – 27 პროცენტი, მაგრამ განათლების სექტორში, სადაც დაბალია ანაზღაურება, ქალების წილი 84 პროცენტია და ეს ახდენს გავლენას საშუალო მაჩვენებელზე, რასაც მიხედვა სჭირდება.

– არც ერთი ქართული ბანკი არ აფინანსებს ბიზნესის დაწყებას, არადა „იბიარდი“ სწორედ ბანკების მეშვეობით იწყებს ქალების საშუალო და მცირე ბიზნესში ჩართვას. იგულისხმება, რომ ამ ქალებს აქვთ ბიზნესი და დაეხმარებიან მის გაძლიერებაში თუ წამოაწყებინებენ ბიზნესს?

– გენდერული უთანასწორობის დაძლევა ცალკე ასპექტია და პირდაპირ ბიზნესის წამოწყებას არ უკავშირდება. ისინი ატარებენ ახსნა-განმარტებით სამუშაოებს, ქმნიან სოციალურ ფონს, საინფორმაციო ველს, რომ ადამიანმა არა მარტო ისწავლოს და განათლება მიიღოს უმაღლესში, არამედ შესაბამისი ინფრასტრუქტურა დაეხმაროს ქალს, რომ შედარებით იოლად შეათავსოს დედისა და სოციალურად აქტიური პიროვნების ფუნქციები. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ქალებმა ბიზნესი წამოიწყონ, რადგან ბიზნესის დასაწყებად თანაბარი პირობები ყველას აქვს, ქალს თუ კაცს, არამედ, იგულისხმება, რომ ყურადღების ცენტრში იყოს ქალთა სოციალური აქტიურობის შენარჩუნება. სხვათა შორის, 2010 წელს პარლამენტში

შეიქმნა ქალთა გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის ხელმძღვანელიც რუსუდან კერვალიშვილი იყო.

– და ჩვენი ქალთა მოძრაობის წარმომადგენლები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ ამ საბჭოს მუშაობით.

– ყოველ შემთხვევაში, ეს საბჭო არსებობს პარლამენტში და ის რომ რამდენიმე კვირის წინათ დაინყეს მუშაობა ქალთა კვოტირებაზე პარლამენტში, იმის მაჩვენებელია, რომ ის მდგომარეობა, რაც გვაქვს, არ არის ნორმალური. რატომ უნდა იყოს რუანდის პარლამენტში ქალთა წილი 52 პროცენტი, კუბაში – 49, შვედეთში – 45, ფინეთში – 43, აზერბაიჯანში – 16 და ჩვენთან – მხოლოდ 12 პროცენტი?! ფაქტია, რომ სკანდინავიის ქვეყნები ჩვენთვის სამაგალითოა და იქ სავალდებულოა მამაკაცებისთვის, ისარგებლონ დეკრეტული შვებულების არანაკლებ 40 პროცენტით და ბავშვებს მოუარონ. ჩვენთან ოჯახის სხვა წევრს, მაგალითად, ბებიასაც შეუძლია, გავიდეს შვილის ნაცვლად დეკრეტულ შვებულებაში და მან მოუაროს ბავშვს, მაგრამ ვალდებულება, რომ ორივე მშობელი აუცილებლად უნდა გავიდეს დეკრეტულში, არ არის.

– როგორც მივხვდი, „იბიარდის“ მცირე და საშუალო ბიზნესში ქალთა ჩართულობის პროგრამა მხოლოდ საზოგადოებაში ამ განწყობის გაჩენას ემსახურება და არა თანხის გამოყოფას ქალებისთვის, ვისაც სურს ბიზნესის წამოწყება?

– საქართველოში გენდერული უთანასწორობა ყურადღების ცენტრში იმიტომ მოექცა, რომ თვითონ საქართველოშია, ამ მხრივ, მდგომარეობა არცთუ სახარბიელო. თუ მივდივართ დემოკრატიული განვითარების გზით, მაშინ უნდა დავძლიოთ ეგრეთ წოდებული გენდერული უთანასწორობის ინდექსი, რომელიც ცალკეული ეკონომიკური და სოციალური პარამეტრების მიხედვით გვიჩვენებს მამაკაცთა და ქალთა რეალურ უთანასწორობას.

– თქვენ რით ხსნით ამ უთანასწორობას, რატომ არ აღიარებენ ქალებს, ხელოვნურად ცდილობენ პატრიარქალური მიდგომების შენარჩუნებას?

– ბევრი მომენტის თანხვედრაა, მაგრამ ძირითადად გეტყვი: როდესაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მოიშალა სამეურნეო კავშირები და მაშინდელი მყარი, ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სისტემა დაინგრა, ამან, უპირველესად, დაარტყა იმ დარგებს, სადაც ქალთა დასაქმების წილი შედარებით მაღალი იყო და ასიმეტრიული უმუშევრობა წარმოიშვა. მაგრამ ქალებმა უფრო იოლად მოახერხეს ახალ რეალობასთან ადაპტაცია: ზოგი უცხოეთში წავიდა, ზოგმა შინა მეურნეობას მიჰყო ხელი და ფაქტობრივად, მამაკაცებმა დაიტოვეს უფრო ნომენკლატურული და მაღალი თანამდებობები, სადაც ანაზღაურებაც უფრო მაღალი იყო. ასე რომ, იმდენად არა სოციალური დისკრიმინაციის შედეგია ეს, რამდენადაც იმისა, რომ შედარებით მაღალი თანამდებობების გამო მამაკაცები უფრო მეტს იღებენ, ვიდრე ქალები. თუმცა არ გვაქვს ინფორმაცია, რა არის ქალთა წილი უცხოეთიდან გამოგზავნილ თანხაში. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნიდან წასულთა შორის ქალები ჭარბობენ, მათი ფულადი გზავნილების მოცულობაც, გონივრული ეჭვია, უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა, ოღონდ ძნელი სათქმელია, რამდენით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რამდენ პროდუქტს ქმნიან მამაკაცები ქვეყნის შიგნით: მთლიანი შიგა პროდუქტის ორი მესამედი კაცების შექმნილია და მხოლოდ ერთი მესამედი მოდის ქალებზე. ამაში არ შედის ის 7,5 მილიარდი, რომელიც ქალების ოჯახში შრომას ასახავს. მართალია, ჩვენი მონაცემებით, უცხოური ტრანზაქციების რაოდენობა მილიარდ 300 მილიონი დოლარია, მაგრამ, მსოფლიო ბანკის მონაცემით, ჩვენი თანამემამულეების მიერ უცხოეთიდან გადმორიცხული თანხის მოცულობა 2 მილიარდ დოლარამდეა. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩვენი თანამემამულეები, უმეტესწილად ქალები, არანაკლებ 8-10 მილიარდ აშშ დოლარის დამატებულ ღირებულებას ქმნიან. ასე რომ, თუ ყველაფერს დავთვლით, ქვეყნის შიგნითაც და მის ფარგლებს გარეთაც, ჯერ კიდევ საკითხავია, შექმნილ მთლიან

დოვლათში ვისი წილი იქნება უფრო მაღალი - ქალების თუ კაცების?!

ზემოთ ტრანზაქციები ვახსენე და მინდა კიდევ ერთი ციფრი დავასახელო: თურქეთში ტრანზაქციების მოცულობა მილიარდ 100 მილიონია, მაშინ, როცა იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი შრომითი მიგრანტები ის-ის იყო პირველ ნაბიჯებს დგამდნენ უცხოეთში, თურქეთი ფულადი გზავნილების სახით საზღვარგარეთიდან ყოველწლიურად 4 მილიარდ აშშ დოლარს იღებდა; დღეს თურქეთის ეკონომიკა იმდენად ძლიერია, რომ შრომითი მიგრაცია ამ ქვეყნიდან თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას თანდათან კარგავს. - ჩვენთან აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა - საქართველოს ოცჯერ ნაკლები მოსახლეობა ყავს თურქეთთან შედარებით, თუმცა შრომითი მიგრანტების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობით იგი 1.5-2.0-ჯერ უსწრებს თავის დიდ სამხრეთელ მეზობელს.

**რით აინაზღაურებს საქართველოს
მოსახლეობა ფულადი გზავნილების 400
მილიონი დოლარით შემცირებასა და
ელექტროენერჯის ბაჟირებით გამონაკვეთ
300-მილიონლარიან დამატებით სარჯს**
№37, 14-20.09.2015

ლარის კურსიც მიექანება გაურკვეველი მიმართულებით და მას ახლა უკვე ელექტროენერჯის ტარიფიც მიუერთდა, ხოლო, რადგან დოლარისა და ელექტროენერჯის ფასს არცთუ მცირე ადგილი უჭირავს, ზოგადად, პროდუქციის ფასებში, ფაქტია, ფასების მატებაზე ან უკვე ეს ორი ფაქტორი იმოქმედებს. ლარის, ელექტრო ენერჯისა და პროდუქციის ღირებულების საქართველოს მოქალაქეების ჯიბეებზე ზემოქმედების პერსპექტივაზე, ეკონომიკის ექსპერტიზის იოსებ არჩვაძესთან ერთად ვისაუბრებთ.

– რამდენად ადეკვატურად გაიზარდა ლარის გაუფასურების კვალდაკვალ სამომხმარებლო ფასები და, ბუნებრივია, ელექტროენერჯის ტარიფიც?

– ჩვენ დღეზე გვაქვს აქცენტი, თორემ ბევრი საქონელი ძვირდება თანდათან. ჩვენი ეკონომიკა, სამწუხაროდ, ტრადიციულად მეტისმეტად იმპორტდამოკიდებულია და იმპორტის თანაფარდობა მთლიან შიგა პროდუქტთან არის საკმაოდ მაღალი – 50 პროცენტზე მეტი. ბოლო თვეებში ეს მაჩვენებელი ოდნავ შემცირდა, ოღონდ ეს არ არის კარგი ცხოვრების შედეგი და მთლიანობაში არ ცვლის სურათს. ამიტომ ნებისმიერ ქვეყანაში, ისრაელი იქნება, ნორვეგია თუ იაპონია, იქაური ეროვნული ვალუტების გაუფასურება შედარებით ნაკლებად აისახება იმ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე, ვიდრე ჩვენთან. საკმარისია, ერთი-ორი პუნქტით დაეცეს ლარი, რომ ეს 6-7-ბალიან რყევებს იწვევს ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე.

– ჩვენთან ის ტენდენციაც არის, განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, რომ იმ პროდუქციის ფასებიც იზრდება, რომლებსაც ვალუტის კურსთან პირდაპირი კავშირი არ აქვს.

– აქ რამდენიმე მიზეზია: ჯერ ერთი, საქონელი რომ მზადდება, ის მზადდება იმ მიზნით, რომ გაიცვალოს. თუ ადამიანი ყიდის ადგილობრივი წარმოების რაღაც საქონელს, ვთქვათ, ხორცს, იქიდან მიღებული თანხით უნდა იყიდოს იმპორტირებული საქონელი, რომელიც გაძვირებულია და იძულებულია, გააძვიროს ადგილობრივი წარმოების პროდუქციაც, რომ ძველი საფასო წონასწორობა მაქსიმალურად შეინარჩუნოს. და კიდევ ერთი მომენტი: როდესაც ასეთი რყევებია, ნებისმიერი მწარმოებელი, თუ აქვს საშუალება ბაზრისთვის საკუთარი პირობების კარნახისა, მონოპოლიური იქნება, ოლიგოპოლიური თუ უბნის ბაზარი...

– **უბნის მონოპოლიური.**

– კი ბატონო, დავარქვათ ასე პირობითად. ის ცდილობს, გარკვეული უსაფრთხოების ბალიში შეიქმნას, ანუ ფასნამატი ჩადოს არა მდგომარეობის პროპორციულად, არამედ გაცილებით მეტი.

– მარტივად ვიტყვი, როდესაც 1.67 იყო დოლარი-ლარის მიმართება, გარიგებები, როგორც ცნობილია, იდებოდა 1.8-ში. – ეს არის უსაფრთხოების ბალიში და, ფაქტობრივად, იგივე გააკეთა სემეკმა ენერგეტიკოსების მოთხოვნით, როდესაც დენი ერთი მესამედით გააძვირა. სხვათა შორის, ყველანი ვცოდავთ იმით, როცა ვსაუბრობთ, თუ **რამდენი თეთრით** გაძვირდა კილოვატსაათი ელექტროენერგია, თუმცა, წესით, უნდა ვისაუბროთ, თუ **რამდენი პროცენტით** გაიზარდა. რადგან დენის ხარჯი და მისი მონაწილეობა ინფლაციის გასაანგარიშებელ კალათაში საკმაოდ მაღალია: 7-8 პროცენტის დონეზეა და იმ 7-8 პროცენტს რომ კიდევ ვაძვირებთ 31 პროცენტით, ეს საკმაოდ სოლიდური მატებაა. და ჩვენს მოსახლეობას, თუ არაფერი შეიცვლება, ერთ წელზე გაანგარიშებით,

დაახლოებით, 300 მილიონი ლარით მეტიც გადახდა მოუწევს მოხმარებულ ელექტროენერგიაში. მართალია, ბოლო „გაუძვირებელი კუნძული“, კახეთი, კახეთის ენერგოდისტრიბუციის ამ თემაზე მრავლისმეტყველი „დუმილის“ წყალობით, ჯერჯერობით ინარჩუნებს სტატუს-კვოს, მაგრამ არა მგონია, ამან დიდხანს გასტანოს.

– თქვენი ვარაუდით, დაეცემა უკანასკნელი ბასტიონი ელექტროენერგიის გაძვირების გზაზე?

– სამწუხაროდ, დაეცემა, უბრალოდ დროის ამბავია, მაგრამ ეს ელექტროენერგია ცალკე რომ იდგეს და არ ახდენდეს გავლენას ფასებზე...

– სანამ ელექტროენერგიის საფასურზე გადავალთ, ლარის გაუფასურების ადეკვატურად გაიზარდა ფასები სამომხმარებლო ბაზარზე? იმიტომ რომ ლარის გაუფასურება პირდაპირპროპორციულად არ აისახება ხოლმე პროდუქციის ფასზე, როგორც ნესი. თუ ლარი გაუფასურდა 30 პროცენტით, ეს არ ნიშნავს, რომ ფასებიც უნდა გაიზარდოს 30 პროცენტით.

– თანხვედრა არ ხდება აბსოლუტური სააფთიაქო სასწორით. თან, გავითვალისწინეთ, რომ ჯერ კიდევ გრძელდება საზაფხულო სეზონი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფასების შემცირება. საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ფასები სეზონური ფაქტორის გავლენითაც ყალიბდება. ამდენად, მინიმალურია ამ სეზონზე ვალუტის კურსის დაცემა, სხვა თვეებთან შედარებით.

– ანუ ვალუტის კურსის ვარდნის გავლენაა ფასებზე?

– დიახ, მაისიდან სექტემბრამდე მინიმალურია ვალუტის ვარდნის გავლენა სამომხმარებლო ფასებზე, თუმცა ის უსაფრთხოების ბალიში, რომელიც ვახსენე, ამ დროსაც მოქმედებს.

– ელექტროენერგიის ფასის გაზრდა ენერგოკომპანიებმა ლარის გაუფასურების გამო მოითხოვეს და, მართლაც, ელექტროენერგია გაიზარდა იმდენივე პროცენტით, რა პროცენტითაც გაუფასურდა ლარი. ასეთი გაძვირება ადეკვატურია?

– ქართულ ანდაზეოლოგიაში ვეძებ და მიჭირს შესაფერისის მოძებნა. დაახლოებით, ასეა: ურია წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონდაო, ან - საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი; ჩიტს გაფრენა უნდოდა და ხელის აქნევას ელოდებოდაო... – საბაბს ეძებდნენ და იპოვეს... ფაქტია, რომ გაგვიძვირდა, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რომელ კონტინგენტსა და კატეგორიას გაუძვირდა ყველაზე მეტად. ის სამსაფეხურიანი მახინჯი ფორმულა არა პროგრესული, არამედ ფულის ამოღების რეპრესიული ფორმაა. მოსახლეობის ყველაზე ღარიბ კატეგორიას, რომლებიც 101 კილოვატსაათამდე ელექტროენერგიას მოიხმარენ, ტარიფი გაეზარდა 3,5 თეთრით; ყველაზე მაღალი კატეგორიის მომხმარებლებს, ანუ ვინც 301 კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს თვეში, კილოვატსაათის საფასური გაეზარდათ 3,8 თეთრით და შუა ნაწილი ყველაზე მეტად დაიჩაგრა. არ ვიცი, გამოდგება თუ არა ამ შემთხვევისთვის ცნობილი გამონათქვამი, შუა უნდა გაიკრიფოსო, მაგრამ ფაქტია, რომ მათ 4,5 თეთრით, ანუ ყველაზე მეტად გაეზარდათ ელექტროენერგია.

– რომ ისინიც 101 კილოვატსაათის მომხმარებელთა რიგებში ჩამოიყვანონ?!

– საქმე ის არის, რომ საქართველოში ელექტროენერგიის მომხმარებელი, დაახლოებით, მილიონ-ნახევარი აბონენტი, მათ შორის, თბილისში 420 ათასზე მეტი და ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტინგენტია შუა - თვეში საშუალოდ 100-დან 300 კილოვატ-საათამდე ელექტროენერგიის მომხმარებელი. ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით, თბილისში, საშუალოდ, 280 კილოვატსაათამდე ელექტროენერგია იხარჯება, რეგიონებში, საშუალოდ, 220-230 კილოვატსაათი და, ფაქტობრივად, გამოდის, რომ ამ ფენიდან მოხდება ყველაზე მეტი თანხის ამოღება. ამის გათვალისწინებით, გაძვირება გაცილებით მეტია, ვიდრე ინფლაციის მაჩვენებელი, იმიტომ რომ, ყველაზე მრავალრიცხოვანი კატეგორიაა საშუალო კონტინგენტი, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაჩაგრულები.

- ელექტროენერჯის მომხმარებელი საშუალო კონტინგენტის რაოდენობა თითქმის ემთხვევა საშუალო ფენას? მათი ჯიბების დამძიმება არის სახელმწიფოებრივი ხედვა?

- მაღალი კორელაცია არსებობს შემოსავლებისა და მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობას შორის, მაგრამ ტოლობის ნიშნის გავლება საკმაოდ რთულია, უფრო მეტიც - არასწორი იქნებოდა.

- გამოდის, რომ საშუალო კონტინგენტის ნაწილი უნდა ჩამოვიდეს 101 კილოვატსათამდე ელექტროენერჯის მოხმარების ჯგუფში, სახელმწიფოსთვის რატომ უნდა იყოს ხელსაყრელი საშუალო ფენის დამძიმება? ეს ლოგიკაა გაუგებარი.

- მახსენდება პეტრე-პავლეს სიმაგრეში დეკაბრისტების დასჯისას მომხდარი შემთხვევა. ერთ მსჯავრდებულს, რილეევს, ყულფის თოკმა რომ ვერ გაუძლო და ჩამოწყდა, განმეორებით ჩამოხრჩობამდე მოასწრო და წამოიძახა, ჩამოხრჩობაც ვერ ისწავლესო. თუ ტარიფების ფასების მომატებაზეა საუბარი, ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა მათი მომატება საზაფხულო სეზონის დაწყებამდე, როდესაც ენერჯის მოხმარება ზოგადად მცირდება და ამიტომ გაძვირებას შედარებით უმტკივნეულოდ აიტანდა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. რა თქმა უნდა, მაღალშემოსავლიანი ფენისთვის, რომლებიც ჰაერის კონდიციონერების სისტემებს იყენებენ, ზაფხულში დენის მოხმარება არაფრით ჩამოუვარდება ზამთარში მოხმარებას, მაგრამ ეს მაინც ცალკეული შემთხვევებია. ყველა დანარჩენისთვის ზაფხულის თვეები გარკვეული შეღავათია და ხარჯებიც ნაკლები აქვთ. ახლა კი გამოვიდა, რომ დაბალშემოსავლიანებს მოუწევთ 4 ლარით მეტის გადახდა თვეში, საშუალო კატეგორიას, დაახლოებით, 8 ლარით მეტის გადახდა და მაღალ კატეგორიას, სულ მცირე, 12 ლარით მეტის გადახდა. მაგრამ დენი ისეთი სამომხმარებლო დოვლათია, რომელიც გავლენას ახდენს აბსოლუტურად ყველა დანარჩენი სამომხმარებლო დოვლათის ფასზე.

– ანუ ერთია, რომ ფასები იმატებს ლარის გაუფასურების გამო და ამას ემატება ელექტროენერჯის გაძვირების კომპონენტიც.

– ელექტროენერჯის გაძვირება, დაახლოებით, სამი პროცენტით გაზრდის მოსახლეობის კომუნალურ ხარჯებს. მეორე მხრივ, ავიღოთ ისეთი პროდუქტი, როგორც პურია: პურის ღირებულებაში ელექტროენერჯიას დიდი წილი უჭირავს და მისი გაძვირება გამოიწვევს პურის 7-10 პროცენტით გაძვირებას. ეს მოსახლეობის ერთ სულზე, თვეში, საშუალოდ, გამოდის 1,8-2 ლარი, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი, ერთი წლის განმავლობაში, თუ არაფერი შეიცვალა, 100 მილიონი ლარის დამატებითი ხარჯის გაღებას მოსახლეობის მიერ.

– ანუ მხოლოდ ელექტროენერჯისა და პურის გაძვირება მოსახლეობის წლიურ ხარჯს, საშუალოდ, ჯამში 400 მილიონი ლარით გაზრდის.

– იმ 300 მილიონსაც ხომ თავისი ეფექტიანობის საზომი აქვს?! ეს რომ ის თანხა იყოს, რომელიც ინვესტირდება, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ელექტროენერჯის ტარიფის ზრდის ფორმულირება იყო შემდეგნაირი: გაზრდილი ხარჯების დასაფარავად. ამდენად, მინიმალურია შანსი, რომ ეს მოსახლეობისგან ამოღებული 300 მილიონი ლარი უკან ჩაბრუნდეს და ნაადგეს ელექტროსისტემის გაუმჯობესებას.

– მხოლოდ პური ვთქვით, მაგრამ მხოლოდ პური ხომ არ არის? სამომხმარებლო ფასების ზრდის გათვალისწინებით რამდენი დამატებითი ხარჯის გაღება მოუწევს მოსახლეობას ყოველთვიურად?

– მთლიანობაში ჩვენ წლის ბოლოსთვის გვექნება ორნიშნასთან მიახლოებული ინფლაცია, ანუ ფასების ზრდა. ინფლაციის ყოველი პროცენტი კი ნიშნავს დაახლოებით, 9 ლარით მეტი ხარჯების გაღე-

ბას ყოველთვიურად წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

– და საიდან უნდა მოიტანოს მოსახლეობამ ეს ფული?

– ნყაროები საკმაოდ დაძაბული და შემცირებულია. მართალია, თითქოს გაიზარდა ქვეყნის შიგნით სამუშაო ადგილების რაოდენობა 40-50 ათასით, მაგრამ ამ კვარტალურ ინფორმაციას ძალიან ფრთხილად მოვეყიდებოდი, იმიტომ რომ, აქ დიდ როლს ასრულებს სეზონური ფაქტორი. დაველოდოთ, როგორ სურათს მივიღებთ მთელ წელზე გადაანგარიშებით, იმის გათვალისწინებით, რომ დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა არ იზრდება. მეორე მხრივ, შეგვიმცირდა უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა. საბერძნეთის ამბავი ცნობილია, რუსეთიდანაც თითქმის განახევრდა შემოსული თანხები და ტენდენცია ჯერჯერობით ნარჩუნდება. საერთო ჯამში, შემოსული თანხა შეგვიმცირდება, სულ მცირე, 350 – 400 მილიონი დოლარით. მაშინ, როდესაც ქვეყანაში ხარჯების გაზრდა მოგვიწევს, სულ მცირე, 400 მილიონი ლარით.

– მხოლოდ პური რომ მივირთვათ და შუქი ავანთოთ.

– და ვიმეორებ, ფულადი ტრანზაქციებიც უცხოეთიდან საქართველოში საგრძნობლად მცირდება. ამით სერიოზული პრობლემა ექმნება კეთილდღეობის არსებული დონის შენარჩუნებასაც კი, ლაპარაკი უკვე აღარ არის მის ზრდაზე.

**რას დაკარგავს და მიიღებს საქართველო
„გაზპრომის“ შეამოსვლით და
მოითხოვს თუ არა ის ირანული გაზის
საქართველოზე გამომტარების სანაცვლოდ
თურქეთისკენ გაზის ტრანსპორტირებას
№42, 19-25.10. 2015**

დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე „გაზპრომიც“ გამოჩნდეს. რეაქცია ბუნებრივია, რადგან რუსეთის ენერგეტიკული იმპერიის ვერსია მოქმედია და „გაზპრომი“ არაერთხელ გამოუყენებია რუსულ სახელმწიფოს შანტაჟისა და ზეწოლის იარაღად ჩვენზე გაცილებით დიდი და გავლენიანი ქვეყნების წინააღმდეგ. თუმცა, მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ საქართველოში „სოკარი“ კონკურენციის გარეშეა და, ფაქტობრივად, სრული კარტ-ბლანში აქვს მინიჭებული, მაშინ, როდესაც თავად „გაზპრომთან“ თანამშრომლობს. საბოლოოდ, გაირკვა, რომ „გაზპრომი“ სომხეთში გასატარებელი გაზის მოცულობის გაზრდას ითხოვს (ანუ ჩვენ მეტი დაგვრჩება ტრანზიტის საფასურად და, სხვათა შორის, „სოკარი“ ამ უფასო გაზს საქართველოს მოსახლეობას მიჰყიდის), თუმცა არც ის იქნება ურიგო, თუკი საქართველოს ტერიტორიაზე მილსადენები არა მხოლოდ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, არამედ ჩრდილოეთიდან სამხერთისკენაც გადაკვეთს. საქართველოს ენერგეტიკულ რეალობასა და პერსპექტივას იოსებ არჩვაძესთან ერთად მიმოვიხილავთ.

– გასაგებია, რომ რუსეთი შეეცდება, ხელი შეუშალოს საქართველოში უკვე განხორციელებულ და განსახორციელებელ საერთაშორისო ენერგოპროექტებს და უკვე აჩვენა კიდეც ეს, როდესაც „იუჟნაია ოსეტიის“ ტერიტორიაზე მოაქცია მილსადენის ნაწილი.

– არა მხოლოდ ეს, გავიხსენოთ თურქეთის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენის აფეთქება...

– დიახ, ქურთების მიერ, რომლებსაც თბილი ურთიერთობა ჰქონდათ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირთან. რაც მე მისაუბრია რუს პოლიტოლოგებთან, ისინი საეჭვოდ მიესალმებოდნენ ირანის ნავთობის სომხეთ-საქართველოზე ევროპისკენ ტრანსპორტირების პერსპექტივას. რა არის ცუდი იმაში, რომ ირანულმა გაზმა ჩვენზე გაიაროს ევროპისკენ, რუსულმა კი, ასევე ჩვენზე გავლით – თურქეთისკენ? და, რატომ გადაწყვიტა „გაზპრომმა“ შემოსვლა საქართველოში?

– კითხვათა და ინტერესთა მთელი კვანძია და, შევეცდები, რომ საკითხები დავაცალკევო. ამ სიტუაციაში ასეთი შემთხვევა მახსენდება: როდესაც ტალირანი გარდაიცვალა, პარიზის მაღალ წრეებში კარგა ხანს მსჯელობდნენ, რისთვის დასჭირდა გარდაცვალება ტალირანს, რადგან ყველაფერს საკუთარი სარგებლისთვის აკეთებდა, ასე უშიშროდ არ მოკვდებოდაო. „გაზპრომი“ არის სახელმწიფო სახელმწიფოში და ის კომერციულ სტრუქტურაზე გაცილებით მეტია. კაპიტალს რომ თავი დავანებოთ, იმდენი მილსადენი აქვს, რომ დედამიწას 4-ჯერ დაარტყამს წრეს – 160 000 კილომეტრი სიგრძის. ნებისმიერი კონტაქტი „გაზპრომთან“ ნიშნავს, რომ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე, რაც უნდა მომგებიანი იყოს კომერციული თვალსაზრისით. მაგრამ აქ დგება მეორე საკითხი – მგლის შიშით ცხვარი ვის გაუნყვეტია?! „გაზპრომი“ თავის ბუნებას, რბილი იმპერიის ფორმირებისა და ზენოლის ფორმატს ნამდვილად არ შეიცვლის, ამიტომ მისი ხასიათის შეცვლაზე საქართველომ არც დრო უნდა დახარჯოს და არც ენერგია, უნდა მიიღოს ეს რეალობა და ეცადოს, ამ პირობებში მაქსიმალური სარგებელი, ჯერ ეკონომიკური და შემდეგ – პოლიტიკურიც, გამოსცინცლოს. საქართველოს მდებარეობა ისეთია, რომ, ჯობია, ვიყოთ ენერგეტიკული და სხვა საქმიანი ნაკადების გზაჯვარედინი, ვიდრე ჯვარცმული ქვეყანა.

- და დაპირისპირების პოლიგონი.

- დიახ, ამიტომ, ფრთხილი პოლიტიკით შესაძლებელია, გავაძლიეროთ ის ვექტორი, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დაკარგული იყო, ვგულისხმობ ჩრდილოეთ-სამხრეთის ვექტორს. ჩვენ აქცენტი გადავიტანეთ და, ალბათ, სამართლიანად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გამავალ მილსადენზე და ახლა უკვე დროა, ვიფიქროთ ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაზეც, რომ ეს განხორციელდეს საქართველოს ინტერესების შესაბამისად. არ გამოვრიცხავ, რომ არა მხოლოდ „გაზპრომის“ მეშვეობით სომხეთში დამატებითი ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხი განიხილებოდეს, არამედ, პირიქით, ირანის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტად გამოყენებისა ევროპის მიმართულებით დამატებითი გაზის მიწოდების მიზნით. სუფთა პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, მაშფოთებს მეორე საკითხი: საქართველოს ხელისუფლება საერთოდ არ განიხილავს იმ ვარიანტს, რომ საქართველოს შეიძლება მოაწყდეს დიდი რაოდენობით გაზი და რას ვუშვებით ამ გაზს?!

- არც გაზსაცავი გვაქვს.

- გაზსაცავი იქით იყოს, ეკონომიკურ ზრდას ვგულისხმობ. იყო დრო, როდესაც საქართველოში მრეწველობა, ქვეყანა მთლიანად ყოველწლიურად მოიხმარდა დაახლოებით 8 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზს, ახლა 2 მილიარდამდეა მოხმარება. თუ ეკონომიკა განვითარდა და რეალურ სექტორს მივეცით დამატებითი იმპულსი, დაგვჭირდება მეტი ენერჯია და ეს ნამატი გაზი ამ მიმართულებით უნდა წავიდეს. მოსახლეობა იმაზე მეტს ვერ მოიხმარს, რაც სჭირდება სახლის გათბობისა თუ კომუნალური საჭიროებისთვის, რისთვისაც ის რესურსი, რაც გვაქვს, უკვე ფაქტობრივად, საკმარისია, დანარჩენი კი უნდა წავიდეს ეკონომიკის განვითარებისთვის. ბიუჯეტის პროექტში, რომელიც ახლა განიხილება პარლამენტში,

ეკონომიკური ზრდის საკმაოდ ზომიერი ტემპია და, ის ფაქტორი, რომ, საქართველო უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში შესაძლოა გახდეს ენერგეტიკული ჰაბი და ბუნებრივი აირის მეტი რეზერსი დარჩეს, არცაა გათვალისწინებული. არადა, ეკონომიკური ზრდის ასეთი მაჩვენებლები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ, ის ჩამორჩენა, რაც დაგვიგროვდა ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე, როგორმე დავძლიოთ თუ არა, შევამციროთ მაინც.

– როგორც ენერგეტიკოსები ამბობენ, ამჟამად არსებული მილსადენებიც რომ დაიტვირთოს, იმდენი გაზი გვექნება, რაც გაცილებით აღემატება ჩვენს დღევანდელ საჭიროებას და ფასიც საგრძნობლად დაეცემა. ისევ ჩვენს თემას დავუბრუნდეთ: „გაზპრომმა“ რატომ გადაწყვიტა „სოკართან“ კონკურენცია, თუ, ეს ამ ამბის ხელოვნური ელფერია, მით უფრო, თუ ოფიციალურად სომხეთისთვის მისანოდებელი მოცულობის გაზრდაზეა საუბარი?

– „სოკარი“, უბრალოდ, ჩვენი კარის მეზობლის ენერგოკომპანიაა, თორემ, მე ამ საკითხს უფრო გლობალურად შევხედავდი: მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება ენერგორესურსების სიჭარბე, ანუ მიწოდება აშკარად ჯაბნის მოთხოვნას როგორც ნავთობზე, ისე გაზზე და, მსოფლიო ბაზარი, ფაქტობრივად, გაჯერებულია; ამიტომ, იმისთვის, რომ პოტენციური მომხმარებელი დაინტერესოს, „გაზპრომი“ იძულებულია, ახალი მიმართულებები ეძებოს და შესთავაზოს ალტერნატიული ვარიანტები შედარებით იაფად. ლაპარაკია, რომ 2016-2018 წლებში „გაზპრომს“ ევროპისთვის დაახლოებით ორჯერ უფრო იაფად მოუწევს გაზის მიწოდება 2013-2014 წლებთან შედარებით. ანუ 180 დოლარამდე შეიძლება ჩამოვიდეს ათასი კუბური მეტრი გაზის ფასი. ამას ემატება დაძაბული ურთიერთობა უკრაინასთან, ევროპასთან და გრძელვადიან პერსპექტივაში „გაზპრომი“ დაინტერესებულია, მოძებნოს სხვა, შედარებით უხიფათო

ან დაცული მიმართულებები, რომ გავიდეს ბაზარზე და, ამ კონტექსტში, „სოკარი“ ერთი კერძო შემთხვევაა „გაზპრომის“ მიერ ბოლო პერიოდში გლობალურ ბაზარზე მდგომარეობის გასამყარებელი გზების ძიებისას. მაგალითად, ნელს ევროპულ ბაზარზე ნორვეგიულმა გაზმა მნიშვნელოვნად შეაეწიროვა „გაზპრომის“ პროდუქცია და ნორვეგიული გაზის მოცულობა ევროპულ ბაზარზე უკვე აღემატებოდა რუსული „გაზპრომის“ მიერ შეტანილ გაზს.

– „გაზპრომი“ დაინტერესებულია საქართველოს ბაზრით და, კიდევ?

– საქართველოს გამოყენებით, როგორც ტრანზიტული ქვეყნის.

– საით? მხოლოდ თურქეთისკენ?

– შეიძლება იყოს თურქეთის მიმართულება, იმიტომ რომ უკვე არსებობს გარკვეული ინფრასტრუქტურა და ტრადიცია – შედარებით ნაკლები დანახარჯებით შეუძლია, გავიდეს თურქეთის ბაზარზე და გაცილებით იაფად მიანოდოს გაზი.

– როდესაც ლაპარაკი დაიწყო „სამხრეთის ნაკადზე“, მაშინვე თქვა, მაგალითად, სანდრო თვალჭრელიძემ, რომ ეს პროექტი მაინც ჩაიშლებოდა, რადგან შავი ზღვის ფსკერზე იმდენად მაღალი წნევებია, რომ მილსადენზე მუდმივად ავარიები მოხდებოდა. ანუ თურქეთისა და რუსეთისთვის ოპტიმალური გზაა სახმელეთო, რაც ვერ ასცდება საქართველოს?

– ეს ერთი მომენტი და, მეორე მხრივ, თურქეთის ინტერესებიდან შევხედოთ საკითხს: მართალია, ერდოლანმა მკვეთრი პოლიტიკური განცხადება გააკეთა რუსეთის მიმართულებით, მაგრამ თურქეთი არის მსხვილი იმპორტიორი და თუ თურქეთი აპირებს ენერგეტიკული ჰაზის როლის შესრულებას, მან უარი არ უნდა თქვას რუსული გაზის მიღებაზე, ისევე, როგორც აზერბაიჯანულის და, პერსპექტივაში – თურქმენულისაც. ამდენად, ერდოლანის განცხადება სახელმწიფოს პოზიციიდან გაკეთებული განცხადებაა და მას სხვანაირად

არ შეეძლო სირიასთან მიმართებაში, მაგრამ ეკონომიკური ინტერესი გადასწონის, თურქეთი დამშვიდდება და ამ მიმართულებით ისევ დაიწყებს მოლაპარაკებას რუსეთიდან გაზის მიღების შესახებ, იმიტომ რომ ეს თურქეთის გრძელვადიანი პერსპექტივაა.

– თუ აღმოსავლეთი-დასავლეთის მიმართულებას დაემატება ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაც, ხომ არ გამოვა, რომ ამ ორი მიმართულების ინტერესები დაეჯახება ერთმანეთს საქართველოს ტერიტორიაზე? რუსული გაზის საბოლოო მიზანი ევროპაა, ირანულისაც და აზერბაიჯანულის – თავისთავად?

– ყოველ შემთხვევაში, საქართველო მხოლოდ მოგებულ იქნება, თუ ეს კონკურენცია მშვიდობიან ფორმებს მიიღებს და არ იქნება კონვერტირებული უფრო მძაფრ დაპირისპირებაში. გაზის ირანიდან პირდაპირ თურქეთზე გატარება გეოგრაფიული რელიეფის გამო საკმაოდ შრომატევადი და რთულია, ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ შემოვლთი გზით მოხდეს: ირანი-სომხეთი-საქართველო-თურქეთი. ამდენად, საქართველოს ეძლევა შესანიშნავი შანსი. თუკი შვეიცარია შუაგულ ევროპაში ასრულებს ფინანსური ჰაბის როლს, რატომ არ შეიძლება, საქართველომ ახლო აღმოსავლეთისთვის შეასრულოს ასეთი როლი, მით უმეტეს, რომ დიდი, გლობალური პოლიტიკური ამბიციები არ გააჩნია?!

– ძალიან ცუდი რეაქცია მოჰყვა სახელ „გაზპრომს“ და საზოგადოების ნაწილმა იმპულსურად და არარაციონალურად აღიქვა ეს ინფორმაცია. თქვენ რას უკავშირებთ: ეს ჯანსაღი რეაქციაა თუ ოპონენტების მცდელობა, რომ ისარგებლონ მოსახლეობის არაინფორმირებულობით და საკითხი მიაწოდონ იმგვარად, რომ თითქოს დაპყრობის საფრთხის წინაშე ვართ?

– ბოლო 25 წლის განმავლობაში იმდენი უსიამოვნება მოგვიტანა რუსეთმა, რომ ეს ჩვენი მენტალური პრობლემაც გახდა. ხუმრობით გიპასუხებთ – მაპატიოს აბონ ციციაშვილის სულმა, მისი პერი-

ფრაზი რომ მოვახდინო, „გაზპრომს“ დაავიწყდა ქართული ანდაზა, რომ სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობია. მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ პრაგმატულები და, თუ რატომ მოდის „გაზპრომი“ ამ ინიციატივით, შევაფასოთ სახელმწიფოებრივი მოტივით. შიშს დიდი თვალეები აქვს და ყოველთვის შეგვიძლია, დავინახოთ საფრთხე, რომელიც შეიძლება იყოს რეალური, ან, არც იყოს რეალური.

– თუმცა ხელისუფლებაც სცოდავს, როდესაც საკითხს ჯეროვან საინფორმაციო უზრუნველყოფას არ უკეთებს.

– იმდენად ნეგატიურადაა განწყობილი საზოგადოება რუსეთისადმი, შემთხვევით არ ვახსენე ტალეირანის მაგალითი, რომ ყოველთვის ვცდილობთ, მის ქცევაში დავინახოთ იმპერიალისტური და საქართველოსთვის სასიკვდილო საფრთხის მატარებელი ქმედება. იმდენჯერ გადადგა რუსეთმა ასეთი ნაბიჯი, რომ მისი კეთილშობილური ნაბიჯი ძნელად დასაჯერებელია, არადა, ვიცით, რომ გაჩერებული საათიც კი დღე-ღამეში ორჯერ აჩვენებს ზუსტ დროს. ამ შემთხვევაში შეიძლება, განვიხილოთ ის, რომ რუსეთის ინტერესი ემთხვევა საქართველოს ძირეულ სტრატეგიულ ინტერესს. ეს იშვიათად ხდება, მაგრამ ამჯერად ასეა.

– აზერბაიჯანს თითქოს აქვს გაზის დეფიციტი და თავადაც იღებს გაზის ნაწილს „გაზპრომისგან“, მეორე მხრივ, ის გაზი სჭირდება კალორიულობის გასაზრდელადაცო. აქვს აზერბაიჯანს საკმარისი გაზი, რომ თვითონაც დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, ჩვენც მოგვამარავოს და მილსადენშიც გაუშვას საკმარისი მოცულობა?

– აზერბაიჯანი აპირებს შაჰ-დენიზზე ორი საბადოს ათვისებას, საიდანაც 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზის ექსპორტს განახორციელებს თურქეთში და ევროპისკენ. ეს დიდი ციფრი არ არის, მაგალითად, „გაზპრომის“ მიერ ევროპისთვის მიწოდებული გაზის მოცულობაა 150 მილიარდი კუბური მეტრი. აზერბაიჯანის მიწოდე-

ბა ვერ იქნება კონკურენტი „გაზპრომისთვის“, მაგრამ საქართველოსთვის კარგია, რაც შეიძლება მალე დაიწყოს მოპოვება შაჰ-დენიზიდან: ბაზარი იქნება დივერსიფიცირებული, თავისუფალი, ფასებიც დაეცემა. ისევ ვიმეორებ: ასეთი იაფი და ჭარბი გაზი საქართველოსთვის ხელსაყრელი პირობაა, რომ განავითაროს ეკონომიკა, ამიტომ ჩვენ უნდა დავიწყოთ მუშაობა შესაბამისი პერსპექტივის გათვალისწინებით.

**რატომ ურიგავს აშშ-ის გიუჯატი 47
მილიონ ადამიანს ყოველთვიურად 115 აშშ
დოლარს კვებისთვის და როდის დაუდგინეს
საქართველოს მოქალაქეს დღიურ ნორმად 40
გრამი საქონლისა და 10 გრამი ღორის სორცი**
№49, 7-13.12. 2015

საქართველოში საარსებო მინიმუმი მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე დგინდება. მინიმალური სასურსათო კალათა კი არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისთვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას. საარსებო მინიმუმს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური განსაზღვრავს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წელს გამოცემული ბრძანების შესაბამისად).

ყოველდღიურ მინიმალურ ნორმად შრომისუნარიანი მამაკაცისთვის 2.3 ათასი კილოკალორიაა მიჩნეული. მინიმალურ სასურსათო კალათაში სულ 40 დასახელების პროდუქტია (ჩაის, ღვინისა და მარილის ჩათვლით). ყველაზე დიდი წილი საქართველოს შრომისუნარიანი მამაკაცის, სახელმწიფოს მიერ მინიმალურ ნორმად დათვლილ რაციონში უჭირავს პურს (დღიურად – 250 გრამი პური), მეორე ადგილასაა ხორბლის ფქვილი (დღიურად – 70 გრამი), მათ მოსდევს – სიმინდის ფქვილი და სხვა (დღიურად – 40 გრამი),

შაქარი (დღიურად – 50 გრამი), თუმცა საკონდიტრო ნაწარმის დღიურ მინიმალურ ოდენობად 5 გრამია მიჩნეული, კარტოფილის დღიური რაოდენობა 150 გრამია. ძროხისა და ხბოს ხორცის დღიურ ნორმად 40 გრამია დადგენილი, ისევე, როგორც ნედლი და გაყინული თევზისა, შინაური ფრინველის დღიურ ნორმად – 20 გრამია დაწესებული, ხოლო ღორის ხორცისთვის – 10 გრამი. მაგალითად, ხახვის დღიური ნორმა 25 გრამია, ნივრის – 7 გრამი. საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს ფასები ამერიკის ფასების 51 პროცენტია, ხოლო ჩვენი საარსებო მინიმუმი ამერიკულის 7 პროცენტს შეადგენს. იმის შესახებ, თუ როგორ დგინდება ჩვენს ქვეყანაში მინიმალური სასურსათო კალათა, რატომ არ იცვლება ის აგერ უკვე 12 წელზე მეტია და არის თუ არა რეალობის ადეკვატური, ექსპერტი **იოსებ არჩვაძისგან** შევიტყობთ.

– ამ საარსებო მინიმუმის ნორმატივები დადგინდა 2003 წელს. უმწეოთათვის კვების დღიური ნორმა – ლარი და 18 თეთრი არის კავშირში მინიმალურ სასურსათო კალათასთან?

– მიჭირს იმის თქმა, საიდან მოიტანეს ეს ციფრი, თუ ლარსა და 18 თეთრს ვიანგარიშებთ დღეში, ეს თანხა ადამიანს ეყოფა 700 გრამი პურის შესაძენად, ანუ მხოლოდ 1 610 კილოკალორიის მისაღებად.

– მენიუც გამოქვეყნდა და იქ არ იყო მხოლოდ პური. ეს როგორ ხერხდება?

– ადამიანს სჭირდება სხვადასხვა საკვები პროდუქტი, რომ ორგანიზმმა მიიღოს ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები. თანაც, მედიცინის მუშაკთა და დიეტოლოგთა რჩევით, მიზანშეწონილია, რომ დღიურ მენიუში ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს შორის თანაფარდობა იყოს 60-40-ზე, ანუ 60 პროცენტი იყოს ცხოველური წარმოშობის ცხიმი, 40 – მცენარეულის. ამჟამად ჩვენს სასურსათო კალათაში აბსოლუტურად საპირისპირო მდგომარეობაა. თუ შევადარებთ მცენარეული და ცხოველური წარმომავლობის პროდუქტის ღირე-

ბულებებს პურისა და ხორცის მაგალითზე, ვნახავთ, რომ იმისთვის, რათა ერთი ათასი კილოკალორია მცენარეული პროდუქტით, ანუ პურით მიიღოს ადამიანი, დასჭირდება 75-80 თეთრი, ხოლო ხორცის, ანუ ცხოველური ცხიმით მიღების შემთხვევაში - 3,5 ლარი. ამიტომ კილოკალორიების რაოდენობა შეიძლება, იგივე დავტოვოთ, მაგრამ თუ პროპორციების დაბალანსებაზე ვიზრუნებთ, მაშინ სასურსათო კალათის ღირებულება გაიზრდება, რის საშუალება არც ღარიბ ოჯახს აქვს და მით უმეტეს, არც სახელმწიფო ვალდებული, პირდაპირი გზით დააფინანსოს დაბალანსებული კვება. სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც უმდიდრესი ქვეყანაა, სასურსათო ტალონებზე ჰყავს ესპანეთის მოსახლეობის რიცხოვნობაზე მეტი ადამიანი.

– შოკი იყო ჩემთვის, როდესაც პირველად გავიგე, რომ აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტი აფინანსებს სასურსათო ბარათებს მოსახლეობისთვის.

– ეს არის დაახლოებით 115 დოლარი თვეში ერთ ადამიანზე და მითითებულია პირველადი მოხმარების პროდუქტები, ბავშვის საკვები, რძე. მართალია, სასურსათო ტალონი ჰქვია, მაგრამ ელექტრონული წესით გვარდება, ანუ ქალაქი კარგა ხანია, აღარ ფიგურირებს.

– მაგრამ არსით ხომ სასურსათო ბარათია?

– დიახ, სასურსათო ბარათია და 47 მილიონი ადამიანი ყოველთვიურად იღებს 115 დოლარის ღირებულების ბარათებს.⁴

– ეს 47 მილიონი ამერიკელი სოციალურად დაუცველია?

– დიახ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმია 24 250 დოლარი წელიწადში და ეს მაჩვენებელი შტატების მიხედვით განსხვავდება. იმ შტატებში, სადაც უფრო

⁴ 2017 წლის დასაწყისის მდგომარეობით, აშშ-ში სასურსათო ტალონების მიმღებთა რაოდენობა შემცირდა 45 მილიონამდე, ხოლო ტალონის საშუალო თვიური ღირებულება გაიზარდა 150 აშშ დოლარამდე.

ძვირია ცხოვრება, ალასკასა და ჰავაიზე, უფრო მეტია, 27 ათასი და 30 ათასი დოლარი.

– მე არ მოვუკლავ გულს ჩვენს მოსახლეობას და არ ვიტყვი, რა თანხაა ოთხსულიანი ოჯახისთვის.

– ჩვენთან თავის დროზე გადახალისდა საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდის, მაგრამ დღეს მაინც არის 2005 წლის მაჩვენებლის დონეზე, თუმცა მას შემდეგ ფასები თითქმის ორჯერ გაიზარდა, მეთოდის უფრო დაიხვეწა. მარტივ მაგალითს გეტყვით: როდესაც ბაზარში მივდივართ, გამყიდველი გვიფასებს პროდუქტს, მაგრამ შევაჭრება შესაძლებელია და პროდუქტი უფრო იაფად შეიძლება, ვიყიდოთ. თუმცა სტატისტიკა 2005 წლამდე ითვლიდა გამყიდველის პირველად ფასს და არა რეალიზებული საქონლის რეალურ ფასს. ამ ასპექტით დათვლის მეთოდის შეცვლამ 15 პროცენტით შეამცირა სასურსათო მინიმუმი. ამას გარდა, შემცირდა კალორიების რაოდენობაც: 2.5 ათასიდან 2.3 ათას კილოკალორიამდე. ცხოველური წარმომავლობის კალორიები ჩანაცვლდა მცენარეულით და ამან საფუძვლიანად შეამცირა ფაქტობრივი საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი. კიდევ ერთი მომენტი: სახელმწიფოში მოქმედი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების დროს გამოიყენება ეგრეთ ნოდებული ნორმატიულ-სტატისტიკური გაანგარიშების მეთოდი, რომელიც გულისხმობს, რომ საარსებო მინიმუმის 70 პროცენტი მოდის საკვებზე და 30 პროცენტი – ყველაფერ დანარჩენზე. ეს დანაწილება სწორი და სამართლიანი იყო გასული საუკუნის 90-ან წლებში, როდესაც საზოგადოების ნევრთა დიდ ნაწილს მიმდინარე შემოსავლები არ ყოფნიდა და ხშირად საოჯახო ნივთების რეალიზაციით შემოსულ თანხას ამატებდა. ახლა ამგვარი განაწილება უკვე ანაქრონიზმია. ამიტომ შესასწორებელია როგორც სასურსათო კალათის, ისე საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდის, რადგან უკვე ღიმილს იწვევს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. ახლანდელი ხელისუფლებაც აპირებდა

ამას წინასაარჩევნო პერიოდში, მაგრამ შემდეგ ჩათვალეს, რომ ეს არ იქნებოდა მომგებიანი, რადგან არც ერთი ხელისუფლებისთვის არ არის ხელსაყრელი იმის ჩვენება, რომ ქვეყანაში სიღარიბის დონე არა 20, არამედ, ვთქვათ, 45 პროცენტია.

– დღიური მენიუს ჩამონათვალი ცოტა კომიკურია - 15 გრამი მაკარონი, 7 გრამი ნიორი, 25 გრამი ხახვი, 14 გრამი ღორის ხორცი...

– აღებულია საშუალო თვიური მოხმარების მინიმალური ნორმა და შემდეგ გაყოფილია თვეში დღეების რაოდენობაზე.

– გასაგებია, მაგრამ აი, ხახვი იმაზე მეტი რატიომ უნდა მივირთვათ, ვიდრე ღორის ხორცი, არაფრით მესმის, ანუ თვეში 750 გრამი ხახვი და 300 გრამი ღორის ხორცი.

– საბჭოთა პერიოდის მეთოდიკაც მახსოვს და მაშინ ითვლებოდა, რომ ადამიანმა წელიწადში საშუალოდ უნდა მოიხმაროს არანაკლებ 63 კილოგრამი ხორცი. დღეს ორჯერ და უფრო მეტადაა შემცირებული ხორცის მოხმარების მაჩვენებელი.

– საბჭოთა კავშირის დროსაც ხომ მინიმალური სასურსათო კალათა?

– საბჭოთა კავშირის დროს იყო არა მარტო მინიმალური, არამედ რაციონალური მოხმარების მაჩვენებლებიც. ხორცის მოხმარების მინიმალური წლიური მაჩვენებელი იყო, როგორც უკვე გითხარით, 63 კილოგრამი, რაციონალური კი - 80 კილოგრამი. კალორიებიც მეტი იყო და კვების ნორმატიული სტრუქტურაც - უფრო დაბალანსებული. პურის რაოდენობა მცირდებოდა და იზრდებოდა ცხოველური წარმომავლობის პროდუქტების რაოდენობა.

– ვინ არჩევს, რომ სუბტროპიკული ხილიდან უნდა მივირთვათ კარალიოკი და არა სხვა რამ?

– იღებენ ოჯახის საშუალო მოხმარებას. მთელი მოსახლეობა იყოფა ათ დეცილურ ჯგუფად, შუა ოთხი ჯგუფის ფაქტობრივ მოხ-

მარებასა და ხარჯებს ნახულობენ და ამის მიხედვით ანგარიშობენ, რამდენი უნდა იყოს მინიმალურ დონეზე ოჯახის მოხმარება.

– როგორ გამოიყურება ჩვენი საარსებო მინიმუმი სხვა ქვეყნების საარსებო მინიმუმების ფონზე?

– ჩრდილოეთის ქვეყნებში უფრო მაღალია ცხოველური წარმომავლობის ცხიმების, თევზეულის მოხმარება. მაგალითად, ესტონეთში ძალიან მაღალია ხორცის მოხმარება. ხორცისა და პურის მოხმარება ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. ჩვენთან ეს მაჩვენებელი თითქმის 9-10-ჯერ განსხვავდება. იქ ჩადებულია ხორცპროდუქტების მოხმარების უფრო მაღალი და პურპროდუქტების მოხმარების უფრო დაბალი მაჩვენებლები. ამიტომ ისინი უფრო მეტ კალორიას მოიხმარენ და მათი პროპორციები აშკარად ცხოველური პროდუქტის სასარგებლოაა.

– ესტონეთი მაინც ვეროკავშირია, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანას შევედართ.

– რუსეთის ფედერაციის მინიმალურ სასურსათო კალათაშიც საკმაოდ მაღალია ცხოველური ცხიმების შემცველობა, მაგრამ საბჭოთა პერიოდთან შედარებით, იქაც შემცირებულია.

– მკითხველს აქვე ვეტყვი, რომ ჩვენს სასურსათო კალათაში ყოველდღიურად იგულისხმება 40 გრამი ძროხის და სხვა ხორცი – ფრინველის, ღორის ხორცი და ძეხვეული ერთად, კიდევ 40 გრამი, ანუ სულ ხორცპროდუქტების დღიური ნორმაა 80 გრამი, თვეში ეს გამოდის ორი კილო და 400 გრამი.

– დაახლოებით 30 კილოგრამამდე გავდივართ წელიწადში, რაც საბჭოთა დროინდელს (63 კილოგრამი) ორჯერ და მეტად ჩამორჩება.

– მინიმალური სასურსათო კალათით განსაზღვრულია დღიურად 2.3 ათასი კილოკალორიის მიღება. რეალურად რამდენ კილოკალორიას მოიხმარს საქართველოს მოსახლეობა საშუალოდ?

– ეს 2.3 ათასი კილოკალორია მინიმალური ნორმაა, ფაქტობრივი მოხმარება უფრო მეტია – 2.7 ათას კილოკალორიამდე, მაგრამ, როგორც შემოსავლების მიხედვითაა განსხვავება მოსახლეობაში, ისევე, განსხვავებაა მიღებული კილოკალორიების რაოდენობაშიც. მოსახლეობის ნაწილი შიმშილობს და მათი მოხმარების ფაქტობრივი ნორმა აშკარად ჩამორჩება სარეკომენდაციო და მინიმალურ მაჩვენებლებს. კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა: კალორიულობა არ არის გადამწყვეტი, იმიტომ რომ, შეიძლება, კალორიულობა მივიღოთ მხოლოდ პურით ან შაქრით. შაქრით მიღებული კალორიულობა 13-14-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე იმავე რაოდენობის კალორიების მიღება საქონლის ხორციით. მარტივად რომ ვთქვა, მარტო ტკბილი ჩაი რომ დალიოს ადამიანი და პური მიაყოლოს, კალორიებს კი დააგროვებს, მაგრამ მისი კვება დაბალანსებული არ იქნება და ასეთი ადამიანის ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნება.

**როგორ დაუბროვეს საქართველოს
მოქალაქეებმა ქვეყანას რუსეთისადმი
სახელმწიფო ვალი და 18 ქვეყნის რა თანხა
მართებს საქართველოს
№3, 18-24. 01. 2016**

საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალი 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით 4 მილიარდ 315 მილიონ აშშ დოლარამდეა, აქედან მრავალმხრივი კრედიტორების (მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროგაერთიანება, აზიის განვითარების ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი) 3 მილიარდზე ოდნავ მეტი გვმართებს, ორმხრივი კრედიტორებისა კი – 722 მილიონი დოლარი, პლუს – ნახევარი მილიარდი დოლარი ევროობლიგაციების დავალიანება. რაც შეეხება ორმხრივ კრედიტორებს, სულ 18 სახელმწიფოს ვალი გვაქვს, კერძოდ: ავსტრიისადმი საქართველოს დავალიანება 12 მილიონ აშშ დოლარამდეა, აზერბაიჯანისადმი – 11 მილიონამდე, თურქმენეთისადმი – 210 ათასი, თურქეთის ვალი 20.471 მილიონი გვაქვს, ირანის – 8 მილიონზე ოდნავ მეტი, რუსეთის – 87 მილიონ დოლარამდე, სომხეთის – 12.447 მილიონი, უზბეკეთის – 242 ათასი დოლარი, უკრაინის – 221 ათასი, ყაზახეთის – 27.774 მილიონი დოლარი, ჩინეთის – 3.236 მილიონი დოლარი, გერმანიის – 262.101 მილიონი დოლარი, იაპონიის – 172.874 მილიონი, ქუვეითის – 16 მილიონამდე, ნიდერლანდების - 1.3 მილიონამდე, აშშ-ის - 27.338 მილიონი, ხოლო საფრანგეთის – 60.340 მილიონი აშშ დოლარი. დამატებით – საქართველოს ეროვნულ ბანკს ერიცხება სავალუტო ფონდის 19.4 მლნ. აშშ დოლარის დავალიანება.

ეკონომიკის ექსპერტ **იოსებ არჩვაძესთან** ერთად მიმოვიხილავთ საგარეო ვალის დინამიკას დამოუკიდებლობის გამოცხა-

დებიდან დღემდე და ამ ვალების ეფექტიან გამოყენებასაც შევაფასებთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

– როდიდან იწყება საქართველოს საგარეო ვალის ისტორია. როგორც მახსოვს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდში საქართველოს ვალი არ აუღია.

– საგარეო ვალი, როგორც ცნება, წარმოიშვა და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოს პირობებში. გამსახურდიას პერიოდი, ფაქტობრივად, დე-იურე ერთი დღეც არ ყოფილა საბჭოთა კავშირის გარეშე. საბჭოთა კავშირი ოფიციალურად 1991 წლის 25 დეკემბერს დაიშალა, როდესაც ჩვენთან უკვე მეოთხე დღე მიდიოდა ბათქა-ბუთქი რუსთაველის გამზირზე. ამიტომ, მართალია, იმ დროს ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გვცნო ამა თუ იმ ქვეყანამ, მაგრამ რეალური დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილის დეკლარაციას არ მოჰყოლია. ამდენად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ის იყო თავგანწირული ჟესტი და დამოუკიდებლობისკენ ეროვნული ნების ერთობლივი გამოხატულება. ასე რომ, საგარეო ვალის ისტორია იწყება სსრკ დე-იურე დაშლის შემდეგდროინდელი პერიოდიდან, კერძოდ, 1992 წლიდან. ამისკენ პირველი ნაბიჯები გადაიდგა, როდესაც დანგრეული რუსთაველის გამზირის აღდგენაზე გამოიყო თანხები.

– რუსეთიდანაც გამოიყო თანხა.

– რუსეთი დაეხმარა პირველი სკოლის აღდგენას, მაგრამ მთავრობის სახლი და დანარჩენი მსოფლიო ბანკიდან წამოსული კრედიტებით რესტავრირდა. შემდგომ პერიოდში საინტერესო იყო თურქმენეთის ვალის წარმოქმნა. ეს ვალი, როგორც იქნა, „მივახრჩვეთ“, თუმცა თითქმის ნახევარ მილიარდ დოლარამდე იყო მისი პიკური მაჩვენებელი. თურქმენეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ჩვენ უნდა მიგვეწოდებინა მამაკაცის პერანგები

და შარვლები საარაკოდ მაღალ ფასად და იქიდან მოგვდიოდა გაზი ათასი კუბური მეტრი 40 დოლარად. ჩვენ გაზის მიღებაზე უარი ვერ ვთქვით ამას გარდა, საქართველოს დაეკისრა ვალი იმ ტვირთების გამო, რომლებიც რუსეთიდან საქართველოს რკინიგზით ტრანზიტით სომხეთისაკენ მიემართებოდა. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ 1992 წლის 14 აგვისტომდე რკინიგზა ფუნქციონირებდა და ყოველ მეორე-მესამე დღეს იძარცვებოდა კიდევ და სომხეთმა 7 მილიარდამდე რუსული რუბლის ოდენობის ვალი წამოგვიყენა მაშინ.

– მხოლოდ იქიდან დაგვიგროვდა სომხეთის ვალი?

– დღეის მდგომარეობით სომხეთის ვალი გვაქვს 12.6 მილიონი დოლარი. შარშან უფრო მეტი იყო, თანდათანობით ვიხდით. თუ გახსოვთ, 1990-ანი წლების დასაწყისში ზოგიერთებს ეგონათ, რომ საქართველოში მათი სახით ცხოვრობენ ყველაზე ჭკვიანები: რადგან ერთიანი სავალუტო სივრცე რაღაც პერიოდი ჯერ კიდევ ნარჩუნდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დაიწყეს ყალბი ავიზოების გამოწერა, რომელთა განაღდებასაც ცდილობდნენ რუსეთში. რა თქმა უნდა, ეს პატივისცემის გარეშე არ ხდებოდა და ყოველი გადარიცხული თანხის, სულ მცირე, ნახევარი ადგილზე რჩებოდა, მაგრამ, რადგან საქართველოს არ გააჩნდა შესაბამისი ფულადი მასა, ეს, საბოლოოდ, გაფორმდა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ვალი რუსეთისადმი.

– დავაზუსტებ: კონკრეტული ადამიანი, საქართველოს მოქალაქე, რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ ბანკში წარადგენდა ყალბ ჩეკს, გამოჰქონდა ფული და შემდეგ ეს ფული ჩვენ დაგვეწერა სახელმწიფო ვალად რუსეთის მიმართ.

– დიახ და, თუ 100 მილიონის ყალბ ავიზოს წარადგენდა, 50 მილიონს ტოვებდა რუსეთის ბანკში და 50 მილიონი გამოჰქონდა, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო ვალად ის თანხა მთლიანად ეკისრებოდა. ასე რომ, სახელმწიფო დაზარალდა თავისი მეტისმე-

ტად მონდომებული, „ჭკვიანი“ და თაღლითი მოქალაქეების გამო. რუსეთისადმი ამ ვალმა მოგვიანებით უაღრესად ნეგატიური როლი შეასრულა „ნულოვანი ვარიანტის“ შემთხვევაში, როდესაც რუსეთმა კატეგორიულად დააყენა საკითხი: ან მოაწეროთ ხელს „ნულოვანი ვარიანტის“, ან გადაიხდით ვალსო. რუსეთი თავის თავზე იღებდა როგორც საბჭოთა კავშირის დროს წარმოქმნილი ვალის დაფარვას, ისე იმას, რომ მის განკარგულებაში გადასულიყო საბჭოთა კავშირის აქტივები უცხოეთში. თანაფარდობა კი იყო ასეთი: ვალი შეადგენდა 132 მილიარდ დოლარს, აქტივების ღირებულება კი 400-დან 500-მილიარდ დოლარამდე მერყეობდა. ანუ აქტივების ღირებულება 3-4-ჯერ აღემატებოდა ვალს. თავიდან საქართველო შეეწინააღმდეგა, მაგრამ 2001 წლისთვის ასე დადგა საკითხი: ან საქართველო იხდის იმ ვალებს, რომლებიც პარიზის კლუბის მიერ აღიარებულია, როგორც საქართველოს ვალი რუსეთისადმი, დაახლოებით, 160 მილიონ დოლარამდე თანხაზე იყო ლაპარაკი, ან ხელი უნდა მოაწეროს ამ ნულოვანი ხელშეკრულებასო. შევარდნაძე არჩევნის წინაშე აღმოჩნდა და მოაწერა ხელი. ანუ შეიძლება ითქვას, რომ დიდწილად ჩვენი მოქალაქეების უწესო ქცევის გამო წარმოიშვა ის ვალი რუსეთთან და შემდეგ, იმ ვალზე გამოდევნებით, დავკარგეთ საბჭოთა კავშირის უცხოური აქტივებიდან საკმაოდ დიდი თანხა.

– მახსოვს, რომ 2 მილიარდ დოლარამდე იყო საქართველოს საგარეო ვალი 2003 წლისთვის, როდესაც შევარდნაძე გადადგა. ეს ბევრი იყო თუ ცოტა საგარეო ვალის შემდგომი დინამიკის გათვალისწინებით?

– შევარდნაძის დროს საგარეო ვალი გაიზარდა და 2003 წელს, მის გადადგომამდე, დაახლოებით, მილიარდ 800 მილიონი დოლარი იყო. მაგრამ, ამავდროულად, უნდა დავთვალოთ აგრეთვე მთლიან შიგა პროდუქტთან საგარეო ვალის მიმართებაც. მაშინ სახელმწიფო საგარეო ვალი მთლიანი შიგა პროდუქტის 45 პროცენტს შეადგენდა.

– შევარდნაძის დროს ვალის გასტუმრება თუ გვიწევდა?

– მცირე დოზებით. რაც მეტია ვალის ოდენობა, მით დიდია გადახდის ვალდებულების რეჟიმიც. მაგალითად, იგივე სიტუაცია აქვს მსოფლიოს ყველაზე დიდი ეკონომიკების მქონე ქვეყნებს, „დიდ შვიდეულზე“ (აშშ, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, კანადა) მოდის მთელი მსოფლიოს საგარეო ვალის თითქმის ორი მესამედი, მაშინ, როდესაც იმ ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში თითქმის ოთხჯერ მეტია საგარეო ვალი მთლიან შიგა პროდუქტთან შედარებით; ასევე, 100 პროცენტს გადასცდა საფრანგეთში, საბერძნეთში, იაპონიაში; ამერიკა დიდხანს ცდილობდა ვალის მთლიანი შიგა პროდუქტის 100 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნებას, მაგრამ უკვე 107 პროცენტამდე ავიდა...

– მიხეილ სააკაშვილის დროს რა ოდენობის საგარეო ვალი დაგვემატა?

– სააკაშვილის დროს ძალიან საინტერესო პროცესები წავიდა, რასაც მე დავარქმევდი სენდვიჩის ეფექტს: ერთი მხრივ, ლარის კურსი მყარდებოდა, ანუ ერთი ლარით სულ უფრო მეტი და მეტი დოლარის შეძენა ხდებოდა შესაძლებელი და, მეორე მხრივ, ეკონომიკა რეალურად იზრდებოდა ლარებში. ამიტომ სწრაფად შემცირდა საგარეო ვალი მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში და 2007 წელს მიაღწია ისტორიულ მინიმუმს –16.8 პროცენტს, მაშინ, როდესაც მოცულობით საგარეო ვალის სიდიდე მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს შემდგომ ვალები მკვეთრად გაიზარდა. გახსოვთ, რომ 2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელში 4,5 მილიარდი გამოგვიყვეს, რომლისგანაც ორ მილიარდზე ცოტა მეტი იყო გრანტი, დანარჩენი კი – შეღავათიანი კრედიტი და ქვეყნის ეკონომიკა გადაარჩა.

– და ეს ამ თანხის მაქსიმუმი იყო? შეგვეძლო, უფრო მეტი შედეგი მიგველო ამ თანხით?

– მისი გამოყენება, მაინცდამაინც, ბოლომდე ეფექტიანი არ იყო. გეტყვით, რაზე დაიხარჯა თანხა და იქიდან მხოლოდ ერთ ციფრს დაგისახელებთ, დანარჩენი თქვენი და მკითხველების განსჯის საგანი იყოს: 4,5 მილიარდი დოლარი დაიხარჯა კერძო სექტორის, განსაკუთრებით, საბანკო სექტორის, აგრეთვე საბიუჯეტო სექტორის მხარდაჭერისთვის; ენერგეტიკა, ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა და ა. შ. ხოლო უშუალოდ დევნილებზე დაიხარჯა მთელი ამ თანხის 6 პროცენტი. რა თქმა უნდა, ეს ინფრასტრუქტურაც საჭირო იყო, საბანკო სექტორიც მხარდაჭერაც, რადგან შემოსავლები არ ჰქონდათ. საბოლოოდ, საბანკო სექტორმა ამ თანხის მეხუთედი მიიღო, მეხუთედზე ოდნავ მეტი მოხმარდა საფინანსო-საბიუჯეტო სისტემას, რომ ხელისუფლებას თავისი ვალდებულებები შეესრულებინა; ინფრასტრუქტურაზეც საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა.

– საგარეო ვალის მოცულობა როგორი იყო მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში?

– 2007 წელს თუ მილიარდ 800 მილიონი გვექონდა საგარეო ვალი, 2010 წლისთვის თითქმის ოთხ მილიარდს მიუახლოვდა. გაითვალისწინეთ, რომ ის 500 მილიონი ევრობონდებით მოზიდული თანხა, რომელიც საქართველომ 2008 წლის აპრილში მიიღო, უნდა დაეფარა 2013 წელს, მაგრამ 2012 წლის აპრილში მოხდა მისი რესტრუქტურირება და დაფარვის ბოლო ვადად 2021 წელი განისაზღვრა. და მთლიანობაში ამ 13 წლის განმავლობაში ჩვენ მოგვიწევს, იმ ნასესხები 500 მილიონის გამო 900 მილიონის გადახდა. ზოგადად, მარტო 2016 წელს ძველი ვალების გადასახდელად და მომსახურებისთვის 640 მილიონი ლარის გადახდა მოგვიწევს, საიდანაც ძველი, უკვე ვადადამდგარი ვალების გადასახდელად 360 მილიონია გათვალისწინებული, ადებული ვალის საპროცენტო მომსახურებისთვის კი – 280 მილიონი ლარი.

- მიხეილ სააკაშვილის პერიოდში ედუარდ შევარდნაძის პერიოდის რომელი ვალი გავისტუმრეთ?

- სააკაშვილის პერიოდი დაემთხვა თურქმენეთის ისტორიული ვალის გასტუმრებას. ძველ ვალებს ვისტუმრებდით და ახლებს ვიღებდით. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები შეღავათიან სისტემას გვთავაზობენ პირველი 8-10 წლის განმავლობაში, გარკვეული დროით შეღავათებით სარგებლობდა ქვეყნის ეკონომიკა და საჭირო იყო აღებული სესხების უფრო რაციონალური გამოყენება. 2008 წლის ოქტომბერში საქართველოს მიერ მიღებული თანხა - უკვე ნახსენები 4.5 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება და კრედიტი - თავისი მყიდველობითუნარიანობით მოსახლეობის ერთ სულზე ორჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე ის დახმარება, რომელიც ამერიკამ ეგრეთ წოდებული მარშალის გეგმის მიხედვით 17 ევროპულ სახელმწიფოს გაუწია 1948-1952 წლებში. ამ თანხამ ევროპა თვალებში გამოახედა. განვითარდა რეალური სექტორი, მოიხსნა შიმშილის პრობლემა, ინსტიტუციურად განვითარდა დემოკრატია; ერთი სიტყვით, ძალიან ბევრი მიზანი იქნა მიღწეული და ჩვენ მხოლოდ იმით ვტრაბახობთ, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით ეკონომიკური ვარდნა არ იყო მაღალი. მიმაჩნია, ეს ის წარმატება არაა, რითაც ხმამაღლა უნდა ვიამაყოთ.

- მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში რამდენს შეადგენდა საგარეო ვალი 2012-ში?

- არც ისე მაღალი იყო – 33.6 პროცენტი.

- „ოცნებამ“ რამდენი დაამატა საგარეო ვალი. ანუ რამდენს ვიღებთ და რამდენს ვისტუმრებთ?

- ვალების აღებ-მიცემობის რეჟიმშია ხელისუფლება. ლაპარაკია, რომ სახელმწიფო მთლიანობაში, დაახლოებით, იღებს მილიარდ 800 მილიონამდე ლარს და ისტუმრებს 600 მილიონზე მეტს. ანუ სამ ლარს ვიღებთ სესხად და ვისტუმრებთ ერთ ლარს. მაგალითად,

ამერიკის თითოეულ მცხოვრებზე 75 ათასი დოლარია ამერიკის სახელმწიფო ვალი.

– ჩვენთან თითოეულის წილად რამდენია?

– 1100 დოლარი. თუმცა ამერიკაში სხვა მასშტაბებია და პირდაპირი შედარება არ გამოგვადგება. ამჟამად ჩვენი საგარეო ვალის მოცულობა მთლიან შიგა პროდუქტთან არ არის ძალიან დიდი, 28 პროცენტია. მაგრამ, თუ ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსი გააგრძელებს დაცემას და ამით მიჰბაძავს ჩვენი მეზობლების ვალუტებს, ეს თანაფარდობა სწრაფად გაიზრდება.

**რა შიშვევაში მოინდომავს რუსეთი ჯვრის
წყალსაცავის დაკავებასა და
ენგურჰესის მართვის ხელში აღებას
№8, 22-28.02.2016**

მას შემდეგ, რაც აფხაზეთზე კონტროლი დავკარგეთ, ენგურჰესიდან სრულიად უანგაროდ ვამარაგებთ ელექტროენერგიით ჩვენებურ სეპარატისტებსა და ახლა უკვე ოკუპანტებსაც. ამ ბოლო ხანს ისიც კი გაირკვა, რომ გარკვეულ პერიოდებში ზემონახსენებ ორს ენგურჰესის მიერ გამოშვებული დენი მთლიანად მიჰქონდა, თუმცა სულ ახლახან ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, აფხაზეთი ელექტროენერგიის გარეშე დარჩეს. არის თუ არა მართებული სეპარატისტული რეგიონების მცხოვრებლების პარაზიტებად ქცევა და როდემდე უნდა კვებოს საქართველოს ბიუჯეტმა არასეპარატისტი მოქალაქეების ხარჯზე თავისი სეპარატისტი მოქალაქეები; გამოიღებს თუ არა ნაყოფს ასეთი თვითგვემა და როდემდე შეიძლება, გაგრძელდეს მსგავსი ანომალური მდგომარეობა? – ამ თემებზე ეკონომიკის ექსპერტ იოსებ არჩვაძესთან ერთად ვისაუბრებთ.

– რას ნიშნავს, რომ უფასოდ ვანვლით აფხაზეთს ელექტროენერგიას ენგურჰესიდან?

– ეს კონკრეტულთან ერთად რიტორიკული და ფილოსოფიური დატვირთვის კითხვაცაა. გააჩნია, როგორ მივუდგებით ენგურს იქით მცხოვრებ მოსახლეობას: მათ განვიხილავთ, როგორც ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც უძღები შვილის პოლიტიკით მოქმედებენ, თუ, განვიხილავთ როგორც ნახევრად დამოუკიდებელი, ნახევრად აღიარებული, ანუ ჰიბრიდული სახელმწიფოს მოქალაქეებს, რომლებსაც იდეაფიქსად აქვთ თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თუმცა მაინც არ ამბობენ უარს იმ სიკეთეებისა და

დოვლათის მოხმარებაზე, რასაც ქმნიან მათ ირგვლივ მცხოვრები ხალხები და სახელმწიფოები, რომელთა მიმართ მათ გავლებული აქვთ საზღვრები. დასმული კითხვის სხვადასხვა კონტექსტში განხილვის უფლებას მაძლევს ის გარემოება, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან, მაგალითად, ჩვენ ვინახავთ იმ კატეგორიის მოსახლეობასაც, რომლებსაც მოცემულ მომენტში სახელმწიფოს დოვლათის - მთლიანი შიგა პროდუქტის - ფორმირებაში არანაირი წვლილი არ მიუძღვით. მაგალითად, პენსიონერებსა და ბავშვებს. თუ ამ კუთხით შევხედავთ ენგურს გაღმა მცხოვრებთ, მაშინ მათთვის ელექტროენერჯის მიწოდება არის ბენეფიტი, სოციალური დახმარება, რაც ნიშნავს, რომ აპრიორი მივიჩნევთ ჩვენს მოქალაქეებად. მაგრამ, თუ ჩავთვლით, რომ ეს მიდგომა სწორი არ არის ეკონომიკურად (პოლიტიკურ ასპექტს ამ შემთხვევაში არ ვეხებით), თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ იქაური მოსახლეობის ნაწილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაა, მაშინ მათზე ამ შეღავათების გავრცელება გარკვეულ კითხვებს ბადებს.

ენგურს იქითა მოსახლეობის მიერ ელექტროენერჯის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სულ მცირე, 2,5-ჯერ აღემატება ენგურს აქეთა მოსახლეობის მიერ ელექტროენერჯის მოხმარებას. თანაც, ტარიფი მათთვის ენგურსაქეთა საქართველოს მცხოვრებლებთან შედარებით, 5-ჯერ უფრო დაბალია.

– „მეტს მოიხმარენ“ რას ნიშნავს? ჩვენზე მეტი მიაქვთ თუ რაოდენობრივად გამოდის მეტი, მოსახლეობის ოდენობიდან გამომდინარე?

– ენგურჰესიდან მათთვის მიწოდებული ელექტროენერჯია, გაყოფილი მათი მოსახლეობის ოფიციალურ რაოდენობაზე, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე გვაძლევს საკმაოდ მაღალ ციფრს – 4.5-5.0 ათას კილოვატსაათს, მაშინ, როდესაც ენგურს აქეთ საქართველოში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 1.8-2.0 ათასი კილოვატსაათია. თან, დენის საფასურის ამოღება, ანუ ადმინისტრირების მაჩვენებელიც,

აფხაზეთში ძალიან დაბალია: ბევრი არც იხდის, მაღალია დანაკარგი. - ის ქსელი, რაც დარჩა საბჭოთა პერიოდიდან, აღარ შეცვლილა და ამიტომ დანაკარგები და არამწარმოებლური ხარჯები ძალიან დიდია.

– ტარიფიც განსხვავებული გვაქვს. ისინი რამდენს იხდიან კილოვატსაათ ელექტროენერგიაში?

– იქ რუსული რუბლი ტრიალებს. მართალია, რუბლი ვარდნას განაგრძობს, მაგრამ ყველაზე ნორმალურ პერიოდში, როდესაც რუბლის კურსი დოლართან ორჯერ უფრო მაღალი იყო, ტარიფი მოსახლეობის მიერ მოხმარებულ კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე 1,3 ცენტის ფარგლებში იყო. ამოღების კოეფიციენტი “სტაბილურად” 30-35 პროცენტის ფარგლებშია.

– ვის უხდიან ამ ჩვენ მიერ მიწოდებული და ჩვენი ხარჯით გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურს?

– ამოღებული თანხა მიდის აფხაზეთის ბიუჯეტში და მის ფორმირებას ემსახურება. საინტერესო მდგომარეობაა: აფხაზეთის ბიუჯეტის სამ მეხუთედამდე ყალიბდება ადგილობრივი გადასახადების ამოღების ხარჯზე, დანარჩენი დოტაციაა რუსეთიდან მიღებული. ჩვენს მიერ აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდება ეკონომიკური თვალსაზრისით, „ჰიბრიდული“, ორგვარი დატვირთვისაა: ერთი მხრივ, ეს არის კონტრიბუცია, რომელსაც ქართული მხარე უხდის აფხაზურ და რუსულ მხარეებს, პლუს – რეკეტი. რეკეტიც ეკონომიკური მოვლენაა, როდესაც გარკვეული პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური ძალის მქონე სუბიექტი ცდილობს, შედარებით სუსტისგან მიიღოს დამატებითი სარგებელი, მოგება ან შემოსავალი. გასული საუკუნის 90-ანი წლების შუა ხანებში, როდესაც ავტომატიანი ადამიანები მეტროპოლიტენშიც კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მზესუმზირის გამყიდველსაც კი თავისი რეკეტიორი ჰყავდა. - მზესუმზირის ყოველი გამყიდველი დღეში რეკეტის საფასურად დაახლოებით ექვსი ჭიქა მზესუმზირის თანხას იხდიდა. ასე

რომ, აფხაზეთი არა მარტო ჰიბრიდული ტიპის წარმონაქმნია, არამედ მისი ქმედება და ელექტროენერჯის მოხმარების ეს ფორმა, შეგვიძლია, განვიხილოთ, როგორც ელექტროენერჯის კონტრიბუციულ-რეკეტული „ამოღება“.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ პერიოდში 100 პროცენტით მიჰქონდათ ენჯურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია. რატომ ვანოდებდით?

– სამწუხაროდ, საქართველოს ჰიდროენერგეტიკაში სეზონურ ფაქტორს დიდი დატვირთვა აქვს და, ზამთრის პერიოდში, გასაგები მიზეზების გამო, ჰესები მცირე რაოდენობის ელექტროენერჯიას გამოიმუშავებენ, ზაფხულის პერიოდში კი – უფრო მეტს. ამიტომ საქართველო ერთდროულად არის როგორც ელექტროენერჯის ექსპორტიორი, ისე იმპორტიორი: ზამთრის პერიოდში შემოგვაქვს დაახლოებით 800 მილიონი კილოვატსაათი და ზაფხულში გაგვაქვს დაახლოებით 600 მილიონი, მაგრამ აქ არის ერთი მომენტი: შემოგვაქვს უფრო ძვირად, ვიდრე გაგვაქვს.

– რატომ არის ასეთი დისბალანსი? რატომ ვყიდულობთ უფრო ძვირად და ვყიდით უფრო იაფად ერთსა და იმავე პროდუქტს?

– ჩვენ ჭარბად გვაქვს ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია, რომლის თვითღირებულება შედარებით დაბალია ზაფხულის პერიოდში.

– ამას რა მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებისთვის? ჰიდროელექტროენერჯიაც ხომ ელექტროენერჯიაა?

– გააჩნია ხელშეკრულებას და ფასთა შორის ეს სხვაობაც დამატებითი ხარჯია. ვთქვათ, თუ ზაფხულში გავიტანეთ 100 მილიონი კილოვატსაათი და ზამთარში შემოვიტანეთ 100 მილიონი, ეს არ ნიშნავს, რომ ღირებულების მიხედვით სრული ბალანსია, ეს ნიშნავს, რომ 2,3-ჯერ მეტი თანხა გადავიხადეთ.

– ვისგან შემოგვაქვს და ვის ვამარავებთ?

– ძირითადად ჩვენი მომწოდებელი და მიმღებია რუსეთის ფედერაცია და ელექტროენერჯის აღებ-მიცემობა 2008 წლის აგვისტოს ომისა და შემდგომ პერიოდშიც არ შეჩერებულა.

– **ანუ ეს ახალი კი არა, ძველი და სტაბილური რეალობაა?**

– მეტ-ნაკლებად სტაბილურია, მაგრამ უმნიშვნელო ცვლილებებით, რაც ვალუტის კურსის ცვლილების გამოა და არა სხვა მიზეზით.

– **ცნობილია, რომ ოკუპანტები და სეპარატისტები გვაშანტაჟებენ, რომ გათიშავენ ენგურჰესს, რადგან მათ მხარესაა მართვის პულტი, მაგრამ, თუ ჩვენ გავთიშავთ კაშხალს, ბუნებრივია, დავზარალდებით, ოღონდ, ისინი ჩვენზე მეტად – საერთოდ ელექტროენერჯის გარეშე დარჩებიან. თუ უნდათ ელექტროენერჯია, გადაიხადონ, რაც ღირს.**

– თქვენი ლოგიკა გასაგები და მისაღები იქნებოდა, ჩვენ რომ საქმე გვექონოდა პროგნოზირებად და სამართლის პატივისმცემელ დიდ სახელმწიფოსთან, მაგრამ ჩვენ გვყავს ისეთი მეზობელი, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების აბსოლუტურად თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს თავის თავს.

– **ამ შემთხვევაში გულისხმობთ რუსეთს?**

– დიახ. შეგახსენებთ, რომ 1999 წლის იუგოსლავიის კამპანიის დროს რუსეთმა თავისი, იუგოსლავიის ტერიტორიაზე მყოფი ჯარები გადაისროლა, დაიკავა პრიშტინას აეროპორტი და „ნატო“ პირში ჩალაგამოვლებული დატოვა ამ 400-კილომეტრიანი მარშით. არ მინდა, აპოკალიპტური სურათი დავხატო, მაგრამ, თუ ჩვენ მათ არ მივანვდით ელექტროენერჯიას, სად გვაქვს გარანტია, რომ რუსეთი არ გადმოსხამს დესანტს, რომ დაიკავოს ჯვრის წყალსაცავი და ენგურჰესის ექსპლუატაცია მთლიანად არ დაუქვემდებაროს თავის კონტროლს?! შეგახსენებთ, რომ დალის ხეობაში, სანამ ის საქართველოს იურისდიქციაში იყო, რუსეთმა რამდენჯერმე გადმოსხა დესანტი. ამდენად, ეს საფრთხილო საკითხია და ჩვენ არ გვაქვს ზედ-

მეტი პოლიტიკური რისკების ფორმირების უფლება. უნდა ვაცნობი-
ერებდეთ, რომ ეს სახელმწიფო არის მუდმივი მუქარის რეჟიმში ჩვენ
მიმართ და ამაზე შესაბამისი რეაგირებაა საჭირო. ასე რომ, ამგვარ
გადაწყვეტილებას მე ცოტა მეტი სიფრთხილით მოვეკიდებოდი.

**– მე გადაწყვეტილებებს არ ვიღებ, მხოლოდ კითხვებს ვსვამ
და შესაძლო ვარიანტებს განვიხილავ. მარტივად ვიტყვი და არა-
პროფესიულად: ისე დავაზიანოთ, რომ ვერაფერში გამოიყენონ
და ენგურჰესმა ვერ შეძლოს ელექტროენერჯის გამომუშავება?**

– ჩვენ მაშინ იმ ბიბლიური იგავის პერსონაჟივით მოგვინევს
მოქმედება, რომელსაც სურვილების შესრულებას დაჰპირდნენ,
ოღონდ, იმ პირობით, რომ რასაც ის მიიღებდა, მეზობელს იმავეს
ორჯერ მეტს მიაგებდნენ და ისურვა, ცალი თვალი ამომთხარეთო...

– ესეც ვარიანტია, მგონი.

– მაგრამ ჩვენ ამ რეჟიმში ვერ ვიმუშავებთ. საქართველოს აქვს
ელექტროენერჯის დეფიციტი. თან, ეკონომიკის განვითარები-
სთვის უფრო მეტი ენერჯია გჭკირდება, მათ შორის, ელექტროენ-
ერჯია. ამიტომ ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ, რომ მეტი
ვანარმოთ. აფხაზეთთან კონფრონტაციის გზით წასვლაც არ
იქნება მართებული, მაგრამ ჩვენ თვალი უნდა გავუხსნოროთ სიმარ-
თლეს და ვთქვათ, რომ ისინი იქცევიან როგორც მოძალადეები, რო-
მელთაც რეკეტის საშუალება აქვთ, მაგრამ, თუ უნდათ, ჩაენერონ
ცივილიზებულ სამყაროში, უნდა მოახერხონ ცივილიზებულობის-
ვის დამახასიათებელი ურთიერთობების დამყარება, თორემ, სულ
ჩამორჩენის რეჟიმში იქნებიან და ეს ჩამორჩენა უფრო და უფრო
გაიზრდება.

**– ახალი ჰიდროელექტროსადგურის აშენება იქნება გამოსავა-
ლი ამ შანტაჟიდან თავის გადასარჩენად? ბოლოს და ბოლოს, ენ-
გურჰესიც ხომ ამორტიზდება?**

– მე მაინც გარკვეულ სიფრთხილეს გამოვიჩენდი და, სანამ
არ არის დარეგულირებული ურთიერთობები რუსეთთან, სანამ

გარკვეული საფრთხეები მოდის მისგან, თავს შევიკავებდი საზღვრისპირა რეგიონებში დიდი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისგან. ან არადა, ეს უნდა განახორციელოს დიდი ქვეყნების იმ სახელმწიფო კომპანიებმა, რომელთა უკან დგას თავიანთი სახელმწიფოების ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება.

– მაგალითად, ჩინეთმა?

– ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ასე შემდეგ. ამიტომ, თვითშემოქმედება ან მესამე სამყაროს კაპიტალის მეშვეობით რაღაც სწრაფი, მრავალმილიონიანი ბიზნესის წამოწყება რუსეთის მადას ვერ შეაჩერებს.

– ხუდონჰესზე ამბობთ, რომელსაც თითქოს ინდოელები აშენებენ?

– რა თქმა უნდა. ასე რომ, ეს მომენტიც უნდა იყოს გათვალისწინებული, თან, ჩვენ აქცენტი უნდა ავიღოთ მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობაზე და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების განვითარებაზე. ევროპაში დიდ ყურადღებას აქცევენ მზისა და ქარის ენერჯიებს. დავიანგარიშე და, ჩვენ რომ თანამედროვე მსოფლიოს სტანდარტების ტექნოლოგიები გვქონდეს საყოფაცხოვრებო სფეროში, შეგვეძლო დაგვეზოგა თითქმის იმდენივე ელექტროენერჯია, რის გამომუშავების საშუალებაც გვექნება ხუდონჰესის ამუშავების შემთხვევაში. ამდენად, ამ მიმართულებითაც უნდა ვიმუშაოთ: ჩვენ უნდა ვისწავლოთ სახსრებისა და რესურსების რაციონალური გამოყენება.

როგორია ცხოვრების დონე სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში

№15, 11-17.04.2016

ქვეყნების შეიარაღებული ძალების მსოფლიო რეიტინგში აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები 64-ე ადგილზეა, სომხეთის – 74-ეზე, საქართველოსი კი, სამწუხაროდ, 75-ეზე. ასევე, განსხვავებულია სამხრეთ კავკასიის ამ სამი რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებიც და მოსახლეობის ცხოვრების დონეც. სულ ახლახან საომარი მოქმედებები განახლდა ყარაბაღში, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის სოციალურ ფაქტორებს, რადგან ომის წარმოებას სჭირდება დამატებითი ფინანსები. ეკონომიკის ექსპერტი **ოსებ არჩვაძესთან** ერთად მიმოვიხილავთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შედარებით სოციალურ დახასიათებას.

– იყო დრო, როდესაც საქართველო დომინირებულ როლს ასრულებდა სამხრეთ კავკასიაში. ის ორგანულად მიიჩნეოდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ცენტრად და აქედან იმართებოდა სამხრეთ კავკასია. თუმცა შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, მათ შორის, სამხედრო კონფლიქტებისა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად შესუსტდა. საქართველოს ეკონომიკის ყველაზე დიდი ვარდნა ჰქონდა, როგორც არ ჰქონია არც სომხეთს და არც აზერბაიჯანს.

– რით იხსნება ეს განსაკუთრებული ვარდნა?

– ორი ფაქტორის თანხვედრა მოხდა: იყო სამხედრო კონფლიქტები, დაწყებული თბილისის ომით და დამთავრებული 2008 წლის აგვისტოს „ბლიცკრიგით“ და მეორე, საქართველო წლების განმავ-

ლობაში ორიენტირებული იყო სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოებაზე. მარტივად რომ ვთქვათ, ცენტრი ეუბნებოდა პერიფერიას, საქართველოს, თქვენ არ გჭირდებათ ზრუნვა მარცვლეულისა და სხვა პირველადი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, თქვენ ხართ საკავშირო დასასვენებელი ადგილი, ამიტომ იზრუნეთ ინფრასტრუქტურისა და სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების განვითარებაზე. ციტრუსებით, მანდარინით, ჩაით, ხილითა და ყურძნით უზრუნველყავით 50-ჯერ დიდი ბაზარი თქვენს მოთხოვნილებებთან შედარებით.

– სომხეთსა და აზერბაიჯანს არ ეუბნებოდა იმავეს?

– სომხეთში უფრო განვითარებული იყო მანქანათმშენებლობა და ელექტროტექნიკური მრეწველობა. სომხეთის ეკონომიკაში მრეწველობის წილი ერთხანს თითქმის ორჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოში, გასული საუკუნის 90-იან წლებს ვგულისხმობ და მანამდეც რეალური სექტორის წონა უფრო დიდი იყო. ამას თავისი ტრადიციაც ჰქონდა, რაც გააძლიერა სომხეთში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობამ. სომხეთის მრეწველობის საგრძნობი წილი ელექტრონულ პროდუქციაზე მოდიოდა. რაც შეეხება აზერბაიჯანს, იქ ნავთობის მოპოვებაზე იყო აქცენტი და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი მეზობლის პროდუქციას უფრო მეტი მზანდა დაედო მსოფლიო ბაზარზე. ამისგან განსხვავებით, ქართული ციტრუსი, ჩაი და ხილი ადვილად ჩანაცვლდა იმ დიდ ბაზარზე, რომელიც მანამდე საბჭოთა ბაზრის სახელით იყო ცნობილი. ამიტომ დღეის მდგომარეობით, მაგალითად, ჩვენი ხორბლის თვითუზრუნველყოფის დონე შეადგენს 8 პროცენტს, დანარჩენი შემოგვაქვს. ვითომ აგრარული ქვეყანა ვართ და ვტრაბახობთ, რომ უცხოურ ენაში „გეორგია“ მინის მუშაკს ნიშნავს, მაგრამ იმავე ევროპაში მოსახლეობის ერთ სულზე ხორბლის, შვრიისა და ჭვავის

წარმოება, დაახლოებით, 700-800 კილოგრამია, ჩვენთან კი, სიმინდს თუ გამოვრიცხავთ, დაახლოებით, 50 კილოგრამიც არ გამოდის მარცვლეულის მოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე.

– სომხებსა და აზერბაიჯანელებს როგორ აქვთ საქმე მარცვლეულის მხრივ?

– არც მათ აქვთ უკეთესად საქმე, მაგრამ მათ ეკონომიკის რეალური სექტორის სხვა კომპონენტების უკეთესი განვითარების გამო ეს პრობლემა შედარებით ნაკლებად ანუხებთ. თანაც, თავის დროზე (1990-იანი წლების დასაწყისში) მათი ეკონომიკების ვარდნის მასშტაბი ნაკლები იყო, ამიტომაც იქიდან ამოსვლის პრობლემებიც ნაკლები ჰქონდათ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აზერბაიჯანმა მნიშვნელოვნად გაზარდა ენერგომატარებლების წარმოება და დღეისათვის საბჭოთა პერიოდთან შედარებით თითქმის ორ-ნახევარჯერ მეტ ნავთობს მოიპოვებს. ამას დაამატეთ ბუნებრივი აირის მოპოვებაც და შეიძლება, ითქვას, რომ აზერბაიჯანი ეკონომიკური პოტენციალით დღეს უკვე სხვა წონითი კატეგორიის სახელმწიფოა. სავალუტო ფონდის მონაცემებით, თუ სამხრეთ კავკასიას მთლიანად 100 პროცენტის დონეზე ავიღებთ, აზერბაიჯანის წილად, დაახლოებით, 75 პროცენტი მოდის, ჩვენს წილად – დაახლოებით, 14-15 პროცენტი, დანარჩენი 10 პროცენტის ფარგლებში კი სომხეთია.

– ამ 75 პროცენტში იგულისხმება გაზიც და ნავთობიც. მათ გარეშე რამდენი იქნება აზერბაიჯანის მაჩვენებელი?

– საკმაოდ დიდი, არანაკლებ 40-45 პროცენტისა.

– მაგრამ ჩვენ მაინც გვისწრებს აზერბაიჯანის ეკონომიკა.

– რა თქმა უნდა, გვისწრებს, სხვათა შორის, 2003 წლამდე საქართველო აზერბაიჯანს უსწრებდა მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტით. მაგრამ 2003 წლის შემდეგ აზერბაიჯანმა ამ მაჩვენებლითაც გადაგვისწრო და ცალკეული წლების მიხედვით, აი, მსუყე წლებს რომ უწოდებენ ენერგორესურსებზე

მაღალი ფასის გამო, ჩვენზე თითქმის 2,5-ჯერ მეტი მთლიანი შიგა პროდუქტი ჰქონდა. შარშანდელი დეველვაციის შედეგად ეს უპირატესობა ისეთი თვალსაჩინო აღარ არის, მაგრამ, მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობით მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 1,7-ჯერ მაინც გვისწრებს. შემცირდა აზერბაიჯანის წილი სამხრეთ კავკასიის ეკონომიკაშიც - დაახლოებით 65 პროცენტამდე. დარჩენილი 35 პროცენტიდან 21 პროცენტი მოდის საქართველოზე და 14 პროცენტი - სომხეთზე.

– საშუალო ხელფასები როგორ დონეზეა ამ სამ ქვეყანაში?

– ბოლო დრომდე აზერბაიჯანში საშუალო ხელფასი ჩვენზე მაღალი იყო, თუმცა ახლა გვერდიგვერდაა ეს მონაცემები. სომხეთში ჩვენთან შედარებით ნაკლებია საშუალო ხელფასი, დაახლოებით, 15 პროცენტით, მაგრამ საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანში დაქირავებით დასაქმებული კონტინგენტი გაცილებით მეტია და, ასევე, მეტია ყოველ ათას კაცზე დასაქმებულთა რაოდენობაც. რადგან ერთი საშუალო ხელფასი: შესაძლოა, ცხრასართულიან შენობაში ერთი ადამიანი მუშაობდეს და მისი ხელფასი იყოს ძალიან მაღალი, მაგრამ ერთი ადამიანის მონაცემი მაინც არ მოგვცემს საშუალებას, ვიმსჯელოთ ამ კორპუსის მცხოვრებთა შემოსავლებზე. ამიტომ რეალური მდგომარეობის მახასიათებელი ფაქტობრივად აღარ არის საშუალო ხელფასის სიდიდე. წინა პლანზე უნდა გამოვიდეს მონაცემი, თუ როგორია ყოველ ათას კაცზე ხელფასის ჯამური მოცულობა. ამ მხრივ, საქართველო ამერიკას მნიშვნელოვნად ჩამორჩება, თითქმის სამჯერ.

– ამერიკას რომ ჩამოვრჩებით, არა უშავს, აზერბაიჯანს რამდენით ჩამოვრჩებით?

– აზერბაიჯანს ჩამოვრჩებით 1,3-ჯერ მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე ხელფასის მიმღებთა რაოდენობით, მაგრამ აქ არ ვადარებთ ხელფასის ოდენობას, რადგან საშუალო ხელფასის მაჩვენებლით აზერბაიჯანი ჩვენ დონეზე ჩამოვიდა.

- იქაც დაიკლო?

- არა მარტო აზერბაიჯანში, ყველა ენერგომომპოვებელ ქვეყანაში ენერგომატარებლებზე ფასების შემცირებამ გამოიწვია მათი გათავისუფლება ეგრეთ წოდებული „ჰოლანდიური დაავადებისგან“. ეს არის ეკონომიკური მდგომარეობა, როდესაც ქვეყანაში არის უცხოური ვალუტის ჭარბი მასა და ეროვნული ვალუტის მაღალი კურსის გამო სტიმული ეკარგება ადგილობრივ წარმოებას, ამიტომ ქვეყანა გადასულია იმპორტირებული საქონლის მასობრივ მოხმარებაზე. ახლა კი, რადგან აზერბაიჯანული მანათი გაუფასურდა, პრინციპით, ზოგი ჭირი მარგებელია, მეტი ყურადღება მიექცევა ადგილობრივი წარმოების განვითარებას, იმიტომ რომ, იმპორტი გაძვირდა. იმპორტის გაძვირება კი გამოიწვევს იმპორტირებული საქონლის მასობრივ ჩანაცვლებას სამამულო პროდუქციით.

- პენსიების მხრივ როგორაა საქმე?

- აზერბაიჯანში პენსიები ჩვენზე მაღალი ჰქონდათ, დაახლოებით, 160 დოლარის ექვივალენტი, სომხეთში კი ჩვენს დონეზე იყო პენსიების სიდიდე. თუმცა ეროვნული ვალუტის დევალვაციის გამო აზერბაიჯანში 160-დოლარიანი პენსია ჩამოვიდა 85 დოლარის ექვივალენტზე და თითქმის საქართველოს პენსიას გაუტოლდა. იმას გარდა, რომ აზერბაიჯანში რამდენადმე უფრო მაღალია ფასების დონე, ვიდრე საქართველოში, ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ პენსიის მყიდველობითუნარიანობა აზერბაიჯანში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში.

- მონაცემები აჩვენებს, რომ აზერბაიჯანი, მართლაც, ავანგარდშია, მაგრამ, ერთი შეხედვით, საქართველო არ ტოვებს აზერბაიჯანზე ღარიბი ქვეყნის შთაბეჭდილებას. ეს როგორ ხერხდება?

- კეთილდღეობა განისაზღვრება არა მარტო მიმდინარე ნაკადებით, არამედ წინა თაობების მიერ დაგროვილი ქონებითა და რესურსებით. დღეს საქართველოში ბევრი ოჯახი სარგებლობს

20-30 წლის წინათ მამა-პაპის მიერ აშენებული სახლებით. ამიტომ ჩვენთან მოხმარება არ არის ნაკლები, მაგრამ ბოლო 25 წლის განმავლობაში აზერბაიჯანმა საკმაოდ დიდი შემოსავალი მიიღო, მათ შორის, ენერგორესურსების ექსპორტით. მათ ჰქონდათ ამბიციაც, რომ აეშენებინათ არანაკლები სიმაღლის ცათამბჯენები, როგორც არაბთა გაერთიანებულ საემიროებშია, მაგრამ ნავთობზე ფასის ვარდნამ ამ პროექტებს ფრთები შეუკვეცა. 2015 წლის მონაცემები ჯერ არ გამოუქვეყნებია აზერბაიჯანს, მაგრამ 2014 წელს აზერბაიჯანში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია იყო 8 მილიარდი დოლარი, სომხეთში – ნახევარი მილიარდი და საქართველოში – მხოლოდ 1,7 მილიარდი. ქვეყნის მასშტაბებიც რომ შევადაროთ, მაინც გაცილებით მეტი უცხოური ინვესტიცია შედის აზერბაიჯანში მოსახლეობის ერთ სულზე, თუმცა ამ ინვესტიციების დიდი ნაწილი სწორედ ენერგეტიკულ სექტორზე მოდის.

– საბიუჯეტო სექტორშიც მაღალი ხელფასებია ჩვენს მეზობლებში, ჩვენს მსგავსად?

– დიახ, ოღონდ ეს მხოლოდ ბიუროკრატიის წყალობით არ არის, მაგალითად, აზერბაიჯანში პედაგოგების ხელფასი ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენთან. პედაგოგთა ხელფასები მაღალია სომხეთშიც.

– ომის წარმოებას სჭირდება ფინანსები. აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი გაუძლებს ომის ხარჯს?

– აზერბაიჯანი წლების განმავლობაში ზრდიდა თავის სამხედრო ბიუჯეტს და მისი სამხედრო ბიუჯეტი, სიდიდით, არანაკლები იყო, ვიდრე სომხეთის მთელი სახელმწიფო ბიუჯეტი. დაახლოებით, 50-ზე მეტი სამხედრო-თავდაცვითი დანიშნულების საწარმოა, რომლებიც უშვებენ იარაღს. ჩვენ ვტრაბახობთ ქართული ჯავშანტრანსპორტიორებითა და ჯავშანუილეტებით, აზერბაიჯანი კი წყნარად მუშაობს ამ მიმართულებით და საკმაოდ განვითარებული აქვს სამხედრო მრეწველობა. ამის გარდა, ჩვენი შეიარაღებული ძა-

ლების რიცხოვნობა ამჟამად თითქმის სამჯერ ნაკლებია მეცამეტე საუკუნეში მონღოლთა დროშების ქვეშ მებრძოლი ცხენებითა და საჭურვლით აღჭურვილი ქართველი მხედრების რაოდენობასთან შედარებით. - მოგესხენებათ, სწორედ მონღოლებმა ჩაატარეს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა 1254 წელს. კონკრეტული მონაცემების დასახელებისგან თავს შევიკავებდი.

- მე დავასახელებ, მაშინ 100 ათასამდე მეომარი მიგვიცია მონღოლებისათვის, თუ დღევანდელ რიცხვს გავამრავლებთ სამზე.

- არა, 80 ათასი... აზერბაიჯანს მხოლოდ სამხედრო-საჰაერო ძალებში 2 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს. სამხედრო-საზღვაო ფლოტში, დაახლოებით, 8 ათასი. ჩვენ კი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჯარის ეს სახეობები საერთოდ გავაუქმეთ. ასევე, მათ გაცილებით ძლიერი სამხედრო-საჰაერო ძალები ჰყავთ: ჰყავთ მოიერიშეებიც და აქვთ სხვა ტექნიკაც. ასე რომ, დღეს ღირსეულ წინააღმდეგობას უწევენ ერთმანეთს, რაოდენობის მხრივ, აზერბაიჯანი და სომხეთი პლუს ყარაბაღი.

- უცნაურია, მაშინ ჩვენ რა პარამეტრით დაგვერქვა „შუქურა“?! თქვით, რომ მოწინააღმდეგეები ღირსეულ მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს. ომის წარმოების პოტენციალი აზერბაიჯანს უფრო აქვს თუ სომხეთს?

- ომის წარმოებისას მნიშვნელოვანია საბრძოლო სულისკვეთება და, როდესაც ის არსებობს, გადამწყვეტი ფაქტორია დემოგრაფიული სურათი. ნორმალურ პირობებში ომის წარმოებისთვის ქვეყანაში შესაძლოა, მობილიზებულ იქნეს ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით, 10 პროცენტი. მეტის შესაძლებლობა ფიზიკურად არც ერთი ქვეყნის ეკონომიკას არ გააჩნია, თვით დიდ სახელმწიფოებსაც. ამ მხრივ რომ შევადაროთ აზერბაიჯანისა და სომხეთის პოტენციალები, გარე ძალების ჩაურევლობის შემთხვევაში აზერბაიჯანის აშკარა უპირატესობა იკვეთება. აზერბაიჯანში 9 მილიონი

ადამიანი ცხოვრობს, სომხეთში – 3 მილიონის ფარგლებში. ყარაბაღში კი მოსახლეობა სულ 130 ათასია. ამიტომ, დემოგრაფიული თვალსაზრისით, თუ არ იქნა სომხური დიასპორის მხარდაჭერა და გარე ფაქტორებიც გამოირიცხება, უპირატესობა აზერბაიჯანის მხარესაა. ოღონდ ეს ჰიპოთეტური მოდელია. - მოგეხსენებათ, ხშირად რეალური საბრძოლო მოქმედებებისას გადამწყვეტი არ არის რიცხოვნობა და სრულიად სხვა ფაქტორები გამოდიან წინა პლანზე.

**რატომ უმჯობესია საქართველოს მოსახლეობა
1989 წლიდან დღემდე მილიონ რვაასი ათასით
და რატომ აღარ დაბრუნდება სამშობლოში 500
ათასი ქართველი**

№36, 5-11.09.2016

უცხოეთში სამუშაოდ წასული ჩვენი თანამემამულეების მიერ გამოგზავნილი თანხა კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის (რომლებიც ამ გზავნილების ადრესატები არიან), ისე უშუალოდ, ქვეყნისთვის. თუმცა მსოფლიოში არსებულმა ფინანსურმა კრიზისმა და, მათ შორის, რუსეთისთვის დაწესებულმა ფინანსურმა სანქციებმა ამ ფულად გზავნილებზეც იქონია ზეგავლენა, ცხადია, მისი შემცირების მიმართულებით. თუმცა მიმდინარე წლის ივლისის მონაცემი შარშანდელი ივლისის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, გაზრდილია. რა როლს ასრულებს ფულადი გზავნილები საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ცხოვრებაში და როგორ ახასიათებს ჩვენს ქვეყანას ის ფაქტი, რომ მთლიანი შიგა პროდუქტის, საშუალოდ, 8-12 პროცენტი ამგვარი გზავნილების იმედზეა, – ამ საკითხს ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე განგვიმარტავს.

– შეიძლება, ჩაითვალოს ეს მატება სასიკეთო ტენდენციად, მას შემდეგ, რაც მკვეთრად შემცირდა ფულადი გზავნილების მოცულობა ბოლო ორ წელიწადში? ახლა ვითარება სტაბილურდება თუ უბრალოდ, მცირეოდენი მატებაა მხოლოდ და სიტუაცია ძველებურად ჩამქრალ ტონებშია?

– თქვენს კითხვაში ვგრძნობ იმედს, ჩემგან იმის დადასტურებას, იქნებ ტენდენცია სასიკეთოდაა შეცვლილიო ციფრებით გიდასტურებთ და ვამართლებ თქვენს იმედს: გასულ წელთან შედარებით, გზავნილების დაახლოებით ათმილიონიანი ზრდაა (ივლისში საქა-

რთველოში გადმოგზავნილმა ფულადმა თანხებმა 100.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 2015 წლის ივლისის 91.3 მილიონი აშშ დოლარისა). მაგრამ უფრო ადრინდელ პერიოდებს რომ შევა-
დართოთ, ეს ციფრი სულაც არ არის რეკორდული. მაგალითად, ორი
წლის წინათ, 2014 წლის ივლისში ფულადი ტრანზაქციების მოცუ-
ლობა იყო 137 მილიონი დოლარი, 2013 წლის ივლისში – 136 მილი-
ონი. ჩვენი ძირითადი დონორი ფულად ტრანზაქციებში იყო და რჩე-
ბა რუსეთი. რუსეთის წილი, მართალია, შემცირდა, მაგრამ მაინც
მნიშვნელოვანია - 37 პროცენტზე მეტი. თუმცა, თუ ივლისში წელს
37-38 მილიონის ფარგლებშია რუსეთიდან ფულადი გზავნილების
მოცულობა, ორ წლის წინათ ეს ციფრი იყო 83 მილიონი, ანუ ორჯერ
უფრო მეტი. ამიტომ ძნელია იმის თქმა, რომ ახლა ძალიან კარგი მდ-
გომარეობა გვაქვს. **პიკური თვე**, როდესაც ფულადმა გზავნილებმა
ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, იყო 2014 წლის დეკემბერი. მაშინ
საზღვარგარეთიდან საქართველოში 154 მილიონი დოლარი გად-
მოირიცხა, მათ შორის რუსეთიდან - თითქმის 83 მილიონი. იმის
თქმა მინდა, რომ წლევეანდელი ივლისის მონაცემი გაფართხალებას
უფრო ჰგავს, ვიდრე რადიკალურ ცვლილებას, თუმცა ის ბოლო ორ-
წლიანი ტენდენცია, როდესაც ფულადი გზავნილების მოცულობა
მკვეთრად შემცირდა, დაძლეულია და ხეზე სამჯერ უნდა დავაკა-
კუნოთ: 100-მილიონიანი მაჩვენებელი გვაქვს და იმედია, მომდევნო
თვეებში სამნიშნაზე დაბალი რიცხვი აღარ იქნება.

**- რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემცირება მხოლოდ
რუსეთში არსებულ კრიზისს უკავშირდება თუ იქ ჩვენი თანამე-
მამულეების რაოდენობაც შემცირდა?**

- არა, სამწუხაროდ, ჩვენი მოქალაქეების რაოდენობა რუსეთის
ფედერაციაში არ შემცირებულა, მაგრამ რუბლის კურსის დაცემის
გამო, მათი რუბლებში მიღებული შემოსავალი, დოლარებში გა-
დაყვანით, გაცილებით ნაკლებია და, შესაბამისად, ფულადი გზა-
ვნილების ოდენობაც, რომლებიც, როგორც წესი, აშშ დოლარებ-

ში იანგარიშება, ამიტომაც შემცირებული. თუმცა, თუ 2000 წლის შემდგომ პერიოდს ავიღებთ, ზრდა თვალსაჩინოა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში შინამეურნეობათა შემოსავლებში საკმაოდ მაღალია ფულადი გზავნილების ოდენობა. 2000 წლის შემდეგ, დაახლოებით, 20-ჯერაა გაზრდილი ფულადი ტრანზაქციების რაოდენობა. თუ რეალურ განზომილებაში ავიღებთ და ინფლაციის ფაქტორს გავითვალისწინებთ, შესადარ ფასებში ამჟამად, 2000 წელთან შედარებით, უცხოეთიდან საქართველოში 9-ჯერ მეტი ფულადი ტრანზაქცია ხორციელდება. მეორე მხრივ, საგრძნობი ზრდა გვაქვს ფულადი ტრანზაქციების თანაფარდობისა მთლიან შიგა პროდუქტთან. - 2,1 პროცენტი იყო ამ საუკუნის დასაწყისში და ახლა გვაქვს 8 პროცენტი (ისე, წინა წლებში გვქონია უფრო მაღალი მაჩვენებელიც). რა თქმა უნდა, ყველა ოჯახიდან არ არიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასულები, მაგრამ, თუ ზოგადად ვილაპარაკებთ, ასევე, იზრდება ამ ფულადი ტრანზაქციების თანაფარდობა მოსახლეობის ფულად შემოსავლებთან და უკვე თითქმის 1/3-ის დონეზეა. „გაგიმხელთ“ იმასაც, რომ მოსახლეობის ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება მოსახლეობის მიერ საშემოსავლო გადასახადის სიდიდეს ბიუჯეტში.

– ქვეყნის შიგნით დასაქმებული მოსახლეობა რომ იხდის?

– დიახ, თითოეული ჩვენგანი რასაც იხდის ბიუჯეტში, ყველა ტიპის საშემოსავლო გადასახადის სახით, რადგან მხოლოდ ხელფასი რომ ავიღოთ, ხელფასის წილი საშემოსავლო გადასახადებში 70 პროცენტის ფარგლებშია. აქ კიდევ ერთი მომენტიცაა, რომელსაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, არადა მნიშვნელოვანია: ჩვენ ვსარგებლობთ ეროვნული ბანკის მონაცემებით, ეროვნული ბანკი კი აღრიცხავს ფულად ელექტროგზავნილებს, ფულად ოფიციალურ ტრანზაქციებს. იმაზე, თუ რამდენი შემოდის თუ გადის ქვეყნიდან, ანუ ჯიბით, ეროვნული ბანკი მრავლისმეტყველად დუმს. თუმცა მსოფლიო ბანკი აქვეყნებს ამ მონაცემს და ამბობს, რომ მთელი ფულადი

ტრანზაქციების მხოლოდ 70 პროცენტია ოფიციალური გზავნილები, დანარჩენი გადადის ხელით. ანუ საქართველოში გაცილებით მეტი თანხა შემოდის, ვიდრე ამას ეროვნული ბანკის სტატისტიკა აფიქსირებს.

– რის მიხედვით ადგენენ ამ მონაცემს?

– მსოფლიო ბანკი ყველა ქვეყანას აკვირდება სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით და საკუთარი მეთოდოლოგია აქვს. სხვათა შორის, სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების არქონის შემთხვევაში ეს ორგანიზაცია ელექტროენერჯის ფაქტობრივი მოხმარების დონითაც კი ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის შეფასებას. ერთი ხანობა, 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოში აღრიცხვიანობა მოწესრიგებული არ იყო. სწორედ ამ მეთოდით ანგარიშობდა მსოფლიო ბანკი ჩვენი ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტს. მოკლედ, მსოფლიო ბანკი სხვა, შეუდარებლად დიდი შესაძლებლობების მქონე ინსტიტუტი; სხვა „წონითი კატეგორიაა“ იგი მეთოდოლოგიის მხრივაც.

– და - მონაცემებზე ხელმისაწვდომობის მხრივაც.

– ერთი სიტყვით, ბოლო წლებში ფულადი ტრანზაქციები შემცირდა და არის კიდევ ერთი დამაფიქრებელი გარემოება: წლიდან წლამდე იზრდება საქართველოდან გასული, სხვა ქვეყნებში გადარიცხული თანხის მოცულობა. კერძოდ, თუ 2011 წელს ავიღებთ 100 პროცენტად, ბოლო ხუთ წელიწადში საქართველოდან განხორციელებული ფულადი ტრანზაქციები გაიზარდა 84 პროცენტით. ხოლო საქართველოში გახორციელებული ტრანზაქციები, პირიქით, შემცირდა 16 პროცენტით.

– პროცენტულად, თორემ წელიწადში შემოდის მილიარდზე მეტი და გადის ორას მილიონამდე. ესეც სხვადასხვა წონითი კატეგორიაა.

– გეთანხმებით, საქართველოში უფრო მეტი თანხა შემოდის, ვიდრე გადის. მაგრამ ყოველთვის ურად თუ გავიანგარიშებთ,

ვნახავთ, რომ 2011 წელს თვეში საქართველოდან საშუალოდ 8,4 მილიონი დოლარი გადიოდა, წელს – 15,5 მილიონი დოლარი. სხვაობა საგრძნობია.

– საქართველოდან საქართველოს მოქალაქეები უგზავნიან უმეტესად თანხას უცხოეთში მყოფ თავიანთი ოჯახის წევრებს თუ აფრიკისა და აზიის, ჩვენზე გაჭირვებული ქვეყნებიდან ჩამოსულები – თავიანთ ოჯახის წევრებს?

– ერთიცაა და მეორეც, მაგრამ რომელს რა პროცენტი აქვს, ამის თქმა შეუძლებელია. ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, რომ საქართველოდან დღეს უფრო მეტი თანხა გადის, ვიდრე ოდესმე და ეს პროცესი სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის ერთობლივ გადახდისუნარიან მოთხოვნაზე.

– გარდა იმისა, რომ ფულადი ტრანზაქციები ჩვენი თანამოქალაქეებისთვის შემოსავლის წყაროა და ამით სახელმწიფოს ათავისუფლებენ სოციალური ტვირთისგან, რომ ფულადი ტრანზაქციები მეტია ექსპორტით მიღებულ შემოსავალზე, რა დატვირთვა აქვს ქართული ეკონომიკისა და ქართული სახელმწიფოს სტაბილურობისთვის?

– ძალიან დიდი დატვირთვა აქვს. რაც მეტია ეს ფულადი ტრანზაქცია, მით მეტია მათი საინვესტიციო ბუნება: არა მარტო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება ქვეყანაში, არამედ კაპიტალური პროცესებისთვის, სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ბიზნესის განვითარებისთვის და ასე შემდეგ. ანუ, ფაქტობრივად, მათ გარეშე ჩვენი ბიზნესაქტიურობა გაცილებით მოკრძალებული იქნებოდა. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით, სხვა ქვეყნებიდან საქართველოში დაახლოებით, 400 მილიონი დოლარით ნაკლები ტრანზაქცია და 200 მილიონი დოლარით ნაკლები ინვესტიციაა განხორციელებული და მერე გვიკვირს, რატომ არის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მოკრძალებული?! ამდენად, ფულად ტრანზაქციებს, წმინდა სახის ინვესტიციებს რომ თავი დავანებოთ, თა-

ვად აქვს გრძელვადიანი საინვესტიციო და მაკროეკონომიკური ეფექტი. - ისინი, რაც მეტი იქნება, მით მაღალი იქნება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები და მეტი - სამუშაო ადგილები. სხვათა შორის, ანალოგიური პროცესებია ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში.

- ჩვენი ბიუჯეტი 8 მილიარდია და ფულადი ტრანზაქციები ყოველწლიურად ორ მილიარდზე მეტია. რა ტიპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი ფულადი გზავნილების ასეთი მაღალი მაჩვენებელი? პოსტსაბჭოთა სივრცის სენია თუ უბრალოდ, განვითარებადი ქვეყნების, იმისდა მიუხედავად, რა სივრცეში არიან?

- რაც დაბალგანვითარებულია ქვეყანა, მით მაღალი წილი აქვს ფულად ტრანზაქციებს ამ ქვეყნის ეკონომიკაში. თუ ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერია, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის რაოდენობას ვგულისხმობ, იქ ნაკლები დამოკიდებულებაა ფულად ტრანზაქციებზე. ჩვენს მეზობელ თურქეთში მილიარდ დოლარზე ნაკლებია ფულადი ტრანზაქციების მოცულობა, მაშინ, როდესაც 2000 წელს ოთხ მილიარდზე მეტს იღებდა. დღეს კი არ არსებობს იმის ეკონომიკური აუცილებლობა, რომ თურქმა მუშამ ქვეყნის გარეთ ეძებოს სამსახური. თუმცა დღეს საკმაოდ ბევრი თურქი ცხოვრობს დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ისინი დედანუღიანად წავიდნენ და ნაკლებად აქვთ ეკონომიკური კავშირები ისტორიულ სამშობლოსთან. ჩვენთან კი, როგორც გითხარით, ფულადი ტრანზაქციების წილი საკმაოდ მაღალია და თუ მარტო ეროვნული ბანკის მონაცემებს დავეყრდნობით, მთლიანი შიგა პროდუქტის 8 პროცენტამდეა. თუ იმასაც დავუმატებთ, რაც ჯიბეებით შემოდის, ეს მონაცემი შესაძლოა, 12 პროცენტამდე გაიზარდოს.

- რატომ ლიდერობს რუსეთი ფულადი ტრანზაქციების ჩამონათვალში? იმიტომ რომ, იქ ყველაზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს?

– ლიდერობს, მაგრამ მცირდება მისი წილი. იყო დრო, 2006 წელს, როდესაც რუსეთის წილად ტრანზაქციების საერთო რაოდენობის 70 პროცენტამდე მოდიოდა. ახლა, თანდათანობით მცირდება და დავიდა 37 პროცენტამდე და, ალბათ, კიდევ შემცირდება. ფართო-ვდება ჩვენი თანამოქალაქეების შრომითი მიგრაციის მარშრუტები და გეოგრაფია. ისინი მყარად იკიდებენ ფეხს იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამის გამო რუსეთის წილი ძალაუნებურად შემცირდება.

– **ამბობენ, რომ რუსეთში მილიონამდე ჩვენი თანამემამულეა, ეს შეფასება რეალობასთან ახლოსაა?**

– ბოლო აღწერით, რომელიც სამი წლის წინათ ჩატარდა რუსეთში, 156 ათასმა ადამიანმა განაცხადა, რომ ეთნიკურად ქართველია, მაგრამ, იმავდროულად, ამ აღწერის დროს, ორ მილიონზე მეტმა ადამიანმა არ მიუთითა თავისი ეთნიკური კუთვნილება და მოქალაქეობა. ამდენად, იმის იმედად ყოფნა, რომ მათი ნახევარი მაინც ქართველია, გადაჭარბებულია. წინა აღწერასთან შედარებით, რომელიც 2002 წელს ჩატარდა, ქართველების რაოდენობა ოფიციალურად არათუ გაიზარდა, შემცირდა.

– **ფულადი ტრანზაქციების ოდენობით შეიძლება, ითქვას, რამდენი ადამიანია გასული ქვეყნიდან?**

– გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისთან შედარებით, ჩვენი მოსახლეობა, დაახლოებით, მილიონ 800 ათასი ადამიანითაა შემცირებული. მაგრამ ამ 1.8 მილიონში შედიან ის ადამიანებიც, რომლებიც 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ: ბერძნები – საბერძნეთში, სლავები, ზოგადად – თავიანთ სახელმწიფოებში და მათ შრომით მიგრანტებს ვერ მივაკუთვნებთ, რადგან არანაირი ვალდებულება არ აქვთ, საქართველოში გადმოეგზავნათ ფული. 1989 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში 400 ათასამდე რუსი ცხოვრობდა, დღეს კი მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ზოგადად, ქა-

რთველთა რაოდენობა, რომლებიც შეიძლება, ჩაითვალოს შრომით მიგრანტებად, 800 ათასიდან ერთ მილიონამდეა (დანარჩენები ქვეყნიდან სასწავლებლად, სამკურნალოდ და სხვა მიზეზების გამო არიან წასულები). მათ წილად მოდის ეს ფულადი გზავნილები. თუმცა, ზოგი ახერხებს გამოგზავნას, ზოგი კი - ვერა. ასევე, სამწუხარო რეალობაა, რომ ჩვენი თანამემამულეების ნაწილი უცხოეთში არასამართლებრივი გზით ცდილობს ქონებისა და შემოსავლის დაუფლებას. და კიდევ, ჩვენი საუბრის თემატიკის კონტექსტში არ შემიძლია არ ვახსენო კიდევ ერთი მონაცემი: მსოფლიო მიგრაციის ისტორია და შესაბამისი სტატისტიკა მოწმობს, რომ შრომითი მიგრანტების არანაკლებ 50 პროცენტი, როგორც წესი, აღარ ბრუნდება თავის სამშობლოში. ეს ნიშნავს, რომ საქართველოსთვის დაკარგულია 400-500 ათასი ადამიანი. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველო შეძლებს ისეთი ეკონომიკური მოდელის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების მასობრივ შექმნას და უმუშევრობის შემცირებას. ასეთი ეკონომიკური მოდელის ფორმირების შემთხვევაში არა მხოლოდ შრომითი მიგრანტები დაუბრუნდებიან თავიანთ სამშობლოს, არამედ გაჩნდება მყარი, გრძელვადიანი მოთხოვნა დამატებით, მათ შორის საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის უცხოელ სამუშაო ძალაზე.

**რატომ უხდის საქართველოს მოსახლეობა
„თელასს“ ყოველწლიურად
ზედმატ 211 მილიონ ლარამდე თანხას
№43,16-22.10. 2016**

მართალია, ელექტროენერჯის პრობლემა ზაფხულშიცაა აქტუალური, თუმცა ზამთარში – გაცილებით, მით უფრო, რომ საფეხურებრივი ტარიფი მყიფე ზღვარს ავლებს საფეხურებს შორის და არავინ იცის დაზუსტებით, მართლაც, 102 და 302 კილოვატი დახარჯა თუ თავის საფეხურს არ გასცდენია?! უფრო მეტიც, ბუნდოვანია ჩვენების აღების მეთოდიკაც, რაც კაბალური საფეხურებრივი ტარიფის არსებობის პირობებში, „თელასს“ იმაზე მეტი შემოსავლის მიღების საშუალებას აძლევს, ვიდრე მისი მომსახურება იმსახურებს. თუ რატომ? ამის შესახებ ეკონომიკის ექსპერტი, **იოსებ არჩვაძე** გვესაუბრება.

– რა განსხვავებაა იმ ელექტროენერჯიას შორის, რომელსაც 101 კილოვატამდე მოვიხმართ და რომელსაც 103 კილოვატზე მოვიხმართ?

– ქართულ მახვილსიტყვიერებას თუ მოვიხმობთ, ძაღლის თავიც მანდაა დამარხული. დავიწყით იმით, რომ საქართველოში მაღალი წილი უჭირავს განახლებად ენერჯიას, ანუ ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებულ ელექტროენერჯიას. მაგალითად, ევროკავშირში ეს მაჩვენებელი 10 პროცენტია, ჩვენთან – 80 პროცენტს აღწევს. ეს ნიშნავს, რომ ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ენერჯია გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე თბოელექტროსადგურებში წარმოებული. მეორე – ჩვენთან დენისა და გაზის საშუალო ტარიფი საკმაოდ დაბალია მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით. მაგალითად, ევროკავშირთან შედარებით 3,5-ჯერაა დაბალი დენის ტარიფი, გაზის კი – თითქმის 4-ჯერ.

– **გაცილებით მეტჯერაა დაბალი პენსია და საშუალო ხელფასი.**

– დამასწარმით, შემოსავლების დონე ათჯერ უფრო დაბალია. ამიტომ, საშუალოდ, ჩვენი მოქალაქის მყიდველობითუნარიანობა შესაბამისი კატეგორიის ევროპულ მოქალაქესთან შედარებით, 3-3,5-ჯერ უფრო დაბალია. უკვე დაინყო ლაპარაკი, რომ, რადგან იზრდება თბოელექტროსადგურებში წარმოებული ენერჯის წილი, ღირს დაფიქრება ელექტროენერჯის ტარიფის გადასინჯვაზე.

– **კიდევ იგეგმება გაძვირება?**

– ჯერჯერობით რიტორიკულ კონტექსტში განიხილება ეს საკითხი, მაგრამ, როგორც სახარებაშია ნათქვამი, დასაბამიდან იყო სიტყვა. ამიტომ ვისაუბროთ სამსაფეხურიანი ტარიფის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია ის და ამის შემდეგ, რამდენად სამართლიანი იქნება მისი კიდევ უფრო გაზრდა. საქონელი ბაზარზე უნდა იყიდებოდეს მასზე განეული ხარჯების მიხედვით. ტარიფი შეიძლება, იყოს პროპორციული: რამდენ საქონელსაც ყიდულობ, იმდენს იხდი; პროგრესული: თუ დამატებითი საქონლის ყიდვა გინდა, დამატებით უნდა გადაიხადო. ჩვენთან კი ტარიფი არც პროგრესულია და არც პროპორციული. რეგრესული ვარიანტი ხომ საერთოდ არ განიხილება...

– **რაც მეტს ყიდულობ, უფრო რომ გიკლებენ ერთეულის ფასს?**

– ეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპია, რაც მეტს ყიდულობ, მეტი შეღავათია და შეიძლება, ერთეული საქონლის ღირებულება, ამ მიზეზით, უფრო ნაკლები გიჯდებოდეთ. შევთანხმდეთ, რომ ჩვენი სისტემა არც პროგრესულია, არც რეგრესული და არც პროპორციული. მე ამას დავარქმევდი რეპრესიულს და რატომ: თუ თქვენ 102 კილოვატ-საათამდე ელექტროენერჯიას მოიხმართ, ერთი კილოვატ-საათის ტარიფი არის 12,980 თეთრი; თუ 101-დან 301-ის ჩათვლით მოიხმართ – 16,992 თეთრი და, თუ ღამით ტელევიზორის გამორთვა ვერ მოასწარმით ან ნათურა დაგრჩათ ანთებული, რის გამოც

301 კილოვატს გადასცდა თქვენი მოხმარება, უკვე თქვენ მიერ მოხმარებული – 1-დან 301-ის ჩათვლით – თითოეული კილოვატი დაგიჯდებათ 21,476 თეთრი. მაგალითად: თუ 101 კილოვატ-საათი მოიხმარეთ, და ეტევიტ პირველ საფეხურში, გადასახდელი გექნებათ 13 ლარი და 11 თეთრი – 101 გამრავლებული პირველი საფეხურის ტარიფის ღირებულებაზე; ხოლო, თუ ერთი კილოვატი გადაგიცდათ და 102 კილოვატი მოიხმარეთ, უკვე მოგიწევთ მეორე საფეხურის ტარიფით გადახდა და გამოდის ზედმეტად გადასახდელი 4 ლარი და 22 თეთრი. მე ამას დავარქმევდი „ოქროს კილოვატს“, იმიტომ რომ, ფაქტობრივად, ერთი კილოვატის წონა შეაგენს 4 ლარსა და 22 თეთრს; შემდეგ, ვთქვათ, თუ გაზარდეთ მოხმარება 301 კილოვატის ჩათვლით, თქვენი ტარიფია 15 ლარი და 15 თეთრი, მაგრამ, საკმარისია, 302 კილოვატი მოიხმაროთ, რომ უკვე იმ ერთი კილოვატის გამო იხდით 13 ლარითა და 71 თეთრით მეტს. ანუ ეს არის იმ 302-ე კილოვატის ფასი. ესე იგი, საკრალური დატვირთვა აქვს ყოველ 102-ე და 302-ე კილოვატ-საათს.

– თუმცა არანაკლებ გულდასაწყვეტია 205-ე და 306-ე კილოვატებიც?

– რა თქმა უნდა, უბრალოდ, თვისებრივი გადასვლა ხდება 102-სა და 302 კილოვატზე. ხომ არსებობს სიმბოლური საზღვრები ევროპასა და აზიას შორის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის და ჩვენთვის გრინვიჩის მერიდიანული დატვირთვა აქვს 102-ე და 302-ე კილოვატ-საათებს, რაც გვიზრდის ელექტროენერჯიის საფასურს – ერთ შემთხვევაში 5 ლარით, მეორე შემთხვევაში – თითქმის 14 ლარით. ამიტომ ვფიქრობ, ლაპარაკი სამართლიანობაზე ზედმეტია. მართალია, ელექტროენერჯიის დეფიციტია და სახელმწიფოს აქვს უფლება, რომ გარკვეულწილად, შეზღუდოს მოხმარება და იზრუნოს მოხმარების შეზღუდვის სტიმულირებაზე, მაგრამ იყოს პროგრესული გადასახადი: 102 კილოვატამდე მოხმარებულზე გადამახდევინე პირველი საფეხურის ტარიფით, 102-დან დახარჯულზე

კი – მეორე საფეხურის ტარიფით, ანუ რაც გადავაცილე; ასევე, 301 კილოვატ-საათის ზემოთ გადამახდევინე მესამე საფეხურის ტარიფით. თუ 302 კილოვატს მოვიხმარ, ყველაფერს ნუ გადამახდევინებ მესამე, ყველაზე მაღალი საფეხურის ტარიფით.

– ეს წინადადება დაისვა ან მაშინ, ან მერე? შეუძლებელია, დამტკიცდეს, რომ ეს ადამიანის უფლებების დარღვევა და მომხმარებლის დისკრიმინაციაა?

– მომხმარებლის უფლებების დაცვაზე უნდა იყოს აქცენტი და, ალბათ, ომბუდსმენი უნდა დაინტერესდეს ამ საკითხით. მაგრამ, როგორც ჩანს, მოსახლეობასა და ინსტიტუციებს იმდენად აქვთ გამჯდარი შიში ჩაბნელებული ქალაქის, ლეგენდარული მეცხრე ბლოკის, რომ ოღონდ შუქი იყოს და ტარიფს აღარ დაგიდევნ. თუმცა ამ დროს აშკარაა სოციალური უსამართლობა. მოსახლეობა თავისი ჯიბიდან იხდის გაცილებით მეტს. თითოეული შინამეურნეობა, საშუალოდ, მოიხმარს 450 კილოვატ-საათ ელექტროენერგიას და თუ ამ 450 კილოვატიდან ამოვალთ, თითოეული ოჯახი ამ რეპრესიული ტარიფის გამო წელიწადში ზედმეტ 201 ლარსა და 60 თეთრს იხდის ერთ შინა მეურნეობაზე. საქართველოში მილიონზე მეტი შინა მეურნეობაა. ავიღოთ საშუალოდ მილიონი, გამოდის, საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად საჯარიმო ტარიფის გამო დამატებით თითქმის 211 მილიონ ლარს იხდის. რატომ? ეს არის მნიშვნელოვანი პრობლემა და მოითხოვს განსჯას. ეს აშკარად სოციალური დისკრიმინაციაა და ენერგეტიკის სფეროში ჩართულ ინსტიტუტებს აძლევს დაუსაბუთებელი, არაარგუმენტირებული შემოსავლის წყაროს.

– ეს 30 დღის ტარიფია, სად არის იმის გარანტია, რომ არ უმატებენ? ვინ ამოწმებს, როდის იღებენ ჩვენებას „თელასის“ თანამშრომლები?

– მაგალითად, თუ მოვიდა 30 მარტს და შემდეგ ოთხი კვირის თავზე, 28 დღის შემდეგ, აიღო ჩვენება და მრიცხველმა აჩვენა 98

კილოვატი, ანგარიშობენ საშუალო სადღეღამისო მოხმარებას და მიღებულ რიცხვს ამრავლებენ 30-ზე და არ ითვალისწინებენ, იმ ორი დღის განმავლობაში გქონდა თუ არა ჩართული რამე. შესაბამისად, მოხმარებული ელექტროენერგია დაანგარიშდება, როგორც 101 კილოვატზე მეტი და მოგინევთ არა 12 ლარისა და 72 თეთრის, არამედ 4 ლარით მეტის გადახდა. ამ წესით ანგარიშობენ და სულ არ არის სავალდებულო, რომ მრიცხველის ნახვებს შორის 30 კალენდარული დღე იყოს გასული.

– **ანუ იმთავითვეა აღიარებული, რომ „თელასმა“ იმაზე მეტი შემოსავალი უნდა მიიღოს, ვიდრე აბონენტი დახარჯავს?**

– რა თქმა უნდა. შეიძლება, გახვედით ქალაქიდან ორი კვირით, მაგრამ მეორე თვეში იქნება ეს გათვალისწინებული.

– **მე შეიძლება, არა ორი კვირით, არამედ სამი დღით გავედი?**

– სასწორის პინაზე რომ მოვათავსოთ მომხმარებელთა უფლებები და მოვალეობები, მწარმოებელთა სასარგებლოდაა, მომხმარებლების უფლებები შევიწროებულია და მათ მიმართ დისკრიმინაციული მიდგომაა.

– **სასამართლოში ჩივილიც არ უშველის ამ პრობლემას?**

– სემეკმა უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და მომხმარებლის უფლებები აღადგინოს. ის არის მარეგულირებელი კომისია და მარეგულირებელი კომისიის წევრთა ხელფასები დიდწილად დამოკიდებულია იმ ანარიცხებზე, რასაც ენერგეტიკის სექტორი იღებს ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურებიდან. გარკვეული კოეფიციენტით ირიცხება თანხები და რაც მეტი აქვთ შემოსავალი, მით მეტია კომისიის თანამშრომლების ხელფასისთვის გადასარიცხი თანხა.

– **ანუ ის კომპანიები ურიცხავენ, რომლებსაც ტარიფს უწესებს კომისია?**

– თავის დროზე ეს გაკეთდა იმიტომ, რომ დამოუკიდებლები ყოფილიყვნენ და სახელმწიფოს გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყვნენ.

მაგრამ მაშინ არც მოსამართლეებს უნდა მივცეთ ხელფასი ბიუჯეტიდან.

- არც პროკურორებს.

- საერთოდ, არც ძალოვნებს. ჩემი აზრით, ეს ვითარება უნდა გამოსწორდეს. არ ვიცი, რამდენი იქნება ტარიფი, მაგრამ ეს რეპრესიული სამსაფეხურიანი ტარიფი არ შეიძლება, იყოს. ამას გარდა, შეიძლებოდა ნაბიჯების გადადგმა, რომ რაციონალურად გამოგვეყენებინა რესურსი. ბევრ ქვეყანაში და, მათ შორის, ჩვენს მეზობელ სომხეთშიც არის დღისა და ღამის ტარიფი. ღამის ტარიფი 30-40 პროცენტით იაფია.

- სომხეთშიც კი?!

- დიახ. შესაბამისად, დიასახლისმა დაზოგვის მიზნით, შესაძლოა, საჭმელი მოამზადოს ღამით, ასევე, ღამით ამუშაოს სარეცხი მანქანა, აუთოს. ასევე, შესაძლებელია სხვა ღონისძიებების გატარებაც. ჩვენთან ელექტროენერჯის შიდა მიწოდება იზერება დამატებული ღირებულების გადასახადით, ელექტროენერჯის ექსპორტი კი გათავისუფლებულია გადასახადისგან. ვფიქრობ, უნდა შებრუნდეს ეს პრინციპი და პირიქით უნდა მოვიქცეთ: მოსაკრებელი დავანესოთ ელექტროენერჯის ექსპორტზე, მაგრამ შიდა მიწოდება გავათავისუფლოთ დამატებული ღირებულების გადასახადისგან. ეს ნიშნავს, რომ გაიაფდება ელექტროენერჯია ჩვენი ეკონომიკის რეალური და მომსახურების სექტორისთვის. იაფი ენერჯის წყარო ნიშნავს საქონლის გაიაფებას, თვითღირებულების შემცირებასა და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ესე იგი, ჩვენ უნდა მოვახდინოთ შედარებით იაფი ელექტროენერჯით წარმოებული საქონლის ექსპორტი, ნაცვლად იმისა, რომ მოვახდინოთ იაფი ელექტროენერჯის ექსპორტი. ეს გაცილებით მეტ სამუშაო ადგილს შექმნის; და კიდევ ერთი მომენტი, რასაც ჩვენთან ჯერჯერობით არ აქცევენ ყურადღებას, თუმცა ცივილიზებულ ქვეყნებში აპრობირებულია: განსხვავებული ტარიფი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისა და

მომხმარებლის სხვადასხვა კატეგორიისთვის. მაგალითად, აშშ-ში მრეწველობისთვის დენის ტარიფი შეადგენს მოსახლეობისთვის არსებული ტარიფის 60 პროცენტს, ანუ ამერიკაში მრეწველობისთვის ტარიფი 40 პროცენტით იაფია, ტრანსპორტისთვის - 20 პროცენტით, ვაჭრობაში - 15 პროცენტით.

– იმ ლოგიკით, რომ ეს მაინც მოსახლეობის ჯიბეზე აისახება?

– ჩვენთან მოსახლეობისთვის ნაკლები ტარიფის დაწესება მოდის გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და ამას მოჰყვა ის, რომ ტარიფის აწევა მოუწიათ იურიდიული პირებისთვის, რამაც მათი პროდუქცია გააძვირა. ეს პროდუქცია არაკონკურენტუნარიანი გახდა და იქ დასაქმებული ადამიანები დარჩნენ უმუშევრები ან ხელფასს ვერ იღებდნენ. ამდენად, აქაც უნდა შევცვალოთ მიდგომა: ჯობია, ტარიფი მოსახლეობისთვის იყოს მაღალი და წარმოებას იაფად მივანოდოთ ელექტროენერგია, რომ გავზარდოთ ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ისევე, როგორც შესაცვლელია დღეს-ს პრინციპი ელექტროენერგიის ექსპორტთან და შიდა მიწოდებასთან მიმართებით.

**რატომ იყენებენ საქართველოში
ბავშვთა შრომას შავი და სახიფათო
სამუშაოებისთვის**

№45, 7-13.11.2016,

„საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში 5-დან 17 წლამდე ასაკის 577 200 ბავშვია და, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მათი 4,2 პროცენტი, ანუ 24 ათასზე მეტი ბავშვი, ბავშვთა შრომაშია ჩართული. ბავშვთა შრომა ისეთ შრომას ეწოდება, რომელიც ბავშვებს ართმევს ბავშვობას და მავნეა მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის. აღმოჩნდა, რომ ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების 64 პროცენტამდე, ასეთი კი 16 ათასამდეა, სახიფათო შრომაშია ჩართული: მათი უმრავლესობა (9 ათასი ბავშვი) ღამის საათებში მუშაობს, 5 500 – სახიფათო გარემოში, ხოლო 4 700 – სახიფათო ინსტრუმენტების, მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების გამოყენებით ან ატარებს მძიმე ტვირთს. ირკვევა, რომ სახიფათო შრომაში ჩართულია დასაქმებული ბიჭების 67,4 პროცენტი და გოგონების 51,4 პროცენტი. რატომ აღმოჩნდნენ ბავშვები ასეთ მძიმე მდგომარეობაში და რაზე მიუთითებს ეს სტატისტიკა, – თემას ეკონომიკის ექსპერტ **იოსებ არჩვაძესთან** ერთად განვიხილავთ.

– 4,2 პროცენტი თითქოს არც თუ დიდი მაჩვენებელია, მაგრამ 24 ათასი ბავშვი მაინც შთამბეჭდავი და დამთრგუნველი რაოდენობაა. რატომ გაიმეტეს ისინი ასეთი მძიმე ყოფისთვის?

– ამ საკითხსაც ორი ასპექტით უნდა შევხედოთ: შრომა, როგორც აღმზრდელობითი საშუალება და თერაპია, როგორც პიროვნებად ფორმირების საშუალება და შრომა, როგორც მკაცრი იძულებითი ეკონომიკური ფორმა, როდესაც ოჯახის სხვა ასაკოვან წევრებს არ აქვთ საკმარისი შემოსავალი, რომ უზრუნველყონ ოჯახის წევრები შესაბამისი კეთილდღეობით და ამიტომ სასკოლო ასაკის ბავშვები,

17 წლამდე მოზარდები, იძულებულები არიან, ჩაერთონ შრომით საქმიანობაში. მეორე – მიაქციეთ ყურადღება: ეს კვლევა ჩატარდა საქართველოს შინამეურნეობებში, ანუ ოჯახის ფორმით მცხოვრებთა პირველად ელემენტარულ სტრუქტურულ ერთეულებში, მაგრამ ამ კვლევამ ვერ მოიცვა და ვერც მოიცავდა იმ ბავშვებს, რომლებიც არიან ამ სოციალური ინსტიტუციის მიღმა.

– ეგრეთ წოდებულ ქუჩის ბავშვებს გულისხმობთ?

– ის გაცილებით ნელი მოქმედების ნაღმია და საზოგადოებამ მათაც უნდა მიაქციოს ყურადღება; სხვათა შორის, საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ქუჩის ბავშვების გამოკვლევა. საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა, იმდენად, რომ, როდესაც ვნახე ის დოკუმენტი, გავიფიქრე, კვლევაზე გამოყოფილი თანხა რომ ქუჩის ბავშვებს მოხმარებოდა, ეს პრობლემა გადაიჭრებოდა. დაახლოებით, 250 ათასი ამერიკული დოლარი დაჯდა ის კვლევა. ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს და ის, უპირველესად, უკავშირდება არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობას. რაც უფრო მძიმე მდგომარეობაშია ქვეყანა, მით მეტია ალბათობა, რომ მისი მოზარდი თაობის წარმომადგენლები ან „გავროშებად“ დარჩნენ, ან სათანადოდ ვერ დაუთმონ დრო სწავლა-განათლებას და ჩამორჩნენ განვითარებაში. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მარგინალიზაციას.

– ჩვენ ისედაც მცირერიცხოვანი, თანაც, დაბერებული ერი ვართ, ცოტა მოზარდი გვყავს და თუ მათი ნაწილი ვერც კი ვითარდება, სახელმწიფოს განვითარების რესურსი არ გვექნება, სხვას რომ თავი დავანებოთ. ან ტერიტორიები რად გვინდა, თუ არც იქ დასასახლებელი გვეყოლა და არც იმ ტერიტორიების განვითარების ადამიანური რესურსი?

– არ მინდა პათეტიკის ელემენტის შემოტანა, მაგრამ ზუსტად შეესაბამება აღნიშნულ თემას ჯანსუღ ჩარკვიანის ნათქვამი: „საქა-

რთველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!“ ამიტომ სახელმ-
ნიფომ უნდა იზრუნოს არა მხოლოდ ეკონომიკის ზრდის ტემპების
დაჩქარებაზე, არამედ მისი მომავლის, ახალგაზრდა და მოზარდი
თაობის უკეთ აღზრდასა და მათ სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამ-
ოყალიბებაზე.

არის საინტერესო მონაცემები და რამდენიმეს გაგაცნობთ:
ოჯახებში ბავშვების 60 პროცენტი ამა თუ იმ ფორმით ეხმარება
ოჯახის წევრებს საშინაო საქმიანობაში: დასუფთავება-დალაგება,
სუპერმარკეტში სიარული. თან, ეს აქტიურობა სოფელ ადგილებში
უფრო მაღალია, გასაგები მიზეზების გამო: სოფლად აგროსასურ-
სათო პროდუქციის წარმოებით, შენახვითა და დაბინავებითაც არი-
ან დაკავებულნი. თუმცა არის კიდევ ერთი მომენტი: იმ ბავშვების,
რომლებიც მხოლოდ ოჯახებში არიან დასაქმებულნი, რომლებსაც
რალაცას დაავალდებენ და ისინი ასრულებენ, შრომის ხანგრძლივო-
ბა ათჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ ბავშვების, რომლებიც ოჯახ-
ებს გარეთ მუშაობენ. ბავშვი სახლში მუშაობისას კვირაში, დაახ-
ლოებით, სამ საათს ხარჯავს, ხოლო დაქირავებით დასაქმებული
ბავშვების სამუშაო კვირის ხანგრძლივობა კი 28 საათს შეადგენს.
ეს 28 საათი არის სრულასაკოვანი ადამიანის ნორმალური სამუშაო
კვირის ხანგრძლივობის 70 პროცენტი. ესე იგი, საკმაოდ ინტენსიურ
დატვირთვას განიცდიან შრომით საქმიანობაში ჩართული ბავშვე-
ბი. რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას: ორმაგი დამოკიდებულე-
ბაა, დასაქმებული ბავშვების მხოლოდ 12,4 პროცენტი იღებს შემო-
სავალს და მათ მიერ ხელზე აღებული თანხა შეადგენს 174 ლარს.
იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნულ ეკონომიკაში დარიცხული
ხელფასი 900 ლარია, ბავშვების საშუალო ყოველთვიური ხელფასი
უფროსი ასაკის ადამიანების საშუალო ხელფასის 24 პროცენტია;
ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვების სამუშაო დრო ნაკ-
ლებია, ვიდრე უფროსების, ეს მაჩვენებელი გამოდის, დაახლოებით,
35 პროცენტი. ანუ ბავშვი დროის შესაბამის ერთეულში უფროსი

ადამიანის ხელფასის 35 პროცენტს იღებს. გენდერულ ასპექტში განსხვავება შედარებით დაბალია: მართალია, ვაჟები მეტს იღებენ, ვიდრე გოგონები, მაგრამ გოგონების საშუალო ხელფასი ვაჟებთან შედარებით 89 პროცენტია, მაშინ, როდესაც ზრდასრულ მოსახლეობაში ეს თანაფარდობა მხოლოდ 63 პროცენტია. ერთი პოზიტივიც არის, თუ ამ თემაზე საუბრისას რამე პოზიტიურზე შეიძლება ლაპარაკი, მცირედია განსხვავება გოგონებისა და ვაჟების ანაზღაურებას შორის. შესაძლოა, უფრო რთული სამუშაო პირობების გამო ვაჟების შრომა მეტად ფასობს.

– მხოლოდ დამქირავებლის კისერზეა ის, რომ ბავშვებს, უფროსებთან შედარებით, ცოტას უხდიან შესრულებულ სამუშაოში?

– ბაზარი განსაზღვრავს მოთხოვნა-მიწოდებას. ადრე უფრო მეტი ბავშვი მუშაობდა ბენზინგასამართ სადგურებზე, მათ „ჩაის“ ფულსაც აძლევდნენ. მართალია, წინა კვლევა 15 წლის წინათ ჩატარდა, მაგრამ წინა აღწერასთან შედარებით, რამდენადმე შემცირდა ეკონომიკურად აქტიური ბავშვების რაოდენობა; იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ, საქმიანობენ ოჯახში ან ეძებენ სამსახურს, თითქმის 4-ჯერაა შემცირებული. ეს, უდავოდ, პოზიტივია. ასევე, შემცირებულია ბავშვების მთლიან რაოდენობაში იმ სასკოლო ასაკის ბავშვების წილი, რომლებიც არ სწავლობენ. დაახლოებით 15-20 წლის წინათ ეს მაჩვენებელი იყო 5 პროცენტი, დღეს 2 პროცენტია.

– 12 000 ბავშვი გამოდის. მაინც ბევრია.

– დიახ, ბევრია და კიდევ ერთიც: 7 წელს გადაცილებული 350 ბავშვი გამოვლინდა, რომლებიც სკოლაში ერთხელაც არ წასულან, ანუ ეს პრობლემაც დგას. ხოლო, ვინც ადრე სწავლობდა და თავი დაანება, მათი რაოდენობა, დაახლოებით, 12 000-ა.

– გამოდის, რომ შრომაში ჩაბმული ბავშვების ნახევარი მაინც სწავლობს.

– ნაწილი სწავლობს, ნაწილი – არა, მაგრამ მათი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი შრომას ეთმობა. ვინც მხოლოდ სწავლობს, ისინიც კი ზარმაცობენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვი კვირაში 17-18 საათს საქმიანობს, მან როგორ უნდა ისწავლოს?! ბაკალავრიატის სტუდენტებიც არიან, რომლებსაც ღამის ცვლაში უწევთ მუშაობა და პავკა კორჩაგინივით ჩამოეძინებათ ხოლმე ლექციაზე. თუმცა ისინი 19-20 წლისანი არიან და ბავშვებად არ ითვლებიან.

– **მაგრამ ჩვენთან დიდი სხვაობა არაა 17-სა და 18 წლისანებს შორის. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2 პროცენტს არ აღემატებაო. ჩვენთან 4,2 პროცენტია. როგორ გვახასიათებს, განვითარების რა სტადიაში ვართ? თუმცა, ვფიქრობ, ერთი ბავშვიც რომ იყოს, რომელიც იძულებულია, მავნე და სახიფათო გარემოში იმუშაოს, ტრაგედია და კატასტროფაა.**

– ეს დაკავშირებულია ეკონომიკურ პრობლემებთან. თან, ეს კვლევა არ მოიცავს ისეთ მძიმე მაჩვენებელს, როდესაც ბავშვებს იყენებენ ქურდობის, მანანწალობის, მათხოვრობის, პროსტიტუციის მიზნით. ეს კიდევ დამატებით კვლევას საჭიროებს, რადგან, რეალურად, მძიმე სოციალურ ფონში მოხვედრილი ბავშვების რაოდენობა გაცილებით მეტია და პრობლემა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ კვლევაში ჩანს. მაგრამ ამ კვლევამაც საკმაოდ ბევრი დამაფიქრებელი აქცენტი გააკეთა.

– **არ მინდა, განვსაჯო, თუმცა საინტერესოა ამ ბავშვების ოჯახის წევრების მოტივაცია. რა თანხა შემოაქვს ისეთი ბავშვს, რომ ღირდეს მისი მომავლის სრულ დასამარებად?**

– რაც უფრო დაბალშემოსავლიანია ოჯახი, მით უფრო მაღალი წილი უჭირავს ბავშვის მიერ შემოტანილ შემოსავალს. ვახსენე შემოსავალი 173 ლარი. გვყავს ოჯახები, რომელთა შემოსავალი 200-250 ლარს არ აღემატება და ეს 173 ლარი, ფაქტობრივად, აორმაგებს იმ ოჯახის შემოსავალს და დიდწილად ბავშვები არიან არათუ ძირითადი, ერთადერთი შემომტანებიც კი ოჯახში.

- სახიფათო გარემოში ჩვენს კანონმდებლობაში მხოლოდ ჩანანერია, ნორმებიც კი არ არის დადგენილი. ბავშვებს მავნე და სახიფათო გარემოში რატომ ამუშავებენ, ეს ტენდენციაა თუ, რადგან მათ არ აქვთ განათლება, პროფესია, შავ სამუშაოს ასრულებინებენ?

- ძირითადად, შავ სამუშაოებზე იყენებენ ბავშვებს და ეს სახიფათო შრომა, მაინცდამაინც, ამნის ქვეშ მუშაობას არ გულისხმობს. – შესაძლოა, საქმიანობის ცივილიზებული ფორმა იყოს, მაგრამ ბავშვს უწევდეს მძიმე ტვირთის გადაადგილება; შეიძლება, უწევდეს ღამის საათებში ხანგრძლივად მუშაობა ან ისეთ გარემოში, რომელშიც შესაძლოა, მის მიმართ დამატებითი ძალადობისა და დაშინების ფორმებს იყენებდნენ, როგორც სოციალურად და ფიზიკურად შედარებით დაუცველის მიმართ. იმას აღარ ვამბობ, რომ სამუშაო პირობები შეიძლება, იყოს არაჯანსაღი: ხმაური, მტვერი, კვამლი, ზომბაზე მეტი სიცივე ან სიცხე; მუშაობა მინის ქვეშ ან დიდ სიმაღლეზე. ესეც დამატებით პრობლემებს ქმნის. ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან და მტკივნეულად რეაგირებენ უფროსის, ხელმძღვანელის, „პრარაბი“ იქნება თუ შეფ-მზარეული, მუდმივ შენიშვნებზე, ყვირილზე, შეურაცხყოფაზე, დამაკნინებელ მიმართვებზე. ასევე, დამქირავებელმა შეიძლება, ისარგებლოს მათი დაუცველი მდგომარეობით მათზე ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მიზნით.

- კანონი არ არეგულირებს ბავშვთა შრომას? შეიძლება, ბავშვების მძიმე სამუშაოზე დასაქმება?

- არ შეიძლება. მაგრამ ხშირად ეს არაფორმალური გარიგების საფუძველზე ხდება და უსაფრთხოების ზომების დაცვის გარეშე.

- ბავშვი სრულიად დაუცველია თავის ამ კანონგარეშე შრომით საქმიანობაში?

- მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი. უპირველესად, ეკონომიკური ხასიათის და მეტი ზრუნვაა აუცილებელი და-

ბალშემოსავლიან ოჯახებზე მიზნობრივი დახმარებების სახით. ეს ერთი მხარეა – უნივერსალური და საქართველოსაც უნდა ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, როგორი იქნება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ეს პროგრამა მუდმივმოქმედი ხასიათის უნდა იყოს. მეორეა – თვითონ საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით პროფესიული განათლების გარკვეული მხარდაჭერა. სხვათა შორის, საქართველოს პატრიარქის ბევრ ეპისტოლეშია ნათქვამი, რომ სკოლებში აუცილებლად უნდა შეითვისოს ბავშვმა რამე ხელობა. პროფესიის დაუფლება დაეხმარება ბავშვს, რომ არ დარჩეს საზოგადოების მარგინალურ წევრად და ზოგად განათლებასთან ერთად, ჰქონდეს პროფესიის მიღების საშუალება თავის რჩენის მიზნით. სხვათა შორის, მეორე წელია, საქართველოს 200-ზე მეტ საჯარო სკოლაში ისწავლება სასწავლო საგანი – „მენარმეობის საფუძვლები“. ეს მოსწავლეებს ეხმარება არჩევნის გაკეთებაში, თუ როგორ შეიძლება, რაღაც იდეა გადაიქცეს შემოსავლის, თვითგამოხატვის, თვითდასაქმებისა და სხვების დასაქმების კონკრეტულ ფორმად; დაეხმაროს პროფესიის არჩევისას სწორი გადანწყვეტილების მიღებაში. ეს ტენდენცია უნდა გაგრძელდეს, რომ მომავალი თაობა მომზადებული შეხვდეს იმ საბაზრო სტიქიას, რაში ჩაბმაც მოუწევს სკოლის დამთავრების შემდეგ. მთავარია, ბავშვმა სკოლაში იაროს და არ მოუწიოს მისთვის გვერდის ავლა, იმიტომ რომ, დღეს სოციალური ყურადღების მიღმა დარჩენილი ბავშვები ხვალ შექმნიან იმ პრობლემას, რაზეც ჯერ კიდევ ილია წერდა თავის ცნობილ ნაწარმოებში „სარჩობელაზე“. თუ გვინდა, რომ მშვიდი და სოციალურად ორიენტირებული საზოგადოება გვქონდეს, ამაზე დღესვე უნდა ვიზრუნოთ.

**როგორ აპირებს დონალდ ტრამპი აშშ-დან
გატანილი კაპიტალის დაბრუნებასა და
უზუშეპრობის მსოფლიო ვალუტების
სარჩხე დაქლევას**

№52, 26.12.2016 – 1.01.2017

ლარის გაუფასურებას, ცხადია, საზოგადოება აქტიურად ადევნებს თვალს: ეს პროცესი არც ემოციების ნაკლებობას უჩივის და არც აზრთა სხვადასხვაობის. მეორე მხრივ, ზოგადად, თითქმის ყველა ვალუტა გაუფასურდა (მეტნაკლებობით), რაც პირდაპირ უკავშირდება მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, თუმცა ჩვენს ლარს იმპორტდამოკიდებულებაც ამძიმებს. დიდი ალბათობით, პროცესი გაგრძელდება, ვინაიდან დონალდ ტრამპი, სავარაუდოდ, ბოლომდე აასრულებს თავის წინასაარჩევნო დაპირებას ამერიკული კაპიტალის სამშობლოში დაბრუნების შესახებ (ამის წყალობითაც შეძლო მან გამარჯვება), რაც იმას ნიშნავს, რომ დოლარი ძვირი სანახავი გახდება, ანუ ყველას გაუძვირდება. როგორია ვალუტების მომავალი ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეალობაში და, მათ შორის, ამ ჩვენი ლარისაც, – თემას ეკონომიკის ექსპერტ იოსებ არჩვაძესთან ერთად განვიხილავთ.

– როგორი ვითარებაა ჩვენ გარშემო რეგიონში ეროვნულ ვალუტებთან მიმართებაში: ქართული ლარი კონტექსტიდან ამოვარდნილად უფასურდება თუ მიჰყვება მსოფლიოს სავალუტო რეალობას? და, საერთოდაც, ლარი არის იმ ტიპის ვალუტა, რომ მაინცდამაინც, ფეხდაფეხ მიჰყვეს ზოგად ტენდენციას?

– მახსენდება ძველი ისტორია. გასული საუკუნის 60-იან წლებში, ცნობილმა ნორვეგიელმა მოგზაურმა ტურ ჰეირდალმა დაასაბუთა, რომ საზღვაო კატასტროფებისას ადამიანთა უმეტესობა იღუპება

არა მიღებული მექანიკური ან თერმული დაზიანების გამო, არამედ პანიკური შიშით და ამის საფუძველზე არასწორი მოქმედების „წყალობით“. პირდაპირი ანალოგია არ არის, თუმცა გარკვეული მსგავსება - არასწორი, პანიკური განწყობა და მოქმედება ნამდვილად შეინიშნება ჩვენი საზოგადოების საგრძნობი ნაწილის მოქმედებაში. კარგი ქართული ანდაზაა: ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო. საქართველო არ არის გამონაკლისი გლობალურ პროცესებში, მათ შორის, ამერიკულ დოლართან ეროვნული ვალუტების კურსების ამპლიტუდების მიხედვითაც. რაიმე განსაკუთრებული აქ ნამდვილად არ ხდება. ისე, საპრეზიდენტო არჩევნების პერიპეტივებზე თვალყურის დევნებისას ჩვენ ყველამ უფრო პოლიტიკურ აქცენტებზე გადავიტანეთ ყურადღება, თუმცა თვითონ ტრამპის წინასაარჩევნო დაპირებებში ეკონომიკურ პრობლემებზეც იყო რამდენიმე საინტერესო აქცენტი....

– ამერიკული კაპიტალის სამშობლოში დაბრუნება?

– დიახ. თუნდაც თქვენს მიერ ნახსენები კაპიტალის დაბრუნება: ლაპარაკია ამერიკაში ამერიკული კორპორაციების მიერ თავის დროზე ამ ქვეყნიდან გატანილი 2,4 ტრილიონი დოლარის კაპიტალის უკან დაბრუნებაზე. ცხადია, ეს რესურსი ერთბაშად არ მიაწყდება ამერიკის სანაპიროებს, მაგრამ შექმნის ტრენდს. თანაც, ტრამპმა განაცხადა, რომ ის აპირებს, გააუქმოს ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც 22 წლის წინ -1994 წლის 1 იანვარს, პრეზიდენტ კლინტონის დროს შევიდა ძალაში. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა ჩანს ერთი რამ: ტრამპი აპირებს რეალური სექტორის განვითარებას ამერიკაში და იმ პროცესისთვის ბოლოს მოღებას, რომელსაც მან უწოდა: ჩვენგან გავიდა კაპიტალი და შემოვიდა ნარკოტიკები და უმუშევრობა. მექსიკაში საშუალო ხელფასია 950 დოლარი, ამერიკაში – 4 000 დოლარი და როდესაც კაპიტალს არანაირი ბარიერი არ აქვს, ბიზნესის ინტერესებიდან გა-

მომდინარე, რა თქმა უნდა, ურჩევნია, გავიდეს სამხრეთში, იქ შექმნას პროდუქცია და შემდეგ უკან მზა პროდუქცია შეიტანოს. ამის გამო, ამერიკის შიდა რეგიონები დაკნინდა, რის თვალსაჩინო მაგალითია დეტროიტი, რომელიც თავის დროზე ამერიკული ოცნების განსახიერებას წარმოადგენდა. დღეს კი დაკნინებული და ნარკომანებისა და უმუშევრების თავშეყრის ადგილია.

– „ვიქტორია სიქრიტიდან“ გამონერილ ტანსაცმელს აწერია, რომ ჩინეთშია დამზადებული, თუმცა ნამდვილად „ვიქტორია სიქრიტის“ პროდუქციაა.

– არათუ ამერიკაში, ბუკინგემის სასახლესთან ელიზაბეტ მეორის სურათს ან რამე სამახსოვრო სუვენირს თუ შეიძენთ, გადმოატრიალებთ, წაიკითხავთ, რომ ჩინეთშია დამზადებული. ასეთი სევდიანი ხუმრობაცაა: უფალმა სამყარო შექმნა ექვს დღეში, ყველაფერი დანარჩენი კი ჩინელებმა აწარმოესო. ერთი სიტყვით, ტრამპმა ამ მიმართულებით ნაბიჯები გადადგა.

– გადადგა უკვე კონკრეტული ნაბიჯები თუ უკვე ამუშავდა მისი წინასაარჩევნო დაპირება, რადგან ითქვა?

– ნაბიჯებიც გადაიდგა: მაგალითად, წლების განმავლობაში ფედერალურ სარეზერვო სისტემას განაკვეთები ჰქონდა სიმბოლურად ძალიან დაბალ დონეზე: 0,25 პროცენტი, შარშან აინია 0,50-მდე, 14 დეკემბრიდან კი გახდა 0,75 პროცენტი. ანუ კომერციული სექტორისთვის დოლარების მიწოდება გააძვირა. ჩვენთან 6,5 პროცენტი ეროვნული ბანკის რეფინანსირების პროცენტი, თუმცა ჩვენი და ამერიკის შედარება უადგილოა. ჩვენთან გლობალური მასშტაბით დაიწყება პროცესი, როდესაც დოლარზე მოთხოვნა გადააჭარბებს მიწოდებას. ტრამპის პოლიტიკაა: ჩემი ოქრო ჩემთან, ანუ ამერიკის ფინანსური რესურსი - ამერიკის ეკონომიკას! დასაფიქრებელია, რას მოიტანს ეს გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან მსოფლიო ცივილიზაცია დიდწილად ვაჭრობის ხარჯზე განვითარდა. მაგრამ

განჭვრეტად მომავალში ძლიერი დოლარის ეპოქაში მოგვინევს ცხოვრება.

– და რას ნიშნავს ეს?

– ავიღოთ მსხვილი ვალუტები: 30 ივნისიდან დღემდე ევროს დე-ვალვაციამ შეადგინა 7,1 პროცენტი, იენის დევალვაციამ – 13,4 პროცენტი, თურქული ლირისამ – 20, 2 პროცენტი, ქართული ლარი კი გაუფასურდა 17 პროცენტით. ამდენად, გადაჭარბებული იქნება იმის თქმა, რომ რამე განსაკუთრებული მოუვიდა ლარს.

– მესმის, გლობალური ეკონომიკის გავლენა, რომ ჩვენთან იმპორტი რამდენჯერმე აჭარბებს ექსპორტს, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა ისეთი მოცულობისაა ხომ არ არის, რომ სავალუტო რყევები ასე უმალ აისახოს მასზე?

– იაპონიაზე ვერაფერს იტყვის, რომ მისი ეკონომიკა სუსტია, მაგრამ მისი ვალუტა იენაც კი გაუფასურდა 13,4 პროცენტით, თურქეთში გაცილებით მეტად დაეცა ლირა. თურქეთი ჩვენი ძირითადი საგარეო სავაჭრო პარტნიორია და ეს ნიშნავს თურქული საქონლის გაიაფებას საქართველოს შიგა ბაზარზე. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს კარგი პროცესია, მაგრამ თურქული საქონლის სიიაფე არ ნიშნავს, რომ მუქთად მოგცემენ. იაფი საქონლის შეძენასაც კი გარკვეული თანხა მაინც სჭირდება. თუ ჰიპოთეტურ სცენარს წარმოვიდგენთ, რომ იმდენად იაფია თურქული საქონელი, ადგილობრივი წარმოება გააჩერა, ამის გამო უმუშევრად დარჩენილმა ადგილობრივმა მოსახლეობამ საიდან უნდა იშოვოს ფული, რომ ის იაფი საქონელი შეიძინოს?!

– საიდანაც მანამდე შოულობდა, სანამ გაიაფდებოდა?

– ანუ გარკვეული პროპორცია უნდა იყოს დაცული. მე ახლა ერთ ციფრს დაგისახელებთ, რომელიც, ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება: ჩვენ დიდწილად იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ, მშპ-ს 60 პროცენტი მოდის იმპორტზე და შეიძლება,

ესეცაა ერთი მიზეზი იმისა, რომ მეტად მგრძნობიარეა ჩვენი ვალუტა დოლარის მიმართ, თორემ თურქეთის იმპორტის თანაფარდობა ამ ქვეყნის მშპ-სთან მხოლოდ 23 პროცენტია. ანუ თურქეთისთვის, იმპორტის მცირე მოცულობის გამო მთლიან შიგა პროდუქტთან, ვალუტის გაუფასურების გავლენა მთელ ეკონომიკაზე, ფასების მატებაზე, ისეთი დიდი არ არის, როგორც ჩვენთან. ასე რომ, ჩვენთან, პირობითად, 10-პროცენტიანი დევალვაცია შეიძლება, უფრო მგრძნობიარე იყოს ფასების ზრდის მიმართ, ვიდრე თურქეთში ლირის 20-პროცენტიანი დევალვაცია. ამდენად, შესაძლოა, არაპოპულარულ განცხადებას ვაკეთებ, მაგრამ კურსის დაჭერა არ უნდა იყოს ხელისუფლების ამოცანა. ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს მონიტორინგი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკაში ისეთი იმპულსების წახალისებას, რომ მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა არ შემცირდეს. პირობითად, თუ პენსიონერს თავისი პენსიით შეუძლია, შეიძინოს 20 კილოგრამი ხორცი, ეს ციფრი არ უნდა შემცირდეს.

- და როგორ? ფასებს როგორ დაარეგულირებს თუ პენსია უნდა გაზარდოს? ანუ რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას?

- ჩვენ უნდა წავახალისოთ ადგილობრივი წარმოება და გადასახადები შევუმციროთ. ავიღოთ ერთი მილიონი ლირებულების ადგილობრივი საქონლის წარმოება და ერთი მილიონის იმპორტირებული საქონელი. ყოველი ერთი მილიონი დოლარის ლირებულების იმპორტის შემთხვევაში, ჩვენ ვკარგავთ, დაახლოებით, 60-65 სამუშაო ადგილს, ის ფული რომ ქვეყნის ეკონომიკაში ჩაგვედო და შეგვეძინა ან შეგვექმნა ადგილობრივი პროდუქცია, შევქმნიდით 60-65 სამუშაო ადგილს. ლაპარაკია მაღალტექნოლოგიურ სამუშაო ადგილებზე, წლიურად 20 ათასი ლარის რესურსი რომ სჭირდება. ჩვენი იმპორტის მაჩვენებელი 7 მილიარდ დოლარზე

მეტია. ჰიპოთეტური ვარიანტი რომ დავუშვათ - უარი ვთქვათ იმპორტზე (თუმცა არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც არ აქვს იმპორტი) და ადგილზე ვანარმოთ პროდუქცია, იმავე მოცულობის პროდუქციის წარმოებისთვის დაგვჭირდებოდა 450 ათასი სამუშაო ძალა. დღეს ოფიციალურად რამდენი უმუშევარია?! 300 ათასამდე! როდესაც იმპორტზე ვართ ორიენტირებულები, ხელს ვუწყობთ იმ ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას, საიდანაც ჩამოგვაქვს საქონელი, ხელს ვუწყობთ იმ ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას და ჩვენი ქვეყანა გვრჩება განზე. ამიტომ ადგილობრივ ბიზნესს სჭირდება წახალისება. აი, ეს არის ერთ-ერთი ძირითადი გზა საიმისოდ, რომ შევძლოთ კონკურენტუნარიანობის გაძლიერება. რალა შორს მივდივართ: ჩვენ გვაქვს ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობის უარყოფითი სალდო აგროსასურსათო პროდუქციაზე. ესე იგი, ჩვენ რომ სურსათის ექსპორტ-იმპორტზე ნულოვანი სალდო მაინც გვქონდეს, 500 მილიონი დოლარი დარჩებოდა საქართველოში და ლარის კურსიც უფრო ღირსეულ ნიშნულზე იქნებოდა.

– ფასების გაძვირებაზე ჯერ არ ასახულა, ვგულისხმობ ჰიპერმარკეტებსა და სუპერმარკეტებს, თუმცა თამბაქო გაძვირდა უკვე.

– ყველა ის საქონელი, რომლებზეც დაანონსებულია აქციზის განაკვეთის ზრდა, აქციზის შემოღებამდე გაძვირდება. მართალია, ინფლაცია ეკონომიკური კატეგორიაა, მაგრამ ეს არის ყველაზე სუბიექტური ეკონომიკური კატეგორია. მის სიდიდეში აისახება არა მხოლოდ ის, რაც უკვე მოხდა და ხდება, არამედ ისიც, რაც შეიძლება, მოხდეს მომავალში. ამიტომ, თუ ფინანსური შესაძლებლობა აქვს, ნებისმიერ მომხმარებელს, ურჩევნია ახლა, ახალ წლამდე, ოდნავ უფრო ძვირად შეიძინოს ის საქონელი, რომლის უფრო მეტი გაძვირება ახალი წლის შემდეგ უკვე დაანონსებულია ხელისუფლების მიერ. ამით გარკვეული თანხა დაზოგოს. მოკლედ, მყიდველი

თადარიგს იჭერს და „მომზადებული ხვდება“ საქონლის მოსალოდნელ გაძვირებას.

– სურსათის ფასებზე ლარის კურსი როდის აისახება? თუმცა, როგორც ადრე მითხარით, ფასები არ იზრდება ზუსტად იმდენითვე, რამდენითაც ეცემა ეროვნული ვალუტა.

– ეს იგივეა, სუფრაზე რომ შეეკითხოთ ადამიანს, რამდენი ჭიქის შემდეგ გრძნობ სიმთვრალესო.

– ყველა განსხვავებულად.

– რა თქმა უნდა, ფასები გაიზრდება. საერთოდ, კაცობრიობის ისტორია არის ფასების ზრდისა და ინფლაციის ისტორია. რომ შევადაროთ: ამერიკულ დოლარს დღეს აქვს 18-ჯერ ნაკლები მყიდველობითუნარიანობა, რაც ჰქონდა ასი წლის წინათ. ეს შეუქცევადი პროცესია, მაგრამ ცალსახად შემძლია, გითხრათ, როგორც ეკონომისტმა, რომ ფასების ზრდის ტენდენცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება ლარის გაუფასურების დინამიკას. შესაძლოა, ცალკეულ საქონელზე, რომელიც არ არის ფართო მოხმარების, მყიდველად გაიზარდოს, მაგრამ ეს გავლენას ვერ მოახდენს ფასების საერთო დონეზე. მაგალითად, გაიზარდოს ბილეთების ფასი რომელიმე ჩამოსული მეგავარსკვლავის კონცერტზე. ამდენად, გარკვეული მოთმინებითა და რაციონალური მიდგომით უნდა ვიხელმძღვანელოთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველი 25 წელიწადი აღინიშნება, მეტ-ნაკლებად წარმატებითა თუ წარუმატებლობით, საფინანსო ინსტიტუტების ფორმირებით და კიდევ 25 წელიწადი გვჭირდება, რომ ჩამოვყალიბდეთ, როგორც საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური მენტალობის მქონე ერად — ერად, რომელმაც იცის რაციონალიზმი და მოვლენებს აფასებს არა მარტო ემოციურად, არამედ რაციონალურად. ყოველ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი, ერკვეოდეს ჰეჯირებაში, მაგრამ ეცოდინება საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ანაბანა.

– მაშინ რა აზრი აქვს ეროვნული ბანკის მიერ დოლარების გამოტანას გასაყიდად? თქვენი შეფასებებიდან გამოვიტანე დასკვნა, რომ ამას აზრი მაინც არ აქვს და უბრალოდ, სავალუტო რეზერვებს ვანიავებთ?

– არც უმაგისობაა თუმცა, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი ეგზალტირებულია ხომ გახსოვთ, რა გადაწყვეტილება მიიღო პილატე პონტოელმა, ქრისტე რომ უნდა გაესამართლებინა?!

– ხელები დაიბანა.

– დაახლოებით, ასევე იქცევა ეროვნული ბანკიც. საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნაა, რომ შევინარჩუნოთ ის კურსი, რაც არის. მართალია, ეს ირაციონალური გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეროვნული ბანკი ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს. არ ვისურვებდი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის ადგილზე ყოფნას, მიუხედავად მათი მაღალი ხელფასებისა.

**რატომ ყიდულობს საქართველო
რუსეთისგან ზამთარში ელექტროენერგიას
ორჯერ იმაზე ძვირად, ვიდრე თავად
მიჰყიდის ზაფხულში**

№4, 23–29.01.2017

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია, „გაზპრომი“ სომხეთისთვის გატარებული გაზის საერთო მოცულობის 10 პროცენტს კი არ დაგვიტოვებს ტრანზიტის საფასურად, არამედ ფულს გადაგვიხდის, საზოგადოების ნაწილი მაინც აპროტესტებს, რატომ ფული – ნატურის ნაცვლად?! თუმცა, მე რომ მკითხოთ, საკითხავი ის არის, რომ იმ ფულით იმდენ გაზს ვერ ვიყიდით, რამდენსაც ვიტოვებდით. მეორე მხრივ, ამ პროცესში სომხური მხარე საერთოდ არ ფიგურირებს, თუმცა გაზი სწორედ მისთვისაა განკუთვნილი. ეკონომიკის ექსპერტ **იოსებ არჩვაძესთან** ერთად განვიხილავთ ამ კონკრეტული საგაზო შეთანხმების შუქ-ჩრდილებს.

– რა პრობლემაა, „გაზპრომი“ ფულს გადაიხდის თუ ნატურით გადაგვიხდის?

– თუ გადავხედავთ ანგარიშსწორებისა და გადასახადების ისტორიას, ნატურალური გადასახადი ჯერ კიდევ ბატონყმობის პერიოდში ჩაანაცვლა ფულადმა გადასახადმა და ეს მიღებულია უფრო განვითარებულ ფორმად. რა თქმა უნდა, ქართული მხარისთვის ის გარანტირებული 10 პროცენტი უფრო მისაღები იყო, მაგრამ უნდა ვთქვათ ისიც, რომ ყველაფერი, რაც ხდება მსოფლიოში, ჩვენს წისქვილზე არ ასხამს წყალს, მეტიც, ხანდახან პირიქითაცაა. ადრე თუ გვიან, ეს მოსალოდნელი იყო და 2017 წლის დასაწყისში მივიღეთ ის, რაც შეიძლებოდა, გაცილებით ადრეც მომხდარიყო. საზოგადოების პროტესტი და უკმაყოფილება ორი ფაქტორითაა გამოწვეული: ერთი, რაც ვთქვით, რომ ტრანზიტისთვის გადახდილი თანხით ვე-

ლარ შევიძენთ იმ რაოდენობის გაზს, რამდენსაც ვიტოვებდით აქამდე.

– ანუ იმ თანხით ჩვენ ვერ ვიყიდით 200 მილიონ კუბურ მეტრ გაზს?

– დიახ. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ეს მოხდა დახურულ კარს მიღმა და აღნიშნული ხელშეკრულების კონკრეტული დეტალები არ არის ცნობილი. ამიტომ აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რა ზარალი განიცადა ამით ქართულმა ეკონომიკამ: ციფრები მერყეობს 6-დან 20 მილიონ დოლარამდე, ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, 30 მილიონ დოლარამდეც კი. ლაპარაკი უფრო ემოციურ ასპექტზეა, უსამართლობაზე, რომ ძლიერი ჩაგრავეს სუსტს. პრაქტიკაში ასეა, როდესაც კულუარული მოლაპარაკება მიმდინარეობს ორი, სხვადასხვა პოლიტიკური წონითი კატეგორიის მქონეთა შორის, როგორც წესი, ძლიერი მხარე გამოდის გამარჯვებული. ამდენად, როდესაც ასეთი მოცემულობა გვაქვს, ჩვენს, ანუ სუსტ მხარეს ზურგს უნდა უმაგრებდეს საზოგადოებრივი მხარდაჭერა და ის მზაობა, რომ არსებობს ბოლო ხაზი, რომლის იქითაც უკან დახვეა არ შეიძლება. როდესაც საზოგადოება არ იღებს მონაწილეობას და მხოლოდ პოსტფაქტუმ ხდება ამის მომსწრე, ეს მძიმე დაღს ასვამს ხელისუფლების არა მხოლოდ ქმედების შეფასებას, არამედ მისდამი ნდობასა და რეიტინგს.

– ამის პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბელორუსიამ არ შეუმცირა „გაზპრომს“ ტრანზიტის საფასური, ბელორუსიაც არ არის დიდად ძლიერი მხარე.

– ბელორუსია დიდი ხნის წინათ ჩვენთან საქილიკო თემა იყო და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები გულუხვ ფინანსურ დახმარებას ჰპირდებოდნენ ბელორუსულ ოპოზიციას ლუკაშენკოს ხელისუფლების დასამხობად. ამის ამსახველი კადრებიც გავრცელდა თავის დროზე, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა. ლუკაშენკო არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა

დაიცვა თანმიმდევრულად საკუთარი სახელმწიფოს ინტერესები: დაწყებული ტრანზიტის საფასურით, დამთავრებული რეალური სექტორის შენარჩუნებით. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის თვალსაჩინო შედეგს ჩვენ თბილისშიც ვგრძნობთ - საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე თვის წინ გაიხსნა ბელორუსული სასურსათო საქონლის მაღაზია, სადაც პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით, კონცენტრატების გარეშე. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება, თვით საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შეინარჩუნო რეალური სექტორი, განავითარო და ექსპორტზეც წარმატებით იმუშაო. ამიტომ ამ მიმართულებით ჩვენც მეტი ძალისხმევა გვმართებს.

– გასაგებია, „გაზპრომს“ აქვს ჩვენს სახელმწიფოზე ზემოქმედების ბერკეტები. მაგრამ გაზი რომ არ გავატაროთ, სომხეთი ხომ ვერ მიიღებს გაზს?

– რუსეთს, სამწუხაროდ, მოეპოვება ბევრი ბერკეტი საიმისოდ, რომ ცხოვრება გაგვირთულოს.

– მახსოვს, როგორ მოიქციეს „იუჟნაია ოსეტის“ ტერიტორიაზე საერთაშორისო მილსადენის მონაკვეთი და ფულიც კი მოითხოვეს ოკუპანტების მიერ შეგულიანებულმა სეპარატისტებმა.

– ესეც და შეგახსენებთ, რომ დაახლოებით 15 წლის წინათ, რუსმა დიდმოხელე დობრიუჟამ უთხრა თავის ქართველ კოლეგას, ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ თქვენ კარგად არ იცხოვროთო. როდესაც ასეთი მეზობელი გყავს, ფრთხილად უნდა იყო. ამას გარდა, დროთა განმავლობაში, რუსეთს შეეძლო, ირანიდან მიენოდებინა სომხეთისთვის გაზი. ფაქტობრივად, ეს გამოიწვევდა იმას, რომ საქართველო ვეღარც შემოსავლებს მიიღებდა და ურთიერთობასაც დაძაბავდა არა მარტო რუსეთთან, არამედ ჩვენს მეგობარ სომხეთთანაც. ანუ რუსეთს შეეძლო უფრო მეტი ავის გაკეთება, ვიდრე ახლა მივიღეთ.

მაგრამ მე სხვა ასპექტზეც მინდა ყურადღების გამახვილება: ის 200 თუ 240 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი არის 4-5 პროცენტი იმ რაოდენობის, რასაც საქართველოს ეკონომიკა და მოსახლეობა მოიხმარდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს. რას ვაპირებთ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკა გაიზარდა და დასჭირდა მეტი ბუნებრივი აირი?! გასაგებია, რომ შაჰ-დენიზის მეორე ნაკადის ამოქმედების შემდეგ გვექნება საშუალება, ორიოდ წელიწადში, მეტი გაზი შევიძინოთ აზერბაიჯანიდან, მაგრამ მანამდე როგორ იქნება?! ამდენად, კოგნიტური დისონანსის განცდა მიჩნდება ამ ხელშეკრულების შედეგიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, უნდა მოგვეწერა ხელი და მეორე მხრივ, აშკარაა, ქართული მხარე წამგებიან მდგომარეობაშია.

– ჩვენ გვახსოვს საგაზო ომები რუსეთსა და უკრაინას შორის, როდესაც რუსეთი აძვირებდა გაზს, უკრაინა აძვირებდა ტრანზიტის საფასურს, შემდეგ რუსეთი იმუქრებოდა, რომ გადაუკეტავდა გაზს როგორც უკრაინას, ისე ევროკავშირს. საქმეში ერთვებოდა ევროკავშირი და დიდი დავიდარაბა იყო. ამ ჩვენს შემთხვევაში კი, თუმცა გაზი სომხეთისთვისაა, სომხეთი ხმას არ იღებს. რატომ? მიღებული პრაქტიკაა, რომ მიმწოდებელი აგვარებს ტრანზიტის საკითხს?

– სომხეთი დაცულობას გრძნობს და რატომ გამოიძღოს თავი, როდესაც მის ინტერესებს იცავს რუსეთი და რუსეთის ისეთი ძლიერი ინსტიტუტი, როგორიც „გაზპრომი“?! სხვათა შორის, თურქეთი, როდესაც ენერგეტიკული ჰაბის პრეტენზია ჰქონდა, სანაცვლოდ ითხოვდა გატარებული ენერგორესურსების 15 პროცენტს. ასე რომ, საქართველოს ათი პროცენტი საარაკოდ დიდი ნამდვილად არ იყო. აქვე დგება საკითხი, გაზრდის თუ არა ეს ხელშეკრულება გაზის ტარიფს, რასაც დრო გვიჩვენებს. მეორე მხრივ, რუსეთს, მართლაც, შეეძლო, რომ სომხეთისთვის გაზი ირანიდან მიეწოდებინა და ამის ალბათობა ახლაც არსებობს.

– მაგრამ ეს ხომ ირანული გაზი იქნებოდა? რა ხეირი „გაზპრომს“? თუმცა ისიც მესმის, რომ რუსეთს ახასიათებს ეკონომიკური ინტერესის დათმობა პოლიტიკური ინტერესის მიღწევის მიზნით.

– საქართველოსაც შეუძლია ირანიდან გაზის მიღება. ტექნიკურად ეს სავსებით შესაძლებელია. სხვათა შორის, 1991 წლის გაზაფხულზე ვითომ ქართველმა ენერგეტიკოსებმა ცხინვალის რეგიონს გადაუკეტეს ელექტროენერგია, გამსახურდიამ ხელები გაშალა და თქვა, მე რა ვქნა, ენერგეტიკოსების გადანყვეტილებააო. ამას მოჰყვა ის, რომ რუსეთმა კავკასიონზე გაიყვანა ელექტროგადამცემი ხაზი და დღეს ცხინვალის რეგიონი საქართველოს ელექტროსისტემის მიღმა დარჩენილი, ახლა გაჰყავთ გაზსადენიც. ამდენად, ტექნიკურად ყველაფერი შესაძლებელია: ალპების ქვეშ გაიყვანეს გვირაბი და არსებობს ზღვის ფსკერის ქვეშ გვირაბის გაყვანის პრაქტიკაც. მით უმეტეს, არანაირი პრობლემა არ არის სომხეთისთვის გაზის ირანიდან მიწოდება, რაც სომხეთს აღარ გახდის ჩვენზე დამოკიდებულს. რატომ გამოთქვეს 2008 წლის ომის დროს კასპთან აფეთქებული ხიდის აღდგენაში მონაწილეობის მიღების სურვილი სომხეთმა და აზერბაიჯანმა?! იმიტომ რომ, მათი ინტერესიც იყო. როდესაც ეკონომიკური ინტერესი არ არის, ამის შემდეგ, სხვა ინტერესები გამოდის პრობლემის გადასაწყვეტად. ამიტომ „გაზპრომთან“ ჩვენ ვიმოქმედეთ პრინციპით, ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო. ეს არ არის იდეალური პრინციპი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ეკონომიკის მასშტაბებს, ალბათ, ნაკლები ბოროტების თეორიიდან შეიძლება ამის ახსნა.

– რატომ არის ხელშეკრულება საიდუმლო? რაც მეტი ინფორმაცია ექნება საზოგადოებას, ხომ მით უკეთესი? თუ გვეცოდინებოდა, რა წერია, საფრთხეებსაც უფრო ნათლად დავინახავდით?

– დროთა განმავლობაში ეს, ალბათ, გამჟღავნდება. ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამე ყირამალაა: იმისთვის, რომ გაიზარდოს ან შემო-

ვილოთ გადასახადი, საჭიროა სახალხო რეფერენდუმი, ხოლო, რამდენს მივიღებთ რუსეთიდან სომხეთისკენ გატარებული გაზისთვის, ეს საიდუმლოა. წესით, პირიქით უნდა იყოს. მოგეხსენებათ, პიროვნებისა და ინსტიტუტისადმი ნდობის ვოტუმი ნაბიჯ-ნაბიჯ, ნვრილმანებით ყალიბდება, როგორც პატარ-პატარა ნაკადულები ქმნიან მდინარეს. ხელშეკრულებაში შეიძლება, დათქმას, რომ მხარეები მედიასაშუალებებს არ გადასცემენ ხელშეკრულებას და ამას კანონი სრულიად არ სჭირდება. როდესაც კონკრეტული ციფრები დაიდება, გამოჩნდება, რამდენად მომგებიანი თუ წამგებიანია ეს ხელშეკრულება. მოგეხსენებათ, გაზი იმ იშვიათ საქონელს მიეკუთვნება, რომლის ღირებულებასაც, სხვა საქონლისგან განსხვავებით, ინფრასტრუქტურის ღირებულება გაცილებით აღემატება. როდესაც ჩვენ შეფუთულ ტელევიზორს ან მაცივარს ვყიდულობთ, შეფუთვა ფასში გათვალისწინებულია, მაგრამ მისი ღირებულება ძალიან დაბალია. გაზს კი ვერ გაყიდი, თუ შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არის. ეს კი მრავალმილიარდიანი პროექტია. ეს ნიშნავს, რომ ერთი წლის მანძილზე გადატუმბული გაზის ღირებულება შეიძლება გაზსადენის ღირებულებაზე ნაკლებიც კი იყოს. ამიტომაც გაზი, ბუნებრივი აირი სპეციფიკური საქონელია. - თავისუფლად ვერ აარჩევ ვერც კლიენტს და ვერც მომწოდებელს. თავის დროზე დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა თურქმენეთი, რუსეთის გვერდის ავლით გაეტანა თავისი გაზი ევროპისკენ, მაგრამ ამის საშუალება რუსეთმა მას არ მისცა. თანაც, მსხვილი ინფრასტრუქტურის მშენებლობის რესურსი აქვთ მხოლოდ დიდ, მდიდარ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო კომპანიებს.

- რაკი სომხეთი ხელს იბანს და არ იღებს მონაწილეობას მოლაპარაკებებში, თავისი სახელმწიფოებრიობა უბრალოდ რუსეთს გადააბარა თუ ჩვენდამი არაკეთილგანწყობას ამჟღავნებს?

– ჩვენ მხოლოდ მორალის კუთხით შეგვიძლია, ვილაპარაკოთ, რომ აი, მეზობლები ვართო, მაგრამ ეს სუფთა წყლის ბელეტრისტიკაა. პოლიტიკაში ეს ფაქტორები არ მუშაობს. ხაზს ვუსვამ, თუ სომხეთის ინტერესების დამცველად გამოდის „გაზპრომი“, სომხეთი თავის ინტერესებს უფრო წინ აყენებს, ვიდრე საქართველოს მიერ გამოთქმულ კეთილმეზობლურ შეძახილებსა თუ სადღეგრძელოებს. ამდენად, ზედმეტად თავს არ გამოიღებს.

– **სომეხი პოლიტოლოგები ჩივიან, რომ საქართველო მათ ცუდად ექცევა, სულ უძვირებს გადაზიდვის ტარიფებს. აზერბაიჯანელები არ ჩივიან, არადა, წესით, ერთი და იგივე ტარიფი ექნებათ. ამ კონტექსტში დავსვი ეს კითხვა.**

– ჩვენ ვლაპარაკობთ გაზზე, მაგრამ, თუ სავაჭრო ურთიერთობებს შევხედავთ: იმავე რუსეთისგან ზამთარში ჩვენ ელექტროენერჯიას უფრო ძვირად ვყიდულობთ, თითქმის ორჯერ ძვირად, ვიდრე ზაფხულში ვანვდით მათ. და ცალკეული წლების მიხედვით ამ ელექტროენერჯიის მოცულობა თითქმის ნახევარი მილიარდი კილოვატ-საათია. ასევე, იმის გამო, რომ დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა და ვერ ვაკონტროლებთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, საქართველოს ეკონომიკა შეჭირვებულ მდგომარეობაშია და დობრიუყვას მიერ გახმოვანებული პოლიტიკის წყალობით, 1991 წლის შემდეგ, საქართველომ 400 მილიარდი დოლარის მთლიანი შიგა პროდუქტი ვერ აწარმოა და 100 მილიარდი დოლარის შემოსავალი ვერ მიიღო ქვეყნის ბიუჯეტმა. ამ დროს კი ჩვენ ვლაპარაკობთ „რალაც“ 20-მილიონიან ზარალზე. მასშტაბებზე რომ ვილაპარაკოთ, სტრატეგიულად უნდა ვიმოქმედოთ. საქართველომ უნდა აღიდგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა, დაამყაროს რუსეთთან, სომხეთთანაც და სხვა მეზობლებთანაც, კეთილმეზობლური ურთიერთობები და ეცადოს, კონფრონტაცია გადაიყვანოს ეკონომიკურ კონკურენციაში. ამის პოტენციალი აქვს საქართველოსაც და ჩვენს მეზობლებსაც და მაშინ, 6 თუ 26-მილიონიან

ზარალზე აღარ ან ნაკლები ემოციურობით ვილაპარაკებთ. 2003 წლამდე პოლანდია ყვავილების ექსპორტიდან იღებდა საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულებაზე მეტს! აი, ასეთ მასშტაბებზეა ლაპარაკი! ვიბრძოლოთ სამართლიანობისთვის, 6 მილიონი გამოვგლიჯოთ „გაზპრომს“, გავიუარესოთ ურთიერთობა მეზობლებთან თუ წავიდეთ წინ: გამოვნახოთ რუსეთთან საერთო ენა, რაც დაგვიბრუნებს ტერიტორიებს, არ დათმოვს ჩვენს სახელმწიფო ინტერესებს და მოგვცემს საშუალებას, ვანარმოოთ 600-ჯერ 6 მილიონის დამატებული ღირებულება ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რეინტეგრაციით. ეს უნდა იყოს ჩვენი ძირითადი მიზანი, ყველა დანარჩენი საკითხი კი მხოლოდ ტაქტიკური ამოცანაა.

**არის თუ არა რეალური საქართველოში
უმუშევრობის შემცირების დაწესება და რატომ
პირ ახერხებს საკუთარი თავის გამოკვებასაც
კი სოფლად დასაქმებული მოსახლეობა**

№14, 3-9.04.2017

ისე მოხდა, რომ უმუშევრობა დამოუკიდებელი საქართველოს ლამის სავიზიტო ბარათად იქცეს. შესაძლოა, ამის მიზეზი საბჭოთა წარსულშიც ვეძიოთ ან ახლებური რეალობისთვის ფეხის ვერანყობაში. სულ ახლახან საქართველოს პროფკავშირებმა მთავრობას უმუშევრობის კომპენსაციის დაწესების ინციატივით მიმართა. თუმცა ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ამ საკითხზე 2012 წლიდან მუშაობენ და, დიდი ალბათობით, სამომავლოდ, პირს, რომელსაც სახელმწიფო რამდენჯერმე შესთავაზებს დასაქმებას, მაგრამ ის უარს განაცხადებს, სოციალურ დახმარებას შეუჩერებს. იმის გათვალისწინებით, რომ უმუშევრობა მხოლოდ ქართული პრობლემა არ არის და, მათ შორის, არც უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა, ეკონომიკის ექსპერტ **იოსებ არჩვაძესთან** ერთად განვიხილავთ, თუ როგორ აგვარებენ სხვადასხვა ქვეყანაში უმუშევრებისთვის საარსებო წყაროს გამოძებნის პრობლემას და მოხერხდება თუ არა იგივე ქართულ რეალობაში.

– სანამ მიმოვიხილავდეთ სხვა ქვეყნებში უმუშევრობის კომპენსაციის სხვადასხვა სქემას, აქვს ამას კავშირი უმუშევრობის შეფასების კრიტერიუმთან?

– სანამ უშუალოდ თქვენს კითხვას ვუპასუხებ, უნდა აღვნიშნო, რომ საბაზრო ეკონომიკას, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენს, აქვს **ოთხი** ძირითადი ჰიპოსტასი: საქონლის ბაზარი, მომსახურების ბაზარი, კაპიტალის ბაზარი და შრომის ბაზარი. აი, შრომის ბაზარი ყველაზე სუსტად განვითარებულია ბაზრის ამ ოთხ

ტიპს შორის. ცნობილია, რომ ჯაჭვის სიმყარე მისი ყველაზე სუსტი რგოლის სიმყარით განისაზღვრება. ჩვენ არ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საქართველოში წარმატებითაა განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, მაშინ, როდესაც მისი ერთ-ერთი რგოლი – შრომის ბაზარი – ჯერაც საკმაოდ სუსტია. ვგულისხმობ იმას, რომ, ჯერ ერთი, დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 40 პროცენტამდეა დაქირავებით დასაქმებული, იმ 40 პროცენტის არანაკლებ 40 პროცენტი საჯარო და სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული. უშუალოდ საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებით სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა, როდესაც დამქირავებელი ქირაობს კონკრეტულ ადამიანს კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად, აი, ამ კონტინგენტის წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 10 პროცენტზე ნაკლებია. ამიტომ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენ წარმატებით გადავედით საბაზრო ეკონომიკაზე, გადაჭარბებულად მეჩვენება. ამდენად, ლაპარაკი უმუშევრობის კომპენსაციაზე, როდესაც თავად დასაქმების სექტორი არაა საკმარისად განვითარებული, მაგონებს ქართულ ანდაზას: ჯერ ძილი და მერე სიზმარიო. სიზმრის გარჩევა გვინდა, როდესაც ამ სფეროს - დასაქმებას - თითქმის ქრონიკული უძილობა სჭირს.

ერთი შეხედვით, უმუშევრობის მხრივ თითქოს ნორმალური ვითარებაა - არ უნდა ინვევდეს შიშს უმუშევრობის ამჟამინდელი 12-პროცენტის დონე. იყო წლები, უმუშევრობის დონე ამაზე მეტიც - 18 პროცენტამდე ყოფილა. 12 პროცენტი, ევროპული მასშტაბით, არც ისე მაღალი მაჩვენებელია. მაგრამ, რადგანაც ამჟამინდელი დასაქმების სტრუქტურა აბსოლუტურად არაეფექტიანი და ოპტიმალურს საკმაოდ დაშორებულია, ჩვენი შემდგომი სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს არა იმდენად უმუშევრობის დონის შემცირება, არამედ დასაქმების სტრუქტურის გაუმჯობესება. ეს მოგვცემს საშუალებას, დასაქმებისა და უმუშევრობის სიმწვავე, რაც შეიძლება, მკვეთრად შევამციროთ.

- რას გულისხმობთ გასაუმჯობესებელ დასაქმების სტრუქტურაში?

– როდესაც ადამიანი უმუშევართა კატეგორიას არ მიეკუთვნება, ანუ მიიჩნევა დასაქმებულად, მაგრამ მის მიერ შექმნილი დოვლათის მოცულობა, ანუ ღირებულება საკმაოდ დაბალია და ვერ აკმაყოფილებს მარტივი კვლავნარმოების პირობებსაც კი. საქართველოს მაგალითი ავიღოთ: ჩვენთან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება მხოლოდ 80 პროცენტით აღემატება ოფიციალური სტატისტიკით საარსებო მინიმუმის ღირებულებას, მაშინ, როდესაც სოფლად ეკონომიკურად გამართლებულია დასაქმება, თუ ერთი დასაქმებული, მინიმუმ, სამჯერ მეტ ღირებულებას მაინც ქმნის საარსებო მინიმუმთან შედარებით. ჩვენთან, როგორც ითქვას, მხოლოდ 1,8-ჯერ მეტს ქმნის. ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობაზე მიწერილი გვყავს დასაქმებულთა მრავალრიცხოვანი კონტინგენტი, რომელთა წვლილი, როლი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ფორმირებაში საარაკოდ დაბალია.

- სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებში ვგულისხმობთ მათ, რომლებსაც აქვთ მიწა და ამუშავებენ ან ჰყავთ საქონელი?

– მიწას ამუშავებს, პირუტყვი ჰყავს ან ხილ-კენკრას აგროვებს... ჩვენს სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობა დაახლოებით ათჯერ უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს ეკონომიკის დანარჩენ დარგებში და, მიუხედავად იმისა, რომ ვაცხადებთ, მიწის დამუშავების მრავალათასწლიანი გამოცდილება გვაქვსო, ჩვენი აგროსასურსათო ბალანსი მაინც დაახლოებით, ექვსასი მილიონი დოლარით დეფიციტურია. ესე იგი, 600 მილიონით მეტი აგროსასურსათო პროდუქცია შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს.

– ხატოვანი გამონათქვამიც არის, ჯოხი რომ უკულმა გადაადგოდო, წაღმა ამოვაო. 52 ნიადაგიდან 49 ტიპისაა საქართველოს ტერიტორიაზე და როგორ ვახერხებთ, რომ წამგებიანი იყოს

ჩვენი სოფლის მეურნეობა? მეტიც, სოფლად მცხოვრები ადამიანების ნაწილი მწვანელს ყიდულობს ბაზარში. მწვანელი რაღაა?

– ეს უფრო ვრცელი და სხვა საუბრის თემა შეიძლება, იყოს, მაგრამ ფაქტია, ჩვენი საზოგადოების წინაშე მთელი სიმწვავით დგას სწორედ დასაქმების ეფექტიანობის გაზრდის საკითხი. ეს რომ მოვავაროთ, უმუშევრობის პრობლემა არ იქნებოდა ასეთი მწვავე და არ დადგებოდა პირველ ადგილზე, მაშინ, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი მეხუთე ადგილზეა.

ისევ უმუშევრობის შემწეობას რომ დავუბრუნდეთ: საქართველოში 2001 წლამდე მოქმედებდა უმუშევრობის შემწეობა და გაიცემოდა, დაახლოებით, 6-თვიანი პერიოდით, თუმცა მოცვის ხარისხი იყო მცირე - უმუშევართა დაახლოებით მესამედზე. იმხანად პენსია 14 ლარი, უმუშევრობის შემწეობა კი - 11 ლარი იყო. 2001 წლის შემდეგ ეს შემწეობა გაუქმდა. 2007 წლის ბოლოდან საერთოდ უარი ვთქვით ეგრეთ წოდებულ სოციალურ გადასახადზე, რომელიც უმუშევრობის შემწეობის სერიოზული წყარო ყოფილიყო.

– როდესაც გაერთიანდა საშემოსავლო და სოციალური გადასახადი და მან დაინია 20 პროცენტამდე?

– მაგალითად, ევროპაში სოციალური გადასახადის წილად მოდის გადასახადების მთლიანი მოცულობის თითქმის 40 პროცენტი, ყველა დანარჩენზე კი - 60 პროცენტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ საგადასახდო ტვირთი ევროპაში შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში - შესაბამისად, 40.0 და 25.2 პროცენტი. მაგალითად, საფრანგეთში საერთოდაც 48-პროცენტია. ცალკე გამოიყოფა უმუშევრობის შემწეობის წილი საბიუჯეტო ხარჯებში. მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5 პროცენტი მიემართება უმუშევართა შემწეობაზე ევროკავშირში და ეს საკმაოდ დიდი ციფრია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირი ეკონომიკური დონით 9-ჯერ წინაა ჩვენზე, საგადასახდო ტვირთი კი 1,5-ჯერ მაღალია. ის 1,5 პროცენტი 9-ზე უნდა გავამრავლოთ, რომ შევიქმნათ წარმოდ-

გენა, თუ რამდენად მასშტაბურია აღნიშნული დახმარება. არიან ქვეყნები, სადაც ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. მაგალითად, დანიაში 3 პროცენტზე მეტია, მაღალია გერმანიაშიც. მაგრამ ევროკავშირის ქვეყანათა უმრავლესობაში უმუშევრობის პერიოდის ხანგრძლივობა, როგორც წესი, 12 თვეს არ აღემატება. ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის უმუშევართა წილი უმუშევართა მთლიან რიცხოვნობაში ამ ქვეყნებში მერყეობს 18-დან 40 პროცენტამდე. როდესაც იქ ადამიანი უმუშევარი ხდება, ეს არ არის სტიგმა და არ ნიშნავს აქტიური ცხოვრების, სიცოცხლის დასასრულს.

– ახალი სამსახური უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის განათლების ცენზსა და გამოცდილებას? ანუ დასაქმების კრიტერიუმები როგორია?

– ევროპული სტატისტიკა სოციალურ მიმართულებას დიდ ყურადღებას აქცევს. არის ასეთი მონაცემიც: რამდენი დასაქმებული ადამიანია, რომელთა განათლება და კვალიფიკაცია აღემატება შესაბამისი დასაქმების, სამუშაო ადგილისათვის საჭირო დონეს. ასეთთა რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში, დაახლოებით 18-20 პროცენტია. მაღალი მაჩვენებელი არ არის და ამასაც აქვს თავისი მიზეზები. მაგალითად, ვილაცას ურჩვენია სახლთან ახლოს იმუშაოს და თანახმაა, ამისათვის ნაკლები კვალიფიკაციის სამუშაო შეასრულოს. ჩვენ შესაბამისი სტატისტიკა არ გვაქვს, მაგრამ მოსახლეობის აღწერის კითხვარში შეტანილი იყო კითხვა, უმაღლესი განათლების მქონეთაგან რამდენი მუშაობდა თავისი პირვანდელი პროფესიით? ეს მაჩვენებელი იყო საკმაოდ დაბალი – დაახლოებით 15 პროცენტის დონეზე. ანუ სახელმწიფო ხარჯავს სახსრებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებაზე, მაგრამ საბოლოო შედეგის თვალსაზრისით ეს ხარჯი უაღრესად არაეფექტიანია. მაგალითად, ადამიანი ფიზიკოსია, მაგრამ შემდეგ ხდება ვაჭრობის მუშაკი; ან ვაჭრობის მუშაკი „ხდება“ საგარეო საქმეთა „სპეციალისტი“ და ასე შემდეგ. მოკლედ, „კარუსელი ტრიალებს“ და მისი მარგი ქმედების

კოეფიციენტი - კადრების მომზადებაზე ხარჯების ეფექტიანობის თვალსაზრისით - უაღრესად არაოპტიმალურია.

- დაასახელეთ პროცენტები, რაც ბიუჯეტიდან გაიცემა უმუშევრობის კომპენსაციისთვის. თანხის მიხედვით რამდენია კონკრეტული უმუშევრისთვის?

- ქვეყნების მიხედვით განსხვავდება და შეადგენს დათხოვნამდე დარიცხული ხელფასის 30-დან 60 პროცენტამდე,

- და შემწეობა, ალბათ, არ იბეგრება.

- არ იბეგრება.

- ესე იგი, დაახლოებით, იმავე თანხას იღებს ადამიანი შემწეობად, რასაც დაბეგრული ხელფასიდან იღებდა.

- ამის მიზანია, რომ მკვეთრად არ დაეცეს ადამიანის ცხოვრების დონე. თუ ის მიჩვეულია დილაობით კაფეში გაზეთის კითხვას ყავასთან და კრუასანთან ერთად, რომ მას არ მოუწიოს ცხოვრების ფორმატის რადიკალური შეცვლა და მკაცრი ეკონომიის რეჟიმში გადასვლა.

- ანუ არ დაითრგუნოს, თუ სახლში მოუწევს ყავის დაღვევა სახლშივე გამომცხვარ კექსთან?

- დიახ. მეორეს მხრივ, მისი სიდიდე და ხანგრძლივობა ისეთია, რომ უმუშევარს უნარჩუნებს საკმარისად მაღალ მოტივაციას ახალი სამუშაოს საძიებლად. ისეთია, ამიტომ უმუშევრობის კომპენსაციის პირდაპირ შედარება და ჩვენთან გადმოტანა, ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით, არ გამოვა. თუმცა ძალიან კარგია, რომ საუბარი დაიწყო ამ თემაზეც და ბევრი სხვა ისეთი მიმართულებითაც, რომელთაც აქამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ლაპარაკია, მაგალითად, დეპოზიტების დაზღვევაზე – არადა, მთელ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეშია უკვე დამკვიდრებული ეს პრინციპი. ჩვენთან ჯერ კიდევ 2005 წელს მომზადდა შესაბამისი კანონპროექტი, მაგრამ მისი მიღება მიზეზთა გამო მაშინ არ მოხდა. ანუ ველოსიპედის ხელახალი გამოგონება არ გვჭირდება,

ჩვენ იმ გზით უნდა ვიაროთ, რომელიც ჩვენზე განვითარებულმა ქვეყნებმა მეტ-ნაკლები წარმატებით უკვე განვლეს. ევროპასთან დაახლოება მხოლოდ უვიზო მიმოსვლა კი არ არის - ეს გვიზრდის შანსს, გვაძლევს შესაძლებლობას, გავიგოთ იმ ფასეულობათა იერ-არქია, რაც იქაა მიღებული, გავითვალისწინოთ ისინი და საჭიროების-და მიხედვით, გადმოვიღოთ. ასეთი მიდგომით ბევრი პრობლემა ავტომატურად მოიხსნება.

– თქვენგან ვიცი, რომ დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 2-3-ჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს პენსიონერთა რაოდენობას, რომ მეტ-ნაკლებად ღირსეული ოდენობის პენსიის გაცემის საშუალება იყოს. ჩვენთან ეს მაჩვენებელი ლამის პირიქითაა: დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა ჩამორჩება პენსიონერთა ოდენობას. ამ მოცემულობაში როგორ წარმოგიდგენიათ დამატებით უმუშევრობის კომპენსაციის გაცემა?

– რესურსი აუცილებელია. თან, გავითვალისწინოთ, რომ უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელია 12 პროცენტი, მაგრამ 25 წლამდე ახალგაზრდებს შორის ის გაცილებით მაღალია - თითქმის 31%. მათ დიდ ნაწილს ერთი დღეც არ უმუშავიათ, არა აქვთ შრომითი სტაჟი. თუმცა უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული: ზოგს - აქ, ზოგსაც - უცხოეთში. უნდათ მუშაობის დაწყება და ვერ იწყებენ. მათ რა ფორმით მივცეთ კომპენსაცია, რას დავუკავშიროთ - დიპლომს, სპეციალობას, წარმომავლობას თუ სამუშაოს დაწყების გულწრფელ სურვილს?! ამიტომ უნდა იყოს საერთო კრიტერიუმი. და კიდევ ერთი მომენტი: უმუშევრობის დახმარება უნდა იყოს იმდენი, რომ ადამიანმა ღირსეული არსებობა შეძლოს, მაგრამ არც იმდენად დიდი, რომ შრომის სტიმული და სამუშაოს ძიების სურვილი ჩაკლას უმუშევარში.

– ჩვენთან სოციალური შემწეობაც კი კლავს სურვილს, რომ ოჯახმა იყოლიოს ძროხა.

– ჩვენთან იმის ნაცვლად, რომ სიღარიბე ჩაითვალოს დასაძლევად, ადამიანებს ურჩევნიათ, აჩვენონ, რომ ღარიბები არიან, რადგან ამას უკავშირდება დახმარება, შეღავათები. ამდენად, ეს სისტემა შესაცვლელია. ამიტომ უმუშევრობის კომპენსაციაზე საუბარი, თუ ამ ყველა ფაქტორს არ მივიღებთ მხედველობაში, ძალიან ზედაპირული და პოპულისტური გამოვა.

– დასავლეთში როგორია 25 წლამდე ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაჩვენებელი? იქ არის გამოცდილება, რომ კვალიფიციური ახალგაზრდა კადრი უმუშევარი დარჩეს?

– ამერიკაში, მაგალითად, უმუშევრობის დონე 16-24-წლიანებში დაახლოებით 2-ჯერ აღემატება უმუშევრობის საშუალო დონეს (4.5%), ანუ ის დონეა, რომელიც ზოგადად არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ბევრი ევროპული ქვეყნისათვის საოცნებოა არა თუ ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის, არამედ, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მთელი კონტინგენტისათვის. ამის გარდა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ გაცილებით მაღალი კორელაციაა განათლებასა და დასაქმებას შორის. ბიზნესი აძლევს შეკვეთას აშშ-ის უმაღლეს სწავლებლებს და იქ ადამიანს აქვს არჩევანი, სად დაიწყოს მუშაობა. თუ მიიღო უმაღლესი განათლება, 90 პროცენტზე მეტია ალბათობა, რომ მუშაობას დაიწყებს. იქ მუშაობის დაწყება უკავშირდება სწავლის საფასურის გადახდას, რომლის თანამონაწილაც ის ბიზნესია, სადაც აპირებს მუშაობის დაწყებას. ჩვენთან კრედიტს სწავლისთვის იღებენ კომერციული ბანკებისგან, იქ კი – იმ ბიზნესისგან, რომელსაც კადრი სჭირდება. ანუ პროცესი, ურთიერთობა, ინტერესების შეჯერება გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი. ასე რომ, თვით აშშ-შიც არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ უმუშევარი დარჩეს მომზადებული ადამიანი, რომლის სწავლაც ათეულ და ხანდახან, ასეულ ათასობით დოლარი დაჯდა.

სარჩევი

წინათქმა ზაალ ანჯაფარიძე	3
1. როგორ გადაასწრო საქართველოში პენსიონერთა რაოდენობამ დასაქმებულთა რაოდენობას და რატომ მიირთმევენ ქართველები ამერიკელებსა და ბერძნებზე ერთ-ნახევარჯერ ნაკლებ საკვებს №3, 31.01-6.02. 2011	4
2. რატომ შემოელია საქართველოს ადამიანური რესურსი, როგორ ბერდება ქართველი ერი და რატომ გაიზარდა სტატისტიკური ქართველის საშუალო ასაკი №23, 24-30.05.2011	12
3. რა დათვურ სამსახურს უწევს თანამდებობის პირთა ახალგაზრდა ასაკი დასაქმების მსურველ ახალგაზრდებს №34, 24-30.10.2011	21
4. რატომ ცხოვრობენ საფრანგეთში პენსიაზე გაცვლის შემდეგ საშუალოდ 24 წელს და რატომ ჰყავთ საქართველოს აზერბაიჯანსა და სომხეთზე დღებრძელი მოსახლეობა №12, 19-25.03.2012	29
5. რატომ აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო ხელფასი საქართველოს საშუალო ხელფასს 25-ჯერ №33, 6-12.08.2012	37
6. როგორ მდიდრდებიან ქართული ბანკები საქართველოს მოქალაქეების ბანათლებისა და ჯანდაცვის პრობლემების ხარჯზე №38, 17-23.09. 2012.....	45
7. რამ დააბერა საქართველოს მოსახლეობა და რატომ არ ნიშნავს მოსახლეობის რაოდენობის ზრდა მის გამრავლებას №41, 8-14.10.2012	53

-
8. ვინ დაუდგინა საქართველოში მოქალაქეებს საარსებო ნორმად დღეში 10 გრამი ღორის სორცი, 5 გრამი საკონდიტრო ნაწარმი და 25 გრამი ხახვი
№45, 5-11.11.2012 61

 9. ვინმეიკუთვნება საქართველოში მდიდარ, შექცეულ, საშუალო, სოციალურად და აბსოლუტურად ღარიბთა კატეგორიას და რომორ უნდა გამოითვალეთ თქვენი ოჯახის სოციალური სტატუსი
№50, 10-16.12.2012 70

 10. რა შემთხვევაში წამოარტყამენ თავში ქართულ ბიზნესს რუსულ გაზარზე და რატომ არის საქართველო ერთადერთი ეკონომიკის სექტორი ქვეყანა, რომელშიც არ აზღვევენ დავოზიტებს
№10, 4-10.03.2013 79

 11. რატომ ითვლებიან დასავლეთში პენსიონერები ყველაზე შექცეულ ფენად და რატომ იღუპება საქართველოში ყოველწლიურად ერთ წლამდე ასაკის 800 ბავშვი
№15, 8-14.04.2013 87

 12. რატომ ტოვებენ ეთნიკური რუსები რუსეთს, რომელიც მიერა ადგილზეა მსოფლიოში მილიარდობით რაოდენობით
№40, 30-06.10.2013 95

 13. რატომ არის „იუჟნია ოსეთია“ რუსეთის ფავორიტი და რატომ ახარჯავს მცირერიცხოვან ცხინვალს აფხაზეთზე 3-ჯერ მეტ თანხას
№43, 21-27.10.2013 104

 14. რას ნიშნავს სამსაფხურიანი საპენსიო სისტემა, შეუნარჩუნდება თუ არა, საპენსიო რეფორმით, მინიმალური პენსია ყველა პენსიონერს და რის მიხედვით დაითვლება საბოლოო პენსიის სიდიდე
№48, 25.11-1.12.2013 112

 15. რატომ განაგრძო ახალმა ხელისუფლებამ კველის მიერ შექმნილი სახელფასო ტრადიცია და რატომ უჯდება მაღალჩინოსან-
-

თა „კატიონსება“ საქართველოს მოსახლეობას უფრო და უფრო ქვირი №51, 16-22.12.2013	120
16. როგორ იზიდავს აზერბაიჯანი საქართველოზე 8-ჯერ მეტ ინვესტიციას და ვინ უკეთესს გზას თურქმენულ სანავის ქარ- თულ გაზარზე №2, 13-19.01.2014	128
17. რამ გამოიწვია ლარის კურსის ვარდნა, რატომ იყო ინფლაცია აუცილებელი ბიუჯეტის შესავსებად და რით უწყობს ხელს მოსახლეობა ფასების ხელოვნურ მატებასა და ინფლაციას №4, 27.01.-2.02.2014	136
18. რა ტიპის პროდუქციის გაქვირება მოქმედებს ყველაზე მაფრად საქართველოს მოქალაქეების სარგებზე და რატომ რჩება ყველაზე აქტუალურ პრობლემად საკვების შექენა №7, 17-23.02.2014	144
19. რატომ შეადგენს ქალების ხელფასი მამაკაცების ხელფასის 60 პროცენტს და რატომ იკავებენ საქართველოში არსებულ სერ- თაშორისო ორბანიზაციებში დასაქმებული ქალები მამაკაც- ებზე მაღალ თანამდებობებს №14, 7-13.04.2014	152
20. როგორ ახვევს საკრედიტო ბაღეში რამდენიმე კრედიტის ერთი ახალი სესხით გადაფარვა, როდის ემუქრება ბანკის 113 000 კლიენტს ქონებას გაყიდვა და როგორ იძებ დაგირავება სა- კუთარი ხელით საკუთარი ქონების დაკარგვის საშუალებად №20, 19-25.05.2014.....	159
21. რატომ იზარალებენ ქართველი ავტომდილერები სომხეთის სა- ბაშო კავშირში ბანკირინებით და აზერბაიჯანის მიერ 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანების აკრალკით №25, 23-29.06.2014	167
22. ვინ ითვლება საქართველოში ღარიბად და როგორ ახარებას მილიონ ანი ათასი ოჯახი 900 ათასი ავტომობილის ყოლას №47, 24-30.10. 2014	175

23.	შეუქმენის თუ არა პრობლემებს ქართული პროდუქციის რუსეთში შეტანას 2015 წლის იანვრიდან ევრაზიული კავშირის ამოქმედება №2, 12-17.01.2015	180
24.	რა როლს ასრულებს ქართველების კეთილდღეობაში მშობლებისა და ბავშვა-ბავიების მიერ დატოვებული ქონება და რატომ ელის საქართველოს 10 წელიწადში კიდევ უფრო გაღატაკება №17, 27.04-3.05.2015	188
25.	როგორ ქმნიან ქართველი ქალები ოჯახში საქმიანობით 7,5 მილიარდის პროდუქტს და რატომ იღებენ საქართველოში დასაქმებული ქალები მამაკაცებზე ნაკლებ საშუალო ხელფასს №23, 6-12.08.2015.....	196
26.	რით აინაზღაურებს საქართველოს მოსახლეობა ფულადი გზა-ვნილების 400 მილიონი დოლარით შემცირებასა და ელექტროენერჯის გაძვირებით გამონეწეულ 300-მილიონლარ-ინან დამატებით ხარჯს №37, 14-20.09.2015	204
27.	რას დაკარგავს და მიიღებს საქართველო „გაზპრომის“ შემოსვლით და მოითხოვს თუ არა ის ირანული გაზის საქართველოზე გამომტარების სანაცვლოდ თურქეთისკენ გაზის ტრანსპორტირებას №42, 19-25.10. 2015	211
28.	რატომ ურიგებს აშშ-ის ბიუჯეტი 47 მილიონ ადამიანს ყოველთ-ვიურად 115 აშშ დოლარს კვებისთვის და როდის დაუდგინენ საქართველოს მოქალაქეს დღიურ ნორმად 40 გრამი საქონლისა და 10 გრამი ღორის ხორცი №49, 7-13.12. 2015	219
29.	როგორ დაუბრუნეს საქართველოს მოქალაქეებმა ქვეყანას რუსეთისადმი სახელმწიფო ვალი და 18 ქვეყნის რა თანხა მართებს საქართველოს №3, 18-24. 01. 2016	226

30. რა შეითხვევაში მოინდომაზ რუსეთი ჯვრის წყალსაცავის დაკავებასა და ენგურჰინის მართვის ხელში აღებას №8, 22-28.02.2016	234
31. როგორია ცხოვრების დონე სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში №15, 11-17.04.2016	241
32. რატომ შემცირდა საქართველოს მოსახლეობა 1989 წლიდან დღემდე მილიონ რვაასი ათასით და რატომ აღარ დაბრუნდება სამშობლოში 500 ათასი ქართველი №36, 5-11.09.2016.....	249
33. რატომ უხდის საქართველოს მოსახლეობა „თელასს“ ყოველწლიურად ზედმეტ 211 მილიონ ლარამდე თანხას №43,16-22.10. 2016	257
34. რატომ იყენებენ საქართველოში ბავშვთა შრომას შავი და სხვითი საშუალებებისთვის №45, 7-13.11.2016	264
35. როგორ ავირებს დონალდ ტრამპი აშშ-დან გატანილი კავიტალის დაბრუნებასა და უმუშევრობის მსოფლიო ვალუტების ხარჯზე დაძლევის №52, 26.12.2016 – 1.01.2017	271
36. რატომ ყიდულობს საქართველო რუსეთისგან ზამთარში ელექტროენერგიას ორჯერ იმაზე ძვირად, ვიდრე თავად მიჰყიდის ზაფხულში №4, 23–29.01.2017	279
37. არის თუ არა რეალური საქართველოში უმუშევრობის შენეობის დაწესება და რატომ ვერ ახერხებს საკუთარი თავის გამოკვებასაც კი სოფლად დასაქმებული მოსახლეობა №14, 3-9.04.2017	287

კომპიუტერული
უზრუნველყოფა
ეკა აბზიანიძე

გამომცემელი:
გამომცემლობა „ივერიონი“

მისამართი: ქ. თბილისი,
კოსტავას ქ. №6, მე-2 სართული.
ტელეფონი: 2 99 66 37

თბილისი
2017



ნინო ხაჩიძე - ჟურნალისტი, პუბლიცისტი, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი სპეციალობით „სოციალური ფსიქოლოგია“. ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა 1998 წლიდან. არის ჟურნალ „თბილისელების“ პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი. ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამედროვე საქართველოს აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს, გლობალიზაციის პირობებში ქართული სახელმწიფოს ადგილის დამკვიდრების პროცესებს.



გიორგი ბერიძე - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოსა და სტატიის ავტორი. კითხულობს ლექციებს თბილისის და ქუთაისის უნივერსიტეტებში, ეწევა პუბლიცისტურ საქმიანობას. მისი ინტერესის სფეროა მაკროეკონომიკა, განაწილების ურთიერთობები, საქართველოს ეკონომიკა. 28 წელი მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურში, მათ შორის 14 წელი - ხელმძღვანელ თანამდებობებზე.
დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“.



გამომცემლობა „ივერიონი“.
თბილისი, 2017 წ.